K 216865/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

ჩკინის სახელმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენის ცხოვრები

თბილისი „მერანი“ 1992

ЗКП1(09)2 ორჯონიკიძე)

899.962. Г 2 32
ჯ. 334

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ორჯონიკიძის უკუღმართსა და ტრაგიკულ ცხოვრებაზეა
დაწერილი ეს წიგნი.

ავტორი

4333-2000
მეფოლიანელია

K 21663

რედაქტორი მანანა ასათიანი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ $\frac{470207200 - 227}{М\ 604(08)-92}$ ბრძ. 91

© ასოციაცია „სამთავრო"
გამომცემლობა „მერანი"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბადა სოფელ ღორეშაში, იმერეთის ერთ ჩვეულებრივ, მაინცადამაინც არც არაფრით გამოჩეულ სოფელში. ეპრაქსია თავზარაშვილს და აზნაურ კონსტანტინე ორჯონიკიძეს შეეძინათ მეორე ვაჟი, გრიგოლი, შემდგომში სერგოდ სახელდამკვიდრებული.

ყმაწვილი ქალი ეპრაქსია თავზარაშვილი მშობიარობისაგან რამდენიმე დღის (სხვა ცნობით ცოტა გვიან) შემდეგ სამუდამოდ გამოეთხოვა დღენათელს, დროზე ადრე გადაიხადა რა დედობისა და წუთისოფლის უეჭველად გასასტუმრებელი ვალი; გაყვა დარდი გაყვითლებული, ჭიამკვდარი ყრმისა, უდღეური რომ ეგონათ თავდაპირველად. რუსეთის იმპერიის რღვევისა და აღზევების ერთი აქტიური მონაწილე და მოთავეც კი ძაღლუაშვილების აკვანში იწვა და თავის წილ ხვედრს ელოდა ცისქვეშეთში. (იმ კუთხის ორჯონიკიძეებს ძაღლუაშვილები ერქვათ. მათი ბუდის ერთ-ერთ წარმომადგენელს შვილი არ შეარჩინა გამჩენმა და ცოცხლადდარჩენილ ბოლო ვაჟს ძაღლუა დაარქვა. გაჭრა თურმე ამ არც მთლად საიმედო, მითუმეტეს, უტყუარმა ხერხმა და გადარჩენილ ძაღლადამიანის ბარობაზე მომრავლდნენ ისინი, რომლებთაც უდედმამოდ დარჩენილი ყრმის აგორებული ცოდვა მოეკითხებოდათ სულ მალე).

„...საჭიროა სამაგალითოდ დაისაჯოს ამხ. ორჯონიკიძე!"

ბრძანა ლენინმა 1922 წელს და ამას ორჯონიკიძის პოლიტიკური ცხოვრების აღმავლობაზე გავლენა არ მოუხდენია, თუმც იგი ბოლოს მაინც დაისაჯა, მწარედ დაისაჯა...

დაისაჯნენ მისიანები:

პავლე (პაპულია) ორჯონიკიძე. უფროსი ძმა. დააპატიმრეს 1936 წელს. დახვრიტეს 1937-ში.

ნინო მაჭავარიანი ორჯონიკიძისა. მეუღლე პაპულიასი. ოთხი შვილის დედა. დააპატიმრეს და დახვრიტეს 1938-ში. 40 წლისა.

ივანე ორჯონიკიძე. ნახევარძმა სერგოსი. დააპატიმრეს 1938 წელს მეუღლესთან ერთად. გაათავისუფლეს 11 წლის შემდეგ.

კონსტანტინე ორჯონიკიძე. ნახევარძმა სერგოსი. დაიჭირეს 1938 წ. უცნაურ, დაუჯერებელ პირობებში იპატიმრეს 20 წელი.

გიორგი აბესალომისძე ორჯონიკიძე. გარეგბიძაშვილი. დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

გიორგი დიმიტრის ძე ორჯონიკიძე. გარეგბიძაშვილი. დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

სავა ვალერიანის ძე ორჯონიკიძე. გარეგბიძაშვილი. დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

შიო ორჯონიკიძე. ახლო ნათესავი. დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

დიმიტრი გიორგის ძე ორჯონიკიძე. ბიძაშვილი. დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს 39 წლისა.

ივანე (უშანგი) გიორგის ძე ორჯონიკიძე. ბიძაშვილი. დააპატიმრეს 1937-ში, მიუსაჯეს 10 წელი. მოითხოვა და 1943-ში გაუშვეს ომში „მოწინავეზე", ეგრეთ წოდებულ საჯარიმო ბატალიონში. დაიღუპა ჩასვლისთანავე.

მინადორა ორჯონიკიძე. ნათესავი. ბიძაშვილი. დააპატიმრეს და 15 წლის შემდეგ გამოუშვეს.

მალაქია ტოროშელიძე. ქმარი მინადორა ორჯონიკიძისა. დახვრიტეს 1937-ში.

ტუხია ორჯონიკიძე. ნათესავი. ღორეშას მკვიდრი. ერთი ერთმანეთზე მიყოლებით იპატიმრეს 18 წელი.

(სია არასრულია)

სერგო (გრიგოლ) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე. თავი მოიკლა 1936 წლის 18 თებერვალს 50 წლისამ.

ოფიციალური ცნობა:

„18 თებერვალს, 17 საათზე და 30 წუთზე მოსკოვში, თავის ბინაში კრემლში გულის დამბლისაგან უეცრად გარდაიცვალა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი საკ. კ. პ. (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი
გ. კამენსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს კონსულტანტი, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი ლ. ლევანი.

კრემლის ამბულატორიის მორიგე ექიმი ს. გეცი.

საექიმო დასკვნა:

„ამხ. გ. კ. ორჯონიკიძე დაავადებული იყო არტერიოსკლეროზის გულის კუნთისა და გულის მილების მძიმე სკლეროზული ცვლილებებით, აგრეთვე ქრონიკული დაზიანებით მარჯვენა თირკმლისა, რომელიც ერთადერთი ჰქონდა 1929 წელს ტუბერკულიოზით დაავადებული მარცხენა თირკმლის ამოჭრის შემდეგ.

ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ამხ. ორჯონიკიძეს დროგამოშვებით ჰქონდა ხოლმე სტენოკარდიის (გულის ანგინის) და გულის ასთმის შეტევები. უკანასკნელი ასეთი შეტევა, რომელიც ძალიან მძიმედ მიმდინარეობდა, 1936 წლის ნოემბრის დამდეგს მოხდა.

18 თებერვალს დილიდან ამხ. ორჯონიკიძე არაფერს უჩიოდა, ხოლო 17 საათსა და 30 წუთზე, დღის დასვენების დროს, უეცრად თავი ცუდად იგრძნო და რამდენიმე წუთის შემდეგ გულის დამბლისაგან გარდაიცვალა.

დაკრძალეს კრემლის კედელში კუიბიშევისა და კიროვის (კოსტრიკოვის) გვერდით. ისინი ასეთი თანამიყოლებით განლაგდნენ:

Валериан Владимирович Куйбышев	Сергей Миронович Киров	Григорий Константинович Орджоникидзе
18 $\frac{7}{VI}$ 88 — 19 $\frac{25}{I}$ 35	18 $\frac{28}{\text{—}}$ 36 — 19 $\frac{1}{XII}$ 34	18 $\frac{28}{X}$ 86 — 19 $\frac{18}{II}$ 37

კიროვი მოკლეს. კუიბიშევი მოკვდაო და შემდეგ მოკლესო, არასწორი მკურნალობით „ექიმმა—მავნებლებმა“ გამოასალმეს წუთისოფელს ო. ორჯონიკიძეც მოკვდა, შემდეგ თავი მოიკლა და ასე ამრიგად. კიროვი და ორჯონიკიძე მეგობრობდნენ და თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, ერთ წელს (თვე არ ემთხვევა) და ერთ რიცხვში არიან დაბადებულნი. კიროვი, კუიბიშევი, ორჯონიკიძე — პოლიტბიუროს ლიბერალური, ცენტრისტული, შეიძლება ითქვას, ფრთის წარმომადგენლები არ მიმხრობიან ოპოზიციას, უნდობლად უყურებდნენ სტალინის ყურმოჭრილ მონებს: მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, მიქოიანს და სხვებს. ძნელი იყო მათი რომელიმე დაჯგუფებაში, ბლოკში შეყვანა, სტალინის დამქაშებში ათქვეფა.

ორჯონიკიძის პირად, ოჯახის ექიმს იაკობ ეტინგერს, რომელიც მოგვიანებით გამოაცხადეს მავნებლად და 1951 წელს ციხეში ჩაკეტეს სამედიცინო დასკვნაზე ხელი არ მოუწერია. მართალია, ბოლამდე ალიარეს, მაგრამ ორჯონიკიძის სიკვდილის დაჩქარება არ შეუწამებიათ. კუიბიშევის, გორკის—მაქსიმ პეშკოვის, მენჟინსკის „არასწორ ჟურნალობას“ შეეწირნენ ექიმები: პლეტნევი, კაზაკოვი, ლევინი, მოგვიანებით ეტინგერიც. სკვითთა ყველა ბელადს, ყველა დროში არ ჩაყოლია სამარეში იმდენი ადამიანი, რამდენიც კიროვს გააყოლეს იმ ქვეყანაში. სერგოს კი მხოლოდ ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგვარეები, თანამშრომლები აკმარეს და დაუმადლებლად გამოუყვეს კრემლის კედელი, სადაც ფერფლად ქცეული განისვენებს ჯერჯერობით.

ღორეშაში დაბადებულმა, ნახევრად უპატრონოდ გაზრდილმა ყმაწვილმა ბევრი აჭენა გზაზე და უგზოზე თავისი სიცოცხლის ცხენი...

დაიბადა ღორეშაში 1886 წელს. მის შობას გადაჰყვა დედა ეპრაქსია თავზარაშვილი. რვა წლისას ზიარი ტყის დავაში კურტანიძეებმა მოუკლეს მამა კონსტანტინე. სწავლობდა ღორეშაში, ხობში, დაამთავრა ბელაგორის (ხარაგაული) ორ კლასიანი სასწავლებელი. სწავლა განაგრძო მიხეილის საავადმყოფოს საფერშლო სასწავლებელში თბილისში. საფერშლო სასწავლებლის გასრულებამდე პროკლამაციებისა და იარაღის ტარებისათვის დააპატიმრეს და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, როგორც არასრულწლოვანი გაათავისუფლეს. ზრდაში და სწავლაში ეხმარებოდნენ: დედინაცვალი დესპინე, რომელსაც საკუთარი შვილების რჩენაც უჭირდა, ბიძები, ნათესავები და უფროსი ძმა პაპუა. იზრდებოდა ლაღად, უმეთვალყურეოდ, როგორც ადრე ვთქვით. ნახევრად უპატრონოდ. უყვარდათ ნადირობა, ჯირითი...

ჭენებაში შემოაკვდა ნათესავის ჭაკი და არ დამალა. მე მოვკალი. განაცხადა. მართალია, სოფელში მოკვლა ცხენისა, რაგინდ რა ვითარებაში არ უნდა შემოგეხარჯოს იგი, არ დაიმალება, მაგრამ დანაშაულის აღიარება, მართლის თქმა ღირსებაა და ასე სიმართლით იარა მთელი ცხოვრებაო, მაინც ვერ ვიტყვით. 1922 წელს ჯიშიან, საგანგებოდ შერჩეულ ცხენებზე ამხედრებულნი სერგო და ფელიქს ძერჟინსკი მცირერიცხოვან ასაბიასთან ერთად

ლორეშაში შემოთოხარიკდნენ. ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ, შუკა-შუკა
მოდიოდნენ ხარაგაულის სადგურიდან; ხიმე ღობეს ზემოთ
თოლგაცვენილ ვაშლის ხის ტოტებში იმალებოდნენ და ქრებოდ-
ნენ ვარსკვლავიანი, წოწოლა ქუდებით. ამის შემდეგ სერგო ღორე-
შაში აღარ ვამოჩენილაო. მიატოვა სამკვიდრო, დიდი ზღვები გადა-
ცურა და კრემლის კედელი ირგუნა არც თუ ხანდაზმულმა. შეახსე-
ნა თუ არა ნავანების სერში დაღუპული ჭაკის პატრონმა თავი, არ
ვიცით, ცხენი კი მასუკანაც შემოაკვდა. ამხედრებული დადიოდა
იგი დაღესტნის მთებში, დონის სტეპებში, ხევსურეთის მოყინულ
ბილიკებზეც, სადაც ზედ უფსკრულის პირას უცურდებოდათ ცხე-
ნებს ფეხები და ცხენი ბედისწერასავით არ შორდებოდა.

„...25 თებერ. 1921 წ. საბჭ. ჯარები შედიოდნენ ტფილისში. წინ
მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი ერთი
ქართველ-კომისართაგანი.“ დაწერს მოგვიანებით ზურაბ ავალიშვი-
ლი.“ ... წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდო-
მი, ნაბიჯით ნელით, შემოდიოდა სიკვდილი ცელით...“ კინაღამ იგი-
ვეს გაიმეორებს პოეტი შემდეგ. ამხედრებულ ორჯონიკიძეს გულის-
ხმობენ ზოგიერთები. მეთერთმეტე არმიას მოყვებოდნენ და მოუძ-
ღოდნენ კიდეც (პირდაპირი გაგებით) ქართველები, რომელთა გვარ-
სახელებით ისტორია ხეირიანად არც კი დაინტერესებულა, მაგ-
რამ სერგო ორჯონიკიძე დამპყრობელთა არმიას ცხენით არ შემო-
მწინამძღვრებია. იგი იმ დროს ბაქოში გახლდათ, მორზეს აპარატ-
თან იჯდა და არა თეთრ ცხენზე და იორღათი თოხარიკისა და ბაი-
რაღის ფრიალის პატივს ნულარ მივაგებთ. დამოუკიდებელი საქარ-
თველოს ბედი გადაწყვეტილი იყო და ორჯონიკიძის როლს სხვა
„ქართველიც“ სიხარულით იტვირთავდა.

„...როცა 1921 წელს, თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში, საქართველო გააწვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა, საბჭოთა ხელისუფლებამ — სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა, რომ ავადმყოფი გააბრუა და ოპერაციისათვის უკვე მოამზადა, მასზე არანაკლებ გამოცდილმა, თუმცა არა მასავით გამბედავმა სოციალ-დემოკრატიამ“ (ზ. ავალიშვილი).

„...როდესაც საქართველო მიიყვანეს საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდის, თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ წი-

თელ არმიელთა არც თუ მაინცა და მაინც დიდი ძალისათვის.“
ისევ ზ. ავალიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმში, საქართველოს მთავრობამ რომ დატოვა საქართველო, ნოე ჟორდანიას ეტლის ცხენები აჩუქა ქლობას გულდაუწყვეტლად; მექანიკურ ტრანსპორტზე არ ამბობდა უკვე უარს, ეტლს ალმაცერად უყურებდა, თუმცა ცხენს გულგრილად ვერ ავლებდა თვალს.

პარიზშიო, იგონებს ძველი რევოლუციონერი ბ. ა. ბრესლავი, სერგოს ცხენის ხორცი ვაჭამეთო:

„...მახსოვს, მოდის ერთხელ ამხანაგი სერგო და ამბობს: ზახარ (ბრესლავის პარტიული ფსევდონიმი) შიმშილით ვკვდები, გადამაყლაპე რაღაცაო.

— დაჯექი, ჭამე, ცხენის ხორცი გვაქვს მხოლოდ.

— ცხენის ხორცი? — სერიოზულად, თან იჭვნეულად იკითხა სერგომ. — არა, ვერ შევჭამ ცხენის ხორცს... რომ არ გეთქვა, ცხადია, შევჭამდი, იქნებ გემრიელიც მომჩვენებოდა, მაგრამ რაკი მითხარი აწი ველარ წავეკარები.

ჩვენი სიღარიბისა და უსახსრობის მიუხედავად, სხვა საჭმელით გავუმასპინძლდით, თუმც შემდგომ სერგოს რჩევა-დარიგებაც გავითვალისწინეთ და სწორედ ცხენის ბივშტექსი შევაპარეთ. ბივშტექსი მიირთვა, ღვინოც დააყოლა, გემრიელი იყოო, განაცხადა.

— აბა, თუ იცი რისი ხორცი შეჭამე? — ვეკითხები.

— ცხენის? — გაოცებული მიყურებს.

— ცხენის.

ცოტაც და განწყობილება შეეცვალა, ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— კარგი ქენით რომ არ დამიმალეთ, ამიერიდან ცხენის ხორცსაც არ დავიწუნებ!“

ძალიან მოეწონა ცხენის ხორციო ამ ნაამბობიდანაც ვერ დავასკვნით. მასპინძლებს ხათრი ველარ გაუტეხა, რასაკვირველია და ალარაფერი თქვა, ცხენმა კი კინაღამ დაასამარა სხვა დროს, პოლიტიკური კარიერის აღზევებისას.

ქართული ინციდენტი.

ასე შევიდა კომუნისტური პარტიის ისტორიაში საქართველოს „ძალად ცხონება“ ანუ ავტონომიზაციისათვის ბრძოლა, სტალინმა რომ „უმნიშვნელო“ უწოდა ბოლოს.

1922 წლის შემოდგომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამწვავებულია და დაჭიმულია სიტუაცია ქართველ ბოლშევიკებსა და სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობას შორის. საერთო-ნომიაო ომი არ ცხრება, არც ნელდება, თუმც საკონფლიქტო ბრძოლაშია ჩაბმული იმპერიის ცენტრალური კომიტეტი, ლენინი, ტროცკი, სტალინი, ზინოვიევი, რიკოვი, სხვები და სხვები. საქართველოში სტუმრადაა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსი ივანეს ძე რიკოვი, რომელიც მალე შეცვლის (თანამდებობრივად) ლენინს და სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე გახდება. ტროცკი, სტალინი, ზინოვიევი, კამენევი იჭვით უნდობლობით უყურებენ ერთმანეთს და ლენინის პოსტს თავაზობენ რიკოვს (რუსს), რათა ამ როლის მიღებით ზემოთ ნახსენები ოთხეულიდან ერთ-ერთი (რიკოვი სერიოზულ კონკურენტად არ ითვლება) ოფიციალური მემკვიდრე არ გახდეს პროლეტარიატის ბელადისა. 1922 წლის შემოდგომაზე კი საქართველოს საპატიო სტუმარს წარმოდგენა არა აქვს თუ იმ საპატიო და გათვლილ-გაანგარიშებული მისიის შესრულებას არგუნებს ისტორია. სერგო ორჯონიკიძის ბინაშია. თან ახლავს მოყვარე ვინმე კობახიძე (პარტიული ფსევდონიმი მირსკი).

სამ პირს—რიკოვს, ძერჟინსკის, პიატაკოვს თვალითმხილველები ადარებდნენ (გარეგნულად) დონ კიხოტს. თუ ფოტოსურათებით ვიმსჯელებთ სამივე ჰგავდა ან სამიდან ერთი და ეს ერთი, ოპერეტის პერსონაჟის მიმგვანების თვალსაზრისით იყო რიკოვი. სმა უყვარდაო ძალიან და დონ კიხოტისაგან განსხვავებით მჭერმეტყველებითაც (ენა ებმოდა) არ გამოირჩეოდა. ჩამოსხმული არყის ერთ-ერთ, არც თუ მდარე ხარისხის არაყს მოსკოვში „რიკოვსკის“ ეძახდნენ იმ დროს. ორჯონიკიძის სახლში ადგილობრივ „რიკოვსკის“ მიირთმევდა. უეჭველია. კობახიძე და ორჯონიკიძე რას სვამდნენ არ ვიცით, მაგრამ (ეს დადასტურებულია) კამათობდნენ გაცხარებით, თითქმის ყვიროდნენ და ზინაიდას ეშინოდა, არ გაცდენოდა მათი ხმა ფანჯრებს (დღევანდელი ჯაფარიძის №—7), რომლებიც სამხარეო კომიტეტის შენობას უყურებდნენ. „რიკოვსკითა“ და მოყვარე რიკოვით გათამამებული კობახიძე მეტს ბედავდა, ზედმეტს კადრლობდა როგორც ირკვევა. საქართველო დამოუკიდებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკა უნდა იყოს კვლავ ამბობდა. ორჯონიკიძე ნამდვილ
რაღა მარჩიელობა ჭირდება, საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. — ბიბლიოთეკა
ქართულით დაობდნენ ისინი და რიკოვი ხვდებოდა, რაზეც ლაპარაკობდნენ. ცხენებს ახსენებდნენო, დაწერა მოგვიანებით ახსნა-განმარტების ბარათში პოლიტბიუროს სახელზე. გაზეთმა „პრავდამ" 1988 წელს აგვიხსნა, კობახიძემ ორჯონიკიძეს სტალინის ვირი უწოდაო. დაახლოებით იგივე თქვა ახსნა-განმარტებით ბარათში რიკოვმაც და დასძინა: ამის შემდეგო ისევ ცხენებს მიუბრუნდნენ ვირებს შეეშვენო. ამხანაგმა კობახიძემ ყურში რაღაც უჩურჩულა ორჯონიკიძეს, ამხანაგი ორჯონიკიძე წამოხტა, სილა ცეცხლა კობახიძესო. კობახიძე მარჯვნივ გადავარდა, კობახიძის სათვალემ მარცხნივ მოადინა რახვანიო.

„სტალინის ვირი" მასპინძლობისა და მაღალი რანგის სტუმრის ხათრით ჩაყლაპა ალბათ სერგომ, მაგრამ ცხენზე და ყურში ჩურჩულზე რატომ გადაირია რიკოვისათვის, პარტიის ისტორიისათვის გაუგებარი დარჩა. ამ საკითხს კვლავ მივუბრუნდებით. ახლა „სტალინის ვირობაზე" შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. იარლიყო „პრავდის" ფანტაზიისა და იუმორის, ერთი ზომაზე მეტი რომ აქვს და მეორე რომ აკლია, ნაყოფს არ ჰგავს.

ქალბატონი ეთერი:

—...მამა აღმერთებდა სტალინს თავდაპირველად... სტალინის უზარმაზარი სურათი ეკიდა კაბინეტში, საწერ მაგიდაზე, ახლაც აქ დევს, სტალინის სურათი იდო. სამსახურში რომ მიდიოდა, კრემლიდან გასვლისას, მე სკოლაში მივყავდი, შოფერს მანქანის ჩქარა წაყვანის უფლებას არ აძლევდა: ნელა გაიარე, სტალინი ალბათ მუშაობს, მყუდროება არ დაერღვესო. ბოლოს პირიქით აკეთებდა...

— პირიქით რას ნიშნავს?

— სტალინის ბინის წინ აღმუვლებდა მანქანას, შოფერს უყვიროდა, გაზს მოუმატე, ჩქარა წადიო.

— ეგ იყო სულ?

— სხვას მე ვერაფერს ვამჩნევდი...

XVII ყრილობის დროს და კიროვის სიკვდილის შემდეგ გაფუჭდა მათი ურთიერთობა და სტალინს იგი საგარეო და საშინაო აქტიურ პოლიტიკაში არ გაურევიაო. ,,ალბათ რომ თქვას, კიროვის სიკ-

ვდილამდეც, თუ არ ჩავთვლით საკავშირო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეობას მცირე ხნით, სამეურნეო დარგის მუშაკად იმუშავა ხუთა და ბოლოს ჩააბარა მძიმე მრეწველობა. მრეწველობის კომისარიატს რიატს განაგებდა, მაგრამ პოლიტბიუროს წევრი იმაზე მეტად აქტიურობდა ვიდრე საჭირო იყო, ვიდრე მის უფროს თანამემამულეს ჭირდებოდა.

34 წლის იყო როცა:

„კავკასიის მთელ სამხედრო პოლიტიკას ხელმძღვანელობს და კვლავაც უხელმძღვანგლებს სერგო!"

1920 წლის აპრილში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შექმნა კავკასიის საოლქო ბიურო და დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტი (კავბიურო) ორჯონიკიძის, კიროვის და სხვების შემადგენლობით.

ბრძანება შემოეთვალათ მოსკოვიდან უფროსებსა:

„კავკასიის მთელ სამხედრო პოლიტიკას (საომარი მდგომარეობაა) ხელმძღვანელობს და კვლავაც უხელმძღვანელებს სერგო!" დადგენილებას თან მოდევს ამდაგვარი განმარტება:

„...ის საკითხები, რომლებიც მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიას შეეხება, შეუძლია გადაწყვიტოს ვიწრო კოლეგიამ სერგოს დაუსწრებლადაც; ყველა ის საკითხი კი, რომელიც ამიერკავკასიას შეეხება (საქართველო ჯერ დაპყრობილი არაა) მხოლოდ მისი თანდასწრებით უნდა გადაწყდეს."

და იგი ხელმძღვანელობს მთელ კავკასიას მაშინდელი უგზოობისა და უკომუნიკაციობის პირობებში. მოძრაობს: ბაქოდან როსტოვში, როსტოვიდან სტავროპოლში, თერგის რესპუბლიკაში, დაღესტანში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში — ვრანგელის დესანტის პირისპირ, ყაბარდოში, ინგუშეთში, ოსეთში, საჩეჩნოში, თემირხან-შურაში, დარღოს ოკრუგში, ისევ უკან ბაქოში, სომხეთში და ასე შემდეგ.

სტალინის ტელეგრამა (1920 წ. 2:11)

„სომხეთში ჯარების ნაწილობრივ შეყვანის ნებას გრთავ!"

„გავიგე!"

პასუხობს სერგო, თუმც ამ მითითებაში გაუგებარი არაფერი ჩანს.

„...ყველაფერს გავაკეთებ, გამორეკეთ ყველა სომეხი კომუნისტი მოსკოვიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო

კავბიუროს ორ ნაწილად გაყოფა მოითხოვა:

I ამიერკავკასია და მთიელები.

II სტავროპოლი, ყუბანი, დონი.

1921 წლის 21 მარტს (საქართველოც შეემატა სამართავ სამთავროს) რ კ პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ აცნობა:

„...გაიყოს ცენტრალური კომიტეტის კავბიურო ორ ბიუროდ: ცენტ. კომიტეტის სამხრეთ — აღმოსავლეთ ბიუროდ და ცენტრალური კომიტეტის კავბიუროდ (აზერბაიჯანი, საქართველო სომხეთი, დაღესტანი, მთიელთა რესპუბლიკა, ნახჩევანი) ბიუროს წევრები: 1. ორჯონიკიძე, 2. კიროვი და დანარჩენები.

ჩამოყალიბდა ნამდვილი კავბიურო.

კავბიურო. კვადოურა.

არაფრით, არც ფორმით, არც შინაარსით, არც ზომით, არც მნიშვნელობით ერთმანეთს არ გვანან.

კვადოურა.

კავბიურო.

კვადოურა მდინარეა. იგი ჩამოედინება ღორეშაში, სადაც დაიბადა და გაიზარდა სერგო-გრიგოლი, სკოლებში და საფერშლოში— გრიშა. საქართველოს ციხეებში გრიშკა, კრემლში გრიგორი კონსტანტინეს ძე. კვადოურა ახლაც თეთრ ჩქერებად გადადის გაგლუვებულ ქვებზე. როგორც ყველა ღელე-მდინარე მოდის მთიდან და უფრო დიდ ღელეს ან მდინარეს (კვადოურა—ძირულას) უერთდება და სხვისი სახელით მიექანება ზღვისკენ მარადისობის ტრიალში ჩასართველად, წვიმად და ცვარ-ნამად დასაბრუნებლად.

უბისა.

XII საუკუნის სამონასტრო კომპლექსი: კოშკი. გოდოლი. დარბაზული ეკლესია. გვიანდელი სამრეკლო. დამიანეს ან გერასიმეს თუ ორთავეს მიერ მონასტრის დასრულებიდან ორიოდე საუკუნის შემდეგ მოხატული საყდრის კედლები.

„...მე საწყალობელსა სულითა სიმონ ჭყონდიდელსა მომემადლა ღვთისაგან აღშენებად მონასტერი ესე და სუეტიცა ესე მეფობისა ღვთისა მიერ გვირგვინოსნისა დიმიტრი მეფეთა მეფისა ძისა დიდი-

სა მეფისა დავითისა. ქორონიკონი იყო 361 ზედა წელი სარკინოზთა 535."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ფოტოსურათზე სერგოს მამა კონსტანტინე ორჯონიკიძე წმინდა დიმიტრის ჩამოგავს. არა დიმიტრი დავითის ძესა, რომლის დროსაც აშენდა მონასტერი, არამედ ნამდვილ წმინდა დიმიტრის, წმინდა გიორგის გვერდით რომაა გამოსახული უბისის ეკლესიის სამხრეთ კედელზე. ეს მსგავსება (თუ ჩვენი ვიზუალური დაკვირვება დაახლოვებით მაინც სწორია), გარეგნულ ეფექტზეა დამყარებული, ცხადია. სერგოს მამა კონსტანტინე კი, რომელსაც ბევრი არაფერი ეცხო წმინდანის, სერგოს შობის მერვე წელსვე მოკლეს კურტანიძეებმა ხატისფეხის ტყეში. მოასვენეს შინ და სერგოს დედინაცვალმაც იმშობიარა. ქვეყანას, მამის სიკვდილის დღეს, მოევლინა კონსტანტინე II, სერგოს ნახევარძმა, რომლის ტრაგიკული თავგადასავალი შეშურდებოდათ გვიანი ფეოდალური ხანის მექრონიკეებს, თუნდაც — უილიამ შექსპირს.

მოტყიარის წმინდა გიორგის ბაზილიკა.

წმინდა კოზმანის ბაზილიკა.

ნაკლებცნობილი ფეოდალის ციხის კედელ-ბალავარის ნარჩენები. ქეზეითის მინდვრები. ხატისფეხის ტყე. ნავანები. კვადოურა.

კავბიურო. ამრაიკომი, სამხარეო კომიტეტი. წევრი და მდივანი სამხარეო კომიტეტისა პირველი კაცის უფლებით. პირველი ვიოლინოა, დირიჟორი სხვაგან, შორს ზის, მაგრამ შესანიშნავად ესმით ერთმანეთის.

ჩრდილო-კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1 მდივანი მცირე ხნით. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავჯდომარე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი. 1930 წლიდან პოლიტბიუროს წევრი.

(...ვაშა! გაუმარჯოს მძიმე მრეწველობის სარდალს ამხ. ორჯონიკიძეს, ვაშა! მჭუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. მჭუხარე ტაში და ოვაცია დიდხანს არ ცხრება.შეძახილები: გაუმარჯოს სერგო ორჯონიკიძეს! გაუმარჯოს დიდ სტალინს!)

და ბოლოს კრემლის კედელი ორმოცდაათი (50) წლის ასაკში. ვაშა! გაუმარჯოს მძიმე მრეწველობის სარდალს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვადოურა.
კავბიურო.
კრემლი.
კრემლის კედელი.

პარტიაში შევიდა 1903 წელს 17 წლისა. 1901 წლიდან თბილისშია.

ილია ჭავჭავაძესა და ახალგაზრდა ნოე ჟორდანიას შორის ზომიერების საზღვრებს გადასული კამათი მარქსიზმზე, პოლიტეკონომიაზე და ფინანსებზე დამთავრებულია. „კვალი" ებრძვის „ივერიას". სოციალური ბრძოლა პოლიტიკურში რომ გადაიზარდა, ძალაში შედის.

გრიშა (სერგო) ორჯონიკიძე მიხეილის საავადმყოფოს საფერშლო სკოლის ჭუჭრუტანებიდან ადევნებს თვალს ამ ბრძოლებს, მოურიდებლად, თუმც ფეხებდაბორკილი გამოდის გარეთ, სოციალ-დემოკრატიულ წრეებს აგნებს, რუს და ქართველ მარქსისტებს ეკედლება და როგორც ვთქვით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიც ხდება; პროკლამაციების გავრცელებას იწყებს, პროპაგანდისტობს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის გაჩაღებულ პარტიულ უთანხმოებას ადევნებს თვალს, უმრავლესობისაკენ იხრება. დგება ახალი საუკუნე. მარქსიზმის აყვავების ხანა იწყება.

„კვალის" რედაქციაში ნ. ჟორდანიასთან გამოცხადებულა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე, მაშინ ვინმე სოსო ჯუღაშვილი. მინდაო უთქვამს რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობის მიღება და რევოლუციონერობაო, დახმარება უთხოვნია. მეპროპაგანდეები გვაკლდაო, იგონებს ჟორდანია და გამეხარდა ახალგაზრდა სემინარიელის გამოცხადებაო.

„...სანამ რჩევას მივცემდი, მსურდა გამეგო; თუ რა გონებრივი საგზალი აქვს და ჩამოვუგდე ლაპარაკი სხვადასხვა საკითხებზე ისტორიიდან, სოციოლოგიიდან. ნახევარი საათი მუსაიფის შემდეგ ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ამ უმაწვილს ყველა იმ დარგზე სრულიად ზერელე წარმოდგენა აქვს, მთელი მისი საპროპაგანდო ავლა-დიდება ამოიწურება „კვალის" სტატიებით და კაუცკის „ერფურტის პროგრამით."

თვითგანვითარება ურჩია ჟორდანიამ ჯუღაშვილს. „...დავუსახელ- ლ9 წასაკითხავი და შესასწავლი წიგნები.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლმილა, როგორც შემდეგ გამოირკვა, დავფიქრდებიო-ბ. ... ქვამს და წასულა, წასულა და დაკარგულა. გამომხდარა ხანი უჟორ- დანიოდ გამოსულა სარევოლუციონეროდ. შემოვარდა ერთხელო, ჟორდანია იხსენებს კვლავ, აღელვებული სილვა ჯიბლაძე და მეუბ- ნება: **„...ის ყაზილარი (ს. ჯუღაშვილი) ჩვენს წინააღმდეგ აწარმო- ებს პროპაგანდას!“**

კლასობრივი ბრძოლა სოსო ჯუღაშვილს, თუ ჟორდანიას ვერ- წმუნებით, თანამოძმეთა (მესამე დასელთა) ლანძღვა გინებით და **„...მცირე ცოდნითა და დიდი პრეტენზიებით“** დაუწყია.

ახალგაზრდა „პროპაგანდისტს“, თავისიანების წინააღმდეგ რომ გააჩაღა თავდაპირველად ბრძოლა, სერგო ორჯონიკიძე მოგვიახუ- ბით, კერძოდ 1906 წელს გაუცვნია. მოწონებია ყმაწვილი და მა- მობრივი (ბევრად უფროსი არც კი იყო) რჩევა-დარიგება მიუცია. ჯერ იკითხე, სწავლა-განათლებას მიეძალე, განსაკუთრებით კარგად შეისწავლე მარქსიზმი, მარქსიზმის საფუძვლებიო და წასაკითხი და დასაზეპირებელი წიგნების სია მიუცია. როგორ შეასრულა სერგომ ჯუღაშვილის დავალება, ვერ ვიტყვით, მაგრამ თეორიული განათ- ლებით რომ არ მიუპყრია საზოგადოების ყურადღება ამას აქაც ვნახავთ. ჟორდანიამ სტალინი დამოძღვრა, სტალინმა ორჯონიკიძე, ჟორდანია **„მარქსისტული ცოდნის გაღრმავებისათვის“** ჟენევაში გამგზავრებულა და აღმოჩენილა ყველაზე დიდი მარქსისტი ჟენევა- შივე.“ **...ხმა გავარდა (ჟენევაში), ერთი მარქსისტი ჩამოსულაო...“ „...გამიკვირდა, გავოცდი ჩამოვედი მათთან მარქსიზმის შესასწავ- ლათ, ახლა გამოდიოდა რომ მე უნდა მესწავლებინა მათთვის ეს მე- ცნიერება““** ეტყობა, ეს საქმე (მარქსიზმის შესწავლა) ჟენევაში, კერძოდ ევროპაშიც კარგად იყო დაყენებული იმ დროს.

III დასი.

ბირთვი: ნოე ჟორდანია, სილვა (სილიბისტრო) ჯიბლაძე, ეგნა- ტე ნინოშვილი, ისიდორე რამიშვილი, დ. კალანდარიშვილი, ვი- ღაც კარლო და არ. წითლიძე.

გაზეთი „კვალი“ ხდება ქართველი სოციალ-დემოკრატების ორ- განო და იგი ამ საუკუნის ბოლოს მთლიანად გადმოდის მათ გამ- გებლობაში. „კვალის“ გარშემო იკრიბებიან „მოწინავე მუშები“,

რომლებიც ერთნაირად აზროვნებდნენ, დაახლოებით ერთნაირად ჭრიდნენ და კერავდნენ. ვერ ვთანხმდებოდით მხოლოდ ნაციონალურ საკითხშიო შენიშნავს ნოე. გაიმართა პირველი კონფერენცია (ამიერკავკასიის მაშტაბის პრეტენზიით), „ტილიპუჭურას“ რესტორნის ერთ-ერთ კუთხეში. „ტილიპუჭურას“ რესტორანში მოიხაზა III დასის სამოქმედო გეგმა, პროგრამა და ჩამოყალიბდა ნაციონალური პრობლემის ერთ-ერთი პუნქტიც **„ამიერკავკასიის თვითმართველობა პარლამენტით თბილისში“**. სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, სტალინი განსაკუთრებით, ტილიპუჭურას დუქანში ჩამოყალიბებულ თბილისის დედაქალაქობის იდეას კარგა ხანი არ ეშვებოდნენ. ამათ, განსაკუთრებით ს. ჯუღაშვილს, თბილისი ამიერკავკასიის დედაქალაქად უნდოდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, წერენ, სოციალ-დემოკრატები—გაიყვნენ ორად ბოლშევიკებად, მენშევიკებად, ან ჟორდანიას შესაშური ქართულით—მეუმრავლეებად და მეუმცირესეებად. საქართველოს პროლეტარიატი (იყო თუ არა იგი მაშინ საქართველოში, გასარკვევია) დარჩათ მენშევიკებს ანუ „მეუმცირესეებს“. საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მეუმცირესეებში მეუმრავლესებად გურულები აღმოჩნდნენ, რადგანაც **„მათი პოლიტიკური** შეგნება“ სხვაზე მაღალი იყო და ასე შემდეგ. ამ საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ციხეში, წერს ჟორდანია, პოლიტიკურზე დაჭერილი 200 გურული გლეხი დამიხვდაო. 1924 წლის ოქტომბერში ს. ორჯონიკიძე ამნაირ იმფორმაციას აძლევს პლენუმს:

„...ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) მენშევიკებს 8600 წევრი ჰყავდათ, ჩვენ კი 1921 წ. 600—700-ზე მეტი არ გვყავდა...“ „...გურიაში გლეხობა უაღრესად შეგნებულია და ყოველი ცოტად თუ ბევრად გავლენიანი და შეგნებული გლეხი რომელიმე პარტიის წევრია — ან მენშევიკია, ან ბოლშევიკია, ანდა კიდევ ესერი. უპარტიო გავლენიან გლეხს გურიაში ძნელად თუ იპოვი.“

„...ჟორდანიას შეცდომა — მისი მთავრობა შედგენილი იყო თითქმის მთლიანად გურულებისაგან, რის გამოც იგი არ სარგებლობს აღმოსავლეთ საქართველოს თანაგრძნობით... „წერდა სტალინი სერგო ორჯონიკიძეს 1921 წელს და იწონებდა ახლად არჩეულ რევკომს, რომელიც ფაქტიურად არჩევნებამდე და გასაბჭოებამ-

K 216365

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე შეიქმნა. **„...რევკომის შემადგენლობა არ არის კარგი, წინადადებას გაძლევ მიუმატე სიას არაქელა, ცხაკაია, ელისაბედაშვილი, ვინმე თათართაგან და აგრეთვე ფედერალისტთაგან...**

აირჩიეს თუ არა, ამ ინსტრუქციის მიხედვით, რევკომში არაქელა და ვინმე თათართაგანი არ ვიცით, მაგრამ რაოდენობა (გურულებისა) თვისებაში, შედეგშიც გადაზრდილა და იგი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ერთი კუთხის გლეხობის ნაადრევ პოლიტიზაციას კარგი არაფერი მოუტანია, არაქელას გარევკომებასაც სასიკეთო არა დაუტოვებია რა. ამაზე აღარ შევჩერდებით, ისედაც გავუსწარით მოვლენებს.

ისევ III დასი.

„...1902 წელს სოციალისტთა ერთი ჯგუფი III დასელების სახელით შეგროვდნენ „კვალის" ირგვლივ და დაიწყო ლიტერატურული ბრძოლა მჩაგვრელი ხაზეინების წინააღმდეგ და დაჩაგრულთა გასათვითცნობიერებლად... „—ასე გასაგებად დაწერა და ახსნა მიზან-დანიშნულება III დასისა მიხა ჩოდრიშვილმა. ე. ი. ლიტერატურული ბრძოლა დაიწყო, გათვითცნობიერება შევიდა ძალაში:

„...განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მუშებზე მარქსის მოძღვრება ზედმეტ ღირებულებაზე. ერთი გურული მუშა გაკვირვებით მეუბნებოდა — ისე დავბერდი, რომ სულ მეგონა ხაზაინი მე მარჩენდა, ახლა მხოლოდ გავიგე, რომ ხაზაინს თურმე მე ვარჩენ! ეს იყო მართლაც ქვეყნის გადაბრუნება და რასაკვირველია მუშათა მასა მას დაეწაფა."

ნ. ჟორდანია.

„ლიტერატურულ ბრძოლას", „მუშათა გათვითცნობიერებას", „ზედმეტი ღირებულების" აღმოჩენას, ქვეყნის გადაბრუნების ტოლფარდი რომ იყო, შედეგი მოჰყოლოდა; გაჩაღებული იყო გრანდიოზული, კლასობრივი ბრძოლა, რომლის შეჩერება აღარაფერს შეეძლო. ბრძოლა მალე გადაიზრდებოდა პროლეტარიატის დიქტატურაში, ერთი პარტიის მიერ დანარჩენი კლასების ჩაგვრაში, გაუთვითცნობიერებელ შურისძიებაში. პროლეტარიატის **„დიქტატურა არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც უშუალოდ ძალდატანებას ეყრდნობა და არავითარი კანონით არ არის შეზღუდული."**

ლენინი

სამარცხვინოდ დამარცხდა რუსეთი იაპონიასთან; დაეცა პორტ-არტური, აუღებელი ბასტიონი, იმპერიის ერთი ბურჯთაგანი, რომ ეგონათ. 1905 წლის რევოლუციამ შეაყანყალა რუსეთი. [illegible] 17 ოქტომბრის მანიფესტი, გამოჩნდნენ „ოქტიაბრისტები" [illegible] ტები. სახელმწიფოს გადარჩენისათვის ამოძრავდნენ რუსეთის საამაყო შვილები: გუჩკოვი, როძიანკო, მილიუკოვი, შულგინი, ლურჯი ვირის ნახვა უფრო იოლია ვიდრე ჭკვიანი ქართველისაო, რომ განაცხადა, სტოლიპინი, ვიტტე, ლენინი და სხვები.

„...გუჩკოვი და იმდროინდელი რუსეთის პოლიტიკური აზროვნების გამოჩენილი მოაზროვნეები: სტოლიპინი, ვიტტე, მილიუკოვი, იზვოლსკი შესანიშნავად ხედავდნენ და გრძნობდნენ იმ ტრაგიკულ სიტუაციას, რომელშიც რუსეთი იმ საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა."

კერენსკი.

სახელმწიფო სათათბირო.

ი. ჭავჭავაძე, ნ. ჟორდანია. ვ. გელოვანი. სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატები. აი, რა დაუწერია იმავე სათათბიროს წევრს თავად ვ. ობოლენსკის:

„...სოციალ-დემოკრატების ფრაქციას, რომელიც სანახევროდ ქართველებისაგან, სანახევროდ შემთხვევით სათათბიროში მოხვედრილი მუშებისაგან შედგებოდა, ბელადობდა ცნობილი ქართველი სეპარატისტი ჟორდანია. დაბადებით ძლიერ ენაბლუ სათათბიროს ტრიბუნას სათოფედ არ ეკარებოდა. საპასუხისმგებლო სიტყვებს მეორე ქართველი რამიშვილი წარმოსთქვამდა", რომელიც თურმე ნამეტანი ქართული აქცენტით, ნამეტანი სასაცილოდ ლაპარაკობდა.

შ ე მ დ ე გ:

„...სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერს ნოე ჟორდანიას, რასაკვირველია, აზრად არ მოუვიდოდა, რომ რაღაც 12 წლის შემდეგ გახდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე!"

სტალინის ბავშვობისა და სასწავლებელის მეგობარმა ი. ირემაშვილმა სოსო ჯუღაშვილი 1905 წელს ფარნის ბოძზე გასული დაინახა და იმ დღის შემდეგ იგი აღარსად შემხვედრიაო, განაცხადა. თავად ობოლინსკის სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული

ფრაქციის ლიდერის ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარეობა გა-
უკვირდა და ბოძზე გასული სტალინი რომ დაენახა, საინტერესოდ
რას იტყოდა თუნდაც 12 წლის შემდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სათათბიროზე აგრარული საკითხი ირჩეოდა ძირი-
თადად, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფო წყობის არასტა-
ბილურობა (რასაც მიაღწიეს კიდეც) აინტერესებდათ, თავადაზნაუ-
რობას პოზიციების დათმობა არ სურდა, გლეხებს სათათბიროს სი-
კეთისა არ ჯეროდათ და იგი დაიშალა.

გულდამძიმებული დაბრუნდა სათათბიროდან ილია ჭავჭავაძე
სამშობლოში. მოსინჯეს თუ არა ერთმანეთის პოზიციები, შეხვდა
თუ არა მის დაუძინებელ პოტენციურ მტრებს, თუ გნებავთ, პოტენ-
ციური მტრების წარმომადგენლებს: ჟორდანიას, რამიშვილს, თა-
ვად ობოლინსკის გულუბრყვილო რომ ეგონა და სხვებს არ ვიცით,
მაგრამ მათ შორის რომ ხიდი ჩატეხილი იყო, ერთმანეთის რომ აღა-
რაფერი გაეგებოდათ, ეს ცნობილია. ილია მოახლოებულ კატას-
ტროფას გრძნობდა, გრძნობდა და ხედავდა კიდეც:

სოფლებში დათარეშობდნენ წითელი და ათასი ჯურისა და ფე-
რის რაზმები. ისინი ხალხის, პროლეტარიატის სახელით, სოციალ-
დემოკრატიის სანქციით, წაქეზებით, დავალებით იბრძოდნენ ხალხი-
სათვის. „ლიტერატურული ბრძოლის“, ჩაგრულთა გათვითცნობი-
ერების შედეგი თვალნათლივ ჩანდა.

ჟურნალი „ნიშადური“. 1907 წელი. ნაწყვეტები:

„...როდესაც რეაქციის პირველმა ქარიშხალმა ქართლსა და იმე-
რეთს საზარლად დაუქროლა, გადაქელა და გაანადგურა იქაურობა,
ერთ-ერთი გაზეთის რედაქციის დავალებით გავემგზავრე განადგუ-
რებულ დაბებსა და სოფლების დასათვალიერებლად და იქ მომხდა-
რი სისასტიკობის მოსაკრებად...“

ცნობისმოყვარე კორესპოდენტს დამსჯელი რაზმებისაგან აწი-
ოკებული ხალხი კმაყოფილი დახვედრია, თითქოსო „...გადაურჩა
ულმობელ სტიქიონს, სდგას და უხარია, რომ სტიქიონმა გადაიარა,
წავიდა და აღარ დაბრუნდება.“

გაოცებულ კორესპოდენტს მარტო ამ ფაქტით „წავიდა და აღარ
დაბრუნდება“ ვერ აუხსნია ეს მოვლენა:

„...როგორ? ხალხს მოძრაობა ჩაუქრეს, მისი წმინდა იდეალები,

მისი მისწრაფებანი, იმედები გადალახეს, გადასთელეს, შემუსრეს; ესეც არ აკმარეს, სარჩო-საბადებელი გადაუწვეს და ხელიც ბევრ წუხს, არ გოდებს?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაშია საქმე?!

პასუხი არ ჩანდა. შეკითხვას არიდებდნენ თავს და ბოლო-ბოლო ერთმა გლეხმა თქვა სიმართლე: ახლა თავისუფლად მაინც ვსუნთქავთო, განაცხადა.

„...ორი წელიწადი ყელში თოკი გვქონდა წაჭერილი და ვირჩობოდით! არ გჯერათ განა? ამ ხნის განმავლობაში ჩვენში ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთი იყო. ათჯერ გაგვძვრა ტყავი, გავლატაკდით... აღარ შეგვრჩა აღარც ქონება და აღარც სული!

— ვინ, ვინ არ შეგარჩინათ ქონება და სული, ვინ გაგიმწარათ ასგრე ისედაც დატანჯული სიცოცხლე?

— ვინ? თქვენმა მქადაგებლებმა და რაზმელებმა! ცოტა დიდხანს რომ გაგრძელებულიყო ეგ საქმე, ჩვენ მეტი აღარ დაგვრჩენოდა რა, ცოლშვილისათვის ყელები უნდა დაგვეჭრა და სადმე უნდა გადავცვენილი ვიყავით... ადრე ერთი ბატონი მყავდა ოთხი ხუთი მძარცველი, დღეს ასი ბატონი გამიჩნდა და ხუთასი მძარცველი“.

ვინ იყვნენ ისენი ახალი ბატონები და მძარცველები? „წითელი რაზმელები“, „პროპაგანდისტები“ „ხალხთა მეგობრები“ და „ჩაგრულთა მფარველები“, რომლებიც ორი წლით ადრე ე. ი. 1906-ში, „რეაქციის წლების“ დაწყებამდე გამოვიდნენ სათარეშოდ დაბა-სოფლებში.

„...დავიწყოთ იმ საზიზღარსა და უსინდისო საქციელიდან, რომელიც ნათლად ახასიათებს რაზმელებსა და პროპაგანდისტების ავაზაკობას, სახელდობრ ქალების გაუპატიურებიდან.“

„სოფელ ბაში ერთმა თავადმა ა-შვილმა პოლიციის საშუალებით თავის მოღალე გლეხებს ღალა გადაახდევინა. ერთ ღამეს იმ თავადიშვილს მიეჭრნენ სახლში რაზმელები, რიცხვით თერთმეტი კაცი, რომელთა შორის სამი თუ ოთხი ადგილობრივი მცხოვრები გლეხიც ერია. თავადი იმ ღამეს სხვაგან იყო. სახლში იყვნენ ცოლი, რამდენიმე ქორფა შვილით და მოსამსახურე გოგო. თავზარდაცემული ცოლი სახლის სახურავში აიჭრა და გოგოსა და შვილებს შეეხვეწა, არ გაემხილათ იგი. რაზმელებმა შეანგრიეს კარები, შეცვივდნენ სახლ-

ში და დაუწყეს ცემა ბავშვებს: სთქვით, სად არიან თქვენი დედ-
მამა. ბავშვებმა ცემას ვერ გაუძლეს და ასწავლეს სად იმალებოდა
მათი დედა. რამდენიმე კაცი აიჭრა სახლის სახურავში და ჩამოთა-
რივეს ძირს საბრალო ქალი. შემდეგ რაც მოხდა, ქვეყნიერების გა-
ჩენის პირველ დღიდან ადამიანის მიერ ჩანადენ ყოველ ბოროტ მო-
ქმედებას აღემატება. ბავშვების თვალწინ თერთმეტმა კაცმა უსირ-
ცხვოდ გააუპატიურა დედა და შემდეგ გულშეწუხებულს, ღონე
მიხდილ ქალს საშო მიწით გამოუტენა. აყრიდნენ მიწას და თო-
ფის ლულებით სტენიდნენ...“

„...ქურდობდნენ მოტყუებით, ქურდობდნენ შკარად. ძარცვავ-
დნენ ღამე, დღე, სახლში, გზაზე, ტყეში და ყველა ამას სჩადიოდნენ
პარტიის სახელით...“

„...დაეცემოდა სოფელს ღამე რამდენიმე შეიარაღებული კაცი
და დაიწყებოდა სახლების ჩხრეკა. რა ამბავია, იკითხავდა თავზარ
დაცემული გლეხი. — პარტიას იარაღი უნდა, შენ იარაღი გაქვს! —
ვინ მომცა, ბატონო, იარაღი! ერთხელ აკი წაიღეთ! — აი, ვნახავთ,
თუ არა გაქვს! — უპასუხებდა ახალი ჯურის პოლიცია და შეუდგე-
ბოდა ჩხრეკას. გადმოაქოთებდა ლოგინს, ყუთებს, სკივრებს, განჯი-
ნებს, ყოველ კუთხეს და წავიდოდნენ. შეშინებული პატრონი სახ-
ლისა გონს დიდ ხანს ვერ მოდიოდა. საათის, ორი საათის შემდეგ
მიალაგებდა იქაურობას და ნახავდა, რომ ჩვრებში გამოკრული ფუ-
ლი სკივრში აღარა ძევს, რომ სხვა და სხვა ნივთები აკლია, რომ ჩო-
ხა წაუღიათ და სხვა...„როგორ გაამხელდა ვისთანმე რასმეს! სიკვ-
დილი არ ასცდებოდა საცოდავს!“

„...ძარცვა-გლეჯა პარტიის სახელით ხდებოდა. სოფ. მუღ-ში
ერთ დღეს გლეხს ალაშვილს საბძელი და უღელი კამბეჩი გაეყიდნა
და 300 მან. აეღო. ეს გაიგეს წითელმა რაზმელებმა, იმათ ღამესვე
დაეცნენ თავზე და გაძარცვეს. მოკვლა საჭირო იყო, რადგან გლეხი
იცნობდა თითო-ოროლას და დაბეზღებისა ეშინოდათ. თოფი ვერ
ესროლეს, სოფელი გაიგებსო. გამოიყვანეს გლეხი კარში, ერთ ხევ-
ში გადაიყვანეს და ჯიბის პატარა დანით დაჭკლეს.“

„...ცხინვალის ახლოს, ერთ-ერთ სოფლის ბოლოს გაიმართა მრა-
ვალრიცხოვანი მიტინგი, დაესწრო რამდენიმე ათასი სოფლელი.
პროპაგანდისტმა ჯერ უქადაგა, რომ ღმერთი არ არის, რომ ხატებს
არავითარი ძალა არა აქვს და ყველა ამის დასამტკიცებლად იქვე

ხალხის წინ გააჩაღა ცეცხლი, შემოდგა საარყე ქვაბი, ...
ბინა ახლო-მახლო სოფლებში ხატები, ჩაყარა ქვაბში და ...
მერე მიუბრუნდა ხალხს: „აბა თუ ძალა აქვთ თქვენ ხატებს, ამოხ-
ტნენ ქვაბიდან თუ შეუძლიანთო.“

„...სოფელ მ-კში იქაურ პროპაგანდისტს ერთ დღეს მოუტანეს
ამბავი: ესა და ეს გლეხი ჯაშუშია და თუ მაგას რამე არ უყავით,
ყველას გაგვცემსო. პროპაგანდისტმა მაშინვე გაგზავნა რაზმელები
იმ გლეხის დასაჭერად და ჩამოსაყვანად, თვითონ კი მოუყარა თავი
სოფლის ხალხს და გამოაცხადა: ჯაშუში დავიჭირე და უნდა გავასა-
მართლოთო. პატარა ხანს უკან მოიყვანეს „ჯაშუშიც“. დაიწყო გა-
სამართლება. პროპაგანდისტმა ნახევარ საათში გამოიძია, გაარჩია
საქმე, დამნაშავედ იცნო ბრალდებული, სიკვდილი მიუსაჯა და გა-
ნაჩენიც სისრულეში მოიყვანა. გაათხრევინა იქვე ორმო, დამნაშა-
ვე ორმოს წინ დააყენა და რამდენიმე რაზმელს უბრძანა. გადექით
განზე და თოფი ესროლეთო. თოფები ესროლეს, გლეხი ორმოში
გადავარდა.

— მიაყარეთ მიწა! — დაიძახა ახალი ჯურის „მოსამართლემ“.
შეუდგნენ მიწის მიყრას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გლეხი ჯერ კიდევ
ცოცხალი იყო. მძიმედ დაჭრილიყო, ზეზე წამოდგომა ველარ შეძ-
ლო, მაგრამ საცოდავი ხმით გაიძახოდა: მომკალით ბარემ! ერთი
ტყვია კიდევ მესროლეთ, ტანჯვა ამაცდინეთო!

— მიაყარეთ მიწა! — ყვიროდა პროპაგანდისტი. მიწა მიაყარეს.
ეს მკვდარი რეაქციის დროს პოლიციამ ამოათხრევინა და ხელმ...
ორედ დასამარხავად ნათესავებს გადასცა.“

ეს აღვირახსნილი, განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული
თარეში წინ უძღოდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას. ტეროროზირე-
ბული იყო არა მარტო სოფელი, არამედ ქალაქი, მოქალაქენი, ინტე-
ლიგენცია, სამართალდამცავი დაწესებულებების მოხელენი, თვით
პოლიცია. „ლიტერატურული ბრძოლა“ მჩაგვრელების წინააღმდეგ
გრძელდებოდა.

ფილიპე გოგიჩაიშვილი:

„1905—1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი
კამპანია. „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილიას საწინააღმდეგო წერილი.
ილიამ დასწერა საპასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში“ დასა-
ბეჭდათ. „ივერიის“ თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას პასუხი, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაიბეჭდებოდა, მოგახსენოთ, რომ რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინათვე გაფიცვას მოვაწყობთო. ერთად-ერთი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ არ დამებეჭდა ილიას პასუხი. თუ მისი სურვილის წინააღმდეგ წერილი დაიბეჭდებოდა, მაშინ მე შემუქრებოდა ყველა მუშების საერთო გაფიცვით.

ვერ მოვახერხე ილიას პასუხის დაბეჭდვა „ივერიაში“. ვფიქრობდი, თავი დამენებებინა რედაქტორობისათვის, რადგან ვამბობდი: არ ღირს იმ რედაქციაში მუშაობა, სადაც არ დაიბეჭდება ილიას პასუხი მეთქი. მივმართე სხვა საშუალებას, რათა დამებეჭდა ილიას პასუხი. წერილი ავაწყვე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდევი „ივერიაში“ და თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს“.

ასე სამადლოდ გამოუქვეყნეს ილიას მისსავე დაარსებულ გაზეთში პასუხი საშინელ ცილისწამებაზე და ბინძური ლიტერატურული ომი ამით არ დამცხრალა. 1907 წლის 7 ივნისს ილიას მკვლელობამდე თითქმის სამი თვით ადრე საგურამოში ილიას სახლშივე, კი არ მოკლეს, დაკლეს (მუცელი ხანჯლით ჰქონდა გამოშიგნული) ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი ცოლი. ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება. განაჩენი გამოტანილი იყო. ამ საუკუნის დიდი და სამარცხვინო მკვლელობაც ჩვეულებრივი სცენარით ჩატარდა. განაჩენი გამოიტანა კომიტეტმა და „...წიწამურში მოვიდნენ: პ. ფშავლიშვილი, ვ. ინაშვილი, გ. ბერბიჭაშვილი და ვიღაც იმერელი. მათ დაუძახეს სოფლელებს და გამოუცხადეს, რომ კომიტეტმა დაადგინა მოკლულ იქნეს თავადი ჭავჭავაძე და რომ ეს საქმე მათ სისრულეში უნდა მოიყვანონ.“ (დაკითხვის ოქმიდან).

ვიღაც იმერელი.

უზარმაზარი ცაცხვის დაკუნწულ ტოტებს ეზო და მიწიდან ამოჩრილი საკუთარი, დაღვლარჭნილი ფესვები დაუჩრდილავს, საღამოა. გორების ჩრდილები ჩამოდიან შრიალით სოფელში.

— ეტყობა, რომ აზნაურიშვილის ოჯახია, გლეხი ამოდენა ცაცხვს არ გააჩერებდა ეზოში!

— მართალი ბრძანდებით, აზნაურიშვილები ვყოფილვართ ორ-ჯონიკიძეები. მამაჩემი და სერგო მკვიდრი ბიძაშვილები ვიყავით. ერთი ბუდიდან ვართ ყველანი აქაურები... — ცაცხვს უყურებს მასპინძელი, ეუხერხულება და არც ჯერა აზნაურიშვილობა თავისი, ცაცხვი კი აქამდე მოწმედ არ გამოდგომია.

„...ავტონომიზაციის სურვილისათვის ჯვარზე ვაცვით ფედერალისტები. აზნაურიშვილების პარტიას ვეძახოდით მათ. „იხსენებდა სერგო იმ დროს, როცა აზნაურიშვილობა ვირიშვილობასავით ყლერდა მათი პირიდან.

—...მე აქაური არა ვარ, ბატონო, ცხრა მუხიდან ვარ გამოთხოვილი, — შვილიშვილი უზის კალთაში. — ზინაიდა კარგად მახსოვს, სერგოს არ მოვსწრებივარ, ცხადია. კარგა ხანია მუზეუმის თანამშრომელი ვარ... ჩვენთან აღარავინ დადის და როგორ წავა ლორეშას სახლ-მუზეუმის საქმე არავინ იცის. ადრე ექსკურსიები მოყავდათ, ტურისტები მოდიოდნენ, გამვლელ-გამომვლელი გადმოუხვევდა მთავარშარიდან... ახლა აღარ... რატომ ბატონო და (შვილიშვილს უჯავრდება) ილია ჭავჭავაძის გამო... რაც ის ხმა გავრცელდა გაგვიჭირდა. სხვა რამეს აპატიებდნენ კიდევ და ამას ვერა, როგორც ვატყობ. გვირეკავენ ტელეფონით, თბილისიდანაც კი და გვემუქრებიან, ჩვენ რა შუაში ვართ... ახლა არ მშორდება ეს ბაღანა მაინცდამაინც, ხანდახან საწკეპლედ ვერ მოიკარებ... თქვენ სერგო ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გაინტერესებთ?

— არა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს იკვლევს კომისია, ჯერჯერობით არაფერი გამოუკვლევია, მაგრამ იკვლევს.

1907 წლის ზაფხულში, ილიას მკვლელობის დროს, სერგო იყო ბაქოში. იგი იქაურ რევოლუციურ გამოსვლებში და როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, ფრაქციულ დავებში იყო ჩაბმული. ილიას მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო (მკვლელები ცნობილია) რამდენიმე კაცმა, მათ შორის (არა ყველას ხელდადებით) ვიღაც „იმერელმა", დასავლეთ საქართველოს მკვიდრმა. „იმერელის" ვინაობა ვერც მაშინ დაადგინეს, ახლაც დაუდგენელია. ძიების დროს, გარდა მკვლელებისა, დაკითხული იყო თითქმის ყველა ეჭვმიტანილი პირი. ჟანდარმერიამ, შეიძლება ნაჩქარევად, მაგრამ ძირითადში ობიექტურად გამოიძია სახელმწიფო სათათბიროს წევრის თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე და არც მკვლელობის გამომწვევი

მიზეზები დარჩენია ყურადღების გარეშე. დაკითხულთაგან (მკვლელები ბოლოს ერთმანეთს ადებდნენ ხელს და აღარაფერს [illegible] დნენ) 21 წლის პირტიტველა, თმაგაჩეჩილი ყმაწვილის [illegible] ბაზე არავის გაუმახვილებია ყურადღება. ქუთაისის ციხეშიც, სადაც ძიების დროს სერგო სასჯელს იხდიდა, ამ საკითხების გასარკვევად არავინ მისულა. მფარველი არ ყოლია, პარტიასაც (არსად ჩანს) არ გამოუდვია თავი მის გადასარჩენად. იარაღს, როგორც სხვები, ატარებდა, ისროდა კიდეც ალბათ თუ ამის საჭიროებას დაინახავდა, მაგრამ ამ ხელობით არ იყო ცნობილი. ეგეთია ვითარება, დღესდღეობით, ქალბატონო... გაუგებარი არაფერი დარჩება, დარწმუნებული იყავით!..

— დარწმუნებულიც ვარ და თუ სერგო ილიას მკვლელობაში გარეულია (ტირის. შვილიშვილს ეფერება) მთელმა გვარმა უნდა აგოს პასუხი!..

უხერხული სიჩუმეა. ჩრდილების შრიალიც აღარ ისმის. ჩამოღამებულა ღორეშაში.

— მამაჩემი ბატონო, მასწავლებელი იყო, მათემატიკას ასწავლიდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში. პაპულია, სერგოს ძმა, რომ დაიჭირეს, მოვიდა ნინა, მეუღლე პაპულიასი და უთხრა, უნდა წამყვე მოსკოვში სერგოსთანო... როგორ უნდა ეთქვა უარი, წაყვა. მატარებლით იმგზავრეს. გამოაღებს კუპის კარს უკითხავად თურმე ვიღაც, დახედავს მგზავრებს, გაიხურავს და შემოაღებს კვლავ. ასე ყოველ საათში. მიაცილეს მოსკოვამდე და მერეც უთვალთვალეს ალბათ. მისულან სერგოსთან კრემლში, ასე და ასეა ჩვენი ამბავიო. მერე რა გინდათო. იცოდა თურმე ყველაფერი. ჩვენ ამ საქმეს ვიძიებთ და მალე გაირკვევა სიმართლეო, დამნაშავე დაისჯება, უდანაშაულოს არავინ ერჩისო, რა საჭირო იყო თქვენი ჩამოსვლაო... შენო, მამაჩემისათვის ეთქვა, არაფერში იყო გარეული, იცოდე, თვარა მიგახვრიტავო, რას შვრები ახლა!

— აღარ იყო ალბათ ჭკუაზე, კი ვერ გაამტყუნებ... — კრემლს იმშრალებს დიასახლისი. შვილიშვილი ვერ ხვდება, რატომ წაიტირა ბებიამ.

— ისე აუხდა ჩვენს მტერს და ავად დამაწყევარს, საწყალ მამაჩემს რომ აუხდა. ჩამოვიდა. დაიჭირეს, დახვრიტეს. შემდეგ ნინაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიჭირეს და ისეც დახვრიტეს, ოთხი შვილის დედა, 40 წლის ქალი გამოსალმეს წუთისოფელს.

იყო აზნაური გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე წითელი რაზმელი? იყო და არც იყო. ამაზე ახლა მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება და ჩავთვალოთ რომ ან იყო, ან არ იყო. „წითელი რაზმი" ნიშნავდა ტერორს, რომელზედაც არც ბოლშევიკები ამბობდნენ უარს არც მენშევიკები. აი, რას გვიყვება ნოე ჟორდანია:

„...უარს არ ვყოფდით მას ტერორს), როგორც იარაღს თავის დაცვის და პოლიციურ ძალთა შორის პანიკის დათესვის თანახმად ასეთი შეხედულებისა, თბილისს კომიტეტი ახდენდა ტერორისტულ თავდასხმებს ჟანდარმებზე, მეტად ერთგულ პოლიციელებზე და „ოხრანკის" აგენტებზე. ისე ვარდებოდა ბომბები თბილისის სხვადასხვა კუთხეში, რომ გეგონებოდათ მტრის შულულია. ამან გამოიღო მოსალოდნელი ნაყოფი. მთელი აპარატი მოიშალა მთავრობის. შიში და ძრწოლა გამეფდა „ოხრანკაში", ყველა მათგანი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა".

„შულული" თუ შედლუხი ჰქონდათ გამართული არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში და ჟორდანიას ამ აღიარებას რატომღაც არ ექცევა სათანადო ყურადღება. ტერორისტულ აქტებში მონაწილეობდნენ მუშებიც და სავსებით ამართლებდნენ ლოზუნგს **„მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა".**

...„ევროპაში და რუსეთში მუშათა მასათ გულისხმობდნენ მხოლოდ ქარხნის მუშებს, სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც შეიყვანს აღთქმულ ქვეყანაში დანარჩენ მშრომელთა მასას. ჩვენ კი გადავაბით მუშას გლეხი და მათგან შევქმენით ერთი რაზმი, ერთი ჯარი, რასაც უნდა განეახლებია ერთი მობერებული, დრომოჭმული სოციალ-პოლიციკური შენობა".

მუშათა-გლეხთა გადაბმულმა ჯგუფმა, აზნაურიშვილები და ინტელიგენციის წარმომადგენლებიც რომ უწევდნენ ხელმძღვანელობას, უამრავი, დამნაშავე და უდანაშაულო იმსხვერპლა. ძველი ბოლშევიკის, ტერორისტის, მკვლელის აპალონ ჯაფარიძის ცნობით, მუშა ჯორჯიაშვილი, მეფისნაცვლის სამხედრო თანაშემწე გრიაზნოვი რომ მოკლა, ბომბებითა და ტყვია—წამლით გაძეძგილი ალექსანდრეს ბაღის ფეხსადგილში დაიჭირეს. თავი ვერ გაწირა, მაგრამ ამხანაგები და ხელმძღვანელები არ გასცა. მუშათა განთავისუფლე-

ზის იდეას, ტილიპუჭურას დუქანში რომ ჩამოფორმულდა, ...
რჩობით შეეწია. აპალონ ჯაფარიძე ირონიული ღიმილით ...
ნებდა ჯორჯიაშვილს, სხვა მისნაირს, ტეროროისტები ჩვენ ვიყავი-
თო და ასახელებდა რამდენიმე კაცს 1905 — 1907 წლის ჩათვლით.
რომ მოღვაწეობდნენ თბილისში.

ბოლშევიკები უარყოფდნენ (მენშევიკები, როგორც ვნახეთ, ამას არ აკეთებდნენ) ტეროროს, „როგორც ასეთს". უარყოფდნენ და პრაქტიკულად იყენებდნენ. ჟორდანიას მტკიცებით, სტალინი „ექსებში" მონაწილეობდა მხოლოდ: პარტიის სახელით მოტაცებულ ფულს პარტიას, უფრო სწორად ლენინს უგზავნიდა საზღვარგარეთ. „მან თავის გარშემო შემოიკრიბა „მაუზერისტები", ხაზინის მძარცველები და ყარაჩოღელები". ყარაჩოღელებს რამდენჯერმე ახსენებს და ამ სიტყვას დღევანდელი მნიშვნელობით არ ხმარობს, რაღაც ქურდულ-ყაჩაღურ ტერმინს უფარდებს, როგორც ვხედებით. სტალინის ექსობა და ყაჩაღობაში მონაწილეობა კი მარტო ჟორდანიასათვის არ იყო ცნობილი. ერევნის მოედნიდან ფულის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით დროდადრო ახმაურდებოდა ხოლმე პრესა და ბოლშევიკები, მათი აზრით, უსამართლოდ, ისვრებოდნენ ლაფში და ერთ მშვენიერ დღეს სტალინმა ოფიციალურა უჩივლა სოციალ-დემოკრატ იური მარტოვს. საქმე განიხილა სამხედრო სასამართლომ 1918 წლის აპრილში და რამდენადაც ცნობილია, სტალინმა ფაქტიურად ვერ მოიგო ეს სახელდახელო პროცესი; ყაჩაღობა არ დაუმტკიცდა, თუმც ფოსტის თავდასხმაში მისი არ მონაწილეობაც არ დაუსაბუთებია არავის. ლევ ტროცკის გასაოცებლად არასოდეს ამ საკითხზე ენა არ დაუსველებია ამის შემდეგ სტალინს, არც დაუდასტურებია, არც უარუყვია ეს ფაქტი.

ჩვენ ჯერ პროლეტარიატის, შემდეგ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს ვემსახურებოდითო, თქვა ორჯონიკიძემ. ემსახურებოდნენ ყოველნაირი გზებით. ყოველნაირი საშუალებებით, საშუალება ამართლებდა მიზანს, რომელიც უფრო და უფრო შორს მიდიოდა.

რას ემსახურებოდა, რა მისიით იყო მოვლენილი ქვეყანაზე ღორეშელი კაცი, საიდან სად წასული...

— დრო იყო, ბატონო, ამნაირი...

— თქვენ აქაური მკვიდრი ბრძანდებით?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ ბატონო, ნათესავი სერგოსი, ახლა ამგვარ... მოვაწყვე მეგობრობის ბალი...

— ბატონო მიხაკო, რომ ჩამოვიარე სტალინის ბიუსტი არ იდგა სკვერში, ცარიელი იყო ის პედესტალი...

— სწორად შეგინიშნავ, ბატონო, ამასწინეებზე ჩამოვიღე და ისთევლე შემოვდევი...

— ჩვენ ისევ შევხვდებით, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ბატონო მიხაკო...

— კი ბატონო...

„რეაქციის წლები“ გრიაზნოვის მკვლელობას და მრავალთაგან მრავალ მკვლელობას და თავაშვებულებას მოყვა. საქართველოს სოციალ-დემოკრატები ექსტრემალური სიტუაციიდან თავის დაღწევის, რეაქციასთან ბრძოლის ხერხებისა და თეორიების შემუშავების მიზნით შეიკრიბნენ ნაძალადევში. გამოცხადდნენ სტალინი და შაუმიანიცო. განაკიდდნენ და კარგახანი ხმა არ ამოიღესო. დიდი, შავი ქუდები ეხურათ. გამხდრები, შავები, პატარები იდგნენ. ოცობოცოდ ათვალიერებდნენ შეკრებილთ. მენშევიკებმა არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლა და ბრძოლის გაგრძელება დაადგინეს. სტალინმა და შაუმიანმა ორგანიზაციების დაშლა, მოთავეების გადამალვა მოითხოვეს. მუშები კი თავიანთ თავს თავად მიხედავენ და უპატრონებენო, ქუდი გაისწორა სტალინმა, შეკრიალდა, წავიდა, შაუმიანიც გაყვა. ისინი ბაქოში გაემგზავრნენ, დანარჩენებიც მიიფანტ-მოიფანტნენ, ლიდერებმა რუსეთს, ევროპას მიაშურეს, აპრილ-მაისში ლონდონში შეგროვდნენ ყრილობაზე. ჟორდანია ლონდონიდან პეტერბურგში ჩავიდა და საქართველოში 1907 წლის დეკემბერში დაბრუნდა. საუკუნის ყველაზე სამარცხვინო მკვლელობას იგი მოგონებებში არ გამოხმაურებია. კიდევ კარგი ჩამოუსწარი „წვეთდაცემულ მამას“, რომელიც ორი კვირის შემდეგ მაინც გარდაიცვალაო, აღნიშნა და ის წელი მის მახსოვრობაში ამით დაიფიქსირა.

დადასტურებულია, რომ სერგო ორჯონიკიძე რევოლუციონერად ჩამოყალიბდა მიხეილის საავადმყოფოს საფერშლო სკოლაში, სადაც, როგორც ირკვევა, სხვა სიკეთესაც ასწავლიდნენ ფერშლობასთან ერთად. მაშინ ეცნობა და უახლოვდება იგი ლენინის ამხანაგს, იაკუტიიდან ჩამოსულ ვიქტორ კურნატოვსკის, რომელიც მა-

ლე დაიჭირეს, სიკვდილი სამუდამო კატორღით შეუცვალეს. კურ-
ნატოვსკის შეგირდი მარქსისტულ ლიტერატურას და პროკლამა-
ციებს ავრცელებდა იმ ხანებში თბილისში და ახლო-მახლობლებ-
ონებში. წუღებით, წინდებში ჩაძღვანიებული შარვლის ტოტე-
ბით, ფაფანაკით, ჯიბეში ვითოჟირით, კალათით, ზევით ხილით, ქვე-
ვით პროკლამაციებით დაყვებოდა მატარებლებს. დაიჭირეს პროკ-
ლამაციებითა და ვითოჟირით, სხვა დროს აღარ ვიზამო და გამო-
უშვეს.

საფერშლო სასწავლებლის დამთავრების შემდგომ 1905 წლის
რევოლუციურ გამოსვლებში, „რევოლუციურ ბრძოლებში" იღებს
ეპიზოდურ მონაწილეობას და მალე გუდაუთაში მიემგზავრება სა-
მუშაოდ, სადაც ფელუკიდან იარაღის გადმოტვირთვისათვის აპატიმ-
რებენ.

ბევრი იძახა, კვაჭანტირაძის ძროხას ვეძებდიო, მაგრამ არ და-
უჯერეს, სოხუმის ციხისკენ წაიყვანეს, ჩასვეს საკანში ტეროორისტ
ქადეიშვილთან, რომელიც, მართალია, ღამით პლიაჟზე ძროხას არ
ეძებდა, მაგრამ თავს დამნაშავედ არც ის ცნობდა, თუმც რამდენიმე
მკვლელობის უარყოფასაც არ აპირებდა. მეჩექმე გორგოშიძე, მუ-
შა-რევოლუციონერი ლევან გოთოშია, ერთი დასახვრეტი აფხაზიც
შეამატეს მალე ვიწრო და ნესტიან საკანს. როგორ მოახერხეს და
რანაირად გადაიღეს მშვენიერი ფოტოსურათი ციხის ეზოში ფო-
ტო-საატელიოდ გამოწყობილმა ყმაწვილმა სერგომ და მოწიფულ-
მა ვაჟკაცმა ლევან გოთოშიამ გაუგებარია, თუმც დაუჯერებელი
არაა, რადგან ფოტომ დროს და სიყვითლეს გაუძლო და ჩვენამდე
მოაღწია. გოთოშიას პიჯაკიდან გახამებული პერანგის საყელო და
ზოლებიანი ყელსახვევი მოუჩანს, წვეტიანი, ოდნავ ძირს დაშვე-
ბული ულვაშები უმშვენებს მოგრძო, ლმობიერ სახეს. ტეროორისტი
ქადეიშვილი, დასახვრეტი აფხაზი, რომელთა სახეები ფოტოგრა-
ფიამ შეიძლება საერთოდ არ შემოინახა, ერთ მშვენიერ დილას ჩა-
მოახრჩვეს ციხის ეზოში და ყულფებიდან კარგა ხანი არ გამოხსნეს.
ქარი არხევდა მთვარიანში თოკზე ჩამომწყლეულ გვამებს და გოთო-
შია იცხცახებდა საკანში, თვალზე რული არ ედებოდა, ნაშუაღამევს
დგებოდა ძილგატეხილი, სარკმლიდან ჩამოპორწიალებულ გვამებს
უყურებდა. მკვდრები ხის ტოტების ჩრდილში ქანაობდნენ, შრია-
ლებდნენ მკვდრულად. გოთოშია კვნესოდა და სლუკუნებდა გუ-

ლისგამაწვრილებლად. რა ატირებს ამ შობელძაღლს, მკვდრები ... უნახავს?! უკვირდა ახალგაზრდა ფერშალს. ნერვებასაწყობ... გოთოშია სხვა საკანში გადაიყვანეს რამდენიმე დღის. ... ახალგაზაფხულზე მორიგი ეპილეფსიური შეტევის დროს მოკლეს ციხეშივე. საპატიმროს ეზოში გადაღებული სურათი სერგოს გაუვა, მრავალ წიგნში მოხვდა, ისტორიაში ჩაეკერა სერგოს წყალობით. სერგო სოხუმის ციხიდან ღორეშაში, ღორეშიდან ბაქოში ჩავიდა. ბაქოდან გერმანიაში გაემგზავრა და ბერლინში ამოჰყო თავი.

„...ბერლინი უზარმაზარი ქალაქი, ლამაზი ბაღებით, სადაც ყველა ჯურის ადგილობრივ ტირანთა ძეგლებია ჩადგმული. ეს აუშნოებს ამ ბაღების ბუნებრიობას“. გერმანელებს ეგონათ „ტირანები“ (თავიანთი მეფეები და მთავარსარდლები) ალამაზებენ ბაღებსო, ახლაც ეგრე ჰგონიათ. თუ არ ვცდები, სერგოს კი საკუთარი მოსაზრება გააჩნდა ამ საკითხზე მაშინაც კი.

ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში აპირებდა სწავლას, მაგრამ უსახსრობა უბორკავდა ხელფეხს. ელისავეტოპოლელი მეტელეგრაფის ტარასი ორჯონიკიძის გამოგზავნილი გროშები კი საუმელშიაც არ ყოფნიდა. ფული კამოს (ტერ-პეტროსიანს) ჰქონდა იარაღის შესაძენად წამოღებული. ორასიათასი მანეთი (მაშინდელი კურსით უზარმაზარი თანხა) გამოაყოლა ხელს საქართველოდან. სულზე ჩამოუსწრო ბერლინში სერგოს. მაგრამ ფული სწავლა-განათლებაზე დიდ და სასარგებლო საქმეს უნდა მოხმარებოდა, არა მარტო კამოს მიხვედრილობით. არადა ფული ნოე, სამუელ ბუაჩიძემ, სერგოს ბავშვობის ამხანაგმა, მეზობელი სოფლის მკვიდრმა გააექსპროპრიაცია იქვე ახლო შოროპნის, მაშინდელი ყვირილას ხაზინაში და რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის გაატანა სანდო კაცს, კამო-ტერ პეტროსიანს.

კამომ მ. ლიტვინოვის დახმარებით მართლა შეიძინა იარაღი. რა თანხა შემოეფშვნა მგზავრობაში, გაძრომ-გამოძრობაში (ხელცივობაში არავის შეუნიშნია) არ დაუანგარიშებიათ. დატვირთეს იახტა „ზორა“ და თერთმეტ დეკემბერს ბულგარეთის პორტიდან ღია ზღვაში გავიდნენ. კამომ სამანქანო განყოფილებაში „ეშმაკის მანქანა“ (ასაფეთქებელი მოწყობილობა) შეიტანა, ოპერაციის ჩავარიდნის სავარაუდო სიტუაცია გაითვალისწინა. წელიწადის იმ არასანაოსნო დროისათვის დივერსია სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. „ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა“ აუფეთქებლად დაიღუპა და საქართველოდან გატანილი ფულით შეძენილი იარაღი ზღვის ფსკერზე ჩაიშლამა გემის ნამსხვრევებთან ერთად. 1905 წლის რევოლუცია დამარცხებულია, „ეკონომიკურ „რეაქცია მძვინვარებს“, ნამდვილ რევოლუციამდე (დაანგარიშება იოლია) ათიოდე წელია დარჩენილი და კამოს იარაღი მიაქვს რევოლუციისათვის, რევოლუციონერები კი, ვისთვისაც იარაღი მიაქვს, „იატაკქვეშ“ თუ საზღვარგარეთის მშვენიერ ქალაქებში არიან მიმოფანტულნი და იარაღს, რომელიც რუსეთში კი არ უნდა შეიტანო, უნდა გამოიტანო, ცხადია აღარ ელოდებიან.

და მაინც... საჭირო იყო თუ არა იმ დროს, იმ მომენტში იარაღი? ან იყო, ან არა. ვარაუდი ვარაუდად დარჩება, კამოს აქცია კი საექსპერიმენტოდაც არ გამოგვადგება, რადგან იარაღმა დაყვინა. კამო კი რუმინელმა მეთევზეებმა გადაარჩინეს, კონსტანცაში გაიყვანეს, რამდენიმე მეზღვაურთან ერთად ბარკასზე გამობმული ნავით. მწარედ ატირდა სერგო ბერლინში ამ ამბის გაგებაზეო. რას მიატირა? იარაღს? იქნებ სწავლის ფულს? ბუაჩიძის სიმწრით ნაშოვნი სხვისგან ხელნაფათურები, თავმოფშვნილი თანხიდან სერგოს სწავლა-განათლებისათვისაც გადარჩებოდა ნაწილი. სულ რამდენიმე ფიორი. ისწავლიდა, განათლებულ ელექტროინჟინრად მოევლინებოდა სამშობლოს. საქართველოს ისტორიის მომავალ კატაკლიზმებში შეიცვლებოდა რაიმე? არა. მოსახდენი ცოტა უკეთესად, ცოტა უარესად, ცოტა ადრე, ცოტა გვიან მაინც მოხდებოდა; თუკი სერგო რევოლუციას ჩამოშორდებოდა (რამდენი ნასწავლი და უმაღლესგანათლებული შერჩა რევოლუციას), სხვას დაატრიალებდა ისტორიის ჩარხი თუ ღერძი ჯარაში.

...დაბრუნდა უსწავლელი (სწავლას შლისელბურგის ციხეში გასრულებს მოგვიანებით) ახალგაზრდა საქართველოში, ღორეშადან თბილისს, თბილისიდან ბაქოს გაემგზავრა. გული ბაქოსაკენ მიუწევდა ყოველთვის. იქ იყო ნამდვილი პროლეტარიატი ამ სიტყვის ბოლშევიკური გაგებით. ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოთა სიხშირე მუშათა ერთფეროვნებას და სიმრავლეს განაპირობებდა. სხვადასხვა ჯურის, რწმენისა და ეროვნების ადამიანებს საერთო ინტერესები ამოძრავებდათ, ასე თუ ისე. **„როგორც სტეფანეს, ალიოშას და სხვების ძმურმა საფლავმა არ იცის სომეხი, არც ქართველი, არც თათარი, არც ებრაელი, ისე ბაქოს პროლეტარიატმა არ**

იცის არავითარი ნაციონალური უთანხმოება. ბაქოს პროლეტარიატის ბელადები როგორც სიცოცხლეში არ ანსხვავებდნენ მშრომელებს ეროვნების მიხედვით, ისე სიკვდილის შემდეგაც ისინი, ბაქოსდა ერთა შორის მშვიდობისა და სოლიდარობის დიადი იდეის დემონსტრაციას ახდენენო... „დაწერა მოგვიანებით სერგომ. თანასოფლელობა, თანაქალაქელობა, თანამემამულეობა კი არა, თანამზრახველობა, იდეათა ერთობლიობა იყო რევოლუციონერთათვის მთავარი, წმინდა და ხელშეუხებელი. როგორც ქურდისათვის ქურდია ციხეში ძმა და პირისზიარება, ისევე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრისათვის მისივე პარტიის წევრობაა მთავარი. ამიტომაც შეკამათდა ბაქოს ბაილოვის ციხეში სერგო ორჯონიკიძე ესერ ქარცივაძესთან. ესერები მრავალნი, ბოლშევიკები ცოტანი აღმოჩნდნენ დიდ, პატიმარმრავალ საკანში და სერგო მაგრად მიბეგვეს, თუმცა ქარცივაძეს მან ცეცხლა პირველად. ესერებს ცემენო, იყვირა სხვა თესლის ესერმა და ამოიდეს ფეხქვეშ ესერებმა 21 წლის ღორეშელი გრიშკა, იგივე სერგო. ნაციონალური უთანხმოების მოსპობის, ეროვნებათა თანასწორობის და ერთგვაროვნობის იდეას ემსახურებოდა იგი ამის შემდეგაც მეტნაკლები წარმატებით, ეჭვით და თვითდაჯერებით.

1907 წლის გაზაფხულზე დაიჭირეს ბაქოში, გაათავისუფლეს გაზაფხულზევე და ხელახლა შეაბრუნეს ციხეში შემოდგომაზე. 26 მაისიდან ნოემბრამდე თავისუფალი იყო და ამ თავისუფლებას, მისი გამოცდილებისა და განათლების ფარგლებში, ანდომებდა ფრაქციულ დავას, ხელმძღვანელობდა სააგიტაციო წრეებს; შაუმიანთან, სპანდარიანთან, ჯაფარიძესთან, სტალინთან ერთად ებრძოდა მენშევიკებს, ესერებს, „ნაციონალისტებს“, სხვადასხვა ჯურის მერყევ ელემენტებს. 1907 წლის ზაფხულში, აგვისტოში თავისუფალია, გარეთაა ამას თავადვე აღნიშნავს, თავადვე წერს თავის ბიოგრაფიაში და კვლევა-ძიება ამ მომენტს არ ჭირდება, ამ ფაქტის, ციხეში რომ არ იჯდა, დასაბუთება არ არის საჭირო. იგი აგვისტოში ბაქოშია. როგორც ნებისმიერ ბაქოელ მოქალაქეს, ბაქოში მუდმივად თუ დროებით მცხოვრებ ქართველს, ისევე სერგო ორჯონიკიძეს შეეძლო ჩასვლა თბილისში და არამარტო თბილისში, მცხეთაში, საგურამოშიც კი. თავისთავად ცხადია, მაგრამ ნიშნავს ეს რაიმეს? იყო კი მისი გამოძახება ბაქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან საჭირო? საქართველოში, თბილისში, სხვა ქალაქში, დაბაში, სოფელში, ტყეში ხომ ბლომად ჰყავდათ ნაცადი მსროლელები, ტერორიზმის მოტრფიალე თეორეტიკოსები, წამქეზებლები და შემსრულებლები, „ლიტერატურული მებრძოლები". „მჩაგვრელ ხაზეინებთან" მებრძოლი ჯგუფის წევრებს და ნახევრად ჩაგრულ ინტელექტუალებს, „კვალის" ირგვლივ რომ იკრიბებოდნენ თავდაპირველად, თავისი განათლების, ასაკის, მდგომარეობის გამო სერგო ორჯონიკიძე ვერ ეწყობოდა; უჭირდა მათთან ურთიერთობა, მითუმეტეს დავა და პაექრობა, თუმცა ლიტერატურულ ცხოვრებაშიაც იღებდა მონაწილეობას და სხვადასხვა ფსევდონიმებით პატარ-პატარა კორესპონდენციებსაც აქვეყნებდა, მისი ფიქრით, აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებზე; გული მაინც თავის ტოლ-სწორებისაკენ ჯაფარიძე — სპანდარიან-შაუმიანისაკენ მიუწევდა და მარტო პროლეტარიატის სიყვარული არ მიაქანებდა ბაქოში. ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძეს მოხუცებს ეძახდა უკვე ათიან წლებში. იუმორთან გადედმამიშვილებული არ იყო, მაგრამ ირონიასაც არ იქნებოდა მოკლებული ეს ზედწოდება. ოციანი წლების დასაწყისში კი ჭალარა, წვეროსანი მოხუცის იარლიყი სერიოზულად მიაკრა ნოეს, ფილიპესაც მოუმატა ხანი. **„...ჭალარა მოხუცი ჟორდანია მოხუცებულობაში იმპერიალიზმის ლაქია გახდა...** „ეს რომ თქვა ჟორდანია ორმოცდაათი წლის იყო გამხდარი, „იმპერიალიზმის ლაქიობა" კი უფრო ახალგაზრდამ მოახერხა. კაცმა რომ თქვას, მაშინდელი ასაკ-თანამდებობრივი შეფარდება ახლანდელისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. რა მოსატანია ლენინსაც „სტარიკს" ეძახდნენ ისინი, ვისაც ამის უფლება სუბორდინაციის მიხედვით ჰქონდა მოპოვებული. რუსული „სტარიკ" უფრო შე ძველოს ნიშნავს ვიდრე ბებერს, მაგრამ ასაკთანამდებობრივი შეფარდება, კიდევ ვიმეორებთ, მაინც სხვა იყო. ლენინი იმ დროს ორმოცდაათს იყო გადაცილებული, მაგრამ სერგოს, კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო მართველობა რომ ჩაიბარა, 34 წელი არ ჰქონდა გასრულებული. 34 წლის ღორეშელი ბიჭი მეფისნაცვლის ადგილში იყო უკვე ჩამდგარი. რამდენიმე ხნის შემდეგ, დღევანდელი გაგებით, ზრდაუსრულებელმა სერგომ სხვისი კარნახ-მითითებებითა და საკუთარი ინიციატივითაც საგამგებლო სამფლობელოების საზღვრების გადანაწილება დაიწყო, სადაო,

სისხლსაღვრელი სამანები დატოვა სანამ ორმოცისა გახდებოდა. ეს წლისამ კი გაასრულა სიცოცხლე. დაღლილს, გატეხილს, დაავადებულს დასასრულის წინ ბევრ რამეზე შეეცვლებოდა აზრი და გადადულება, წვეროსანი მოხუცების, ჟორდანიასი და მახარაძის ჯანმრთელობაც ბევრჯერ ჩაგდებდა საგონებელში. ჟორდანიას პერსონა მოსვენებას არ აძლევდა საზღვარგარეთაც. ამხანაგი ფილიპეც შემომწყრალი ჰყავდა თავდაპირველად, ოპოზიციაში ედგა ცოტა ხნით, მეტად მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხებში ედავებოდა, მაგრამ თავი მალე დამარცხებულად ცნო, ოციან წლებშივე წაიყარა თავზე ნაცარი, ეროვნულ საკითხებში ვცდებოდი." **...საჭირო იყო მაგარი ბიძგი და მე ვაღიარე ჩემი შეცდომა. ეს მაშინვე განვუცხადე სტალინს 1924 წლის მარტში."**

თანამემამულეებთან არ წყალობდა ბედი, თორემ დიდად აფასებდნენ რუსეთის კომუნისტები, გამოჩენილი პარტიული და საზოგადო მოღვაწენი. განუწყვეტელი მიმოწერა ჰქონდა ლენინთან, სტალინთან, ბოლშევიკური პარტიის სხვა ლიდერებთან. ლენინის საგანგებო დავალებით გასაბჭოების პირველსავე წლებში და შემდეგაც, „ქართული ინციდენტისა" და სხვა საკითხების გასარკვევად და მოსაგვარებლად ერთმანეთის მიყოლებით ჩამოდიოდნენ საქართველოში, თბილისში: სტალინი, ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, კალინინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ფრუნზე, კუიბიშევი, სხვები და სხვები. ჩამოდიოდნენ უყურებდნენ, ტკბებოდნენ საქართველოს ბუნებით, სატრაბახო პურმარილით, აგზავნიდნენ მოსაჯაყ ტელეგრამებს ლენინთან და მიემგზავრებოდნენ აღლუმებით, ხელების ქნევით. ორი დღის ჩამოსულმა მთავარსარდალმა ფრუნზემ ამნაირი დეს სხვები. ჩამოდიოდნენ, უყურებდნენ, ტკბებოდნენ საქართველოს **ნაციონალური სული ტრიალებს თვით კომუნისტებს შორისაც კი..."** ჩიჩერინმა უარესი თქვა და არც სხვამ დააკლო ხელი. „ყველამ გაკრა თითო ქიშტი", გურამიშვილის არ იყოს. დიდად განათლებულმა ურისტმა, დიპლომატმა, რუსეთის მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარმა გ. ჩიჩერინმა 1921 წლის 20 იანვარს ლენინს ასეთი უსტარი მიართვა: **„საქართველო ისე გათავხედდა, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ გავასაბჭოვოთ ი ,ი...** „გათავხედებულ საქართველოს" სხვადასხვა მიზეზთა გამო „ს ეზღვრო ხასიათის ჩარევა" ოული უშველიდა, სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ლენინი საგონ-

ბელში იყო ჩავარდნილი. ამ კაცმა მეტი იმაზე იცოდა, ვიდრე ჩიჩერინს ეგონა, მაგრამ საკუთარი ხელშეკრულებით აღიარებულ-დამოუკიდებელ რესპუბლიკას სხვა სტატუსი ჰქონდა უკვე, სხვახელოვნებ შეხედავდნენ ჩექმით გათელვის აქციას საზღვარგარეთ და ახლადაღორძინებული სახელმწიფოს დასჯის და მიგუდვის სხვა ვარიანტების ძებნაც იყო საჭირო. ადგა და ჩიჩერინის წერილი გადასცა სტალინს, შენი აზრი მომახსენეო, როგორც ეროვნებათა სახალხო კომისარმა, როგორც ქართველმა და როგორც კომუნისტმაო. სტალინმა წერილი გადაამრავლა და პოლიტბიუროს წევრებს დაურიგა, პასუხი კი ულტიმატუმის (ექვს საათამდე მაცნობეთო) წესით მოითხოვა:

„...წინადადებას გაძლევთ, მოიწონოთ ამხ. ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხზე და მისცეთ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს დირექტივა, რათა დაუყოვნებლივ შეუდგეს წინამოსამზადებელ მუშაობას კავკასიაში ამ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა წესით განხორციელდეს სამხედრო ჩარევა. ამავე დროს მისცეთ დირექტივა ამხ. ორჯონიკიძეს, რომ საჭიროა აჯანყებულთა გამოსვლების მომზადება საქართველოს გარკვეულ რაიონებში".

რა მითითებანი მისცეს სტალინის დირექტივის მიხედვით პოლიტბიუროს წევრებმა ორჯონიკიძეს და როგორ პირნათლად შეასრულა ამხ. ორჯონიკიძემ მათი რჩევა-დარიგება ვნახავთ და ჩიჩერინის შემდეგროინდელ სტუმრობის სურათსაც აღვადგენთ.

„გათავხედებულ" (1925 წლის აპრილია) და უკვე ლაგამამოდებულ საქართველოში ჩიჩერინი მიხეილ კალინინს ჩამოყვა და მამია ორახელაშვილთან და მიხა ცხაკაიასთან ერთად ქართულ უნივერსიტეტსაც ეწვია, ჩოხა-ახალუხითა და ქამარ-ხანჯლით გავიდა სახელდახელო ტრიბუნაზე. გაოცებულ, დაბნეულ, ოცდაოთხწელგამოვლილთ ჩოხა-ახალუხი „ნაციონალური გადახრა" ეგონათ და არაფრად ეპიტნავათ ამგვარი გამოხტომა. ცოტა ხანში ატყდა ხტვენა, ყვირილი, არეული ტაში და დაქექილი დიპლომატი ტრიბუნიდან ჩამოხტა, ან თუ ოვალით მხილველებს ვენდობით — ჩამოვარდა, ჩამოაგდეს, ერთი სიტყვით. სულ თვალები უბრიალა ცხვირის ნესტოების თრთოლვით სერგო ორჯონიკიძემ მეორე დღეს ორახელაშვილსა და ცხაკაიას წინადღინდელი მასკარადისა და ჩაშლილი მიტინგის გამო.

1918 წელს დაღესტნიდან ჩამოიარა 23 წლის ანასტასი მიკოიანმა, დუქან-დუქან იჩურჩულა იქაურ ბოლშევიკებთან, „ბატივეფი“ და ძღვენით გაემგზავრა მოსკოვს და ლენინს მოახსენა, [illegible] საქართველოში დემოკრატიის სიოც არ ჰქრისო, რასაც ლენინის ცნობილი ფრაზა მოჰყვა: „მაგათაგან (მენშევიკებთაგან თუ ქართველებთაგან) კარგს რას უნდა გამოელოდე!“

1921 წელს საქართველოში, თბილისში ელჩად იყო ს. კიროვი. რამდენიმე თვეში კერძოდ 20 წლის ზაფხულზე დემოკრატიული საქართველოს ლანძღვა-გინება გააგზავნა მოსკოვში. უხამსი წერილი, უხამს წერილს მიაყოლა, მოხსენებითი ბარათი მოხსენებით ბარათს, დასმენა დასმენას გაატანა.

სამაგიეროდ აი რა განაცხადა ლევ ტროცკიმ თბილისში, პირველსავე შეხვედრაზე:

„...ამხანაგებო, უპირველეს ყოვლისა გთხოვთ, მაპატიოთ, რომ არ შემიძლია მოგმართოთ თქვენ თქვენს მშვენიერ, ლამაზ ქართულ ენაზე, რომელიც ასე ეალერსება ჩემს ყურს... „მოსკოვში რა ამბავი ჩაიტანა არ ვიცით და თბილისში ნამდვილად ასე განაცხადა. თბილისშივე შეიტყო ლენინის გარდაცვალება. თბილისში დაწერა, ერთი შეხედვით, გულისამაჩუყებელი, სინამდვილეში ცივი და არაფრისმთქმელი, შემდგომში თუმც გახმაურებული, გამოსათხოვარი წერილი, სადაც ლენინის სისხლძარღვებზეა ლაპარაკი. როგორ გვიმუხთლა, როგორ გვიღალატა შენმა სუსტმა სისხლძარღვებმაო. მასპინძელი სერგო ორჯონიკიძე (გულზე არ ეხატებოდათ ერთმანეთი) მოსკოვშია ამ დროს და სამგლოვიარო ცერემონიალში იღებს მონაწილეობას. ყველანი მოსკოვში არიან, ტროცკის გარდა. ტროცკი თბილისშია და პოლიტბიუროს უგზავნის ტელეგრამას: ვერა ვარ მთლად კარგად და ჩამოვიდე თუ არაო, კითხულობს. მანდ იყავი, სადაცა ხარ, მიხედე თავს, საკუთარ ჯანმრთელობას, შენც სატირალი არ გაგვიხდეო, არ აყოვნებს პასუხი პოლიტბიუროდან.

სერგო ორჯონიკიძე ცენტრალური კომიტეტის დავალებით ორდენს აბნევს ლენინს კუბოში. იგი აღელდა ამ პროცესის დროს, რადგან წინასწარ გახვრეტილს ვერ მიაგნო კოსტუმის ბორტზე, არ ავჩქარდეო, გაიფიქრა და ლითონის ღეროც გააკვეხა ქსოვილში მოუხეშავი თითებით, უკანა ღილი ადვილად მიახრახნა და კმაყოფილი, თუმც სახეზე გვარიანი წამოწითლებული წამოდგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პომპეზური შეხვედრა მოიწყო თბილისში ოპერის თეატრში ტროცკიმ ამ დროს.

„...თეატრის წინ შეკრებილი ზღვა ხალხი იცდის. უნდა დაინახოს წითელი არმიის სახელოვანი ბელადი.“

ბელადი კაშნეს იფუთნის და განზე გადგმული ფეხებით სწრაფად მოაბიჯებს. ბოდიშს იხდის დაგვიანებისათვის, დალუპული გემის კაპიტანივით ყველაზე ბოლოს გამოვედი, მაგრამ ექიმმა ამიკრძალა **„სიტყვის შემდეგ ერთბაშად ცივ ჰაერზე გამოსვლა.“**

ცივ და გაყინულ მოსკოვში ცივ ორთქლს აფრქვევენ პირიდან ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს წევრები, ახალი დანიშვნებისა და თანამდებობების მაძიებელნი, ცუდისა და უარესის მომლოდინე სამეურნეო მუშაკები, მთავრობის ხელმძღვანელები, აღზნებული სამხედროები და გალიგვებული მოქალაქენი — მოტირალნი, საერთო, ზოგადი ისტერიის მონაწილენი. წლის იმ დროისათვისაც და იმ ადგილისათვისაც კი უჩვეულო ყინვაში დროებით ხის მავზოლეუმს აგებენ, ხეს ცივი ქვა და გრანიტი შეცვლის და ტრიბუნა-მავზოლეუმზე ტროცკის ფეხის ჩასადგმელი ადგილი აღარ აღმოჩნდება სულ მალე. სამაგიეროდ საფიქრალი დრო დარჩება ბევრი და ამ ფაქტს ვერანაირ ახსნას ვერ მოუძებნის. ზოგიერთს გონიათო, ეკამათება არარსებულ ოპონენტებს, დავუშვი საბედიწერო შეცდომა, ლენინის დაკრძალვას რომ არ დავესწარი, მაგრამ ეს ასე არ არისო, ასაბუთებს და თვითვე არ ჯერა თავისი ნათქვამი. ტროცკი იმ დროს იყო თბილისში, ორჯონიკიძე მოსკოვში თავკაცობდა კიდეც გასვენებაში, შორს გამიზნული ტაქტიკური სვლა გათვალა ტროცკიმ და დაუშვა თუ არა შეცდომა არ ვიცით, ბევრი რომ არაფერი მოუგია ქე ვნახეთ.

ყველა ყველადა ვოროშილოვიც ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით. ვოროშილოვამდე კარგა ხნით ადრე და სხვებზე ცოტა გვიან სემიონ ბუდიონიც ეწვია ჩვენს ქალაქს. ბუდიონის, ისე როგორც ვოროშილოვის, სახელი სროლისა და ცხენის ასოციაციას იწვევს ჩვენს მეხსიერებაში (ცხენზე და ორჯონიკიძეზე კიდევ შევჩერდებით), მაგრამ ამჯერზე ბუდიონის ვიზიტი სროლისა და ჯირითის გარეშე დამთავრდა.

ეპიზოდი ხინაიდა სლუცკაიას მოგონებიდან:

„...სერგოს ხასიათის წარმოსადგენად არ შეიძლება არ მოვიგო-

ნო ერთი ეპიზოდი: ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ამკვიდრებდნენ ოციან წლებში ახალ საბჭოურ წესჩვეულებებს ძველ-ძველ დღის, სრულწლოვანებისა და ქორწინების აღსანიშნავად. საკუთარი სახელების გამოგონებით იყენენ განსაკუთრებით გატაცებულნი. აიღებდნენ ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის საგულძვირფასო სიტყვების თავკიდურ ასოებს და ადგენდნენ რაგინდ რა სახელებს და ერთხელ საოქტომბროდ, მახსოვს, სერგო თბილისის ერთ-ერთ ფაბრიკაში მიიწვიეს. მოხდა ისე, რომ ფაბრიკის სამმა მუშა ქალმა თითქმის ერთდროულად იმშობიარა. ერთმა ვაჟი შობა, ორმა გოგონა. სერგოსთან ერთად საოქტომბროდ მიიპატიჟეს იმჟამად თბილისში სტუმრად მყოფი ს. მ. ბუდიონი. დარბაზი ხალხით გაიჭედა და საღამოც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მაგიდასთან ისხდნენ ჩვილბავშვიანი მშობლები, ზაგსის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. სერგომ პატარა შესავალი სიტყვა თქვა; ახალ საბჭოურ საწესჩვეულებო ცერემონიალების დამკვიდრებაზე და რელიგიური ჩვევების ტრადიციების გაქრობის აუცილებლობაზე ილაპარაკა.

—...დღეს კი, — თქვა მან. — შევიყარეთ იმისათვის, რათა სახელები შევარქვათ ახალშობილთ, სოციალიზმის მომავალ მშენებელთ...

პირველად „გააოქტომბრელეს“ ბიჭუნა (გადაწყვეტილება იქვე დარბაზშივე ყველას თანდასწრებით გამოჰქონდათ) და წითელი არმიის საპატივცემულოდ წითარმი დაარქვეს (красарм). ამის შემდეგ ს. მ. ბუდიონმა ასწია ბიჭუნა წითარმი და სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ დიდი ხნის სიცოცხლე უსურვა. ერთ გოგონას (ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის სასახელოდ) კიმი დაარქვეს. შემდეგ სერგომ გამოართვა რა დედას გოგონა დამსწრე საზოგადოებას მიმართა:

— რა სახელი დავარქვათ ამ გოგონას?

— ორჯონიკა! — დაიგუგუნა დარბაზმა.

— ჩემს საპატივცემულოდ ხომ არა?! — მიხვდა სერგო და ენერგიულად გააპროტესტა. — მე არ გეთანხმებით. პროფინტერნის დასაფასებლად პროფინია დავარქვათ, პიროვნებებს ნუ შევეხებით... ყოველნაირი პიროვნების კულტის წინააღმდეგია პარტია!

მაინც უკმაყოფილოდ ახმაურდა დარბაზი.

— ჩვენ გვინდა, გოგონას ორჯონიკა ერქვას!

ბოლობოლო ზაგსის სარეგისტრაციო წიგნში ახალდაბადებული, იმ ანგარიშით, რომ სიმწიფეში შესული თავადვე ერთ-ერთს ეჩვენა, პროფინიათი და ორჯონიკათი ჩაწერეს."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკი ქალის ზ. ნემცოვას ცნობით ვარკუტის პოლიტიკურ პატიმართა ბანაკში მოქალაქე მარინკა რემზინამ ნარზე დაბადებულ გოგონას სტალინა დაარქვა და ტალინკად გადაუკეთა სტალინის სიკვდილის შემდეგ თავდახსნილმა. ბევრმა მოიშორა, ბევრმა გადაისხვაფერა, ბევრმა — რაც არი, ეგ არიო და შეირჩინა: ლენსტალი, სტალბერი, ლენსტამბერი, დაზმირი, ჯონრიდი, კიმი და სხვა და სხვა. ნეტავ როგორ იცხოვრა, როგორ ცხოვრობს, ანდა როგორ განვლო გზა ერთი სიცოცხლისა ფაბრიკაში განათლულმა გოგონამ, დამნაშავემ იმაში, რომ იმ დღეს დაიბადა. როგორ გაძლო, როგორ გაიხარა ან როგორ ძლებს პროფინიათი და ორჯონიკათი. რა დაკომპლექსებული ფსიქიკით ატარებენ ალბათ დღესაც წინდაუხედავი მშობლების ან უგნური ნათლიების ნაჩუქარ ლენსტალს, ლენსტალბერს, სტალბერს, დაზმირს და ასე შემდეგ. თავად სერგოს, ბუდიონის და ვოროშილოვის არ იყოს, ნორმალური, ქრისტიანული (გრიშასაც ეძახდნენ ბავშვობაში) გრიგოლი ერქვა; უფროსი ძმა პავლედ, ნახევარძმები ივანედ და კოტედ (კონსტანტინედ) იყვნენ მონათლულნი. პავლეს კი შინაურობაში, შეიძლება პაპუნას ანალოგიით, პაპულიას ეძახდნენ. მეთვრამეტე საუკუნეში კი ვინმე პაპუნა ორჯონიკიძე ციხის მფლობელიც ყოფილა. ღორეშაში დარჩენილი ორჯონიკიძენი, საამაყოდ და საფიცრად სერგოც რომ ყოფნით, მოწიწებით იხსენებენ მეციხოვნე პაპუნას, რომლის ციხის ბურჯ-ბალავარი დღემდეა შემორჩენილი. მეფეგაჯავრებულმა პაპუნამო (რისთვის შემოწყრა მეფე არ იციან) რკინიჯვრის გადასასვლელზე აბაშიძეებს ახალციხის ბაზარზე გასასყიდი, ტყვედ წასხმული ქართველი გოგო-ბიჭები დააყრევინა და მეფის სოლომონ პირველის თუ სოლომონ მეორის, გულიც სამუდამოდ მოიგოო. კიდევ რა შედეგი მოყვა ამ ღვთისმოსაწონ საქციელს, რითი სცა პატივი მეფემ ვასალს, არ ვიცით. პაპუნა და მათი შთამომავალნი ამით რომ არ აშენებულან, ცხადია, ამაზე მათი ციხის არამტკიცე ბურჯ-ბალავანი და სამკვიდრო საადგილ-მამულო მიწის ნაფლეთებიც მიგვანიშნებენ.

1907 წლის შემოდგომა. **„ან პირველი ოქტომბერია ან პირველი ნოემბერი.“** სერგოს კვლავ აპატიმრებენ ბაქოში. ბადრაგი ამყავთ ბათუმში. ცხელ ჭადებს, ყველს და მაჭარს ახვევენ ფურცელში გაულში და გზასაც ულოცავენ. გახურებული ვაგონებით მგზავრობა, შემოდგომის მზე აჭერდაო უმოწყალოდ, ბაქო, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, საკმაოდ მძიმედ გადაუტანია. ასე არასდროს არ გამჭირვებიაო, დაწერა.

სახადით დაავადებულთ უვლიდა ქუთაისის ციხეში და თავად დაავადდა უხადით. შეიძლება სახადიაო, არ მომეკაროთო, უყვიროდა პატიმრებს ოფლში გაწურული. ქუთაისში კი ცივი ქარი ჰქროდა უკვე. ცივი მზე ანათებდა და ციხის გისოსებიანი სარკმლიდან გაჰყურებდა ვიწრო ქუჩებს, დაბალი სახლების კრამიტიან და ყავრიან სახურავებს. რაჩხა-რუჩხით გაჰყავდა ბორკილდადებული, საციმბირედ გამზადებული, „ცალწვერ გაპარსული“ პატიმრები გამთენიისხანს. ალაყაფთან, ქუჩაში შეციებული, გამოუძინებელი ახლობლები იდგნენ. საკნებში დარჩენილი ტუსაღები ალუმინის თეფშ-„კრუშკას“ არახუნებდნენ. ძმებო, მივყევართ მტარვალებსო, თუთუნისაგან ჩახლეჩილი ხმით ყვიროდნენ რიყით მოკირწყლულ ოთხკუთხედ ეზოში. მზე ამოდიოდა. თენდებოდა. ცივი ქარი გადი-გამოდიოდა ქუთაისის აბურდულ ქუჩებში შემოდგომის მიწურულს. იმდროინდელია ეგ სიმღერაც:

> რა ლამაზად შემოსულა გიორგობის თვეო,
> დედა შაქროს ელოდება ციხის კარებზეო.
> მძიმე შალი წამოესხამს გალეულ მხრებზეო.
> ნაჩალნიკსა ეხვეწება, შვილი მაჩვენეო.
> ვერა დედი, ვერ გაჩვენებ, ნება არა მაქვსო..
> ხვალ დასახვრეტად გამოჰყავთ და იქა ნახეო...
> რა ლამაზად შემოსულა გიორგობის თვეო...

მსუბუქი თავშალი უფრიალებს ციხის კარებზე წერეთლის ქალს პეპესის. ჭიათურიდან ჩამოსულს შეხვედრა აქვს სერგოსთან. რამდენჯერმე შეიყარნენ ქუთაისის ციხეში პატიმრის დედის, თუ დის წილ საპაემნო დროის ხარჯზე, შორი-შორიდანაც უთვალთვალეს მანამდე ერთმანეთს, სიყვარული და ერთგულება შეჰფიცეს ღორეშაში, საზონა ორჯონიკიძის დიდი ცაცხვის ქვეშ. სიყვარული-

სათვის დადო სასწორზე ქალიშვილობისა და გვარიშვილობის პუტაცია პერევისელმა წერეთლის ქალმა; თვალცრემლიანი აცილა თებერვალში გაციმბირებული კაცი, რომელსაც უკანასკნელად ხედავდა.

1909 წელი; კრასნოიარსკის მხარე. სოფელი პოტასკუი (კარგი სახელია). სასჯელს იხდის მდინარე ანგარის პირას, სადაც იგი სამუდამოდ, ან იმდროინდელი გამოთქმით, განუსაზღვრელი ვადით, ჩამოასახლეს. ობლობაში და სიღარიბეში გაზრდილს გაჭირვება არ გაკვირვებია, შრომა არ დაზარებია, მოჯამაგირეობაც არ უთაკილნია იმ მოკლე ხანში.

ყინული გატყვრა ზაფხულისპირს ანგარაზე. ტაიგა შეიბურა სქელი სიმწვანით და ქინქლადაბოლილ შამბნარში წინასწარ გაიკვლია გასაქცევი ბილიკები; საგულდაგულოდ მოფიქრებული გეგმის მიხედვით დაიგულა თავი სამშვიდობოს ახალ შემოდგომაზე და ანგარის ცივ ტალღებში აფარფატებულ პატარა ნავს მიანდო ბედი, რომელიც იმხანებში აშკარად წყალობდა. გრძელთმიანი, გამხდარი, შემოდგომის პირველ სუსხში მოხვედრილი ქართველი სითბოსაკენ ეშურებოდა. ქაშმირის თეთრლაზლმოხურული, ქარის ახვეტილ, ყვითელ ფოთლებში გახვეული მწუხარე პეპესი ახსენდებოდა და ნაფოტზე შებობღებული ჭიანჭველასავით მიირწეოდა ანგარის შემდორებულ წყალში.

იმავე წელს ბაქოშია. ბაქოდან ირანში გადადის პარტიული დავალებით და გილიანის პროვინციაში მოღვაწეობს. ირანის „რევოლუცია", ერთი შახის მეორეთი შეცვლა, დამთავრებულია და სერგო მხოლოდ რომელიღაც საომარ ექსპედიციაში იღებს მონაწილეობას. „რევოლუციის" მიზანი და შედეგი, ქართველების მონაწილეობა იმ ბუნტში ჯერ კიდევ, თუკი ეს აუცილებელია, შესასწავლია, მისი კონკრეტული საქმიანობაც დასაზუსტებელია. ირანში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსება-ჩამოყალიბების მცდელობას, სერგოს ენერგიული მეცადინეობის მიუხედავად, შედეგი არ მოჰყოლია, სამაგიეროდ, დასძენენ მეისტორიენი, საფრანგეთში დაუკავშირდა ლენინს და „მასთან მიმოწერა გააჩაღაო". ეგ ეგრე მოხდა, მაგრამ ნახა თუ არა პეპესი ბაქოში ჩასვლამდე და ირანში გადასვლამდე, თვალცრემლიანი რომ დატოვა ქუთაისის ციხესთან? ამაზე მეისტორიენი დუმან. ჩვენ კი გეტყვით, რომ ვერ

ნახა პეპესი. იგი „ჩქარი ჭლექით“ გარდაიცვალა პერევისაში, წერეთლების დიდი ოდა სახლის მუხის ტოტებით დაჩრდილულ ციხეფერ შპალერგადაკრულ, ყვავილებისა და წამლის სუნით-სავსე შეზავებულ პატარა ოთახში, დიდი, ჩამქრალი თვალებით ფოთლებში გაჩრილ ლაჟვარდოვან ცის ნაჭერს მიჩერებული.

ღორეშაში, საზონა ორჯონიკიძის სახლში, სადაც გაიცნო პეპესი, შეიტყო გარდაცვალება საყვარელი ქალისა. როგორც იქ აუწყეს, როგორც ჩვენც ვთქვით და როგორც მაშინ იმ მოურჩენელი ავადმყოფობის ზოგიერთ ფორმას ეძახდნენ „ჩქარი ჭლექით“ გარდაცვლილიყო. იმავ ღამით შეჯდა ცხენზე და პერევისისაკენ გასწია საფლავის სანახავად. გზად მიმავალი სოფელ ცხრუკვათში ნაჭურალში ჩავარდა, დაეღუპა სხვისი ცხენი, თავი მძიმედ, გამოუსწორებლად დაიშავა. რა გავლენა მოახდინა სერგოს შემდეგდროინდელ ცხოვრებაზე ამ ფიზიკურმა და სულიერმა ტრამვამ, როგორ აირეკლა ეგ ფაქტი ეგრეთ წოდებულ „ქართულ ინციდენტში“ ვთქვით, კიდევ ვიტყვით, ახლა ჭურში ჩავარდნის ეპიზოდს დავასრულებთ.

ღორეშა. ისევ შემოუდგამთ სკვერში თუ ეზოში (ძნელი გასარჩევია) სტალინის ბიუსტი ქვის სვეტზე. ორჯონიკიძეთა კლანის ცოცხლად გადარჩენილი ერთი ძველი წევრი, რომელმაც „საერთო ჯამში“ 18 წელი გაატარა ციხეში და რომელსაც, ჩვენი წინაპრები რომ იტყოდნენ, თუნდაც მიხაკოს დავარქმევთ, სტალინის ბიუსტის წინ დგას მეგობრობის სკვერში თუ საკუთარ ეზოში.

—...ჩამოვიღე ამასწინეებზე და ქე შემოვდგი ისთევლე... — სქელ ულვაშებზე ისობს ხელისგულს, დადაბლებული, ჯმუხი მოხუცი. — რასაც ახლა გეტყვით გაუმხელელის გამხელად ჩათვალეთ... მეღა დავრჩი ამ ამბის გამგონე და დამმახსოვრებელი. წერეთლის ქალი რომ უყვარდა, პეპესი, გითხარით, იმ უიღბლო სიყვარულს რომ კინაღამ გადაყვა, იცით, კეთილი და პატიოსანი: საზონა ორჯონიკიძის ქალიშვილი ანა პეპესის დეიდაშვილს, ტატიშვილს ჰყავდა ცოლად. ანა და პეპესი მეგობრობდნენ, ერთად ჩამოდიოდნენ ხოლმე ღორეშაში. იქ გაიცნო სერგომ პეპესი, ანას მეშვეობით, რასაკვირველია. შეყვარებოდათ ერთმანეთი, ერთგულება შეეფიცათ... მერე იყო და, გითხარით უკვე, სერგო დააპატიმრეს, შემოატარეს შავი ზღვის კიდე და ქუთაისის ციხეში დაამწყვდიეს. პეპესი ციხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში აკითხავდა. სიკვდილის მეტი ველარ დაგვაშორებს ვერაფერი, ეუბნებოდნენ ერთმანეთს და ასეც მოხდა. გადასახლებიდან დაბრუნებულს გარდაცვლილი დაუხვდა. 1909 წელს დაბრუნდა ბაქოშიო, ასეა ცნობილი, მაგრამ არაა სწორი: ჯერ აქ, ღორეშაში ჩამოვიდა და როცა შეიტყო, შენ ჩემი ბატონი ხარ, პეპესი მამკვდარაო, გადაირია, დამუნჯდა, გაშავდა თურმე. გაწყდა ბოლო ძაფი, რაც აქაურობასთან მაკავშირებდაო, უთქვამს. პეპესის საფლავზე უნდა გავიდეო, დაუჟინია. ხვალ წადი, ხვალაც ამ თვისაოო, ეხვეწნენ, უშალეს, არ დაიშალა. დესპინესაგან ვიცი ეს ყველაფერი, არაფერს მიმალავდა მე დესპინე... ასე იყო ეს საქმე: საზონას იმ ღამით სტუმრად ყოლია სიძე, დის ქმარი ერისთავი, სახელი აღარ მახსოვს. საზონას დამ, ოლიმპიადამ, ოლიმპიადა ერქვა სერგოს ბიცოლას, გამოუყვანია ერისთავის ცხენი მალულად, პატრონის უკითხავად. შეჯდა სერგო ერისთავის ცხენზე და გასწია პერევისისაკენ, წერა იყო ალბათ და ჩხიროულში, უმთვარე ღამე ყოფილა, ქე ჩავარდა ნაჭურალში ცხენიანად. ერისთავის ცხენი მოკლა, თავადაც ქე გადაყვა კინაღამ, უნაგირს ტახტაზე საკვერცხეები მოჰეჭკოდა და გული წასვლოდა. მწყემსებს ენახათ ბედად გამთენიისხანს. ანა ორჯონიკიძეს, ცხრუკვათელ ტატიშვილს რომ ჰყავს ცოლად, ბიძაშვილია ჩემი და შეატყობინეთო, ეთქვა. რაღად უნდოდა შეტყობინება, აწიეს და მიიყვანეს ცივ-ცივ სიმწრის ოფლად გადახვითქული. შეუცხადებია ანას, ჩემო ბატონო, ჩამოუყვანიათ ჭიათურიდან ექიმი მაჭავარიანი, კარგი ექიმი ყოფილა, ეთქვა, ჩემო ბატონო, ამ მაჭავარიანს ოპერაციაა სასწრაფო საჭიროო, სხვანაირად არ გამოვაო, გოუკეთებიათ და ქე ამოუცლიათ ცალი საკვერცხე. უკაცრავი პასუხია და მეორე ქე დაუტოვებიათ... რა სათქმელია და, მეორე ოპერაციაც ქე გაუკეთდა დიდი ხნის შემდეგ...

თუ პირველ ოპერაციას ჭეშმარიტებად მივიღებთ, ანა ტატიშვილისას ერთგულებას და მაჭავარიანს ხელობას დავუფასებთ, მეორე ოპერაცია 1927 წელს დაჭირდა. იმ წლის ნოემბერში დაწვა საოპერაციოდ და ეს ამბავი აღნიშნა თავადვე XV ყრილობაზე ყველას გასაგონად:

„...ავად ვიყავი და ოპოზიციამ თურმე რატომღაც გადაწყვიტა, რომ ჩემი ავადმყოფობა დიპლომატიური ხასიათისაა (სიცილი. ხმა: მათ გაავრცელეს ასეთი ხმები). აღარ ვიცი, რომელი დიპლომატი,

რომელი ახირებული ადამიანი გააჭრევინებს თავის მუცელს ემი-სათვის, რომ დიპლომატიური ავადმყოფობა გამოხატოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომატიასთან, მითუმეტეს „დიპლომატიურ ავადმყოფობასთან“, თუ ასეთი დაავადება არსებობს, არ ჰქონია ამ ოპერაციას კავშირი, მაგრამ, მიუხედავად საჯარო განცხადებისა, რაღაც დაფარულ, არგამხელილ ფაქტთან გვაქვს საქმე. ამას ისიც მიგვანიშნებს, რომ შემდეგი (თირკმლის) ოპერაცია წინასწარი გახმაურებით აქვს გაკეთებული, პოლიტბიუროსათვის ანგარიში ჩაბარებული— თირკმელი ამოვიჭერიო. XV ყრილობაზე კი (1927) მხოლოდ გაჭრაზე ლაპარაკობს, რაღაცას ფარავს აშკარად. მისი ცხოვრების ერთი რიგითი მეხოტბე-მებიოგრაფე წერს:

„...სერგო უცებ დაწვა საოპერაციოდ. ოპერაციის დეტალები თითქმის უცნობია. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვიპოვნე პროფესორ ნოორდენისადმი ორჯონიკიძის წერილის პოსკრიპტუმში. წერილი გაგზავნილია კისლავოდსკიდან ვენაში 1928 წლის აგვისტოში: შარშან ბორჰარდმა გამიკეთა ოპერაცია, კარგად ჩაიარა. ამ წელს კი სხვა უბედურება მეწვია: აღმომიჩინეს მარცხენა თირკმლის ტუბერკულიოზური დაზიანება.“

გარდა იმისა, რომ ბორჰარდს გაუკეთებია ოპერაცია, რომლის „დეტალები უცნობია“ სხვა აქ არაფერია აღმოჩენილი და მებიოგრაფე-მკვლევარს დოსტაქრის გვარის დაზუსტების პრიორიტეტი უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ.

— მეორე საკვერცხეც ამოიჭრა, ბატონო მიხაკო?

— არაფრის თქმა არ შეიძლება დანამდვილებით. მაჭავარიანს მაშინვე ეთქვა, მეორეც ამოსაღები გახდებაო, იმდენხანს შეირჩინა მაინც, რას ერჩი!

— კობახიძე თუ გაგიგიათ?

— როგორ არა, კობახიძე, რიკოვი... მოყვარე იყო რიკოვის... მაგათ თითქმის ყველას ჟორდანია-სტალინი-მახარაძიდან დაწყებული რუსის ცოლები ყავდათ...

— მიხაკო ბატონო, შეიძლებოდა იმ კობახიძეს ცოდნოდა ნაჭურალში მხედრის ჩავარდნის, ცხენის ზარალის, უნაგირის ტახტაზე საკვერცხეების დაჭეჭკების, ოპერაციის და სხვა რამისა?

— შეიძლებოდა, იცოდნენ ეს მაშინ. იმ პირველმა ოპერაციამ შვილი არ აყოლა, მაგრამ სხვაში ხელი არ შეუშლია. მეორის მოშ-

ლამ რა დღეში ჩააგდო, ვერაფერს მოგახსენებთ, ეს საიდუმლო ზინაიდამ ჩაიტანა სამარეში.

— სტალინის ვირი უწოდა კობახიძემ, ასე წერია „პრავდა“ 1988 წელი. 12 აგვისტო.

— უწოდებდა. უარესსაც ეტყოდა.

— ცხენებზე იყო ლაპარაკი, რიკოვმა აღნიშნა...

— აღნიშნავდა...

— ერთი ეს მიბრძანეთ, კობახიძე რა ხელობის კაცი იყო?

— ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა, რევოლუციონერობდა...

— ფსევდონიმით „მირსკი“?

— მაგდენი აღარ ვიცი.

— კობახიძე, რომელიც სერგომ გალახა და კობახიძე რომელიც ურატაძეს გაყვა ელჩად 1920 წელს მოსკოვში ერთიდაიგივე პიროვნებაა თუ ერთი სხვაა და მეორე სხვა?..

— ვერაფერს მოგახსენებთ...

რამდენჯერმე ახსენეს ცხენი. შემდეგ კობახიძემ ყურში უჩურჩულა. სერგო წამოხტა, კობახიძეს დაარტყა, დაადგო. თქვა და დაწერა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგში ამხანაგმა რიკოვმა. ახსნა-განმარტების ეს წერილი შენახულია და ხელმისაწვდომია ზოგიერთებისათვის, ხოლო კობახიძის განცხადება-საჩივარი ლენინის მიერ გამოთხოვილ „ქართულ ინციდენტად“ სახელდებულ საქმე №-ში აღარა დევს. იგი არც სხვაგან ჩანს და არც აღარასოდეს აღმოჩნდება, ჩვენი ვარაუდით.

ოფიციალურად სერგომ ასე განაცხადა: პირადი შეურაცხყოფა მომაყენაო. ყურში ნათქვამი, რომელმაც ისერიგად დააკარგვინა წონასწორობა, არ გაიმეორა. ჩვენ გორგლის ძაფის წვერი ამოვიღეთ, რომელმაც სათქმელთან მიგვიყვანა და გაგვაჩერა მაინც. ლენინმა სამაგალითოდ დასჯა მოითხოვა ამ ჩხუბის გამო. ვინც ვის ერევა, ასე რომ გვირტყან და ურტყან ერთმანეთს რა გამოვაო, გაბრაზდა. სხვამ სხვა თქვა და „ქართული ინციდენტიც“ აგორდა. სტალინმა, ერთი წლით თურქმენისტანში გავაგზავნოთო, თავზე ველარ გადაუსვა ხელი, მაგრამ ეს განცხადება, სასჯელის უმაღლეს ზომას სულ რომ არ შეეფარდებოდა, განცხადებადვე დარჩა მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სერგო კარგად გახსოვს, ბატონო მიხაკო?

— მახსოვს რომელია... ოცდაცამეტი წლის კაცი სერგო რომ მიიცვალა. სკოლის დირექტორი ვიყავი. ბოლო დამაჯილდოვეს, თქვენ ჩემი ბატონი ხართ და ოცდაერთ სექტემბერს დამიჭირეს. მომისაჯეს, არც მეტი არც ნაკლები, დახვრეტა. დასახვრეტ საკანში ვარ. რას ვფიქრობ, რას ველი, რითი მიდგია სული, აღარ მინდა გახსენება. გადაშლილია ის ფიქრი და ის განცდა მახსოვრობიდან. გადავაცლი ნაცარს, მაგრამ აღარ მინდა. ვარ, შენ ჩემი ბატონი ხარ, დასახვრეტ საკანში და ველოდები. დღე და ღამე შებრუნებული მაქვს, დღე მძინავს, ღამე ვფხიზლობ, ღამე გაყავდათ ხოლმე. მაშინ ასე იყო. ყოველი გაფაჩუნება მაკრთობს ღამით, ნაბიჯების ხმაზე, სხვა კლიტის გაჩხაკუნებაზე ვფეთავ. ერთხელ ქურდულად მოადგა ვიღაც კარს და გაუკუღმართებული ხმით დამიძახა: გადარჩენილი ხარ, მიხაკო, მიხაკო, გადარჩენილი ხარო. რომელი მეძახი-მეთქი?! აღარავინ გამომეხმაურა. მომეყურა, მეგონა. მოლანდებები დამეწყოთქვა, გავიფიქრე. მეორე დღეს გამაქანეს ციმბირისაკენ. რანაირად გადავრჩი, ვინ გადამარჩინა, არ ვიცი. ოცი წლის შემდეგ შემხვდა ერთი ნაცნობი კაცი, გამაჩერა. საკლიტურში რომ შემოგძახე, მე ვიყავიო. გადარჩენილი ხარ, მიხაკო, მიხაკო გადარჩენილი ხარ, შეიბრუნა იმნაირადვე ხმა. შენ იყავი შენ კარგო კაცო-მეთქი, აქამდე რატომ არ მითხარი, სხვა დროსაც ხომ გვხვდებოდითქვა. აქამდე ვერ ვბედავდი გამხელასო. მაშინაც ვიცოდი, მეზობელი სოფლელი რომ მუშაობდა ციხეში. აუღია ჩემი საქმე და დასახვრეტელთაგან გასაციმბირებელთაში გადაუდვია. მანამდე სიიდან სიაში გადავუტანივარ, თუ შემრჩა, ხო შემრჩაო, არ უნდოდა ამას გაბედვა? ბოლო დროს მხვდებოდა, მესალმებოდა, ვინაა, ვფიქრობდი, ველარ ვცნობდი, ისე იყო მობერებული, გამტყდარი. თორმეტი წელი გაურტყამს თვითონაც, არა ჩემ საქმეზე. სასჯელი ციმბირში მოუხდია, ჩემი ბანაკიდან სულ ახლო. სკოლის დირექტორად სერგოს წყალობით დავინიშნე. ყმაწვილი კაცი ვარ, უმუშევარი, მივიდეთ სერგოსთანო, მითხრა სერგოს ბიძაშვილმა გიორგი აბესალომიჩმა, პედაგოგი იყო ცხონებული, კარგი კაცი, მათემატიკას ასწავლიდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში, დახვრიტეს, და... მივედით მოკლედ „ზაკრაიკომში“, ახლა რომ ვაჭრობის სამინისტროა ხოლოლაკში. ამ

შენობაში. მიგვიღო. მიიკითხ-მოიკითხეს სერგომ და აბესალომიჩმა ერთმანეთი. ეს ვისიაო, ვუთხარი, გაეხარდა, მომეფერა. ... ვხვდები ჩემიანებს, ზოგიერთს ველარც ვცნობ. ... ეცვა სამხედრო, იდაყვებში გადახევამდე გადაცვეთილი. რაა ესო, აბესალომიჩმა უთხრა, რა გაცვიაო. სხვა აქ ვერაფერი დაინახეო, რას მომჩერებიხარ ამ ბლუზაზე, რაში გაინტერესებს, ამას აქცევთ თქვენ კიდევ ყურადღებას, ამით აფასებთ ადამიანებსო!.. გვიყვირა მარა რა გვიყვირა. გამოგვყარა. მერე კაცი დაგვაწია კიბეზე. ის ყმაწვილი შემობრუნდესო. შევბრუნდი, რავარც სიკვდილი არ მინდოდა, ისე იქ შესვლა. შენ რა გინდა, რაზე მოდიო. არაფერითქვა, დავიღრიჯე, რაღას ვეტყოდი. მითხარი რა გინდა, არ მაქვს ამდენი დროო. ვუთხარი. რა შეგიძლიაო. სამასწავლებლო კურსები დავამთავრე, მე ვუთხარი. მერე შენ ვის რა უნდა ასწავლო თვითონ სასწავლებელი ხარო. დაურეკა მარიამ ორახელაშვილს, გადასარევ კაცს, ახლობელს გიგზავნი, შვილივით მიმიხედეო. სკოლაში ფეხი არ მქონდა პედაგოგად შედგმული და სკოლის დირექტორად გამიშვეს პირდაპირ. მალე დამაჯილდოვეს, უკეთესი სკოლა მომცეს, გავიდა ხანი და დამიჭირეს...

— რატომ ეცვა, ბატონო მიხაკო, ძველი ხალათი?

— პატიოსნება იყო, ბატონო მაშინ, პატიოსნება... სერგო ნამდვილი ბოლშევიკი იყო, ასე იყვნენ სხვებიც...

პატიოსანმა ბოლშევიკმა სერგომ, დახეული ხალათი რომ ეცვა, ბატონო მიხაკო, მიახვრიტა ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი, კიტა აბაშიძის ვაჟი 24 წლის გია აბაშიძე სხვები და სხვები, რომელთა წმინდა და ნათელი ხსოვნის წინაშე თავს დახრის ყველა ქართველი. სტალინი ნაძარცვ ფულს უგზავნიდა ლენინსო, წერს ნ. ჟორდანია, თავად არაფერს იტოვებდა, ჩაცმა-დახურვაზეც არ ზრუნავდაო (არა მარტო პატიოსნების გამო).

რა ხალხნი იყვნენ ძველი ბოლშევიკები, რა ხალხნი!

ფელიქს ძერჟინსკის ქცევამ და ჩაცმულობამ შემაფიქრიანა პოლიტბიუროს პირველსავე სხდომაზეო, წერს სტალინის ყოფილი მდივანი ბაჟანოვი. **„გამაოცა მისმა ძველმა, იდაყვებზე გადაცვეთილმა „გიმნასტიორკამ“, აშკარა იყო, რომ ეს ადამიანი არ სარგებლობდა თავისი მდგომარეობით, პირად კეთილდღეობაზე არ ზრუნავდა.“** ეს მართლაც ასე იქნებოდა ნაწილობრივ. ტუჩაში და ციხე-

ებში გაზრდილი გაცვეთილ ხალათსაც, ორჯონიკიძის არ ეყოს, არ თაკილობდა, საშაგიეროდ მაუზერი ეკიდა ახალი ფელიქს ედმუნდის ძეს, სანთელივით წმინდა კომუნისტს. კამო ნაყაჩარაძეს ფალტოთ გატენილი ჩემოდნით უპალტოოდ ჩავიდა პარიზში და უფულოდ, ლენინის ძველი, გაცვეთილი პალტოთი გამობრუნდა. რა ხალხნი ყვნენ, რა ბოლშევიკები. თავად ლენინი ტანსაცმლით არ სპეკულიანტობდა, ნახმარი, თუმც კარგად შენახული და მორგებული კოსტუმით დადიოდა მუდამ. კიდევ ვის ეცვა გაცვეთილი პალტო? ბევრს ალბათ. „დახეული პოლბუცები, დახეული პლაშჩი" და სხვა. სიმღერაც იყო ასეთი.

ილია ჭავჭავაძეს ქურქი დააყვედრეს სოციალ-დემოკრატებმა. ეს მოხდა 1905 წელს როცა მათი ორგანო „კვალი" „მოგზაურად" გადაკეთდა და მენშევიკებიდან ბოლშევიკების, კერძოდ ფილიპე მახარაძის ხელში გადავიდა. „მოგზაურში" (№—13) დაიბეჭდა ცილისმწამებლური, ილიას პიროვნების მაკომპრომენტირებელი წერილი **„საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება"**. ისე იყო ქვეყანა აჭრილ-არეული, ხალხი ისე დაშინებული, რომ პასკვილი ილიას მიერ დაარსებულმა „ივერიამაც" გადაბეჭდა ვირეშმაკული დაბოლოებით:" **...ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ ნუთუ „გლახის ნაამბობის" ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან?"** და სხვა (დანარჩენზე ვთქვით).

რა ეწერა იმ „მოგზაურში"? მრავალ უსაფუძვლო ბრალდებათაგან ერთი:

...ნახევრად შიშველ გლეხებს ყინვიან ზამთარში კოკებით წყალი მიაქვს შინ. გადაუდგება ილიას მოურავი დაუძლურებულ გლეხს ...თვეში ათ შაურს არ იხდიო, უყვირა და ორივე კოკა თავზე გადაამტვრია. ილია ჭავჭავაძე კი" **...ბალკონიდან ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული უყურებდა, გულიანად იცინოდა და თანაც აქეზებდა ერთგულ მოურავს..."**

ილია პასუხობს:

„...ორმოცთუმნიანი ქურქი ჩემს დღეში არცა მქონია და არცა მსხმია, და თუნდაც მქონებოდეს და მსხმოდეს, ამაში სამარცხვინოსა არასა ვხედავ, რადგანაც მგონია, რომ არც ჩემი მაბეზღარი დაიწუნებდა ორმოცთუმნიან ქურქს, თუ როგორმე მოახერხებდა, მაგ-

რამ მაინც სასურველია ვიცოდეთ: აქ ჩემი, ვთქვათ, ორმოცთუმნიანი ტყუილი ქურქი რა მოსატანია, რა შუაშია?" — კითხულობს ილია, თუმცა კარგად ხვდება „რა შუაშიცაა" და რისთვისაა ეს ყველაფერი მოგონილი. ...აბა, ტრაგედია აქ არის და, ცალკე ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და ცალკე ნახევრად შიშველი გლეხი. თანაც ყინავს, მოურავი კოკებს თავზე ამტვრევს სნეულ, ნახევრად შიშველ გლეხს, ქურქიანი თავადი ილია ჭავჭავაძე იცინის და ტკბება ამ სურათის ცქერით.

მოვუსმინოთ ნოე ჟორდანიას:

„...გამართეს მიტინგი (ვერაზე გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა) მიგვიწვიეს, მივედი, ვნახე ფ. მახარაძე ორატორობს და დაათავა ასე: შეხედეთ ჟორდანიას აცვია შუბა, განა ასეთი ხალხი დაიცავს მშრომელთა ინტერესებსო!"

მიტინგზე „შუბიანმა" ჟორდანიამაც წარმოსთქვა სიტყვა, მაგრამ ჯარისკაცების თანაგრძნობა ვერ მოიპოვა. ამის შემდეგ ასეთ მიტინგებზე არ წავსულვარო, წერს და არ ამხელს, როგორ გამოაძევეს იგი იმ მიტინგიდან ფილიპე მახარაძის შეძახილის გამო. შეხედეთ, „შუბა" აცვიაო! „მოგზაურის" ყოფილი რედაქტორის გამოხტომაში რაღაც უეჭველად ეცნაურება მკითხველს და ჩვენც აქ აღარ შევჩერდებით. გადავიდეთ კვლავ ირანში, სადაც მაჭავარიანის პაციენტი დავტოვეთ.

ირანის რევოლუცია, თუკი იგი რევოლუციად ჩაითვალა, დამთავრდა. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება არ მოხერხდა, ერთი ხალხის ინტერესი სხვა ხალხისას არ დაემთხვა და სერგომ, რომელსაც საქმეც შემოელია, ლენინთან გააჩაღა მიწერ-მოწერა; პარიზში გამგზავრების ნებართვა და ლონჟიუმოს პარტიული სკოლის თავისუფალ მსმენელად ჩარიცხვის უფლება მოითხოვა. რამდენიმე უშედეგო თუ უპასუხო წერილის შემდეგ რუსული ემიგრაციის საორგანიზაციო პარტიულმა კომიტეტმა ლონჟიუმოს პარტიული სკოლის მსმენელად გამოაცხადა და სერგოც, მეტი გზა აღარც ჰქონდა, 1911 წლის დასაწყისში საფრანგეთში გაემგზავრა.

პარიზი.

1911 წელი. მარი-როზის ქუჩა.

„...ლენინი გარეგნულად ტიპიური რუსი მუშაა. დაბალი, მუ-ლოტი. ყირგიზული თვალის ჭრილებით. საუბარში ოდნავადაც არ გაგრძნობინებს, რომ საქმე გაქვს მილიონჯერ შენზე მაღლა მდგომ ადამიანზე.“

ბიბლიოთეკა

სერგო.

ს. ორჯონიკიძე „...გახდა ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი ამხანაგი.“

ნ. კ. კრუპსკაია.

„...პირადად ვეკუთვნი მისი (ს. ორჯონიკიძის) მეგობრების რიცხვს და ვმუშაობდი მასთან ერთად საზღვარგარეთ ემიგრაციაში.“

ლენინი.

— ქვევით ვიღაც კაცი დგას, — ეუბნება ლია კარში გახიდული კონსიერჟი ქალი ნადეჟდა კრუპსკაიას.— დიდი თმა და გრძელი ცხვირი აქვს, ფრანგულად ენას ვერ აბრუნებს. თქვენთან უნდა იყოს...

ჩავედი, იგონებს ნადეჟდა კრუპსკაია, დგას მომღიმარი, გამხდარი ახალგაზრდა, მიყურებს, მიცინის.

ქალს იგი უფრო ხნიერი, ცხოვრებისაგან უფრო გამოჯეგილი ეგონა, სადღაც ენახა, სადღაც შეხვედროდა თითქოს. გაცვეთილ შიბლეტებს, ტანზე სრულად მომდგარ ძველ პალტოს სულ არ ესადაგებოდა რძისფერი შლიაპა, რომელიც ფაფარივით თმაზე კი არ ედო, მუცელზე მიფარებული ეჭირა ორივე ხელით. აი ეს კაცი, სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობდა თურმე ირანის რევოლუციურ ბრძოლებში, შეტაკებებში (ეს ვარაუდი დაუდასტურებელია, მოგონილს ჰგავს)?! თავისუფალ დროს იწერებოდა ბარათებს და პოლიტიკური პერიპეტიების ამბებს იტყობინებოდა დაწვრილებით, სინტაქსური და ორთოგრაფიული შეცდომებით. ახლა სრულიად უადგილოდ, ლონჟიუმის პარტიულ სკოლაზე, თან ჩამოტანილ სარეკომენდაციო ბარათებზე და პარტიულ დახასიათებაზე ლაპარაკობდა. ლენინსაც ლონჟიუმოს სკოლაზე ჩამოუგდო სიტყვა ჩაის სმის დროს. თუ ნამეტანი დაგვიანებული არა ვარ, სწავლას თუ ძალიან არა ვარ ჩამორჩენილი იქნებ გამონაკლისად ჩავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხოო. ლენინს ირან-რუსეთის ამბები უფრო აინტერესებდა, ვიდ-
რე ლონჟიუმის პარტიული სკოლა, რომელიც გახსნილი
და თავისთავად ცხადია, სწავლის დაწყებაზე, მითუმეტეს
ნებაზე ლაპარაკი აღარ ყოფილა.

სერგო პარიზშია. ბევრისმთქმელია ალბათ ეს ერთი ფრაზაც
კი.

არც პარიზელობა უკვირს, არც გაკვირვების უნარი აქვს დაკარ-
გული.

თამამად, თავხედურადო, არ გვინდა ვთქვათ, უსწორებს თვალს
პარიზელ ქალებს საბედისწერო ოპერაციის მიუხედავად. შავ კოს-
ტუმზე თეთრი ჩალის შლიაპის შეხამებითაც იპყრობს ზოგიერთე-
ბის ყურადღებას, ქუდმოხდილი კი ნამდვილ ეფექტს ახდენს ზო-
გიერთ საქმეშემოლეულ გამვლელზე. ბევრსო, იმასაც ამბობენ,
საფოსტო ღია ბარათებზე გამოხატული მამაკაცის ტრაფარეტის
დედანი ეგონათო. აჩერებდნენ ხანდახან, სადაური ხარო ეკითხე-
ბოდნენ ფრანგული აქცენტით. კავკასიელიო (ქართველობაზე ირან-
შიც არ იდებდა თავს).

ლონჟიუმოს ერთ დაფხავებულ სახლში გაიხსნა სკოლა და
მცირერიცხოვან პარტიულ, სარევოლუციო მოსწავლეებში ერთი
ქართველიც აღმოაჩინა. ეს იყო გრიშა ურატაძე სწავლას მოწყუ-
რებული, ბოლშევიკ-მენშევიკობაში, როგორც ჟორდანია იტყოდა,
მეუფროს-მეუმცროსობაში საკმაოდ გარკვეული და გათქვეფილი
პარტიული ამხანაგი. სკოლის გამგე და პედაგოგი, ქმარშვილიანი
ინესა მოწყალე თვალით უყურებდა გადამწიფებულ მოსწავლეებს
ორ გრიშას. მოსწავლეებიც ყურადღებას არ აკლებდნენ გამგე
ინესას, სანამ ლენინის ფარული გულისწყრომა არ დაიმსახურეს:
თქვენი ტრფიალით ინესას ქმარი კი არა ლენინი ნერვიულობსო,
უთხრეს სერგოს და რადგანაც სერგოს სრულებითაც არ სურდა
პროლეტარიატის მომავალი ბელადის განერვიულება სწავლის გაგ-
რძელებაზე უარი თქვა, პრაქტიკული მუშაობა მირჩევნიაო, განა-
ცხადა, რაზეც ლენინი სიამოვნებით დათანხმდა. ამ ფაქტმა კი გა-
ნამტკიცა ურთიერთნდობა, მეგობრობაც კი, მარი-როზის ქუჩაზე
რომ დაიწყო და ლენინის გარდაცვალებამდე (კუბოში ორდენის
დაბნევამდე) გაგრძელდა მცირეოდენი ამპლიტუდებით. პარტიული
ამხანაგობა სიყვარულითა და ურთიერთსიმპათიებითაცაა შეპირო-

ბებული, მაგრამ ამხანაგობა სხვაა, საქმე სხვა. სამაგალითო დასჯა მოითხოვა სერგოსი და სერგოს აუგიც ვერ აიტანა.

„...გადაჭრით ვგმობ სერგო ორჯონიკიძისადმი მიმართულ თქვენს ლანძღვა-გინებას!“ — გაუჯავრდა ქართველ კომუნისტებს და კომისია კომისიას მოაყოლა საქართველოში. მართლა აინტერესებდა, ცდებოდა, ტყუოდა თუ მართალი იყო ის ადამიანი, რომელიც მისი ნდობით და სიყვარულით სარგებლობდა.

„ჩემის აზრით, ორჯონიკიძეს ტყუილი არ შეუძლია.“

ლენინი

ერთხელაც იყო და ბორჯომის ხეობაშიც გადაწყვიტა დასვენება დიდი ყოყმანის და კონსულტაციების შემდეგ.

„...ამხ. სერგო!.. კამო მთხოვს, თან წავიყვანო. მე არ ვეტყოდი უარს, მაგრამ მინდა ვიცოდე თქვენი აზრი. თუ თქვენ წინააღმდეგი არა ხართ, უთხარით მას ჩემს მაგიერ, რომ მე თანახმა ვერ ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩეს მხოლოდ თუ წინააღმდეგი ხართ დამირეკეთ ხვალ!“

უხერხული დავალებაა. ან მე მითხარი ან იმას უთხარი. როგორ უნდა გადაწყვიტოს კაცმა! დაურეკა, არ დაურეკა (მაშინ მოსკოვს გახლდათ) არ ვიცით. მთავარი ისაა, რომ ლენინის ოჯახის ახლო მეგობარი (ასეა ცნობილი პოლიტლიტერატურაში) კამო ბელადის გარემოცვაში მარტო სურვილითა და მონდომებით ვერ მოხვდებოდა. იგი ორჯონიკიძეზე, როგორც შემდეგ გამოირკვა, ექიმებზე, ყოფილა დამოკიდებული. ექიმებმა თავი შეიკავეს ბორჯომის ხეობაზე, ლენინმა არ დაისვენა ლიკანში ჭლექით გარდაცვლილი დიდი მთავრის სასახლეში. სამაგიეროდ 1920 წელს კავკასიაში გამომგზავრებული ინესა არმანდი ანდო სერგოს. კისლავოდსკში დააბინავე და თვალყური ადევნეო, თხოვა. სერგომ ლონჟიუმოს ყოფილი პედაგოგი გაიხსენა, პარიზში გატარებული დღეები მოიგონა და ინესა არმანდის შესახვედრად მოემზადა. **„ძალიან გთხოვ, ყუბანში საშიში სიტუაციაა და არ გაწყვიტო კავშირი ინესა არმანდთან. ისა და მისი ვაჟი, თუ საჭირო გახდა, გამიხიზნე დროულად პეტროვსკში ან ასტრახანში, ან დააბინავე (ვაჟი ავადმყოფია) კასპიის სანაპირო მთებში. ყველა ღონე იხმარე, მოკლედ! (ლენინი).**

ტრაგიკულად დასრულდა მაინც ცხოვრება ქალისა, რომლის კალოშების ნომერიც განსაკუთრებული მზრუნველობის ობიექტი ჰქონდა გამხდარი ლენინს. **„ამხანაგო ინესა! ვრეკავდი თქვენ რათა გამეგო ნომერი თქვენი კალოშებისა!“**

ლ ე ნ ი ნ ი.

პირველს მეორე წერილი მოაყოლა ლენინმა და სერგო ყუბანში გადმოსხმული დესანტის ლიკვიდაციის საბაბით (ამ საქმეს სხვებიც მშვენივრად გაართმევდნენ თავს) რასტოვში გადააგზავნა, მაგრამ ინესას არაფერი ეშველა.

XII ყრილობაზე ქართველი ბოლშევიკების ერთმა, შემდგომში „უკლონისტებად“ დაწყევლილმა ჯგუფმა სერგოს თანამდებობის ბოროტად გამოყენება დააყვედრა. გვიყვირის, გვლანძღავს, გვაგინებს, მაშინ როცა არაფრით გინება არ დაგვიმსახურებიაო. მეც მიყვირის ეგო, განაცხადა ლენინმა, ყველას გვიყვირის იმიტომ, რომ ყურს აკლიაო. ლენინის ამ განცხადებამ განაპირობა სერგოს ცეკას წევრად არჩევა; მან ხმების დიდი რაოდენობა (გაშავებას ელოდნენ) დაიგროვა სიყრუის გამო. ერთ ყურში სმენა მართლაც დაქვეითებული ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ამიტომ არ ყვიროდა. მომდევნო ყრილობაზე თავადვე აღიარა, ცალ ყურში არ მესმის და ცოტა ხმამაღლა ვლაპარაკობო. რომელში არ გესმისო, სერიოზულად დაინტერესდა რომელიღაც დელეგატი დარბაზიდან. ცალ ყურში არ ესმოდა. წინ გადახრილი მიჩერებოდა მოსაუბრეს ამის გამო, ზადიან ყურზე უკნიდან ძალაუნებურად და უშედეგოდ გაღუნულ ხელისგულს იფარებდა, მაინც ხმამაღლა ლაპარაკობდა, ხშირად სხვებიც სმენანაკლული ეგონა.

პარიზი ხომ პარიზია და ყური იქაც აწუხებდა. იაფფასიან ყურის ექიმს ეძებდა, როცა კამოს შეხვდა „ილიჩების“ (ლენინ-კრუპსკაიას) ბინაზე მარი-როზის ქუჩაზე. კამო თავად თვალის სამკურნალოდაც იყო ჩამოსული და ბელგიაში აპირებდა ოპერაციის გაკეთებას; უფულობა არც ამჯერზე აწუხებდა და საუკეთესო ექიმებისაკენ ეშურებოდა. ერევნის მოედნიდან გატაცებული ფული ჰქონდა წამოღებული. პარტიულმა ამხანაგებმა დღისით, მზისით ექსპროპრიაცია უყვეს სახელმწიფოს ორასორმოცდაათიათას (250000) მანეთს. სასკანდალო ცარცვის ამბავი ევროპაშიც გახმა-

ურდა, მითქმა-მოთქმა მრავალი წელი არ განელდა. **„...აღარაფერს ვამბობ აქ იმაზე თუ ვისი დავალებით იყო გაკეთებული თავდასხმა ერევნის მოედანზე.“** თქვა მრავალმნიშვნელოვნად ფილიპე მახარაძემ ოცდაათ წლებში, როცა ფოსტის გაძარცვის ეპიზოდი გაიხსენა. ვილაცის ავტორიტეტს გაუფრთხილდა და დამსახურებაც არ დაუკარგა **„აღარაფერს ვამბობ იმაზეო“** მიანიშნა ვისთვის გასაგებ, ვისთვის გაუგებარ ენაზე. სტალინმა კი ამის გამო მარტოს უჩივლა, როგორც ადრე მოგახსენეთ. ბანდიტობა-რევოლუციონერობად, ძარცვა-ექსპროპრიაციად შეიცვალა ამის შემდეგ; ფილიპემ, რომელსაც მაინცადამაინც არ სიამოვნებდა ამ თემაზე ლაპარაკი, ტაბუახსნილი ამბავი მოიგონა, თუმცა, ფოსტა აღარ უხსენებია, რადგან სტალინმა პირში წყალი ჩაიგუბა და როგორც ირკვევა, არც სხვას მისცა რაიმეს თქმის უფლება. ტროცკი კი მოკვდა მარჩიელობით: მონაწილეობდა თუ არა სტალინი იმ ისტორიულ დაცემაშიო, თავისთავსვე ეკითხებოდა. კი და არაო, ასკვნიდა, მონაწილედ და არაფრისგამკეთებლად გამოიყვანა ბოლოს წიგნში „სტალინი“, დაწერა და რომ ვერ დაამთავრა და თავიც რომ გადააყოლა.

სტალინის დავალებით, სტალინის იდეით (გეგმა ჩემი იყოო), სხვების მონაწილეობით და დახმარებით კამომ უნაკლოდ ჩაატარა ეს ოპერაცია, ფული საზღვარგარეთ გაიტანა და სულ მალე დინამიტებით გატენილი უზარმაზარი ჩემოდნით მკლავჩამოგდებული დაიჭირეს ბერლინის სადგურში. ვისია არ ვიცი, დაიჭინა კამომ, მგზავრმა დამაკავებინა ერთი წუთით, უარი ვერ ვუთხარიო, ჩემნაირი პატიოსანი მეორე არ დადის რუსეთში, გაიკითხეთო. რუსეთის საიდუმლო პოლიციამ კი სასწრაფოდ აცნობა ბერლინს კამოს ვინაობა და კამომაც, ეს უკვე ყველასათვის ცნობილია, თავი მოიგიჟიანა მოაბიტის ციხეში. ოთხი თვის შემდეგ სახელგანთქმულმა ფსიქიატრებმა ჰოფმანმა და ლპანმა კამოს სიგიჟე დაადასტურეს, თუმცა ავადმყოფის სიმულიაციაში ეჭვი არ შეუტანიათ. დაკარგული აქვსო, ჩაწერეს საექსპერტო დასკვნაში, ტკივილის, შიმშილის და ზიზღის უნარი, რაც ნორმალური ადამიანის შეგრძნებას არ შეესატყვისებაო. დაახლოებით ამნაირი დასკვნით დააბრუნეს იგი სამშობლოში, მოათავსეს თბილისის მეტეხის ციხეში, საიდანაც იოლად გაიქცა და პარიზში ამოყო თავი.

სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს ყვირილადან გატაცე-

ბული ფულის ფაქტი არ ჰქონდათ მონელებული, როცა ... შოედანზე ფოსტის გაძარცვის თაობაზე შეიქმნა ლაპარაკი. ... მოთქმა და პანიკაც კი. ამის გამო ცენტრალური კომიტეტის კომისიის მოწვევაც კი გახდა საჭირო. ლიტვინოვი (შემდგომში ბოლშევიკთა საამაყო დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე) დაიჭირეს იმ დროს, როცა ბანკში გატაცებულ ასიგნაციებს ახურდავებდა. ამას მოყვა დიდი სკანდალი, გავარდა ხმა სოციალისტების ბანდიტობაზე და როგორც ნ. ჟორდანიამ აღნიშნა **„ინტერნაციონალი შეშფოთდა, ასეთ ხალხს ჩვენთან რა უნდაო“**. შეიკრიბა პარიზშივე ცეკას კომისია ლენინისა და ჟორდანიას მონაწილეობით; დაადგინეს და გადაწყვიტეს (ლენინი ყველაფერზე თანახმა იყო) თბილისიდან გამოძარცვგლეჯილი ფულის დაწვა. ეს დადგენილება დარჩა ქაღალდად, ქაღალდის ფული დაუხურდავებელ ფულად და ზედმეტი ღირებულების სახარჯავ ნამატად. დაიწყეს ისევ 500 მანეთიანების დახურდავება და ლიტვინოვის გარდა დაიჭირეს ზინოვიევის ცოლი ოლგა რევიჩი და საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის მომავალი სახალხო კომისარი სემაშკო, რომელიც ყოველგვარი ექსპროპრიაციის საშინელი წინააღმდეგი იყო. 500 მანეთიანი კუპიურების დანახვაზე გული მიდიოდათ ევროპის ბანკების თანამშრომლებს და ზემოთ ჩამოთვლილი დიდად პატივცემული პირების გარდა ბევრმა წაიმტვრია კიდევ ფეხი ამ საქმეზე. **„ევროპის სოციალისტურ წრეებში კი ბოლშევიკების პრესტიჟი მთლად დაეცა. მათ არავინ თვლიდა სოციალისტებად, არც ღებულობდნენ თავიანთ წრეებში.“** — აღნიშნავს ჟორდანია, მაგრამ ბოლშევიკები ამით არ დაქცეულან, სირცხვილითაც არ დამწვარან. ლიტვინოვმა სასამართლოდანვე დაიძვრინა თავი, გაღმა შეედავე გამოღმა დაგრჩებაო და სტალინმა სხვას უჩივლა, კამოსაც არ გახდომია ჯიბის ფული საძებარი.

კამო იჯდა პარიზში, ილიჩების ბინის სამზარეულოში, შეექცეოდა ნუშს და გულაჩვილებულ კრუპსკაიას უყვებოდა, როგორ ესროლეს ბომბი სუმბათოვის სახლიდან ეკიპაჟს, როგორ დაჟუჟეს ცხენები, მხედრები. სხვა გზა არ გვქონდა, იძულებული ვიყავითო. რა სუფთა და ალალმართალი კაციაო, უკვირდა კრუპსკაიას. ამავე ბინაში შეხვდა კამო სერგოს. ახალი ფანტასტიური იდეებით იყო ამჯერზე ჩამოსული. ჩამოტანილი ჰქონდა გეგმა, რომლის გამხელა

სერგოსთან შეიძლებოდა მხოლოდ. კამო აპირებდა გაბრუნებას ბერლინში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ აეკიდა ჯაბუნაკი. შემოვიხ-ვევ წელზე დინამიტების ფალასკას, ავფეთქდები, ავაფეთქებ ბატონ-რებს (როგორ მოუყრიდა ყველას ერთად თავს?), რომლებიც რუსეთს ფინანსურ დახმარებას პირდებიან, რუსეთის რევოლუციის განვი-თარების მიშთობას აპირებენო. ძველი მეგობარი, ლონჟიუმოს პარ-ტიული სკოლის ყოფილი მსმენელი უკვე, ყურადღებით უსმენდა, თუ გეგმას უწუნებდა, ვაჟკაცობას უქებდა, თუმც ისიც ახსოვდა, როგორ უგვერდა ალიხანოვ-ავარსკის მოსაკლავად ქუთაისიდან ჩა-მოსულ ტერორისტებს. მაშინ წინდახედულად მოიქცა, გარკვეული მოსაზრებით არ წავიდა კამო სომხეთში და ქართველებს მატარებ-ლის გზა ასწავლა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (საქართველოს გასაბჭოებამდე ერთ ფოსტასაც დადეცა) საქმე-შემოლეულად იგრძნო თავი, აწი რაღა უნდა გავაკეთოო, ეკითხე-ბოდა თურმე ფილიპე მახარაძეს საბაჟოს თანამშრომლად გამწესე-ბული. რასაც აქამდე აკეთებდი ისევ ის გააკეთეო, ხომ არ ეტყოდა ფილიპე. რა ვქნა, რა ვქნაო, ფიქრობდა კამო და იმ მარჩიელობაში გაიტანა კიდეც ვერეს დალმართზე საბარგო ავტომობილმა. რა კაცი მოვკალიო, თავში ირტყამდა ხელს თბილისელი შოფერი კოლა დვალი მილიციის სამორიგეოში.

...ეს შემდეგდროინდელი ამბავია, აქამდე კვლავ მივალთ და პა-რიზშიც აღარ შევჩერდებით, რადგან სერგომ, როგორც ვიცით, სწავლადაუმთავრებელმა მიატოვა იქაურობა. კამოც აორთქლდა. ლენინის ძველი პალტო ისაჩუქრა და ბელგიაში გადავიდა. სერგო ლენინის საგანგებო დავალებით და რწმუნებებით რუსეთში დაბ-რუნდა. დიდი ენერგია შეალია ამ დავალებას — პრაღის VI პარტ-კონფერენციის მზადებას. ქალაქიდან ქალაქში მოხეტიალე დანგრე-ულ, დაშლილ პარტორგანიზაციებს ხელახლა აკოწიწებდა; პეტერ-ბურგიდან კიევში, კიევიდან ნიკოლაევში, ნიკოლაევიდან ოდესაში, ოდესიდან როსტოვში ჩავიდა, ბაქო-თბილისიც მოიარა, ღორეშაში ჩააკითხა თავისიანებს და დესპინეს ჩურჩხელებით პრაღაში გაემ-გზავრა დელეგატად. პარტკონფერენციის მომზადების ერთი აქტი-ური მონაწილე (საორგანიზაციო საკითხებს განაგებდა პრაღაშიც) არა მარტო ცეკას, არამედ რუსული ბიუროს“ წევრადაც აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ თავადვე განაცხადა საქართველოში ბოლ-

შევიკური ორგანიზაცია არ არსებობსო, საქართველოს ნაღდ ბოლ-
შევიკად სოსო ჯუღაშვილი დაასახელა, რომელიც ვოლოგდაში იხ-
დიდა სასჯელს ივანოვიჩის პასპორტით. კოოპტაციის წესით შევ-
ვანოთ ცეკაში, მცირეოდენი ფიქრის შემდეგ უთხრა ლენინმა. ჯუ-
ღაშვილის კანდიდატურა სპანდარიანს დაასახელებინეს ბოლ-
სხდომაზე და ხმების უმნიშვნელო რაოდენობით (ნახევარზე ერთით
მეტით) სტალინი პირველად აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის
წევრად. იანვარშივე გამობრუნდა სერგო რუსეთში, ჩავიდა პირდა-
პირ ვოლოგდაში, ნახა „ივანოვიჩი", ლენინის მოკითხვა და ცეკას
წევრად დაუსწრებლად არჩევის ამბავი უთხრა. სტალინი ძელური
ქოხის წინ იდგა ტყაპუჭის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გრძელყუ-
რებიანი, ნიკაპთან გაუკოჭავი ქუდი ეხურა. პატარასა და გამხდარს
სრულად ეცვა, თუმცა ტანსაცმელი არ აწუხებდა და იქაურობას-
თანაც გაშინაურებულად გრძნობდა თავს. კიდევ რა მოხდაო, იკითხა,
როცა სასიხარულო ამბავი გაიგო, შეეტყო, სხვა აღარაფერი აინ-
ტერესებდა. ღუმელს შეფიცხებულმა, ცხელი ჩაით გაბერილმა
სერგომ საღამოს წვრილად გაიხსენა კონფერენციის პერიპეტიები.
კაცი არ ვიყო, თუ დაგივიწყოო, უთხრა მოულოდნელად სტალინმა
უსიამო ხველებითა და ნაცარში ფურთხებით.

ვოლოგდიდან გამობრუნებული სერგო ქალაქიდან ქალაქში გა-
დადის. ამჯერზე პარტკონფერენციის მასალებს, დადგენილებებს,
გადაწყვეტილებებს აცნობს ბოლშევიკებს, „ლიკვიდატორებთან"
კამათობს, დაქსაქსულ პარტიულ ჯგუფებს აკავშირებს ერთმანეთ-
თან. პოლიცია ფეხდაფეხ დაყვება და ვერ ხვდება. იმდროინდელ,
ერთ ჩვეულებრივ საპროტოკოლო დოკუმენტში დაწვრილებითაა
აღწერილი ახალგაზრდა, თუმც უკვე გამობრძმედილ-გამოქექილი
პოლიტინფორმატორის გზა და კვალი; როსტოველ კეილა-რებეკა
შვეიცერთან ინტიმურ ურთიერთობაზე ძუნწად, რევოლუციურ დამ-
სახურებაზე გაზვიადებულადაა მითითებული.

მოსკოვი.

პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაა.

პეტერბურგში მიემგზავრება. მიყვებიან. ვის შეხვდებაო, აინ-
ტერესებთ და ბოლობოლო აპატიმრებენ ჰასან ჰუსეინოვის საბუ-
თებით. მტკივანი ყურის სამკურნალოდ ჩამოვედიო, ამტკიცებდა
ფსევდო ჰასან ჰუსეინოვი და არ იცოდა, რომ ცხრა თვის გარდაც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლილი იყო ნამდვილი ჰუსეინოვი.

სასამართლო.

განაჩენი.

სამი წლის კატორღა. სამუდამო გადასახლება სამი წლის შემდგომ. გადასახლება დროის, გარემოების, სიტუაციების მიხედვით მოიცემბირა, მაგრამ სამი წლის ციხე ყვავილაბატონებივით მოიხადა, რუსები რომ იტყვიან, ზარიდან ზარამდე იჯდა ცნობილ შლისელბურგში. საპარიზო თმა ძიებაშივე გადაპარსეს, ძიებაშივე და სასამართლოში დაიგრძელა ულვაშები და ასევე ჩახატა ტუსაღმა სუხორუკოვმაც. დგას შლისელბურგის ციხის ეზოში სასეირნოდ ფეხბორკილით გამოყვანილი და სიცივისგან აძაგძაგებული პატიმრებს თავისას უმტკიცებს. იქაურებს თავი მაინც ბორკილების მოუმარჯვებელი ხმარებით დაამახსოვრა.

„...ერთადერთი, რაც ვერა და ვერ ისწავლა, — იგონებდა შემდეგ თედორე პეტროვი, — მთელი ჩვენი მონდომებისა და დახმარების მიუხედავად, ბორკილების ტარება იყო. ავიწყდებოდა ბოლოების ამოწევა და 10—20 გირვანქიან რკინებს ფეხებზე ცემით დაათრევდა.“

ხანმოკლე სეირნობის შემდეგ, ბორკილების ხათქვა-ხუთქს რომ მორჩებოდა, მეცადინეობას იწყებდა; წერდა და კითხულობდა თავაუღებლად. დრო ჰქონდა ღვთის მადლით და თვითგანათლების საშუალებასაც არ იყო მოკლებული, როგორც ირკვევა. მუდამ მცირედით კმაყოფილს საჭმელიც არ აკლდა, რადგან უფროსი ძმის პაპულიას და დედინაცვალ დესპინეს გამოგზავნილი გროშებით წიგნებს ყიდულობდაო. ყიდულობდა და კითხულობდა კიდეც. სმენა აკლდა თორემ თვალი უჭრიდა და ციხის საკნის მკრთალ შუქშიც ახერხებდა ასოების გარჩევას. სასწაულებრივად გადარჩენილ, ამჟამად სამუზეუმოდ შენახულ ერთ დიდ საერთო რვეულს თუ დახედავთ, მშვიდი, გაკრული რუსული ხელწერა და წაკითხული წიგნების ნუსხა მიიპყრობს უეჭველად თქვენს ყურადღებას, სათაურებითა და ავტორებითაც დაინტერესდებით, ლაპარაკი არ უნდა: ტოლსტოი, დოსტოევსკი, ტურგენევი, ბალზაკი, სტენდალი, ზოლა, სტრინდბერგი, ჰაუპტმანი და სხვები... ყველას ვერც ჩამოვთვლით. იქნებ არც კითხულობდა, კატალოგს ადგენდა მხოლოდ, იკითხავთ, მაგრამ რვეულში მთავარი გმირების გვარ-სახელები და

წიგნების სიუჟეტები მოკლედ აქვს ჩამოწერილი. უფრო მეტიც, ეს არ დაუმახსოვრებია, გაუანალიზებია კიდეც ზოგიერთი ნაწარმოები. ცალხაზიან რვეულში ედავება გერცენს, აკრიტიკებს, ბრალდებულ ედოვს, ეკამათება ნეკრასოვს, თავისებურად, რასაკვირველია. თავადაც თხზავს. რას? ლექსებს. დიახ. ერთი უთავბოლო, მაგრამ ალაგ-ალაგ, მისგან დაუჯერებლად, გამართული რუსული ლექსიცა ჩაწერილი რვეულში, ზინაიდა სლუცკაიამ რომ შემოგვინახა.

გადის დრო. იფშვნება სამი სრული წელიწადი. მთავრდება ციხის პატიმრობა და ზოგადი სწავლა-განათლებაც, რომლისთვისაც სერგომ ველარასოდეს მოიცალა. 1915 წლის ოქტომბერში გაუყენეს ციმბირის გრძელ და დაუსრულებელ გზას. რვა თვის შემდეგ ჩააღწია გადასახლების ადგილს იაკუტიაში და ნახევრადთავისუფალი კატორღელი, პროფესიის მიხედვით, ფერშლად გაამწესეს სოფელ პაკროვსკში ქალაქ იაკუტიიდან ოთხმოციოდე კილომეტრის დაშორებით.

„...მე და ჩემი ამხანაგი სოფლის გზაშარაზე მივდიოდით. შემოგვხვდა ხმელი, ტანადი კავკასიელი; გაცვეთილი, საშემოდგომო პალტოთი. უქუდოდ. მოდიოდა და გრძელ, ხვეულ თმას ქარი უწეწავდა.

— ვინ არი? — ვკითხე ამხანაგს.

— ახალი ფერშალი. — ცოტა ხნით გაჩუმდა. — ვერ გეტყვი ჩერქეზია თუ ქართველი.

ჩავუარეთ.

— საიდან არი? — ისევ ვეკითხები.

— არ ვიცი. — მხრები აიჩეჩა ამხანაგმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ახალ ფერშალს ნავსაბმელთან, გემთან შევხვდი. ჩვენს მიყრუებულ სამყოფელში გემის შემოსვლა ერთადერთი გასართობი იყო.“

ნაგაზაფხულარს, წვიმიან დღეს. პირველი გემის შემოსვლის სიხარულზე დაინახა ახალგაზრდა მასწავლებელმა შილიფად ჩაცმული ადამიანი. იდგა უქუდოდ, დატალღული თმით, კეხიანი ცხვირით გემის სილუეტში და იაკუტელი ბავშვების რუსული ენის მასწავლებელს გამოუცნობი სევდა შემოეხვია შორეთიდან მოვლინებული მამაკაცის დანახვაზე.

„...და მე ვფიქრობდი, რომ მალე ჩამოდგებოდა ზამთარიც, მზე თითქმის დაიკარგებოდა კვლავ ჰორიზონტს იქით!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის შემდეგ ჩამოდგებოდა ზამთარი.

ამ მამაკაცს კი სითბოც ახლდა და შემოდგომის ფერებიც, თვალს რომ აუბრჭყვიალებდა შემდეგ კვადოურას ხეობაში მოხვედრილს.

სერგო არ იყო ისეთი ტანადი, როგორც ზინაიდას მოეჩვენა, თუმცა ყველაფერი შედარებითია და იმდროინდელი ჯგუფური ფოტოსურათებით თუ ვიმსჯელებთ, ტანმორჩილ აბორიგენებში და დაგლახავებულ ჩამოსახლებულებში მოხვედრილს ახოვანიც შეიძლებოდა დარქმეოდა. უცხოდ, ეულად დიდი, ენისეის საუფლოში ჩარჩენილი, გამორჩეული სტუმარი ტაიგის მშრალ, ჩაგუდულ სუნთქვას გრძნობდა, წყლისა და ტყის პულსაციას აყურადებდა ღამღამობით და სად ვარო, ფიქრობდა. მაინც ხალისიანად, დაუღალავად შეუდგა მუშაობას; მკურნალობდა ადგილობრივ მოსახლეობას, ჩამოსახლებულ-გადმოსახლებულებს, მონადირეთ და მებადურთ. ძალიან უყვარდათო პატარებს, მოხუცებს, ცხოველებს და ქალებს, რაღა თქმა უნდა.

ევროპა ომში იყო გახვეული. ინგრეოდა ძველი სამყარო, ასაშენებელი რჩებოდა ახალი; გადასანაწილებელი იყო საზღვრები, ფასეულობანი, წარმოდგენები. რუსეთის იმპერიის ნგრევის წელთაღრიცხვის ჟამი დგებოდა. სერგო სამშვიდობოს იყო გასული და გაყრუებული, კიდევ უფრო შორს, უფრო გასაყრუებელ ალაგას, ჩრდილოეთით უპირებდნენ გასროლას, მაგრამ ბოლშევიკ-თანამზრახველთა დახმარებით დარჩა იაკუტიაში ფერშლად. ეს პროფესია მთვლემარებაში დაყვინთული ციმბირისათვის კი არა ომისათვის იყო გამოსადეგი, თუმცა მისი რწმენა-შეხედულება (რამაც რუსეთი დააქცია) საწინააღმდეგოზე მეტყველებდა და სერგოც ალბათ იქ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო.

„გადავაქციოთ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად!“ წამოისროლა ეს ლოზუნგი ლენინმა შვეიცარიაში, თუმცა საამისოდ იმხანად ბევრი არაფერი გაუკეთებია. რევოლუცია გადააკეთა ძმათამკვლელ ომად, მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით. მანამდე რუსეთი უნდა დანგრეულიყო, დამპალიყო; ასე ეწერა ბედით, ისტორიის განაჩენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააქტიურდა ოსმალეთი, მღვრიე წყალში. თევზის ჭერა მოუნდა. აფორიაქდა ამიერკავკასია. სამ ქვეყანას სამნაირი ილუზია ექმნა. ნდა. აზერბაიჯანი თათარს ელოდა, სომეხს რუსის წასვლის, საქართველოს რუსის დარჩენის ეშინოდა. გავრცელდა კიდევ ჩვენში ხმა, რუსი მიდისო. ზიარი ჭურჭლის კანონის მიხედვით, რუსის ადგილს თათარი დაიჭერდა და იფიქრეს ამაზეც, ვისაც ფიქრი ევალებოდა და დროებითი მთავრობის წინასწარ შედგენის გეგმა უარყვეს წინასწარვე, დროულად, საზრიანად. სომეხს კი ისევ უმტყუნა ნაქებმა ჭკუამ: ოსმალეთს ვერაფერი დააკლო, რუსეთი ვერ ააშენა. უადგილო აჯანყებამ, რუსების ერთგულებამ კატასტროფამდე კინაღამ მიიყვანა ერთი ერი და რაც იქ იმ წლებში მოხდა მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი.

სოციალ-დემოკრატებმა ქუთაისში დააარსეს „ახალი კვალი", რედაქტორად დანიშნეს ლონჟიუმის ყოფილი მოსწავლე, სერგოს მეტოქე და პარტიული მეგობარი გრიგოლ, გრიშა ურატაძე. რუსეთ-საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებულ მისიას რომ დააკისრებდა ბედი სულ მალე. „ახალმა კვალმა" ძველი კვალის როლი ვერ იტვირთა, იგი მალე აიკრძალა, სოციალ-დემოკრატები უორგანოდ დარჩნენ მცირე ხნით. პოლიტიკური მდგომარეობაც სტაბილური გახდა თითქოს, მაგრამ რუსეთის ჯარის დამარცხებისა და საქართველოს ბედისანაბარა დატოვების იდეა არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა პარტიული კონფერენცია ალბათ სტრატეგიული მოსაზრებით ჩაატარეს სოფელ ჯუჯუათში, ჟორდანიას სახლთან ახლო, ზოსიმე ჯორბენაძის ოჯახში. კონფერენციამ და სამმა ნოემ (ნოე ჟორდანიამ, ნოე რამიშვილმა, ნოე ხომერიკმა) მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება, ზოსიმე ჯორბენაძის სახელი რომ დარჩა ისტორიაშივე. არ მივემხროთო არც რუსს, არც თათარს, არც სომეხს და ზოსიმეს ხათრით ეს ამბავი დრომდე და მომენტამდე, თუნდაც ახალი პარტკონფერენციის ჩატარებამდე არ გავამხილოთო. ამასობაში პეტერბურგიდან მოვიდა გოგიტა ფალავას უცნაური ტელეგრამა: **„მთავრობაძე გარდაიცვალა შეატყობინეთ ნათესავებს და მოკეთეებს"**. სამი დღე შიფრავდნენ ტელეგრამას თბილისში, სამი დღე მალავდა მეფისნაცვალი სინამდვილეს.

რევოლუცია მომხდარიყო.

„...რევოლუცია იყო სრულიად მოულოდნელი ყველა პოლიტი-

კური პარტიისათვის“, დაწერს შემდეგ ნოე ჟორდანია. **სრულიად სამართლიანად. „საქართველომ იგი მიიღო „ფოშტით“, როგორც მაშინ ამბობდნენ, მაგრამ ასევე „ფოშტით“ მიიღო ეგ. მეფემ, იმპერიამ და არა მარტო საქართველომ.“**

ლენინმა გაზეთში წაიკითხა ეგ ამბავი. პარტიულმა ამხანაგებმა მოუტანეს დილის გაზეთები და ბონჩ-ბრუევიჩმა უთხრა, რუსეთში რევოლუცია მომხდარაო. გაზეთი გაზეთი იყო, ბონჩ-ბრუევიჩი ბონჩ-ბრუევიჩი და ოფიციალური ცნობა, რომელიც საკმაოდ გვიან, კერძოდ, 14 მარტს ჩავიდა ჟენევაში, იგვიანებდა. მოვიდა ეგ ცნობაც.

რევოლუცია მომხდარიყო.

გვასწავლიდნენ და გვაზეპირებინებდნენ, ლენინმა მეფე ტახტიდან გადააგდო. ბევრს გვეგონა, ხელი ჰკრა და გაადენინა „პოლზე“ ბრაგვანიო, მაგრამ საქმე სხვანაირად ყოფილა. მეფეს და მეფის ოჯახს რაც დაემართათ კარგადაა ცნობილი, იგი გასახსენებლადაც ძნელია და ამაზე აღარ შევჩერდებით. მონარქიას კი წირვა გამოუყვანა ჯარმა. ჯარმა უტია მეფეს და რომანოვებს გამოეცალათ ის საყრდენი, რაზედაც ისინი იკავებდნენ თავს სამაჯი წელი-

191/ წლის 26 თებერვალს პავლოვსკის პოლკის სათადარიგო ბატალიონის მეოთხე როტამ დემონსტრაციას არ ესროლა. ჯარი ბრძანებას არ დაემორჩილა და პირიქით, ცეცხლი გაუხსნა ცხენოსან პოლიციას, პეტროგრადის ქუჩებში წესრიგის აღდგენას რომ ცდილობდა. სათათბიროს თავმჯდომარემ მ. ვ. როძიანკომ ნიკოლოზ II უდეპეშა: **„მდგომარეობა სერიოზულია. დედაქალაქში ანარქიაა. მთავრობა პარალიზებული.“** ტელეგრამის ასლები მიიღეს მთავარსარდლებმა რუზსკიმ და ბრუსილოვმა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. მეორე დღეს ვოლინსკის პოლკის სათადარიგო ბატალიონი აჯანყდა. მოკლეს პორუჩიკი ლაშკევიჩი და ააბუნტეს მთელი პოლკი. ჯარისკაცთა იარაღით აღჭურვილმა მუშათა რაზმებმაც დაიწყეს საპოლიციო უბნების რბევა. ჯარისკაცებთან ერთად დაიკავეს და დააფიათეს არსენალი; უწესრიგოდ, უსისტემოდ, ცხვრის ფარად შეიარაღდნენ და სროლა აუტეხეს გამვლელ-გამომვლელს. ესროდნენ ესერებს, კაზაკებს, ბოლშევიკებსაც. 27 თებერვლის საღამოს უკვე 67 ათასი ადამიანი მონაწილეობდა აჯანყებაში. საფრონტო პოზიციებიდან უნებართვოდ მობრუნებულები აჯანყებულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეერთდებოდნენ, ერთმანეთის მიყოლებით იკავებდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს: ფოსტა-ტელეგრაფს, ადმირალტეიცას, ზამთრის სასახლეს და სხვებს. დააპატიმრეს მინისტრები, ბანაკებში პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში და აჯანყებაც დასრულდა. დღის ორ საათზე გამოცვალეს ყარაული სახელმწიფო სათათბიროს შენობაში• და დაიწყეს **„დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის მუშათა დეპუტატების“ არჩევა.** იმავე საღამოს თავრიდის სასახლეში 250 დეპუტატმა აირჩია უკვე პეტროგრადის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე ხმის უმრავლესობით გახდა მენშევიკი ჩხეიძე. მოადგილეები: კერენსკი, სკობლევი.

„მთავრობაძე გარდაიცვალა!“

(გოგიტა ფალავა).

წალმა-უკულმა ატრიალეს ეს ქაღალდი, გვიან მიხვდნენ და ოლად დაიჯერეს, მეფე-იმპერატორი რომ აღარა ჰყავდათ.

რა ვქნათ?!

აფრინეს შეკითხვები პეტროგრადში. რაც გინდათ ის ჰქმენითო, მოვიდა პასუხი როდის-როდის „ფოშტით“.

თავისუფლებას განმტკიცება, ანარქიას წესრიგი, სახელმწიფოს დაცვა ჭირდებოდა. ჩამოყალიბდა „მუშათა საბჭო“ აღმასრულებელი კომიტეტითა და ჯარისკაცთა საბჭოს გაერთიანებული პრეზიდიუმით: შეიქმნა „ოზაკომი“, რომელმაც სულ მალე დაკარგა ფუნქცია. ქალაქ თბილისის თვითმართველობა კი სამ კაცს სომეხ ხატისოვს, ქართველ ჟორდანიას და რუს ოფიცერ პოპოვს ჩააბარეს. ეროვნებათა წარმომადგენლების ამნაირი განლაგებაც მოსახლეობის ეროვნულ რაოდენობას შეეფარდებოდა, განსაზღვრავდა მათ (სომეხთა, ქართველთა და რუსთა) ხვედრით წონას, რეალური ციფრობრივი მონაცემების მიხედვით.

სერგო იხდიდა სასჯელს. საპატიმრო ვადის გასვლას ელოდა.

ზაფხულის შემდეგ პირდაპირ ზამთარი, ზამთარს გაზაფხული შეცვლიდა, მაგრამ მანამდეც იცვლებოდა რაღაც. ენისეის მთვლემარებას, ტაიგის მშრალ, მძიმე სუნთქვას მოყვებოდა, შესუდრულ დაბა-ხუტორებში ჩამოდიოდა გასაშტერებელი ამბები.

— რევოლუცია! — ყვიროდა სერგო და აღგზნებული მღეროდა სამ ენაზე.

შეიშალა ჩვენი ფერშალიო, მოთქვამდა თურმე იაკუტელი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხილე, ნესტოებიდან ორთქლადენილ ცხენის თავს აფარებული, აპარპალებდა ცრემლით აციმციმებულ უფერო წამწამებს

რევოლუცია!

ღირდა ალბათ ცხოვრება წვალებად. არ იწვალა, არ იტანჯა, არ იყაჩაღა, არ კლა ალბათ უსაგნოდ, უმიზნოდ. წინ რა იყო და რა ელოდა, არ იცოდა, მაგრამ ცხოვრების ერთი მონაკვეთი, სავსებით სამართლიანად, დამთავრებულად ჩათვალა, იქომამდელი ნაჯახირევი გზა კი გონებაში ასე ამოატივტივა:

„...დამაპატიმრეს გუდაუთასთან 1905 წლის 24 დეკემბერს. გამათავისუფლეს 1906 წლის აპრილში.

გერმანიაში გავემგზავრე 1906 წლის აგვისტოში, დავბრუნდი 1907 წლის დასაწყისში.

დაპატიმრებული ვიყავი პირველ მაისს ბაქოში. გამომიშვეს 26 მაისს. ხელახლა დამიჭირეს 1907 წლის პირველ ოქტომბერს ან პირველ ნოემბერს და 1908 წელს გადასახლება-ჩასახლებაში გამაწესეს. 1909 განთავისუფლებული ვიყავი ანგარისპირეთში, ენისეის გუბერნიაში და ივნისში სოფ. პატასკუიდან გავიქეცი. იმავე წელს ჩაველ ბაქოში.

ჩავარდნის გამოისობით სპარსეთში გადავედი, მონაწილეობა მივიღე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მოწყობილ სარდალ-მურის ექსპედიციაში. 1910 წლის ბოლოსათვის ემიგრაციაში წაველ საფრანგეთს.

1912 წელს დამატუსაღეს პეტერბურგში. სასჯელი მოვიხადე იქვე შლისელბურგის ციხეში, შემდეგ ვიჯექი ირკუტსკში — ალექსანდროვსკში 1916 წლამდე. 1916 წელსვე გამათავისუფლეს იაკუტსკში, 1917 წელს კი პეტერბურგში დავბრუნდი.“

დაბრუნდა მეუღლე ზინაიდა სლუცკაიასთან ერთად. რუსეთის იმპერიის დედაქალაქში ძალაუფლებისათვის იბრძოდნენ იმპერიის ნგრევის, დაშლის პროცესში აღმოცენებული და იმპერიის ნანგრევებში ფესვგადგმული პარტიები. ყოფილი, ძლიერი სახელმწიფოს გადაწყობა, გადალაგებას კარგა ხანი დაჭირდებოდა. ზინაიდამ, თუ ტროცკის დავუჯერებთ (დაუჯერებელიც არაფერია) პირველად ნახა მატარებელი და ამ ფაქტმა რევოლუციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. პეტროგრადის საბჭოს კვლავ ხელმძღვანელობს კარლო ჩხეიძე. დროებითი მთავრობის პირველი შემადგენლობა მოლაპარა-

კებას აწარმოებს ფსკოვში გახიზნულ მეფესთან, სამეფო ოჯახის წევრებთან. შულგინისა და გუჩკოვის შუამდგომლობასაც ... დინეობას შედეგი არ მოაქვს. მონარქია უქმდება. ... დინასტია წყვეტს არსებობას. საბჭოებიცა და მთავრობაც დამფუძნებელი კრების იმედზეა. ლენინი მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიით — გერმანიით უახლოვდება პეტროგრადს. მტერმა რატომ, რისთვის გამოატარაო წამოიჭრა ეს საკითხი სულ მალე. ამაზე არც უფიქრიაო, განმარტეს ბოლშევიკებმა. უახლოესი და უმარტივესი გზით მოადგა სამშობლოს, მგზავრობის გეგმა და ნახაზი კი მარტოვმა შეადგინაო, დაუმატეს, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა.

ლენინი პეტროგრადშია. რა გზით შემოვიდა რუსეთში და რა საშუალებით არ ეკითხება არავის. აქვეყნებს საპროგრამო „აპრილის თეზისებად" წოდებულ თეზისებს, გერმანიის ტერიტორიაზე მგზავრობით გამოწვეულ ეჭვსა და უნდობლობას ვერ იშორებს, საქმე თანდათან რთულდება. 6 ივლისს ოფიციალურად მოითხოვეს მისი გასამართლება. 22-ში კი დაასახელეს დროებითი მთავრობის ახალი შემადგენლობა და იუსტიციის მინისტრი, რუსეთის პირველ ტრიბუნად წოდებული კერენსკი მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 3 მარტს მეფის ტახტიდან გადადგომის ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა.

დეპუტატი ყარაულოვი გამოვიდა სათათბიროში და განაცხადა, რომ ხელმწიფე ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძეს სასარგებლოდ. მიხეილ ალექსანდრეს ძემ ხალხის სასარგებლოდ ტახტზე უარი განაცხადა და სათათბიროში აუწერელი ოვაციები გაიმართა, დეპუტატ ყარაულოვის სამახარობლოს გამო. თითქოს ამ ფაქტთან დაკავშირებით, დროებითმა მთავრობამ არც აცია, არც აცხელა და ლენინის გასამართლება ანუ როგორც ახლა იხსენებენ, სასამართლოს წინაშე წარდგომა დაადგინა. ბევრმა ბოლშევიკმა ლენინის მაგივრად თქვა თანხმობა. უმჯობესიაო, ამტკიცებდნენ ზოგიერთები, სასამართლოზე დაასაბუთოს სიმართლე. სასამართლოშივე გამოჩნდება თეთრი და შავი, სამართალი პურს ჭამს მაინცო; ჯობია გამოცხადდეს და იქვე ამხილოს ლიკვიდატორები, სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტები და სხვა და სხვაო. ცხენიც გახედნოს და სიდედრიც ნახოსო, ისე გამოდიოდა. სტალინმა სასამართლოსაგან თავი შეიკავა და ისტორიაში, როცა

ამის შესაძლებლობა მიეცა, თავისი ხელით ჩაწერა: სტალინი სასტიკი წინააღმდეგი წავიდაო. არადა გარკვევით თქვა ბოლოს ალილუევას ბინაში: გამოცხადდეს, მხოლოდ ახლანდელ ბამ უსაფრთხოების სრული გარანტია მოგვცესო. ამნაირი გარანტიის გაცემა არეული ქვეყნის მთავრობას არ შეეძლო და არც გაუცია. სერგო ორჯონიკიძემ და ფელიქს ძერჟინსკიმ ადრევე გააფხარკალეს ფეხები, არავითარ შემთხვევაში არ გამოცხადდესო. ლენინიც სიამოვნებით აყვა მათ ჭირვეულობას და გადაიმალა, როგორც მაშინ იტყოდნენ, გადავიდა იატაკქვეშ, თუმცა მოთავსდა თივის კარავში ტბის პირას, რაზლივში, პეტროგრადიდან, რევოლუციის ეპიცენტრთან ახლოს. სერგოს მეკავშირე-მეთვალყურის როლი დაეკისრა იმთავითვე. პირველი მონახულებისა თუ შეხვედრის ისტორია საყოველთაოდაა ცნობილი. იგი გამოქვეყნდა „პრავდაში" 1924 წელს და უცვლელად გამეორდა ყველა გამოცემაში, შემდეგდროინდელ პარტიულ თუ სპეციალურ გზამკვლელებში, მხატვრულ ლიტერატურაში; დაიხატა ჟანრული ტილოები, გადაღებული იქნა მხატვრული და „დოკუმენტალური" კინოფილმები.

ორჯონიკიძე. „ლენინი ივლისის დღეებში".
(მოკლე შინაარსი)

ზოგიერთი ამხანაგი ამტკიცებს, რომ ლენინი უნდა გამოცხადდეს სასამართლოზე. სტალინი სასტიკი წინააღმდეგია. ლენინი ფიქრობს, რომ არავითარი გასამართლება არ მოხდება. ნოგინსა და ორჯონიკიძეს თავრიდის სასახლეში აგზავნიან პატიმრობის პირობების შესათანხმებლად. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვინმე ანისიმოვი ამბობს: ზომებს მივიღებთ, მაგრამ უსაფრთხოების გარანტიას ვერ მოგცემთო. ამის შემდეგ გადაიმალა ლენინი. სტალინმა ორჯონიკიძე გააგზავნა ლენინის სანახავად.

„...სათიბში პატარა ზვინი იდგა. ბავშვმა ვიღაცას დაუძახა. გამოვიდა ერთი კაცი, რომელიც ამ ბავშვის მამა ყოფილა. მივესალმე. ავუხსენი, რაშია საქმე და ა. შ. მეგონა, ახლა ის წამიყვანდა ლენინთან. ამ დროს წვერ-ულვაშ გაპარსული კაცი მოგვიახლოვდა. მოვიდა. მომესალმა. უბრალოდ, მშვიდად ვუპასუხე. მაშინ მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: „რაო, ამხ. სერგო, ველარა მცნობთ?"

თურმე თვითონ ამხ. ლენინი ყოფილა. აღტაცებით ჩამოვართვი ხელი. გაიმართა საუბარი. რამდენიმე წუთის შემდეგ ილიჩმა ვანდამზე მიმიპატიჟა. შავი პური და ქაშაყი. — აი, მთელი მათი ვახშამი...".

ამის შემდეგ ზვინში, რომელსაც სერგო მოხდენილად აპარტამენტს უწოდებს, გადაბარგდნენ. ლენინმა პეტროგრადის ამბები გამოიკითხა. სერგომ ჩამოკაკლა, რაც იცოდა.

„...შემდეგ ილიჩმა მოგვცა მთელი რიგი დირექტივები: როგორ გვეწარმოებინა მუშაობა, როგორ შეგვექმნა არალეგალური უჯრედი, არალეგალური სტამბა, სხვა და სხვა.

„...საუბარი ამაზე შეწყდა, რადგან დაღლილ-დაქანცულს მოულოდნელად ჩამძინებოდა. დილის ექვსი საათის ნაცვლად, თერთმეტზე გამომეღვიძა. ამ დროისათვის ვლადიმერ ილიჩს მოემზადებინა მთელი რიგი პატარა სტატიები, აგრეთვე წერილები სტალინისა და სხვა ამხანაგებისათვის. გამოვართვი ეს ყველაფერი, გამოვემშვიდობე და წამოვედი. მალე ისევ მომიხდა ილიჩთან გამგზავრება. მივუყვანე ამხანაგი შოტმანი (მიაქციეთ ამ გვარს ყურადღება, ფირის ხელახლა დაბრუნებისას იგი აღარ შეგხვდებათ), რომელმაც ვლადიმერ ილიჩი ფინეთში გადაიყვანა. ამის შემდეგ ვლადიმერ ილიჩი არ მინახავს 24 ოქტომბრამდე, როცა იგი პირველად გამოვიდა აშკარად სმოლნის საქმეთა დარბაზში.

აი ამბავი, რომელიც ყველა საბჭოთა მოქალაქეს (პარტიულ მუშაკებზე აღარაფერს ვამბობთ) სკოლის მერხიდანვე უნდა ცოდნოდა ერთ დროს.

„სერგოს ტყუილის თქმა არ შეუძლია!"

ლ ე ნ ი ნ ი.

როგორ იყო სინამდვილეში:

1921 წელს ახლადდაარსებული გაზეთის „კომუნისტის" ერთ-ერთ ნომერში ხელმოუწერლად გამოქვეყნდა და ისტორიას ჩაბარდა „მოგონება", რომელსაც ახლა გაგაცნობთ:

ლენინი და ნ. კრუპსკაია ალილუევების ბინაში ცხოვრობენ არალეგალურად. დღისით პარტიული ამხანაგები გროვდებიან ლენინის გარშემო. ნოგინი ამტკიცებს: ლენინი უნდა გამოცხადდეს სასამართლოში და საკადრისი პასუხი გასცეს ცილისმწამებლებსო. იუნკრებს საპყრობილემდე არ მიიყვანენ, გზაშივე მოკლავენ, წუხს

ლენინის და მარიამი. თავრიდის სასახლიდან ბრუნდება დროებითი მთავრობის წარმომადგენელის უპასუხისმგებლო განცხადებით (ლენინს უსაფრთხოების გარანტიას ვერ მივცემთო) გაცბუნებული სერგო. რეალური სიტუაციის შეფასების შემდეგ ალილუევების ბინაში შეკრებილი ამხანაგები ლენინის გადამალვის აუცილებლობაში რწმუნდებიან. გადაწყდა: ლენინი დატოვებს პეტროგრადს. გააცილებს სერგო. გზა და საყუდარი მისამართად წერია. ნამეტანი დიდი ქოჩორი აქვს (რასაკვირველია სერგოს) და იცნობენ, ახსენდება ვიღაცას. სერგო გარბის უახლოეს საპარიკმახეროში, რომელიც საკმაოდ ძნელი მისაგნები და შორს აღმოჩნდა. თანაც რიგია. ხნიერი დალაქი აუჩქარებლად მუშაობს, ანეკდოტებს ყვება. სერგო მოუთმენლობამ შეიპყრო. აღელდა და, როგორც ჩანს, შელაპარაკება მოუხდა უდარდელ დალაქთან, გაშინაურებულ კლიენტებთან. დატოვა როგორც იქნა გაქუცულ საპარიკმახეროში თმა, რომელმაც პარიზელი ქალები გადარია თავის დროზე. გულამოვარდნილი დაბრუნდა და ალილუევების ბინაში ვეღარავინ ნახა. წავიდნენო, უთხრა ლენინის დამ. აღარ დამელოდნენ, ენდე აწი ამათ, ფიქრობდა სერგო ჰოლში, მაღალ სარკეში იხედებოდა დაფიქრებული, გადახოტრილ თავს მიჩერებოდა. წაბლისფერ თმას მიტიროდა თუ წაუსვლელობას, ძნელი გასარკვევია. ერთსაც და მეორესაც, რაღა თქმა უნდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ჩავიდა იგი სესტრორეცკში და კითხვა-კითხვით მიაგნო ემელიანოვის პატარა სახლს, განათებული ფანჯრიდან ზურგშექცევით წაკუზული, თეძოებსავსე ქალი დაინახა.

„...ქალს ოდნავი აღელვება არ დატყობია და როცა ლენინის ამბავი ვკითხე მხიარულად მიპასუხა, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ფრიად კარგად გრძნობს თავს და მხოლოდ იმას სჩივის, რომ გაზეთები არ მიდის თავის დროზე.“

ღამის თერთმეტი საათია.

დედამ ბიჭუნა გააყოლა მეგზურად. ბიჭუნამ ახსნა ნავი, ნიჩბები სტუმარს მიაწოდა და თავად საჭეს მიუჯდა. (ცნობისათვის: მხოლოდ ეს ბიჭუნა და ბიჭუნას დედა გადაურჩება 30-იან წლებს. მამასა და ძმებს მიუხვრეტენ, თავად ციმბირს უკან დაატოვებინებენ 20 წლის შემდეგ).

„...მთვარის შუქზე ჭავლის მყუდრო შრიალში მისცურავდა ბენ-ნი ნავი...“

ლექსის სტრიქონია თითქო. პოეტურად აღწერს ამ სცენას და მისცურავდას ამბობს, ასო ს-საც კი ექსპრესიის როლი ეკისრება უთუოდ. ჭაობიან ხმელეთს დაუპირდაპირდნენ, ჭანჭყობში გადავიდნენ და მიადგნენ „ვეებერთელა თივის ზვინს.“

„...შუა ღამის ხანს მხოლოდ მთვარის ფერწასული სხივი ანათებდა საზამთრო მოსასხამში გახვეულ ორ სხეულს. ძლივს ვიცანი მე ამხ. ლენინი და ზინოვიევი. წინათაც ვიცოდი, ზინოვიევი რომ ლენინთან სცხოვრობდა და არ გამიკვირდა ერთად ნახვა.“

ესეც საკითხავია გაუკვირდა თუ არ გაუკვირდა. იგი მხოლოდ ლენინს ელოდა, ზინოვიევს იცნობდა და მეტი არა. კონფერენციებზე, საკრებულოებში ხვდებოდა და რატომღაც გაურბოდა. დაბალი, სქელი, სქელთმიანი კაცი უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირს აწლაპუნებდა, დამცინავად იმზირებოდა, ირონიაშეზავებული მსჯელობდა და როდის ლაპარაკობდა სერიოზულად სერგო ვერ ხვდებოდა.

თივის ზვინის წინ ისხდნენ, საუბრობდნენ მთვარიანში. (ბავშვი ალბათ გაბრუნდა ნავითვე); მთისა და ბარისას ყვებოდნენ. სერგომ პარტიული ამხანაგის ლაშევიჩის სიტყვებიც გაიხსენა: „აი, ნახავთ, ამხ. ლენინი ენკენისთვეში პრემიერ-მინისტრი იქნება!“

„...ეგ ჩემო კარგო, გასაკვირალი არ არის!“ — უპასუხა თურმე ლენინმა.

„...უნდა გამოვტყდე, ფრიად მეუცხოვა ასეთი პასუხი და განცვიფრებით შევავლე თვალი ლენინს.“

ლენინმა თურმე სერგოს ჩაციებული მზერა იგრძნო და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

„...ივლისი იყო, მაგრამ ჭაობის ცივი სუნთქვა ჰაერს ყინავდა; მე ვკანკალებდი საზაფხულო ტანსაცმელში.“

აკანკალებულ სტუმარს კარავმაც არ უშველა.

შუაში ჩამიწვინეს ლენინმა და ზინოვიევმა და ისე გამათენებინეს ღამეო.

დილით ჭაობში დასვრილი პალტოთი მომევლინაო, გაიხსენებს შემდეგ ზინაიდა და გულმავიწყობასაც გაამჟღავნებს, ან ერთ ეპიზოდს მეორეში აურევს. საზაფხულო ტანსაცმელში ვძაგძაგებდი

ღამითო და ჩათბუნებულს და გამოძინებულს იმ შუა ივლისში ლენინი პალტოს ხომ აღარ აჩუქებდა კამოსავით.

„...ამის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში და მეტიც, ყოველ დღე ან დღეგამოშვებით მე ჩამოვდიოდი პიტერიდან, მომქონდა ჩვენი ამხანაგებისათვის საჭმელი გაზეთები და სხვა...“

ლენინს ეძებენ ამასობაში.

„...ფეხზე დადგა „კონტრდაზვერვა“ და სისხლის სამართლის „სიშჩიკები“, მოახდინეს ძაღლების მობილიზაციაც და მოიწვიეს სახელგანთქმული ძაღლი — მეძებარი — ტრეფი.“

რით იყო „ტრეფი“ სახელგანთქმული არ წერია, მაგრამ იმ კონკრეტულ შემთხვევაში თავი რომ ვერაფრით გამოუჩენია, აშკარაა, თუმცა პეტროგრადში დაატარებდნენ და თივის ზვინს სიზმარში ვერ ნახავდა. გარდა ტრეფისა, ძებნაში ჩაბმულან მოხალისენი, სამოქალაქო და სამხედრო პირები.

„...ორმოცდაათმა ოფიცერმა ფიცი დასდო ან თავი გასწიროს ან ლენინი მონახოს.“

მადევართა წრე იკვრება და თანდათან ვიწროვდება სესტრორეცკისა და რაზლივის გარშემო. უკვე მინდორ-მინდორ უფშვიტინებენ სახელგანთქმულ ტრეფის, რომელსაც აქამდე ტრამვაის ლიანდაგებზე აღებინებდნენ გეშს. მდგომარეობა კრიტიკული ხდება. ლენინის გაჩერება აღარ შეიძლება იმ რაიონში, იმპერიაშიც კი.

საზღვარზე გადასვლის რამდენიმე ვარიანტი შეარჩიეს.

ყალბი პასპორტი.

ფსევდო-საპასპორტო კონვეიერი შეუფერხებლად მუშაობდა კიდევ მთელს სახელმწიფოში. იპოვებიან ფალსიფიკატორები, რეალიზატორები და მომხმარებლები, თავისთავად ცხადია.

ლენინი წვერ-ულვაშს იპარსავს და პარიკმორგებული დგას სანდო ფოტოგრაფის ობიექტივის წინ. ზინოვიევი პირიქით აკეთებს, წვერს უშვებს ნახევრად ქოსა სახეზე და სერგოს ფიქრისა და ტვინის გარყევის დრო რჩება:

კერენსკის მთავარ შტაბში ფინეთში გასვლის ნებართვას (ვიზას) იღებს. „...როგორც ფინლანდიის მოქალაქეს, მოქალაქის ნებართვა ოლად მომცეს...“ აქ რაღაც გაუგებრობაა. მოქალაქე თუ იყო. მოქალაქეობა რაღად უნდოდა ანდა „ფინლანდიის“ მოქალაქეობა როდისღა მიიღო. იგი ალბათ ფინეთის მოქალაქე გახდა ჯერ (ძა-

ლიან კი გავდა ფინელს) და შემდეგ, რაც სავსებით ბუნებრივია, აიღო სამშობლოში წასვლის ნებართვა. თანაშემწედ დარაგონ-ორად აიყვანა პარტიული ამხანაგი ე. რახია, 37-ში მიხვრეტილი ფინეთის ერთ-ერთი სახალხო კომისართაგანი. რამდენჯერმე გადავიდა და გადმოვიდა რახიასთან ერთად (ზინოვიევს ამასობაში წვერი ეზრდება) საზღვარზე, როგორც ირკვევა, ყოველგვარი შეფერხებისა და დაბრკოლების გარეშე.

დასკვნა:

გადავალთო, მაგრამ ლენინს აუცილებლად ამოიცნობენ მოდარაჯე მსტოვრები, ამ საქმეზე რომ იყვნენ დაგეშილნი ტრეფივით. უარყოფილი იქნა ეს ვარიანტი და წინ და უკან სიარული შერჩათ ხახვივით. ორთქლმავლით გასვლა უფრო საიმედო ეგონათ და ასეც აღმოჩნდა. ლენინი მემანქანის თანაშემწედ წარუდგებოდა სასაზღვრო დაცვას, ზინოვიევი კი დარჩებოდა (რატომ იმალებოდა და ვის ემალებოდა, გაურკვეველია)" ...პეტერბურგში, სადაც მისთვის უკვე მზად იყო ოთახი „ლესნოიაში" სადგურ „უდელნაიას" მახლობლად აივაზოვის მუშის ამხ. კალსკეს ბინაზე."

„...მემანქანე ამხ. გ. იალავას, რომელმაც იკისრა ლენინის გადაყვანა, კარგად ვიცნობდი ბავშვობიდან..." საიდან იცნობდა კარგად და თანაც ბავშვობიდან იქაურ მემანქანეს, ფინეთის მოქალაქეობის არ იყოს, გაუგებარია.

დასახული მარშრუტით მიაბიჯებენ: ლენინი, ზინოვიევი, ორჯონიკიძე, რახაი და ზვინის პატრონი ემილიანოვი. ღამეა უმთვარო. უნდა მიაგნონ სადგურ ლევაშოვოს, საიდანაც გაემგზავრებიან უდელნაიაში კალსკეს ბინამდე. კალსკე მოძებნის ბავშვობის მეგობარ მემანქანეს, რომელიც ცეცხლფარეშად აიყვანს ლენინს. საკმაოდ მარტივი ოპერაციაა ჩასატარებელი, რომლის განხორციელებისათვის მაინც მრავალი წვრილმანი იქნებოდა გათვალისწინებული.

„...გზის ძებნაში ჭაობს წავაწყდით. გავყევით მშრალ ჭაობს ირგვლივ და ცეცხლმოკიდებულ წანახშიან (ტორფის რკალში მოვხვდით). წანახში იწვოდა და ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი, რომ ცეცხლში ჩავეფლობოდით; დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით, მხრჩოლავ ბუჩქნარში და კომლში გახვეულებმა მივაგენით ვიწრო ბილიკს; ცეცხლისაგან გადაგვარჩინა ბილიკმა, მაგრამ დავრწმუნდით, რომ გზა საბოლოოდ დავკარგეთ..."

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე მ დ ე გ:

„...უნდა გამოვტყდე, ჩვენი ვლადიმერ ილიჩი უსაზღვროდ
გინებდა ცუდი ორგანიზაციის გამო.“

სიტყვა „უსაზღვროდ“ გინებას არ ეხამება. უსაზღვროდ ვუყვარდიო, იტყვიან. უბედურად, უშვერად, დედმამის სულს გვაგინებდაო ამბობენ გინება იქით იყო, ქვისკენ პირი გვიქნია, მაგრამ დრო ყველაფერს ასწორებს და გინება ქებად მოგეჩვენება ხანდახან. ასე გინებ-გინებით გაიკვლიეს, როგორც იქნა, გზა და გავიდნენ ლევაშოვოში კი არა, სადაც უნდა გასულიყვნენ, არამედ—დიბუნში. მკრთალად განათებული პატარა სადგურის მოღნიოშებულ შენობაში იუნკრების პატრული შენიშნეს. რა უნდოდა ამ უკაცრიელ ბაქანზე ამ უდროო დროს პატრულს. ლენინს თუ ეძებდნენ რაღა ამ გზააბნეულებს გადააწყდნენ.

„...ჩემი რჩევით ამხ. ლენინი, ამხ. ზინოვიევი და რახაი ფერდოს ამოეფარნენ ბნელში.“ ფერდობს ფერდოს ეძახიან ახლაც ზოგჯერ ლორეშაში და მოგონებაც ქართულად უნდა ჰქონდეს სერგოს დაწერილი. წანახში (ტორფის მნიშვნელობით) და მშრალი ჭაობი რომ არ იყოს ნახმარი, საჭოჭმანოდ არ გავხდიდით ამ საკითხს.

მ ო კ ლ ე დ:

ლენინი, ზინოვიევი და რახაი სიბნელეში მიწაყრილთან დარჩნენ, ორჯონიკიძე და ემილიანოვი ბაქანზე გავიდნენ.

„...ერთი წუთიც არ გასულა და თავზე დაგვადგა თოფიანი იუნკერი, რომელმაც მიმართა ამხ. ემელიანოვს: რას აკეთებთ აქ? ემელიანოვი არ მოელოდა ასეთ შეკითხვას (საინტერესოა, რანაირ შეკითხვას ელოდა) და რაღაც ისეთი წამოროშა, რომ იუნკერი, როგორც შევატყვეთ, არ დაკმაყოფილდა მისი განმარტებით. „და ემელიანოვი თან გაიყოლა. მეო, იხსენებს სერგო, იუნკერმა“ ადგილობრივ მოაგარაკედ მიცნო (ცოტა სათუოა) და მეტად ზრდილობიანად შემეკითხა, პატროგრადისაკენ ხომ არ ვაპირებდი წასვლას, მეც თავაზიანად დასტური ვუპასუხე. „ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა. მატარებელი მხოლოდ რამდენიმე წუთით ჩერდებაო, თქვა იუნკერმა და ალბათ იმიტომაც, სერგო რომ ადგილობრივ მოაგარაკედ იცნო, ვაგონში ძალით აიყვანა.

ორთქმავალის კვილზე და ბორბლების რაკარუკზე მოეგო გონს გაშტერებული სერგო და ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვიდა.

როცა მივხვდი, უდელნაიაში კი არა ოზერსკში ვიყავი, ბოლო ვა-
გონიც მიეფარა თვალსო. გაბნელუჩინარებულ ვაგონს გააყოლა
თვალი და ჩაწყვდიადდა კიდეც. ფეხით გაყვა ლიანდაგს ...
ტულ-დანაწევრებულ ექსპედიციის წევრთა ხვედრზე შეჭიკვებუ-
ლი. მიდის გაოფლილი არათანაბრად გაწყობილ განძელებზე არე-
ული და მოუზომელი ნაბიჯებით, ახსენდება ვლადიმერ ილიჩი და
სად მივატოვეო, წუხს. ღამის სამ საათზე მიადგა კალსკეს ბინას.
როგორი იყო ჩემი გაოცებაო, წერს იგი, როცა ლენინი და ზინო-
ვიევი იქ დამიხვდნენო. ვახშამზე ჩაი მიეყოლებინათ, იატაკზე გაშ-
ლილ ლოგინებში შეწოლილიყვნენ და არ ეძინათ. გასავათებული
სერგოს შემყურენი იცინოდნენ ჩაბჟირებულნი. ფერდოს ამოფარე-
ბული გიყურებდით, როგორ აგიყვანა იუნკერმა მატარებელშიო.
რა უხაროდათ, სერგომ ვერ გაიგო. ბოლო ვაგონს შეხტომოდნენ
თავად და ჩამოსულიყვნენ აქ სადაც უნდა შეყრილიყვნენ ყველანი.
სასაცილოდ რომ არ ჰქონდა საქმე, სერგო ადრევეც ხვდებოდა,
მაგრამ ახლა თვალის მოსატყუებლადაც არ შეეძლო თავის წადება.
უნდა გასულიყო ვიბორგის მხარეში, უნდა ენახა ემელიანოვის
ცოლი, განათებული ფანჯრიდან წაკუზული რომ დაინახა სეს-
ტრორეცკიში, უნდა ეთქვა ქმრის დაპატიმრების არც თუ სასიამოვ-
ნო ამბავი და ჟანდარმერიასთან მოსალოდნელი შეხვედრისათვის
უნდა მოემზადებინა. კარგი ძილი უსურვა ჩამთბარ ზინოვიევს და
გაუყვა ვიბორგის გრძელ გზას. თავზე რომ დაათენდა მემანქანე
იალოვა, ბავშვობაშიც რომ იცნობდა, ნახა და დაღამებულს მიუყ-
ვანა ლენინი და რახაი. პირწმინდად წვერ-ულვაშ გაპარსულ ლე-
ნინს ახალი პარიკი ჰქონდა მორგებული და სერგოს ვარაუდით,
ნამდვილად გავდა ფინელს.

ჩავიდნენ ფინეთში.

ლენინი ჯერ ლახტში მიიყვანა, შემდეგ ჰელსინგფორსში პოლიც-
მეისტერის სახლში დააბინავა, უკან ჩამოსაბრუნებლად სხვა გზა
დაიგეზა და ამის შემდეგ ჩემი მისია დასრულებული იყოო, დაწე-
რა. ზინოვიევი, რომელსაც არც არავინ ეძებდა, როგორც გამოირ-
კვა, სასამართლოში გამოცხადებასაც არავინ თხოვდა, მშვიდობია-
ნად დაბინავდა პეტროგრადში და მოწვერულვაშებაც არ დაურჩა
საჭირო. პიერ ბეზუხოვს ჰგავდაო, მოიგონა ლუნაჩარსკიმ. ჰგავდა

ალბათ სისქეში. საკუთარი სიკეთისა რცხვენოდა, მორიდებული და თავმდაბალი იყო. თავმდაბლობის რა მოგახსენოთ. ... ლებას რაც შეეხება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის ზაფხულში რევოლუციის მესამე წლისთავის აღსანიშნავად გამოვიდა ფოტოალბომი „ოქტომბერი", რომელშიც რევოლუციური ბრძოლების ამსახველი და რევოლუციონერების ფოტოები და ფოტომონტაჟები იყო დაბეჭდილი. ალბომი, სულ რამდენიმე ეგზემპლიარიღაა თურმე დარჩენილი, ოთხ ენაზე იყო შედგენილი და საზღვარგარეთის ქვეყნებისთვისაა აშკარად გათვალისწინებული. ერთ ფოტომონტაჟში, რომლის სათაურია „რევოლუციის შემქმნელნი" დაახლოებით 60 ცნობილი და სრულიად უცნობი პირის ფოტოპორტრეტია გაერთმთლიანებული. ბევრს დღესაც იცნობს მათვალიერებელი, ბევრს ადრეც ვერ ამოიცნობდა. ზოგიერთის გვარს პარტიის ისტორიის მკვლევარიც ვერ გაიხსენებს თავისაუტკივებლად.

შუაშია ლენინი, ხელმარცხნივ უდგას ტროცკი, ხელმარჯვნივ ზინოვიევი. ახლო-მახლო არიან: კამენევი, სვერდლოვი, რადეკი, ძერჟინსკი, პიატაკოვი, რიკოვი და სხვები, მათ შორის გორკი, ბელა კუნი, როზა ლუქსემბურგი და ასე შემდეგ. ორჯონიკიძის ხსენება არაა და არ ჩანს სტალინი. ზემოდნახსენები ფოტომონტაჟის ჩათვლით მთელ ალბომში (სხვა გვერდებზე) ლენინის 21, ტროცკის 14 და სტალინის ორად-ორი გამოსახულებაა. ზინოვიევის რამდენი ფოტოსურათი იქნება, როგორ ფიქრობთ? ოცდაცამეტი. ზინოვიევი იმ დროს კომუნისტური ინტერნაციონალის ანუ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლიდერი იყო, ამ ორგანიზაციის ეგიდითაა ალბათ ალბომიც ოთხ ენაზე შედგენილი. მაგრამ ზინოვიევის თავმდაბლობას მარტო ამ ფაქტით ვერ ავხსნით და სტალინსაც არ უყვარდა ამნაირი მორიდებული ადამიანი. ერთი ცხვრისკენ რომ ეთქვათ და მეორე მგლისკენ, ამისდამაგვარი შეურაცხყოფა საკმარისზე მეტიც ჰქონდა თავის დროზე ჩაყლაპული, მხოლოდ არმონელებული და ამაზეც აღარ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ: ხელისუფლების ხელში ჩაგდების წინ ოქტომბერში ცენტრალური კომიტეტის დახურულ სხდომაზე ჩამოაყალიბეს აჯანყების ხელმძღვანელი რევოლუციური სამხედრო ცენტრი ბუბნოვის, ძერჟინსკის, სვერდლოვის, სტალინისა და ურიცკის ხელმძღვანე-

ლობით. ნოემბერშივე შეიქმნა ცეკას ბიურო, რომელშიც შევიდნენ: ლენინი, სვერდლოვი, სტალინი და ტროცკი. დადგენილებაში ჩაიწერა: **„ვითარების სირთულის გამო ამ ოთხეულს ნება ეძლევა ცეკას სხდომების ჩატარებისა და ყველა სახელმწიფო საქმის გადაწყვეტისა“** და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი კონსტიტუციური და რესპუბლიკანური ილუზიები განაცხადა ლენინმა „აპრილ'ს თეზისებში“. იქვე უარყო ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ (დაჭირდება და ამ ლოზუნგს ისევ მიუბრუნდება) და მუშათა კლასს პირდაპირ აჯანყებისაკენ მოუწოდა. იგივე გაიმეორა 24 ოქტომბერს. აჯანყების დაგვიანება სიკვდილს უდრისო, დაუმატა. გადეზერტირებული ჯარი კი ამ მოწოდების გარეშეც განაგრძობდა ნგრევას, ნელ-ნელა იკავებდა ხიდებს, სახელმწიფო დაწესებულებებს. აღარ არსებობდა ფოსტა, ტელეგრაფი, საუწყებო სამსახურები. ზამთრის სასახლის დამცველმა რაზმმაც მიატოვა სასახლე და „ავროროსაც“ არ დადგომია დიდი ჯაფა. ნავახშმევს, სერის კუდის გადასვლისას სმოლნში გაიხსნა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა ყრილობა.

ჯარი მოდიოდა ფრონტიდან ჯგროდ. უმართავ მასას ჭირდებოდა პატრონი. შემობრუნებულ ნახირს უნდა ჩადგომოდა ვინმე სათავეში. იყო, ასეთი პარტია, რომელიც ამას მოახერხებდა. იყვნენ ლიდერები იქითურები და აქეთურები: კერენსკი, კორნილოვი, ლენინი, პლეხანოვიც კი, რომელიც 40 წლის განშორების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში ლენინის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ფინეთის ვოგზალში მოუწყვეს მასაც ლენინზე არანაკლები მასშტაბის შეხვედრა. ჯავშნოსანზე არ შემდგარა, მაგრამ სახელდახელო ტრიბუნიდან შავი დღე აყარა ბოლშევიკებს და ლენინს, სამშობლო დავიცვათ უპირველეს ყოვლისაო. ვინ ვის იცავდა კაცმა აღარ იცოდა უკვე. ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავდა, ყველა თავისებურად ჭრიდა და კერავდა.

ზავი. პური. მიწა მიწის მუშას, ქარხანა ქარხნის მუშას და ყველაფერი მუშას! მთელი ძალაუფლება საბჭოებს! არავითარი ძალაუფლება საბჭოებს! ძალაუფლება დამფლშნებელ კრებას. არავითარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი კრება. მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებული ზავი და ყველაფერი მუშას.

ზავი, პური და მშვიდობა!

„ამხანაგებო! პეტერბურგში რევოლუციაა! ჯარისკაცები მიემხრნენ მუშებს; ხალხის მხარეს გადავიდნენ: პრეობრაჟენსკის, ვალინსკის, პავლოვსკის და სემიონოვკის პოლკები მცირე ყოყმანის შემდეგ მას შეუერთდა კეგსმოლსკის პოლკიც!“

იწყებოდა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. თენდებოდა დილა ბოლშევიკებისა. ერთმმართველობისა, ტირანიისა, ხელახალი ნგრევისა, ხელახალი შენებისა; იმპერიის დაშლისა და სახელმწიფო-საპყრობილის განმტკიცება-გაფართოებისა.

აზრიალებულ დარბაზში შევიდა დაგვიანებული სერგო „საქორწინო მოგზაურობის“ დასასრულს. პეტერბურგი—ბაქო—თბილისი—ქუთაისი ბელაგორი—ღორეშა ზინაიდასთან ერთად, უკან იმავე გზით ცალად. შევიდა ჯგლეთაში და მუჯლუგუნებით გაიკვლია გზა ქანდარისაკენ. ღონივრად ურტყამდა იდაყვებს დელეგატებს და აბლოყინებულ მასაში მიიწევდა წინ. იდაყვებითა და მუჯლუგუნებით იცოდა ხალხში გზის გაკაფვა. ეს შემჩნეული ჰქონდათ, დაფიქსირებულია კინოკამერითაც. „სალდათებში“ ჩაეკვეხა ქანდარაზე. ჩახედა დარბაზს, სცენას, პრეზიდიუმს, ელექტრონის შუქში და თუთუნის ბოლში გაარჩია პრეზიდიუმში მსხდომთა სახეები და მიხვდა, რომ ტაბლა-კვერები დარიგებული, თანამდებობები და ფუნქციები განაწილებული იყო; რაღაცას არგუნებდნენ მაინც ახალი ისტორიის დასაწყისში თუ მარჯვედ იქნებოდა, სიფხიზლეს თუ არ მოადუნებდა. ჯერ არ იყო ყველაფერი დაკარგული.

ზინაიდა, მატარებელმა რომ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვიდრე რევოლუციამ, ღორეშაში ელოდა ქმარს. არც ავი ისმოდა დაკარგული კაცისა, არც კარგი. ნისლისა და წვიმის ფარდებით დაბურულ გორებს, ბურუსში ჩავარდნილ კვადოურას ხეობას გაჰყურებდა. ატალახებულ შუკებში ჩოჩიალა ურმებს მოათრევდნენ კისერმოღრეცილი, წითელი ხარები, თავზე გაკეცილ ტომარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურული, შარვალაკოტავებული, ფეხშიშველი გლეხები მოაბოტებდნენ აყალოში ხიო, ხიოს ძახილით. როგორ არ ცივათ აქაურებსო, გაოცებას ვერ მალავდა აივანზე აბუზული, დესპინეს შალაში გახვეული იაკუტელი ზინაიდა და ნოემბრის ერთ დილით გვიან გაღვიძებულმა მოწმენდილი ცა და მზით გაკაშკაშებული მიდამო დაინახა, თვალები აუბრჭყიალდა და წამოიძახა, ღმერთო, რამდენი ფერებიაო.

რუსეთის მოქალაქეებს!

დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ხელისუფლება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელშია, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატს და გარნიზონს.

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციას!

დაპატიმრებულია დროებითი მთავრობის წევრები, ეძებენ გაქცეულ კერენსკის. იმ ალაგას, სადაც კერენსკი იმალება და სადაც კერენსკის არ ეძებენ, დაბოდიალობს სერგო, რომელიც ველობატალიონის ჯარისკაცებს ჩაუვარდათ ხელთ და არ ეგონა, თავს თუ არ წააგებდა. საათნახევარი ალაპარაკეს მანდატის გადამოწმების შემდეგ, გაგვაგებინე რა ხდებაო და ჭირის ოფლში გაწურულს ნდობა გამოუცხადეს. ველობატალიონი რომ გააბოლშევიკა, თქვენი იქნება ყველაფერიო, რომ დაუმტკიცა, ცენტრალური კომიტეტის აგიტატორთა საფრონტო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაიმსახურა. გატჩინას შემდეგ პულკოვო, ცარსკოე სელო, სადაც საბრძოლო ნათლობაც მიიღო და შეცურდა რევოლუციის პირველი დღეებისა და სამოქალაქო ომების ხანგრძლივად ამღვრეულ მორევში.

„სახკომსაბჭოს საგანგებო კომისარ ს. ორჯონიკიძეს!

მისი თავმჯდომარეობით უნდა შეიქმნას სამხრეთ რაიონის დროებითი საგანგებო კომისარიატი, რომელიც გააერთიანებს: ყირიმს, დონის ოლქს, თერგის ოქს, შავიზღვისპირეთის გუბერნიებს, შავი ზღვის ფლოტს, მთელ ჩრდილოეთ კავკასიას ბაქომდე. კომისარიატის მიზანია: განუხრელად განახორციელოს ცენტრალური საბ-

ჭოთა ხელისუფლების დირექტივები ხმელეთზე, წყალზე და ასე შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ულიანოვი (ლენინი).

სახალხო კომისრები: ი. სტალინი, ჩიჩერინი, ლუნაჩარსკი.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მართველი—ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი.

საბჭოს მდივანი ნ. პ. გორბუნოვი.

სანამ „სამხრეთ რაიონს" ჩაუდგებოდა სათავეში უკრაინაში იქნა გადაგზავნილი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უზარმაზარი უფლებებით აღჭურვილი; უკრაინის სამხედრო და სამოქალაქო საქმეებს განაგებდა ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში. ხარკოვში ჰქონდა რეზიდენცია და უშუალოდ ლენინისაგან იღებდა დირექტივებს, ბრძანებებს, თხოვნის ტელეგრამებსაც.

„გახსოვდეთ, რომ თქვენზეა დამოკიდებული პიტერის გადარჩენა შიმშილისაგან!" (ლენინი)

„მიიღეთ უაღრესად ენერგიული და რევოლუციური ზომები პური, პურისა და პურის გასაგზავნად!!! (ლენინი).

სამი ძახილის ნიშნით აქვეყნებენ ხოლმე ამ დოკუმენტს. ეგრევეა ალბათ დაფიქსირებული მიღების ადგილზე. მაშინდელი სატელეგრაფო აპარატების ამ გამაძლიერებელი ნიშნების მიღებას ალბათ არ ითვალისწინებდნენ, მაგრამ ტექსტი ტელეგრამისა და განლაგება სიტყვებისა თავისთავად მიანიშნებენ ბრძანებას, თხოვნას, მუდარას, მაშინდელი სიტუაციის სიმძაფრეს.

პ უ რ ი, პ უ რ ი, პ უ რ ი!!!

და დაიძრნენ ეშელონები. მატარებელი გაყვა მატარებელს. პური მიუახლოვდა პეტროგრადს. უკრაინას კი ავსტრო-უნგრეთისა და გერმანელების დივიზიები მიადგნენ; ჰაიდამაკების, კალედინის და კრასნოვის ჯარები შემოყვნენ ბრესტის ზავს. „ნაციონალისტმა" უკრაინელებმა უკრაინა უკრაინის რესპუბლიკად გამოაცხადეს. მალოროსია ეყრებოდა როსიას. საბჭოთა ხელისუფლება აღარ იყო, ბოლშევიკების ძალაუფლება დავიდა ნოლამდე და სერგომ სამხრეთისაკენ გადაინაცვლა, თან წაიღო მანდატი ზემოთ რომ გამოვაქვეყნეთ.

ადრევე:

კერენსკიმ ერთგულ ჯარებთან შეხვედრის საბაბით, დროებითი მთავრობის დაპატიმრებამდე მიატოვა ზამთრის სასახლე და გატჩინოსაკენ გაემართა. წასვლამდე ერთი ხელი მუცელზე დაიდო, მეორე ზურგზე და საისტორიო სიტყვა დატოვა:

„მე მივემგზავრები პეტროგრადიდან და მინდა მწამდეს, რომ პეტროგრადგარეთ გავაკეთებ იმას, რასაც ჩემი რევოლუციური მრწამსი მიკარნახებს და თქვენ თანამებრძოლნო, როცა აქ არ ვიქნები მე და რევოლუციას არ ჩაგვცეთ დანა ზურგში!"

თითქმის მთელი რვა თვე გატჩინოს რაიონში, სადაც ს. ორჯონიკიძე მოღვაწეობდა იმ დროს, იმალებოდა იგი. სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურების გამო არ გამცა არავინო, დაწერა. რა დამსახურებისათვის უნდა ეცეთ პატივი წერა-კითხვის უცოდინარ ბოგანო ხალხს. მამა შვილს და შვილი მამას არ ინდობდა იმ ხანებში. კერენსკის მამა ილია ულიანოვის შვილების (ლენინისა და მისი დაძმანის) ოფიციალური აპეკუნი იყო. ილიას სიკვდილის შემდეგ პატრონობდა ულიანოვების ოჯახს. კერენსკის მამის წყალობით ჩაირიცხა ლენინი ყაზანის უნივერსიტეტში. დიდი კაცი იყოო აქებს კერენსკი მოგონებებში ლენინს და გადარჩენას აბრალებს ხალხს, ვისი სახელითაც მოქმედებდნენ ერთიცა და მეორეც.

ანარქისტებით, მემარცხენე ესერებით, კორნილოველებით და წვრილ-წვრილი, გაურკვეველი ორიენტაციის პოლიტიკური ჯგუფებითაა გატენილი როსტოვი. სასტუმრო „პალას ჰოტელის" გაშტაბებულ სართულზე, ერთ-ერთ ნომერში გადამცემ აპარატთან, შტაბის თანამშრომლებთან, უშუალო ხელქვეითებთან ზის სერგო, ჯერ არ შექმნილი „სამხრეთის რესპუბლიკის" სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. ქალალდის კომისარიატის სამფლობელოში კი ყოველი მხრიდან შემოდიან გერმანელები, კრასნოვის კაზაკები, ჰეტმან სკოროპადსკის ჰაიდამაკები, ანარქისტები, ბანდიტები, სხვადასხვა ჯურის ავანტურისტები. სერგომ კარგად ვერ გაარკვია, ვისი უფროსია, ვინ ვისი ხელქვეითია და საერთოდ რამდენი უფროსი, სარდალი, კომისარი, გეტმანი და ატამანი ეპატრონება ამ მხარეს,— მინდორს, სტეპს, დონს, თვალუწვდენელ სიმდიდრეს შავი, ბარაქიანი, ნოყიერი მიწისას.

ვინმე პეტრენკომ რევოლუციის სახელით, ათასკაციანი რაზმით

როსტოვის ბანკები დააცარიელა ფულისა და ძვირფასეულობისაგან, დამტვერილი, გარუჯული მატარებლებით, ჯარით, ფულ[illegible]ლით, ამუნიციით გაქანდა დაუდგენელი მიმართულ[illegible] შნოსანით დაედევნა სერგო პეტრენკოს ეშელონებს ტიხორეცკაია-ცარიცინის გადასარბენზე. ეშელონები მიჯლიგინობდნენ გადამწვარ სტეპებში, გაოხრებული პურის ყანების გასწვრივ, დონის განდაგან, ორთქლმავლების ქშენით, ორთქლისა და ბოლის ფრქვევით, ტანდერების ხათქა-ხუთქით, მუგუზლების ჩინჩხვრის ყრით და ნაპერწკლების სეტყვის ცვენით.

ერთი ეშელონი გააჩერეს, როგორც იქნა, ერთ-ერთ გადასარბენზე. მოლაპარაკება ამჯობინა ეშელონმა. ცოტას დავთმობ და მშვიდობიანად გავეცალოთ ერთმანეთსო, შემოთვალეს. ფულს და ოქროულობას ჩამოგართმევთ, მოთავეებს დავხვრეტთო, აცნობეს ჯავშნოსანიდან. ეგრეც გააკეთეს, თუ მემატიანეებს ვენდობით. დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. დამხვრეტლებს ანგარიში და ანდერძი არ დაუტოვებიათ; გადარჩენილებს კი ამ ქაოსში, ჯგლეთაში სხვაც ბევრი ექნებოდათ მძიმედ მოსაგონებელი და მიხვრეტა-მოხვრეტის ეპიზოდები, მატარებლების ჯახა-ჯუხი, სროლების გაბმული და წყვეტილი ხმები გაბმულ, ჩვეულებრივ ეპიზოდად დარჩებოდათ მეხსიერებაში.

ცარიცინშია.

მდევრად ჩასული გადაჭარბებულად აქტიურობს; ქალაქს იცავს ანარქიისაგან და კიდევ მეტ არეულ-დარეულობას ქმნის, ზედმეტ ყურადღებას იპყრობს, მისიანების უკმაყოფილებას იმსახურებს. ზედიზედ აგზავნიან მოსკოვში რაპორტებს, საჩივრებს აღგზნებული გამყივანი ხმის კომისრის უფლებებისა და გავლენის სფეროების დასადგენად და დასადასტურებლად. ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაეტევაო და მარტო სამი თანამემამულე — სტალინი, სერგო და ევსევი ჩიქვანაია დატრიალებს ერთ ბუდეს. ქალაქს ბევრი ეპატრონება, ქალაქი კი ევსევი ჩიქვანაიას ემორჩილება. ორჯონიკიძე არამკითხეს ჰგავს და იგი ტოვებს კიდეც იქაურობას.

როსტოვშია კვლავ.

სასტუმრო „პალას-ჰოტელშია“ ისევ გაჭიმული. სასტუმრო ფრონტის შტაბს ჰგავს, ვიდრე სასტუმროს, თუმც სხვადასხვა სართულზე, სხვადასხვა ნომრებში მრავლად არიან მოკალათებულნი

საქმოსნები, შულერები, სპეკულიანტები, აფერისტები, მეძავები, ქურდები. შემოსასვლელში მკერდ-მუცელზე გადაჯვარედინებულ ფალასკებიანი მთვრალი მეზღვაურები ღრიალებენ. ფანჯრებიდან თვოდ შედიან და გამოდიან გასამხედროებულ სექციებშიც კი. ქალაქიც ანარქისტების ხელშია, ერთი შეხედვით. სხვადასხვა რანგის, ცენზის, სტატუსის ნაძირალები რევოლუციის ნაცარზე რომ ამოვიდნენ სოკოებივით, ხილს ითბობენ ნახანძრალზე, ხანძრის დანთება-ჩაქრობაში ხარჯავენ ენერგიას, მომავლისათვის (სინამდვილეში არსებულის, ქაოსის შენარჩუნებისათვის) იბრძვიან. ის უნდათ, რაც არის, რაც მოიპოვეს, რაც დაწვეს, რაც დაანგრიეს, რაც დაანთეს. ნახანძრალების, ნანგრევების ყურებით ტკბობა და ახალი ნგრევისა და ხანძრის მოლოდინია ნეტარება. ბევრს მშვიდობა, სიწყნარე სურს, ბევრს შედეგების შეჯამება, ნამოღვაწარის, მოპოვებულის შემომტკიცება. ახალ-ახალი, გაურკვეველი იდეოლოგიის, ნახევრად დემობილიზებული, სამაგიეროდ კბილებამდე შეიარაღებული ნაწილები მოჰყავს უგრაფიკო მატარებლებს. საბარგო ვაგონებში ჩახლეწილებს თუთუნის, ოფლის, თივის, არყის ათქვეფილი სუნი მოაქვთ. ღია ვაგონების ზადსადგარებზე ქვემეზების ლაფეტები, ტყვიამფრქვევები, მოსახლეობისაკენ მიშვერილი ლულები ჩანან. თავლა-ვაგონების ჟანგისფერ სახურავებზეც ჭუჭყიანი ჯარია გაფენილი. შეუძლებელია ამ მასის დაოკება, ერთი მიზნისაკენ წრმართვა, დაბინავება, მითუმეტეს, განიარაღება-დაპატიმრება. მოთავეები უნდა მოიყვანო ჭკუაზე, მეთაურებს უნდა აგრძნობინო ძალა, უნდა მოთოკო, უნდა ურტყა, მოკლა და ისე ასწავლო ჭკუა, სანამ გვიან არაა. სხვა გამოსავალს ვერ ხედავს და ასეც არ გამოვა, იცის.

ტაგანროგიდან შემოსული შეშლილი ეშელონი გააჩერა დონის რკინიგზის კომისარმა სადგურამდე. სიბნელეში მობრჭყვიალე სემაფორის წითელ თვალთან ქშენით შედგა ორთქლმავალი. თავგასულმა მეთაურმა გადაკეტილი გზის გათავისუფლება მოითხოვა. მთვრალმა მემანქანემ წითელ შუქზე დაძრა ამასობაში შემადგენლობა. როსტოველმა მეისრემ თვითნებურად გადაწია რელსები და ეშელონი ჩიხში შეაგდო. ვაგონებიდან გადმოცვივდნენ მეზღვაურები და დონის რკინიგზის კომისარს ანდერძის აგება დაუპირეს საკუთარ მატარებელში. მოსახდენი მოხდებოდა აქლოშინებული

სერგო რომ არ გამოჩენილიყო. გვერდულად მოდიოდა ვაგონის ვიწრო დერეფანში ტყავის კურტაკის კალთების ფრიალი, ბეჭედ-ხის ბუდის გამოღებულ კარებებზე რახა-რუხით. მეზღვაურს, რომელიც სავარძელში ჩამხობილ კომისარს იარაღის ლულას ჩრიდა პირში, ეცა მაჯაში და მკლავი გადაუწრიახა, ჯერ ის ააღრიალა, შემდეგ მეორე ააყირავა თურმე. სახალხო კომისართა საბჭოს სახელით დაიშალეთო, იღრიალა საშინელი, მეზღვაურთათვის ყურისმომჭრელი აქცენტით!

ალექსანდრე სერაფიმოვიჩი ინგუშთა ყრილობას რომ იხსენებს, აღელვებულ მთიელთა კრებას ამნაირად აღწერს:

ფაფახების ზღვა შეირხა, ხალხი ერთ მხარეს შებრუნდა, მტვერში შემდგარ ავტომობილს მტრულად მიაჩერდა. ავტომანქანიდან გადმოსული, ჩაფსკვნილი, შავგვრემანი კაცი ენერგიულად გამოუძღვა ამხანაგების ჯგუფს.

— ორჯონიკიძე!—დაიშრიალა ხალხმა.

ორჯონიკიძე შევიდა ბრბოში და შუაგულში ამოყვინა; ზედსადგარზე შედგა და იყვირა:

— თქვენ არა ხართ პატიოსანი მოქალაქენი, თქვენ ბანდიტებისა და ყაჩაღების მფარველები ხართ!

მეო, იგონებს სერაფიმოვიჩი, ჯიბეში ბრაუნინგისაკენ გავაპარე შიშისაგან გაციებული ხელიო. ჩვენ ვიყავით წითლები და ჩვენი წარმომადგენელი მოძღვრავდა ხალხს უკმეხად, მოურიდებლად. რას გვიშველიდა ბრაუნინგი ან სხვა რამ, როდის გადაგვთელავდნენ არ ვიცოდით.

— თქვენ შორის არიან კონტრრევოლუციონერები, ჩვენი მოსისხლე მტრები, დაუყოვნებლივ უნდა ჩაგვაბაროთ ისინი!

გაირინდნენ რაღაც საშინელების მოლოდინში. ფაფახები ნაპირებიდან შუაგულისაკენ დაიძრნენ ტალღებად ცოტა ხნის შემდეგ. ერთი ტალღა ორჯონიკიძის წინ აღიმართა. გამოიკვეთნენ ადამიანები და მათ თვალებში დაუოკებელი სიძულვილი გამოკიაფდა. ეროთ თეთრწვერა, ხანჯლიანი მოხუცი დამამახსოვრდა განსაკუთრებით. მე იქამდე არ მენახა ადამიანი, რომელსაც ისეთი არაადამიანური სიძულვილი არეკლოდეს სახეზე. ცოტა ხანი უყურებდნენ ისინი ერთმანეთს. მიოულოდნელად ორჯონიკიძე ზედსადგარიდან ჩამოვიდა, გატრიალდა. გაარღვია ბრბო, უკანმოუხედავად წავიდა,

ჩაჯდა ავტომობილში, გზაშარაზე მტვრის ბული ავარდა. „ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა! — მითხრა ამხანაგმა, უკან რომ დავბრუნდი.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს მოხდა დაბა ნაზრანში 1920 წლის ივნისის ცხელ, მშრალ დღეს. მთებით შემოჯარულ,გადაფხეკილ, პატარა მოედანს ალმური ადიოდა. სერაფიმოვიჩს ავიწყდება, რომ სერგოს ავტომობილთან მიუყვანეს ინგუშთა ძველი თავკაცთაგანი ყოფილი ბოქაული, რუსის ჯარში სახელოვნად ნამსახური პოლკოვნიკი შახ-მურზიევი, რომელსაც დენიკინელთა რწმუნებულად მოჰქონდა თავი. სერგომ იგი გაავებული ხალხის თვალწინ დააპატიმრა, ჩაისვა ავტომობილში, ჩაიყვანა ვლადიკავკაზში და კონტრევოლუციონერის დამღით გადაგზავნა რუსეთში. იგი რუსეთშივე გაასამართლეს სერგოს აქტით და რომელიღაც საკონცენტრაციო ბანაკში ჩაკლეს თეთრი წვერითა და შელანძღული ფაფახით.

ორჯონიკიძეს, როგორც ჩანს, ინტუიცია არ ღალატობდა; დროულად იცოდა მიხტომა, შეტევა და უკანდახევაც. ეს ეპიზოდიც ამ ვარაუდის დასტურია, მაგრამ ყველაფერი შემთხვევა და ბედია. ბედი მის მხარეზეა თორემ ნაკლები ვაუკაცი არ იყო მისი თანამემამულე, თერგის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე სამუელ ბუაჩიძე, ანალოგიურ სიტუაციაში რომ აკუწეს მთიელებმა. ცეცხლთან თამაში, ხმლების პირზე ცეკვა ყოველთვის არ მოიტანდა სასურველ შედეგს.; მტერს თუ მოუვლიდი, მოყვარეს ვერ დააშოშმინებდი. სწორედ იმ დროს როსტოვში გალეშილმა საბჭოთა მხედარმთავარმა პარხომენკომ საკუთარ ავტომანქანას ვერ მიაგნო და წითელარმიელი აჩეხა სხვის მანქანაში. ჩემი შოფერი მეგონაო, გატყდა, მაგრამ სასჯელს ვერ გაექცა. სამოქალაქო ომების გმირს დახვრეტა გამოუტანეს. კალინინმა სიკვდილისაგან იხსნა ცაკის სახელით და ისევ გმირად დატოვა, 21-ში მახნოსთან ბრძოლაში დაიღუპა მაინც. სიკვდილის შემდეგ მისცეს წითელი დროშის ორდენი, დასახვრეტად რომ ჰყავდათ გამზადებული აღარ გახსენებიათ. ცხენოსანმა კორპუსის მეთაურმა ბორის დუმენკომ სილა ცეცხლა სახელოვან ბუდიონის. სილა შერჩა, მხოლოდ ბუდიონის „დანოსს“ ვერ გაღაურჩა. იგიც ჯერ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, შემდეგ როგორც კომისარ ვ. მიქელაძის მკვლელობაში (ეს საქმე დღემდე ბნელითაა მოცული) ეჭვმიტანი-

ლი დახვრიტეს. გასილაქებას ორჯონიკიძის სახელზე გამოგზავნილი ლენინის ტელეგრამა მოყვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

...უკიდურესად შეწუხებული ვარ კავკასიის ფრონტის ჯარების მდგომარეობისა და ბუდიონელთა გახრწნილობის გამო!"

ჩეხვა-ტყეპა და ხელის გადაწევა იყო დაწყებული ისედაც არმიებში გავლენების გაფართოების მიზნით. შესანიშნავად აღწერა, როგორც დავინახეთ, „ინგუშების ყრილობა" სერაფიმოვიჩმა, სერგო აქო პრინციპში, მაგრამ ამას საჩივრების წერაში არ შეუშლია ხელი. ზედიზედ აგზავნიდა ორჯონიკიძის საქმეთა გამქიქებელ მოხსენებებს კრემლში; მიზანს ვერ აღწევდა, მაგრამ ადრესატს ხასიათს უშხამავდა, ხელმძღვანელობას დროს აკარგვინებდა, ახალ საფიქრალს უჩენდა. სერაფიმოვიჩის ერთი მთავარი და ვრცელი საჩივარი ლენინმა ორჯონიკიძეს გადაუგზავნა და მოთხოვა: დამიწერე რაა მართალი და რა ტყუილიო. სერგოს თავის მართლების „ახსნა-განმარტებას" კი ასე წააწერა:

„ვფიქრობ, სერგოს ტყუილი არ შეუძლია."

დონი და როსტოვი კრასნოვის კაზაკების ხელში გადადიოდა თანდათან. ატამანი კრასნოვი წითელი შარვლითა და ლამპასებით მოდიოდა როსტოვზე. ეს ის კრასნოვი იყო, ცხენოსანი კორპუსით რომ მოადგა პეტროგრადს ბოლშევიკური რევოლუციის პირველსავე დღეებში. გაჭიმული მიდიოდა იქაც და ტყვედ ჩავარდა. მეტს აღარ ვიზამო, შეიხვეწა და „პატიოსან სიტყვაზე" იქნა გათავისუფლებული სანიმუშოდ, გამთავისუფლებელთა თავში საცემლად. იგი ხელმეორედ დაატყვევეს სამამულო ომის (გერმანელთა მხარეზე ომობდა) დამთავრების შემდეგ 1947 წელს. იმავე წელს ჩამოახრჩვეს 78 წლისა ჩონჩხივით ხმელი და ბუმბულივით მსუბუქი.

როსტოვი დაეცა.

სერგო XI არმიას აედევნა მცირერიცხოვანი ამალით და მთელს კავკასიაში გაფანტული 150 ათასიანი ჯარის შეგროვება დაიწყო. სტავროპოლს იქით გადაუდგა არმიის ნარჩენებს. ტიფით დაავადებულ ჯარში ახალი თვითმმართველობა დამყარებულიყო, ახალი სამართალი გაეჩინა ახალ გამომცხვარ სარდლობას. ხალხისა და რევოლუციის სახელით მიეხვრიტათ სოროკინი, სხვა მეთაურებიც ზედ წაეკლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგონებელში ჩავარდნილ ორჯონიკიძეს, ახალი, ერთმანეთის საწინააღმდეგო დირექტივები მოუვიდა და ახალი მთავარსარდალი ლევანდოვსკი გამოეცხადა. XI არმიის საქმე, რასაკვირველია, ბოლომდე არ გამოკეთებულა და პირიქით. ავადმყოფი ჯარი შიმშილობდა და კიდევ უფრო ავადდებოდა. სერგომ ყოველგვარი ინსტრუქციის გარეშე ფული მოჭრა და ჯამაგირებად დაარიგა. ჯარისკაცებმა ამ ფულით, სინამდვილეში სროლითა და მუქარით, პროდუქტების შეძენა დაიწყეს. გლეხები სიაბანდ კუპიურეებს ყრიდნენ და დედამამას იგინებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენელის მისამართით.

ტელეფონოგრამა ვ. ი. ლენინს.

„ქალაქში ტიფის ეპიდემია მძინვარებს. ავადმყოფები უსაცვლებოდ ან ძონძებში ყრიან და ტილები ასევიათ. მოგმართავთ და გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ, სულ ცოტა, ოცი ათასი (20000) წყვილი ნიფხავ-პერანგი.

მგზნებარე სალმით. სერგო ორჯონიკიძე".

პიატიგორსკი ყარს კარბოლის მჟავის სუნით. დეზინფექცირებულ ქალაქში 50 ათასი ტიფიანი წევს. სადგურთან ტიფიანი ჯარისკაცებით გატენილი კარვებია გაშლილი. ზამთარია და ეპიდემია მძვინვარებს თითქმის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. ქალაქში ღამით შემოსული მატარებლიდან გრძნობს ყოფილი ფერშალი ნაცნობ სუნს, ტიფოზიანთა ბორგვა ესმის. პროხლოდნოიაში ქუჩდება ბოლობოლო გაწიწილაკებული არმია, რომელიც სერგოს კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად ასტრახანისაკენ იღებს გეზს.

ჯარმა დატოვა სერგო. იგი უჯაროდ ჩავიდა ვლადიკავკაზში, რომელსაც მისი სახელი დაერქმევა სულ მალე, ისტორიისათვის სულ ცოტა ხნით. ვლადიკავკაზის გარეშე შეუძლებელია ბაქოს აღებაო, ატყობინებს კრემლს. იციან ვლადიკავკაზი ამიერკავკასიის ჭიშკარია. იქედან ახლოა ორთავ ზღვას შუა ტერიტორიები, დარდანელისა ბოსფორის (იმპერიის ოცნების) გასასვლელები. ეგ ჯერ მირაჟია. ბაქო კი კონკრეტული სამიზნეა. ბაქო ნავთია, ფორფოსტია, პროლეტარიატის ბუდეა, სერგოს პროლეტარული სამშობლოა თან. ტიფიან ლევანდოვსკის ვერაფერი შეასმინა თვარა, ახლო იყო მიზანთან.

„XI არმია აღარ არსებობს, იგი საბოლოოდ გაიხრწნა!“

ატყობინებს ლენინს. გახრწნილ არმიას კი ხელახლა შეკრებული 1921 წელს და პირნათლად შეასრულებს სამშობლოს დაცვის ... მისიას, რომელიც მას ბედის უკუღმართობით ჰქონდა დაკისრებული.

ბოლშევიკების გამარჯვების ორი კვირის თავზე მაქსიმ გორკიმ დაწერა:

„...მუშა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ლენინი მათ ტყავზე მათივე სისხლით რაღაც ცდებს ატარებს მხოლოდ; მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, რომ სასწაულები არ არსებობს სინამდვილეში. მას ელოდება შიმშილი, წარმოების სრული მოშლა, ტრანსპორტის განადგურება, ხანგრძლივი სისხლიანი ანარქია და შემდგომ ამისა უარესი, სისხლიანი და ბნელი რეაქცია...“

წინასწარმეტყველებას ახდომამდე არავინ აფასებს. მწერალი ჭვრეტს, გრძნობს ამბობს და რა ვთქვი ესო, უკვირს თავადვე. გადის დრო, სიზმარივით ახსენდება დანაბარები, ნაწინასწარმეტყველები. მაინც არავის არ ჯერაო და ფეხის ხმას მიყვება, მოვლენებში ითქვიფება თვითონაც, მოვლენების მონაწილე ხდება. ასე დაემართა გორკისაც. ელოდა სისხლიან ანარქიას და ანარქიისა და რეაქციის მხარეს დადგა, ლენინს შეუამხანაგდა. ლენინმა კი დიდსულოვნად აპატია შეცოდებანი.

ლენინს იმპერიალისტური ომის სამოქალაქოდ გადაქცევა სურდა სანამ ხელისუფლების სათავეში მივიდოდა. მოახერხა კიდეც ამის გაკეთება, როცა ხელისუფლებად მოვიდა. შინაურ და გარეულ მტრებთან ბრძოლა შეუძლებელი იყო და მთავარი ზავიაო დაიჟინა. საბოლოო მშვიდობის ჩამოგდებაზე დიდი დრო იყო დარჩენილი და იმ ეტაპზე, კაბალური და სამარცხვინო პირობების მიუხედავად, ზავი უნდა დაედო როგორმე გერმანიასთან. იგი ამით დროს იგებდა და ორი კურდღლის დაჭერას აპირებდა ერთდროულად. ინარჩუნებდა ხელისუფლებას და იმადლიერებდა ჯარს — ბოგანო ხალხის წარმომადგენლობას. გერმანიაში მაინც რევოლუცია მოხდება, დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ კვლავ, ამბობდა და ეს არ იყო ძნელი მისახვედრი. რაღაც ამდაგვარი მოხდა მართლაც. მაგრამ რომ გაუმართლა, აშკარაა. სადაო მოლაპარაკების საბჭოურმა ვარიანტმა კრახი განიცადა და რუსეთმა დაკარგა

უკრაინა, ფინეთი, ბალტიისპირეთი და ჯერი მიდგა პეტროგრადზე, რომელიც დიდი სისხლის ფასად იქნა შენარჩუნებული. ფინეთმა უშველა თავს, დანარჩენები იმპერიამ შემოინთქა ისევ, მეორეს მხრივ, ლენინის პოლიტიკა ეჭვქვეშ იქნა დაყენებული, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაც არასწორად მიჩნეული. მემარცხენე ესერებმა ბრესტის ზავის ჩაშლის მიზნით 18 წლის 6 ივნისს მოკლეს გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში გრაფი მირბახი. თუმცა ამ აქციას და მემარცხენე ესერების პუტჩს შედეგი არ მოჰყოლია. ტერორისტი ბლიუმკინი კი, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს, ტროცკიმ იპატია. სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველად გამოაცხადა, სისხლით განიბანს მის შეცოდებასო. ფრონტზე გაუშვა მეწინავედ და სულ ცოტა ხანში შტაბში მოაკალათა. შტაბიდან „ენკავედეში" გადაგზავნა. „ენკავედეში", როგორც თავად ბლიუმკინი იტყოდა, პასუხმგებელ მუშაკად და ისტორიულ (გერმანიის ელჩის მკვლელად) პირად დასვეს. ტროცკიმ შეიწირა იგი ბოლოს მაინც, მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. სულ ახლახან მიკვლეული საბუთების მიხედვით, მირბახი მოუკლავს იაკობ ბლიუმკინის თანმხლებ მეზღვაურს. როგორც ცნობილია ბლიუმკინმა ელჩის მისაღებში პორთფელიდან ნოტას მაგივრად ამოიღო ბომბი, რომელიც იქვე დააგდო თუ დაუვარდა. ბომბი დაბზრიალდა და არ აფეთქდა. ბლიუმკინმა დროზე ადრე უშველა თავს, გადახტა ფანჯრიდან ეზოში, აძვრა რკინის მესერზე და ქუჩაში რომ გადადიოდა მარგილის წვერს გამოსდო შარვალი. მეზღვაურმა მოუთავა ხელი მირბახს, საქმიანად გამოვიდა ეზოში, შარვლით რკინის სარზე დაკიდებული ბლიუმკინიც ჩამოხსნა და თავისუფალ გასასვლელსაც მიაგნო.

თეთრი ნიფხვით გარბოდა პეტროგრადის ქუჩაში ესერი ბლიუმკინი, რომელიც „ისტორიულ პირად" იქცა სულ მალე და ამ სახელით ისარგებლა სანამ სხვა საქმეზე არ შემოეხვრიტათ.

ზავი დარჩა მაინც ზავად, რომელზედაც, გერმანიის მხრიდან, ხელს აწერდნენ: ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი; ხელშეკრულების მიხედვით რუსეთი საქართველოს, საქართველო ყარსისა და ართვინის ოლქებს, ქალაქ ბათუმს კარგავდა და თურქეთი რჩებოდა ამიერკავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) პირისპირ. მოპირდაპირე მხარეებს სხვადასხვა მიზნები და სურვი-

ლები ამოძრავებდათ: აზერბაიჯანი თურქეთს, სომხეთი — რუსეთს, მისტიროდა, საქართველოს კი (ადრეც აღვნიშნეთ) არც ერთის გა-
გონება სურდა არც მეორესი, თუმცა კავშირის გაწყვეტა-დაშლა-
შირობაც არ აწყობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთის იმპერიის მოწინავე საზოგადოება ელოდა დამფუძნებელ კრებას, სადაც შეიქმნებოდა კოალიციური მთავრობა ყველა პარტიების წარმომადგენლებისაგან და დაიწყებოდა ახალი ხანა დემოკრატიისა. დამფუძნებელი კრების ჩატარებამდე, საბჭოების მეორე ყრილობაზე ლენინმა ბოლშევიკების დამარცხება, რასაც რეალური პირი უჩანდა, შესაძლებლად მიიჩნია. ხალხის ნება-სურვილს დავემორჩილებითო, განაცხადა და დროის მოგების მიზნით (ნაცადი ტაქტიკით) კრების ღაწყება გააჭიანურა. ამასობაში მომავალი დეპუტატების დაჭერა დაიწყო. ჩამოდგა 1918 წელიც ზუსტად პირველ იანვარს, ხელისუფლების აღების ორიოდე თვის თავზე, ესროლეს ლენინის ავტომანქანას აცილებით. არავინ დაშავებულა, ვინ ესროლა, ვერავინ გაიგო და ამბავიც არ გახმაურებულა სათანადოდ. სამაგიეროდ გაჩნდა ლოზუნგი — მოწოდება: თვითოეული ჩვენგანის სიცოცხლეს ასეულობით შეეწირებიანო. ამ ფრაზას მალე განახორციელებენ ბოლშევიკები პრაქტიკულად, მაგრამ მანამდე დამფუძნებელი კრება აქვს მოსაშორებელი.

ისევ გაფრთხილება:

„ყველა ცდა ძალაუფლების აღებისა განხილული იქნება, როგორც კონტრევოლუციური მოქმედება და იგი ჩახშობილი იქნება საბჭოთა ხელისუფლების ყველა საშუალებით!“

5 იანვარს თავრიდის სასახლესთან გაიმართა 60 ათასიანი დემონსტრაცია. ნევის პროსპექტზე ესროლეს ხალხს და მრავალიც გამოასალმეს წუთისოფელს,დამფუძნებელი კრება კი მაინც გაიხსნა.

ბოლშევიკებმა და მემარცხენე ესერებმა თავმჯდომარედ დაასახელეს ცნობილი ტეროროისტი ქალი მარია სპირიდონოვა. კანდიდატურა არ გავიდა. მენშევიკების სახელით სიტყვა წარმოთქვა წერეთელმა. საქართველოს დეპუტაციის მეორე წარმომადგენელმა კ. ჩხეიძემ გამოსვლა ვერ მოასწრო. ლენინი ტრიბუნაზე ასასვლელ კიბეზე (დარბაზი ვერ ხედავდა) იჯდა და ირონიული გამომეტყველებით უსმენდა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს. ესერები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ბდღვირს აღენდნენ ბოლშევიკებს და ლანძღვა-გინებას ბოლო არ უჩანდა. დროებითი ოდა, შუალამე დგებოდა. ანარქისტმა ჟელეზნიაკოვმა დაიბოლოა: ყარაული დაიღალა, გთხოვთ, დაიშალოთ!

კონდახებით გაყარეს მთვლემარე დელეგატები ცივ ღამეში. იმ ღამითვე დაიწყეს რბევა-თარეში და მეზღვაურებმა შიგ საავადმყოფოში მოკლეს დროებითი მთავრობის ყოფილი მინისტრები კოკოშკინი და შინგარიოვი. ლენინმა ამ ფაქტს ბარბაროსული უწოდა, დააჭერინა და სასამართლოს გადასცა მკვლელობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე კაცი. თავად ბოლშევიკებმა კი დღისით დახვრიტეს მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე მუშები. 9 იანვარს გრანდიოზული მანიფესტაციით დაკრძალეს დახვრეტილი მოქალაქენი.

ბრესტის ზავის თანახმად რუსეთი ტოვებდა ოსმალეთის ფრონტს, მოწინააღმდეგეთა არმიას წინ წამოსვლის საშუალებას აძლევდა და საქართველო რჩებოდა ღვთის ანაბრად. ჩვენ მივხვდითო, ნ. ჟორდანია წერს „...**რუსეთმა უარი თქვა ჩვენს დაცვაზე და პირიქით. იქით გააჩუქა ჩვენი ტერიტორია (ყარსი, ართვინი, ბათუმი). ცხადი იყო, მან უარი თქვა ჩვენს ქვეყანაზე, თვითონ გავიდა და ჩვენ დაგვტოვა მარტოთ-მარტო.**"

არ შეიძლებოდა ამ დროს საქართველოს მომავალ მთავრობის თავმჯდომარეს არ გახსენებოდა ლონდონი, 1907 წლის აპრილი. 29 დელეგატი ჩაიყვანა მან ლონდონში VII ყრილობაზე. დელეგატთა რაოდენობით გაუთანაბრდნენ კიდეც რუს ბოლშევიკებს და პარტიულ საწყისებზე დაიწყეს მცირერიცხოვანი დელეგაციების (პოლონელების, ლიტველების, ესტონელების და სხვების) გადმობირება. გაუგონარი ამბავი ხდებოდა. ქართველი დელეგატები უთანასწორდებოდნენ რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებს და უსწრებდნენ კიდეც.

აპრილის წვიმიანი საღამოა.

— კასტროვ! (ჟორდანიას პარტიული ფსევდონიმი) შეიცადეთ, ერთი წუთით! — იძახის ვიღაც.

თხელ პალტოში გახვეულმა, თავწაღუნულმა ჟორდანიამ ლენინის ხმა იცნო. ქოლგითა და კალოშებით სოკოსავით იდგა ყვითელი ფოთლებით დაფარულ, სველ ქუჩაში.

„—**კასტროვ, დაგვანებეთ თავი ქართველებმა, რას ერევით რუ-**

ების საქმეში. მიხედეთ თქვენს ქვეყანას, თქვენს ხალხს. რა გინდათ ჩვენგან?! თქვენ არ იცნობთ რუსეთს, არ იცნობთ რუსეთს, ფსიქოლოგიას, ნუ გვიშლით ხელს, წადით საქართველოში და [illegible] ის აკეთეთ. მიიღეთ ავტონომია, მიიღეთ დამოუკიდებლობა, დაგვანებეთ თავი და ჩვენ არ ჩავერევით საქართველოს საქმეებში!"

გაოცებულმა ჟორდანიამ (კასტროვის ნამდვილი გვარი) ენის ბორძიკით უპასუხა: ახლა ვერაფერს მოგახსენებთ, დავეთათბირები ამხანაგებს, სწორედ დღესა გვაქვს კრებაო.

ლენინი:

„ძალიან კარგი, დასვით ეს საკითხი, თუ გნებავთ, მეც დამიძახეთ, დაიმახსოვრეთ ჩემი წინადადება. თქვენ ქართველები ნუ ერევით ჩვენს პარტიულ საქმეებში, ჩვენც არ ჩავერევით თქვენსაში..."

ლენინმა ქოლგა დაკეცა, ცას ახედა და კალოშების ტყაპუნით გაუხვია თავის სადგომისაკენ.

დაგვანებეთ თავი და ჩვენც არ ჩავერევით თქვენს საქმეებში. მოსულიყო ეგ დრო ეფემერულად. ამიერკავკასია, სეიმის სახით, ეყოფოდა რუსეთს და სწორედ ამას ელოდებოდა ოსმალეთი. ბრესტის მშვენიერი ზავის მიხედვით ორიოდე პროვინცია და ბათუმი ირგუნა მხოლოდ და თუკი სეიმი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, მადა ჭამაში მოვიდოდა და მთელი ამიერკავკასიის ბატონ-პატრონობას დაიჩემებდა. ფაქტიურად ეგრეც ხდებოდა: მიისაკუთრა აზერბაიჯანი, თითქმის მთელი სომხეთი და საქართველოს სხვა რაიონებს, კერძოდ, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებსაც მიადგა. საქართველოს მოლაპარაკებას ბათუმში აზრი ეკარგებოდა, ლაპარაკი ლაპარაკად, ფაქტი ფაქტად, შეგონება-მგლის თავზე სახარების კითხვად რჩებოდა, საქართველოს დელეგაცია კი ჩხენკელის მეთაურობით ბრესტ-ლიტოვსკის ზავს ებღაუჭებოდა ისევ. ოსმალეთი ამ ზავს ჩვენთან ურთიერთობის აუცილებელ პირობად არ თვლიდა, რუსეთი აღარა ხართო ამტკიცებდა. ქართველებს ამის დაჯერებაც უჭირდათ. ურუსეთოდ რანაირად ვიქნებითო, ფიქრობდნენ, მაგრამ ოსმალეთი ძალაუნებურად დამოუკიდებლობისაკენ უბიძგებდათ. საღათას ძილიდან გამოდიოდნენ, რაღაცას ხვდებოდნენ და ვერ ხვდებოდნენ. **„...მაშასადამე, — წერს ნ. ჟორდანია — ღღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწი-**

ნებული ამბავი, მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანათ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის კონფერენციის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო ინგლისის წარმომადგენელი გენერალი ფონ ლოსოვი, რომელმაც, უპირატესად საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებისათვის, შუამავლობა იკისრა და მანვე წამოაყენა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების იდეა. სახელდახელოდ შეიკრიბნენ: ზ. ავალიშვილი, ა. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ჟორდანია და პ. სურგულაძე და გადაწყვიტეს დამოუკიდებლობა: მოიწონეს დამოუკიდებლობის გამოცხადების ზ. ავალიშვილისეული პროექტი და დაიშალნენ. ნ. ჟორდანია იმავე ღამით ამ პროექტითურთ გაემგზავრა თბილისს.

ჩხენკელის ტელეგრამა გენერალ კვინიტაძეს 25 მაისი 1918 წელი:

„...გადაეცით საქართველოს ნაციონალურ საბჭოს შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შეგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანიის შუამდგომლობის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. რჩება ერთი: დავუპირისპიროთ თურქების შემოსევას გერმანიისაგან ზურგ გამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო... უკვე მომზადებულია ხელმოსაწერად გერმანიასთან დროებითი შეთანხმება. ველი სასწრაფო ცნობას აქტზე.“ და, სხვა გზა აღარ იყო, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აღიარეს და შინაგანი ყოყმანის შემდეგ გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიერკავკასიის სეიმმა დაასრულა არსებობა. საქართველოს ისტორიაში ჩამოდგა სახელმწიფოებრივი მმართველობის აღდგენის ახალი, ხანმოკლე ერა.

პირკატა ეცათ ბოლშევიკებს.

დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად არ თვლიდნენ აღორძინებულ ქვეყანას, რომელსაც ხუხულასავით დაანგრევდნენ, როცა ამის დრო და საშუალება მიეცემოდათ.

ადგილობრივმა ბოლშევიკებმა დაიწყეს გაფიცვების, აჯანყებების, ეთნოკრიზისების ორგანიზება. მენშევიკურ მთავრობას გარეშე და შინაურ მტრებთან მეომარი რეგულარული ჯარი არ ჰყავდა და პარტიული გვარდია, ჟორდანიას თაოსნობით რომ შეიქმნა, საჯარისო შენაერთების ფუნქციებს ვერ ასრულებდა. ნოე ჟორდანიამ, ისე როგორც ერეკლე II ხევსურეთიდან, ვინმე იმნაძის ხელმძღვა-

ნელობით გურიიდან ჩამოიყვანა ერთგულ გურულთაგან შედგენილი რაზმი, რომელსაც, ალექსანდრეს ბალის ტრაგედიას თუ ... ლისწინებთ, თავი არაფრით გამოუჩენიათ. ხსენებულ ბ... არც იყო მოულოდნელი, მენშევიკებმა ბოლშევიკები, ქართველებმა ქართველები დახოცეს. ბოლშევიკებს მათივე მეთოდებით ვუპასუხეთო, განმარტა ჟორდანიამ, მაგრამ საქმე ამით არ გამოსწორებულა. ბოლშევიკები უფრო გაბოროტდნენ, უფრო გააქტიურდნენ. ლეჩხუმში, მთიულეთში, სამეგრელოში აფხაზეთში, ოსეთში დაიწყეს მოსახლეობის აბუნტება პრიმიტიულ-სოციალური, იმას წავართმევთ, თქვენ მოგცემთო, აგიტაციით. ფილიპე მახარაძე ოს ბოლშევიკებს ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებას, ოსეთის დამოუკიდებლობას პირდებოდა, ოს მოსახლეობას ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებდა. შორიდან უყურებდნენ ამ პროცესებს. დროს და მომენტს ელოდებოდნენ გამოჩენილი ქართველები სტალინი, ორჯონიკიძე და სხვები; კარგად იცოდნენ რა ხდებოდა საქართველოში, საით მიექანებოდა დემოკრატიული საქართველო. საქართველოს დამოუკიდებლობას ისინი რომ არ დაუშვებდნენ, ამას მომავალი დაგვანახებს.

„ჩრდილოეთ კავკასიის გარეშე ბაქოს აღება და გამარჯვება აბსურდია! „არწმუნებს კრემლს სერგო. უჯერებენ. ბაქოს ბედიც გადაწყვეტილია, გადადებულია მხოლოდ მცირე ხნით. ჩრდილოეთ კავკასია კი პლაცდარმია. ჯერ აქ უნდა დალაგდეს ყველაფერი. მთიელთა დამოუკიდებელ რესპუბლიკას აყალიბებს სერგო და ჩამოყალიბება, გადანაწილების გაყოფის, მიერთება-გაერთების, საზღვრების გადაადგილების იდეა თუ მანია აღარ დაასვენებს, უფრო მეტად შეაწუხებს შემდგომში.

„...რუსეთის ფედერაციის განაპირა მხარეებს შორის ამიერკავკასია, ვგონებთ, ყველაზე დამახასიათებელი კუთხეა ნაციონალური შემადგენლობის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მხრივ... — დაწერს და გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდავს იმ დღეებში რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა სახალხო კომისარი ი. სტალინი. **ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, თათრები, თურქები და ლეკები, ოსები და აფხაზები,—ასეთია ამიერკავკასიის შვიდმილიონიანი მოსახლეობის ნაციონალური მრავალფეროვანების** არც თუ სრული სურათი. **არც ერთ ამ ნაციონალურ-**

ჯგუფს არა აქვს ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები, ისინი ყველანი დაქუცმაცებულად, ერთმანეთში შერეულად ცხოვრობენ, არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთ „ნაციონალურ ჯგუფსო“ (ეროვნებაზე არცაა ლაპარაკი) ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები“ არა აქვს, ამტკიცებს საქვეყნოდ. თუ არცერთს არა აქვს, არა აქვს იგი საქართველოსაც, დაქუცმაცებულად ერთმანეთში არეულად ცხოვრობენ ყველანი, ესე იგი ქართველებიც. აქედან გამომდინარე, არსებობენ „ნაციონალური ჯგუფები“ და არა ერები, სახელმწიფოებზე და საზღვრებზე აღარცაა ლაპარაკი. იმახსოვრებდა ამ დებულებებს საზღვრების დადგენა-გადანაწილების უფლებამოსილებაში დარწმუნებული ორჯონიკიძე. ერთი რესპუბლიკაც“ ჩამოაყალიბა იმ დღეებში, თერგის ოლქის გაერთიანებაც შეძლო, მაშინ, როცა დარღვეული იყო კავშირი ცენტრთან და არსებობდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება არ ვიცოდითო.

„...მთვლს თერგის ოლქში ჩვენს ამხანაგებს ბრძოლა უხდებოდათ ისე, რომ არც ერთი ვაზნა, არც ერთი ყუმბარა, არც ერთი კაპიკი არ მიუღია ცენტრიდან“ წერდა სერგო, და შეიძლება არც ახსოვდა, გაბონებული ფული რომ გამოუგზავნეს საბარგო მანქანით. ფული ს. მ. კიროვმა ჩაიბარა ასტრახანში და ვოლგაზე გადატანა დააპირა ყინულის გადნობამდე. გამდნარია თითქმის, არ შეიძლება გადასვლაო, გააფრთხილეს, უშალეს, არ დაიშალა და ვოლგაში ჩაგდო ფულიანი ავტომობილი. მოჩქარეს მიუგვიანდესო, ისე დავმართა. მთელი გაზაფხული აშრობდა ასტრახანის ლელქაშებში ტონანახევარ ფულს. უფულოდ და უსახსროდ დარჩენილი სერგო თავისსავე ჩამოყალიბებულ მთიელთა „რესპუბლიკაში“ განაგრძობდა პარტიზანულ ომებს; აულიდან აულში, დასახლებიდან დასახლებაში გადადიოდა; სიცოცხლის ფასად იძენდა და კარგავდა მტრებს და მომხრეებს, დროდადრო უკავშირდებოდა ცენტრს, სამხედრო საბჭოს, საქართველოს მთავრობასაც კი. იცოდა რა ხდებოდა საქართველოში. საქართველოშიც იცოდნენ მიახლოებით რას აკეთებდა, რა მიზნებს ემსახურებოდა, რა უნდოდა „საზღვრებდაუდგენელ“ ამიერკავკასიისაგან ს. ორჯონიკიძეს — საბჭოთა რუსეთის **ემისარს.**

რუსეთს კი აღარც ამიერკავკასია ახსოვდა, აღარც ამიერკავკა-

სიის პლაცდარმისათვის — ჩრდილოეთ კავკასიისათვის ეცალა. და ბოლშევიკებს, მრავლად რომ ზრიალებდნენ იმ რაიონებში, [illegible] ცევად ჰქონდათ საქმე. სამხედრო გზით გაგატარებდა [illegible] სერგოს ჟორდანია. სერგოს კი დაფიათებული ჯარის ნარჩენებით, აღალით, მცირეოდენი ნადავლით, ამუნიციით და მრავალრიცხოვანი ლტოლვილებით სურდა გზის შემოკლება, საქართველოდან რუსეთში გადასვლა და ჟორდანიას დიდსულოვან წინადადებას მიუღებლად თვლიდა. კარგა ხანი იყოყმანა, სანამ მიიღებდა ხევსურეთიდან გადაპარვის სახიფათო გადაწყვეტილებას. მანამდე შამილის ყოფილი სამფლობელოები მოიარა, ნაყაჩაღარ ზელიმხანის ბუნაგში დაიდო დროებით ბინა. დათხილი შედიოდა დიდი გამოქვაბულის ვიწრო ყელში და ამნაირადვე იღებდა აუდენციაზე შემოსულ თანამზრახველებს, სტუმრებს, მთიელთა დესპანებს, მთხოვნელებს (რას თხოვდნენ, გაუგებარია) და მოძალადეებს.

გაზაფხული გაზაფხულობდა, მთაში თოვლი იდო მაინც, ღამით ყინავდა კვლავ. მთებს შემოხვეული საცალფეხო ბილიკებით დაწიწილაკებულნი მიდიოდნენ მგზავრები მთვარიანში. უფოთლო ტოტების ჩრდილით დალაქავებულ ყინულზე ფეხი უსხლტებოდათ ცხენებს, ზედ უფსკრულის პირად იკავებდნენ სასწაულით თავს. ორი ქალი ახლდათ. სერგოს ცოლი ზინაიდა და კამოს და ძუძუს ბავშვიანი არსიაკა მიყვებოდნენ ქარავანს. ყინვა და თოვლი არ უკვირდა, მაგრამ მთაში აღმართად სიარული უჭირდა ნამეტანი ზინაიდა სლუკაიას.

„...ახრჩოლებული ჩირაღდნები ავი სიწითლით ანათებდნენ პირქუშ ხეობებს. აღმასვლა განსაკუთრებულ სიმწარესთან იყო დაკავშირებული. გაყინულ გზაზე ცხენები ცურავდნენ და ეცემოდნენ. „კვარის ხრჩოლვაში, წითლად აპარპალებულ სინათლეში ადიოდნენ მძიმეღ, ნელა და წვალებით. ზინაიდას სერგოს უკითხავად მიჰქონდა მეტად საჭირო დოკუმენტები, სერგოს ფოტოსურათი და ტყვიით გატენილი რევოლვერი.

ცხენები უფსკრულში ცვიოდნენ იმ გადასასვლელზეო, ზოგიერთი მეისტორიე წერს. ზინაიდა ცხენთა ცვენას ვერ იხსენებს. სერგოს კი სხვა ცხენების ცოდვაც ეყოფა და ზედმეტს სამარეში ნუ ჩავუგზავნით. ერთი ცხენი ბავშვობაში შემოაკვდა, მეორე ნაჭურალში ჩაუვარდა, პარიზში ცხენის ხორცი ჭამა, მაგრამ ამას ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივუთვლით, ცხენს ნუ გავუსამებთ. სიკვდილის ცელით მოკრეფილი ერთი მხედარია, დაიწერა და საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებით მოქვეყნდა ის წიგნი, რომელიც სერგოს უსათუოდ ექნებოდა წაკითხული. სიკვდილის ცელით მომავალ მხედარში თავი არ უცვნია, როგორც ჩანს, რადგან პროტესტი არ განუცხადებია და მატარებელს რომ შემოყვა თბილისში ყურადღება იმაზეც არ გაუმახვილებია.

ხევსურეთზე გადმოსული სერგო თბილისშია. მშობლიურ ატმოსფეროს გრძნობს, თუმც ამ ქალაქთან მიხეილის საავადმყოფოს გარდა ბევრი არაფერი აკავშირებს. კამოს მიერ შეგულებულ პარიკმახერის ბინაში იმალება ავლაბარში. ნოე ჟორდანია უთვლის: ქვეყანამ იცის, მანდ ხარ და ჯობია, თბილისი დატოვე, ინგლისელებმა არ დაგაპატიმრონო. სერგო ყურად იღებს ამ რჩევას, ემშვიდობება სტუმართმოყვარე პარიკმახერს, რომლის არც გვარი, არც სახელი, არც სიფათი არ შემოგვინახა მატიანემ და ტოვებს თბილისს.

ბაქო.

ბაქოს გარეშე ვერ იარსებებს საბჭოთა რუსეთიო—განაცხადებს. ბათუმის გარეშე თურმე ბაქო არ არსებობს რუსეთისათვის. ასე თქვა სწორედ კ. რადეკმა 1922 წელს ბერლინში: **„ბაქოს ნავთი უბათუმოდ რუსეთისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.“**

ესე იგი, ბაქო უბათუმოდ არ არსებობს, აზერბაიჯანი—უსაქართველოდ. რად გინდა ბაქო, საქართველო თუ არ გეყოლა.

სერგო კერძო პირადაა ამჯერზე ბაქოში. ბაილოვის ციხეში რომ შეყავდათ და გამოყავდათ იმ სტატუსით მოღვაწეობს მხოლოდ. იგი არც ამიერ და არც იმიერ კავკასიის საგანგებო კომისარს, არც ბაქოს ამღებს და თავისუფლების მოედანზე სამხედრო და სამოქალაქო პარადების გამმართავს ჰგავს, მაგრამ მალე, სულ მალე დაამახსოვრებს აქაურებს თავს და ტელეგრამასაც მოგვიანებით მიიღებს ლენინისაგან:

„კავკასიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს წევრებს სმილგას და ორჯონიკიძეს: ბაქოს აღება უაღრესად, უაღრესად აუცილებელია. მთელი ძალები მიმართეთ იქითკენ!“

ამ დეპეშის ჩაბარებამდე ორიოდე წელია დარჩენილი. სერგო ახლა მიქოიანთან და სხვა ბოლშევიკებთან ერთად რთულ მეტეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლოგიურ და პოლიტიკურ ვითარებაში ძველთაძველი ბარბაროსული გადასერავს კასპიის ზღვას. ამ მიკროოდისეას კი განსაკუთრებულ გმირობათ მიიჩნევენ დანარჩენები, დაწვრილებით და ვრცლად აღწერენ სპეც-პოლიტ ლიტერატურაში.

1919 წლის 10 ივლისი.

სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე კრემლში აკეთებს მოხსენებას „სამოქალაქო ომის ერთი წელი ჩრდილო კავკასიაში". ხან დაწერილს კითხულობს, ხან ზეპირად ლაპარაკობს, გამართულად და ენის ბორძიკით. დაწვრილებით ყვება ომის, ნგრევის, დამარცხებისა და წარუმატებლობის ამბებს; თავს იმართლებს, საკუთარი დამსახურებაც არ ავიწყდება და რაც მთავარია, არ ღალატობს ობიექტურობის გრძნობაც: **„...ბევრი სტანიცა, სადაც ახლა კაზაკები მოსახლეობენ, ჯერ კიდევ რაღაც 50 წლის წინათ მთიელებს ეკუთვნოდათ. ხშირად მოხუცი ინგუში ან ჩეჩენი, ამა თუ იმ სტანიცას რომ ჩაუვლის ამოიოხრებს ხოლმე, იმ ახლო წარსულის გამო, როცა ის მიწა მას და მის ნათესავებს ეკუთვნოდათ, ახლა კი ეკუთვნით კაზაკებს, რომლებმაც ისინი შეჩვეული ადგილებიდან პირქუშ მთებში გარეკეს."**

„...მთიელებს მხოლოდ ავაზაკებად თვლიდნენ და მთიელის მკვლელობის გამო პასუხისგებაში თითქმის არ აძლევდნენ. კაზაკთა მიწაზე მოკლული მთიელისათვის არავინ პასუხს არ აგებდა."

ამ განცხადების საილუსტრაციოდ სერგოს მოჰყავდა ფაქტები, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის რომანებიდან არ ჰქონდა ამოკრეფილი. რა შთაბეჭდილება მოახდინა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე ამ მოხსენებამ არ ვიცით, მაგრამ კავკასიისათვის რომ აღარავის ეცლებოდა ცოდნა არ ჭირდებოდა. რუსეთის ოფიცერთა რჩეული დივიზიები დენიკინის ხელმძღვანელობით მოსკოვს უახლოვდებოდნენ. საბჭოთა მთავრობა რჩეული კომისრების, საიმედო სამხედრო ნაწილების, ბოლშევიკური აქტივის მობილიზებას ახდენდა. დადგა, წერდა მაშინ ლენინი:" **...ყველა მონაცემების მიხედვით, თითქმის ყველაზე კრიტიკული მომენტი სოციალისტური რევოლუციისა."**

გამოცხადდა სახალხო გაწვევა და გაზეთ „პრავდაში" თვალსაჩინო ალაგას ვეებერთელა შრიფტით დაიბეჭდა ასეთი მოწოდება:

„...კომუნისტები-მმართველი პარტია,—იგი ხერხავს, იბრძვის

ფრონტებზე. ტვირთავს ვაგონებს და ხვრეტს საკუთარ წევრებს, თუ ისინი უვარგისნი აღმოჩნდებიან. ამხანაგებო, შემოდით ამ პარტიაში "

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი შესასვლელი იყო!

შედიოდნენ.

შე-მოვ-დი-ვართ! — მასიურად გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას მუშები და „მასიური გაწვევა" დაერქვა ამ პროცესს.

რით მოხიბლა, რით მიიპყრო მუშების ყურადღება ამ ლოზუნგმა (ავტორის ვინაობა დასადგენია), რომელიც პარტიაში შესვლისა და ფრონტებზე გასვლის ისტერიული, ისტორიული კი არა, ისტერიული გაწვევის საფუძველი გახდა?

მოწოდება შეიძლება სამ ნაწილად გაიყოს:

პარტია, რომელიც

1. შრომობს, ხერხავს (ალბათ შეშას), ტვირთავს ვაგონებს და ასე შემდეგ.

2. იბრძვის (არ წერს რისთვის, მაგრამ გასაგებია).

3. ხვრეტს საკუთარ წევრებს (თავისიანებს. სხვებზე არცაა ლაპარაკი).

მესამე მუხლი როგორც მკითხველს მოეჩვენება ნაკლებ მიმზიდველია. ერთი შეხედვით მხოლოდ, რადგან: ხვრეტს საკუთარ წევრებს და არა საკუთარ თავს. თვითონ კი არ იხვრიტება, თავად ხდება მხვრეტელი, რასაკვირველია უღირსისა. არ გავხდები უღირსი და არ დამხვრეტენ, ქეც ვიქნები კარგად. სამაგიეროდ მე დავხვრეტ უვარგისს, გლახაკს, უღირსს და ასე შემდეგ...

გაწვევის ეს ღონისძიება და ხვრეტის მანია საქმეს არ უშველიდა. ნახევრად შეშლილი მახნო რომ არ დაბადებულიყო... ხან „წითლებს" ებრძოდა იგი, ხან „თეთრებს", პეტროგრადის დაცემის წინ დაცხო დენიკინს, რომელიც იმის შემდეგ წელში ველარ გაიმართა.

სერგო სულ ფრონტშია.

ბელორუსია. XVI არმია.

ჩავიდა თუ არა არმიამ დატოვა მოგილიოვი, სმოლენსკი და თავი შეიკავა ბორისოვოში. თავად დადის დაზვერვაზე. ათეულს მიუძღვება წვიმაში, ტალახში, ჭეჭყოში; მიბლაყუნებს, მიყვებიან, ვერ ეწევიან.

მდინარე ბერეზინას ნაპირზე დგას შუბლზე ჩამოშლილი სველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თმით, თმას იქით მიმალული მოწყენილი თვალებით; გაცრეცილ სივრცეს, ყინვისფერ მდინარეს მიჩერებია.

სამხრეთი ფრონტი.

XIV არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი (შტაბის უფროსი საყვარელიძე — ბეჟანოვი). დასავლეთიდან წამოსული ლიტველთა დივიზიების სამხრეთის ფრონტზე გადმოსროლა ევალება მხოლოდ თავდაპირველად.

შემდეგ:

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები კურსკისა და ორიოლისათვის. სამხრეთის ფრონტი ერთიანდება, ძლიერდება, წალეკვით ემუქრება მოწინააღმდეგეს და დენიკინი უკან იხევს. წინ დენიკინია, უკან სერგო ორჯონიკიძე. იგი უბრუნდება იმ მხარეს, იმ ქალაქებს ცოტა ხნის წინ რომ მიატოვა. ოქტომბერ-ნოემბერში აიღეს კურსკი, ორიოლი და მიმდებარე ტერიტორიები. ლენინს კეისარივით ლაკონურად უდეპეშა.

სალამი ორიოლიდან!

სერგო.

სერგოს საკომპრომენტაციოდ შედგენილ მომდევნო რაპორტს თუ საჩივარს ლენინმა ასეთი რეზოლუცია დაადო:

„ი. უნშლიხტისა და სტალინის აზრით, სერგო უაღრესად საიმედო სამხედრო მუშაკია. უაღრესად ერთგული და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერი. მე თვითონ ათ წელზე მეტია ვიცნობ.“

ლენინმა, კურსკთან და ორიოლთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა ათქმევინა: მე მაინც სამხედრო კაცი ვარო. ლენინმა ამასთან ერთად, უაღრესად საქმიანი და ერთგული რევოლუციონერი უწოდა და იმედია ამ სამხედრო-რევოლუციონერს დაჭრილ-დასახიჩრებულთა შემხედვარეს, ფერშლობაც არ დაავიწყდებოდა.

1920 წელი. 8 იანვარი.

დენიკინი ყირიმში გამაგრდა.

წითლები როსტოვში შევიდნენ.

„პალას-ჰოტელი“.

„ისევ იმ ალაგს მოველი, გუშინ რომ დავკარ ისარი!“

სასტუმროს ფანჯრებიდან რკინიგზის ხიდები, გაყინული დონი, ტრამვაის რონოდები ტაგანროგის პროსპექტზე მიმავალი აბუზული ომით და შიმშილით შეწუხებული მოქალაქენი ჩანან. ძველ „აპარ-

ტამენტში“ სამოქალაქო და სამხედრო უწყებების წარმომადგენლები ირევიან; ვესტიბულში შეზარხოშებული მეზღვაურები ხოცებენ ისევ, აფერისტები, შულერები, სპეკულიანტები, ბოზები ჯერ კიდევ კარგად გრძნობენ თავს. მძიმედ, ზანტად მიდის ზამთარი და გაზაფხულის სუნთქვა ისმის. ზედიზედ ეცემიან და წითლდებიან: ანაპა, ნოვოროსიისკი, მაიკოპი, ყიზლარი. ხელახლა იქმნება კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შმართველი ბიურო. ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე, მოადგილე სერგეი კიროვი.

დენიკინი ისევ უკან იხევს; ტოვებს ქალაქებს, დასახლებულ პუნქტებს, სარკინიგზო კვანძებს. უკვე ხელისგაწვდენაზეა ვლადიკავკაზი, გროზნო, გროზნოს ნავთი და ბაქო. ბაქო-ბათუმის ნავთსადენი.

„ჩრდილოეთ კავკასიის—ყუბანის, სტავროპოლის, შავიზღვისპირეთის, თერგისა და დაღესტნის ოლქების თეთრებისაგან განთავისუფლება ცხადზე უცხადესი ფაქტია; ოსები, ინგუშები, ყაბარდოელები, დაღესტნელები, ბალყარელები საბჭოთა წყობილების სიძლიერის შეგნებით არიან გამსჭვალულნი“ და სხვა. ამ წერილს უგზავნის ლენინს 1920 წლის 4 აპრილს. რამდენიმე დღის შემდეგ ატყობინებენ უსიამო ამბავს და ახალი ტელეგრამა მიფრინავს იმავე მიმართულებით:

„...როსტოვში ჩამოვიდა ლონჟიუმოს პარტიული სკოლის ყოფილი მსმენელი მენშევიკი გრიშა ურატაძე, თუ მოიგონებთ ისაა, სახელი რომ გაითქვა აღმოსავლური ეშმაკობით. გეგეჭკორისაგან მოცემული კარტ-ბლანშის უფლებით თქვენთან მოსკოვში მოემგზავრება. ვფიქრობ, არაფრის მაქნისია!“

15. IV 1920 წ.

ლონჟიუმოს პარტიული სკოლის ყოფილი მსმენელი, იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი დესპანი ისედაც დაკავებულია, დანგრეული სადგურიდან მატარებლები არ გადის და როსტოვიდან აძვრის ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავს. ორჯონიკიძე კი დირექტივებს ელოდება კრემლიდან და ისეც არ აყოვნებს:

„...შგეიძლიათ აცნობოთ ბატონ ურატაძეს, რომ მთავრობა მოსკოვში მისი ჩამოსვლის წინააღმდეგი არაა, თუმცაღა გეთანხმე-

ბით სავსებით, რომ საჩქარო არაფერია და როსტოვიდან მოსკოვში გამომგზავრების დღეც თქვენი დასადგენია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგრამები ერთ დღესაა გაცვლილი და დელეგაციის ნებაზე ადრეც, შეიძლება პირდაპირი მავთულით, ექნებოდათ ლაპარაკი. სერგომ ლენინს შეახსენა პარიზი, ლენჟიუმო, პარტიული სკოლა და გრიშა ურატაძის „აღმოსავლური ეშმაკობანი". რაში გამოიხატებოდა „ეშმაკობანი" თუკი იგი ქალებთან ურთიერთობით არ იქნებოდა გაპირობებული, ძნელი დასადგენი ჩანს. ინესა არმანდსაც, ამაზე გვქონდა ლაპარაკი, უკავშირდება ალბათ რაღაც. ასე იყო თუ ისე, ორჯონიკიძის ტელეგრამამ ლენინზე ზემოქმედება ვერ მოახდინა და დელეგაციის შეგვიანების ხრიკებიც არ ყოფილა გამოყენებული.

საქართველო სამშვიდობო ხელშეკრულებას აფორმებდა რუსეთთან. არავის სრულად არ ესმოდა მნიშვნელობა იმ ისტორიული დოკუმენტისა, რომელიც იმოდენა თავსატეხს გაუჩენდა შემდგომში იმპერიას და ისე წაადგებოდა დღევანდელ საქართველოს. ორჯონიკიძის ვარაუდით ეს აქტი (ხელშეკრულება) საქართველოზე თავდასხმას, სამხედრო ინტერვენციას შეაფერხებდა მხოლოდ. ლონდონიას მთავრობას, დელეგაციით რუსეთის პოზიციების მოსინჯვას რომ აპირებდა, ურატაძის მისიის წარმატების არ ჯეროდა; ამიტომ არ გააგზავნეს ირ. წერეთელი, კ. ჩხეიძე, აკ. ჩხენკელი ან ზ. ავალიშვილი. რუსეთმაც ურატაძის რანგის დიპლომატი კარახანი დააბეჭდრა და ამ პირებმა (ურატაძე-კარახანი) მოაწერეს ხელი ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტს. რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებად ცნობილი დოკუმენტი კი მალე იქნა რატიფიცირებული შესაბამისი მთავრობების მიერ. 1920 წლის 7 მაისს კი ლენინის იმპერიული პოლიტიკის მარცხის დღეც შეიძლება ეწოდოს. ლენინმა ვერ გაითვალისწინა ამ დოკუმენტის სამომავლო მნიშვნელობა, რაც ვრანგელის შემოტევითა და პოლონელთაგან ომის გამოცხადებითაც იყო გაპირობებული. ამიტომაც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გაჭიანურებას, გადავადებას (თუნდაც ორჯონიკიძის ინსტრუქციის მიხედვით) არ ჰქონია ადგილი. მცირეოდენი შესწორებების შემდეგ რუსეთმა იცნო დოკუმენტი და შესაბამისად საქართველოს დამოუკიდებლობა; ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაციას მიაღწია მხოლოდ, რაც, მისი აზრით, საქართველოს

გასაბჭოების საწინდარიც უნდა ყოფილიყო. ამაში იდო შეცდომისა და სიმართლის ნაწილი ერთდროულად, მაგრამ ეგ არ იყო მთავარი: საქართველომ თავისუფლების იურიდიული სტატუსი, ფორმა და ამ ფაქტს დიდ ანგარიშს გაუწევდა ევროპა; [illegible] იყენებდა საქართველო იმ მომენტში, გამოიყენებდა სამომავლოდ, გამოიყენებს აწი. ურატაძისა და სომეხი კარახანის (კარახანიანის) ხელმოწერილი ქაღალდი დაიჩება შთამომავლობას შავით თეთრზე დაჩენილ დოკუმენტად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებულ ფაქტად.

კარახანი ეძმაკაცებოდა აბელ ენუქიძეს. უშვილოდ გადაეგო თავადაც, აბელივით უყვარდათ ქალები — ბალერინები, თავის პატივი და მუშაობაც კი. დახვრიტეს ენუქიძესთან ერთად არა მარტო ბალერინების სიყვარულის გამო. როცა იმპერიალიზმის აგენტობა და ჯაშუშობა შესწამეს, აბელმა ტირილი დაიწყო. პატრონის სიახლოვემ დამღუპაო, შეცბუნებულ ჩეკისტებს აუხსნა. კარახანი ენუქიძის მეგობრობამ შეიწირა ალბათ და გასრულდა მათი სიცოცხლე.

რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების იდეა ეკუთვნის ნოე ჟორდანიას მისივე განცხადებით:

„...ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი, ცხადი იყო, რუსეთს, წაქცეულ რუსეთსაც, დიდ ანგარიშს უწევდნენ და არ სურდათ მისი დანაწილების დადასტურება.“ (ჰგავს თუ არა დღევანდელ ვითარებას?)

დანაწილება-დაყოფა კი რეალური ფაქტი იყო და ამ ფაქტს, ამ რეალობას მაინც დამტკიცება, დადასტურება ჭირდებოდა, რაც რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებითაც იქნებოდა გაცხადებული. საიმედო კაცი უნდა წასულიყო მოსკოვს, ურდოში და საამისოდ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ შეარჩია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, გრიგოლ ურატაძე. ევგენი გეგეჭკორმა შეუამხანაგა კაცი, რომელიც ლენინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების ნაცნობობას (არც მთლად უსაფუძვლოდ) ჩემულობდა და სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გარანტიას (მაგენი მე უარს ვერ მეტყვიანო) იძლეოდა. გეგეჭკორმაო — ჟორდანია იხსენებს — **„დამისახელა გვარიც (აღარ მახსოვს), იყო იმავე დროს კომპარტიის ც. კომიტეტის**

წევრი რუსეთში. გრიშაზე დათანხმდა და ორ კვირაში გავის-ტუმრე რუსეთისაკენ შავი ზღვით.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავ ზღვაზე ვლადიკავკაზი მოსინჯეს უშედეგოდ.

კაცი კი, რომელიც გრიშა ურატაძეს ახლდა გვარად იმ ბახიძე, ბოლშევიკური პარტიის (ცეკას წევრობა ჟორდანიას მეტი მოუვიდა) წევრი, დავით საღირაშვილის ცნობით, მოსკოვიდან საგანგებო დავალებით ჩამოსული აგენტი. დავალებული ჰქონდა სადაზვერვო ცნობების შეგროვება რუსეთის სასარგებლოდ და საქართველოში არეულ-დარეულობის გამოწვევა. საამისო, როგორც ირკვევა, „მოსკოვის აგენტს“ არაფერი გაუკეთებია და ნოე ჟორდანიასთვისაც თავი ვერ დაუმახსოვრებია. ჩამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ დაუჭერიათ, ჩაუსვიათ მეტეხის ციხეში და მონანიების წერილის შემდეგ გამოუშვიათ. დავიწმუნდიო, დაუწერია, რომ ამ გზით (დივერსიით) საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა სრული უაზრობაა. შესაბამისი შინაარსის წერილები კი, რამიშვილის დავალებით, გაუგზავნია ლენინისათვის და სტალინისათვის და ამის შემდეგ საგანგებო მისიაზეც დაუდვია თავი და ეს დროც მალე დადგომია.

ურატაძე და კობახიძე ვლადიკავკაზიდან გაღწევის რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ დაბრუნდნენ უკან და გაგრაში ჩავიდნენ. გაგრაში შეხვდნენ საღირაშვილს, რომელიც ტრანზიტით გაგრაში მოხვედრილ ყუბანის კაზაკებს ანიარაღებდა. შეამხანაგებულან და გაგრიდან გადასულან სოჭში. — „სადაცო დავიქირავეთ პატარა გემი (კაპიტანი ქართველი), რომელმაც მშვიდობით ჩაგვიყვანა ნოვოროსიისკშიო“. აპრილის შუა რიცხვებში ჩასულან როსტოვში და ორჯონიკიძის დავალებით დაუპატიმრებიათ სამივენი მიზეზის დაუსახელებლად. ორჯონიკიძეს კობახიძე მანამდე არ ენახა და გალახულიც არ ეყოლებოდა თავისთავად ცხადია. მათი ერთიერთზე ლაპარაკი კი შედგა ორჯონიკიძის ვაგონში როსტოვშივე, ლენინის ტელეგრამის მიღებამდე. შენო, უთხრა ორჯონიკიძემ, ჩვენი პარტიის წევრი ხარ და ძირგამომთხრელ საქმიანობას აწარმოებ ჩვენსავე წინააღმდეგ, ომის კანონებისა და ვითარების შესაბამისად ამის გამო მიგაყენებ კედელთან და ალაგობრივ მიგახვრიტავო. მეო, სათვალის სწორებით უპასუხა კობაძიხემ, მოსკოვში მივემგზავრები არა როგორც საქართველოს დესპანი, არამედ

როგორც რუსეთის ემისარი, რომელსაც მეტად საჭირო სამხედრო
და სამოქალაქო მნიშვნელობის ინფორმაციები მიმაქვს კრემლიდან
გადავამოწმებთ ჩვენ მაგასაც და სულერთია ალაგობრივად
ვრიტავთ, როცა ყველაფერს დავაზუსტებთო. საგონებელში ჩა-
ვარდნილი დელეგაციის წევრები ერთმანეთს ველარ უყურებდნენ,
რა გზას უნდა დადგომოდნენ აღარ იცოდნენ და მოულოდნელად
მათი ვაგონიც შექანდა. საბარგო მატარებელზე იყვნენ გამობმუ-
ლნი, მაგრამ მოსკოვისაკენ მიექანებოდნენ.

ბრძანებას დაემორჩილა, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია ორ-
ჯონიკიძეს. იგი დაუკავშირდა ამიერკავკასიის ჯარების სარდალს
სმილგას და საბედნიეროდ, მათ ერთობლივ მეცადინეობასაც არ
გამოულია ნაყოფი. მათ რჩევა-დარიგებასაც არ ათხოვეს ყური და
ლენინმა, სტალინმა და ჩიჩერინმა მოლაპარაკების გაჭიანურების
საჭიროებაც ვერ დაინახეს. ლენინმა სამ მაისის პირდაპირი მავთუ-
ლით გამოიძახა გაგულისებული სერგო და უბრძანა, სასწრაფოდ
მაცნობე, რატომ უნდა გადავდო მოლაპარაკება ურატაძესთანო.
მაცნობე დამისაბუთესაც ნიშნავდა და ამ ბრძანების პასუხი არ
ჩანს. არ ვიცით რა შეატყობინა საბოლოოდ კრემლს, მაგრამ მისმა
მონდომებამ მოლაპარაკების დაწყება დააჩქარა, კი არ შეაყოვნა.
ამაში დიდი წვლილი შეიტანა კობაძიხემაც, რომელიც სიტყვის კა-
ცი და რიკოვის მოყვარე აღმოჩნდა.

დელეგაცია ვინმე კრესტოვნიკოვის ფეშენებელურ სახლში და-
ბინავდა და გაიმართა წინასწარი მოლაპარაკება კარახანთან, რო-
მელიც მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულად. ლენინს აინტერე-
სებდა. ჰქონდა თუ არა ურატაძეს სრული რწმუნებანი და ხელ-
შეკრულებაზე ხელის მოწერის განკარგულება. ეს უფლებანიც
დადასტურდა და დელეგაცია მიიღო სტალინმა. ორჯონიკიძე როს-
ტოვში სტალინის სახელს ახსენებდა და ურატაძეს მძიმე ლაპა-
რაკი შედგებოდა, ეგონა. მოხდა პირიქით, ყოველმა სახელმწიფომ
ღიდმა თუ პატარამ და რასაკვირველია საქართველომაც თავისი
ბედი თავადვე უნდა გადაწყვიტოსო, თქვა და გადახედა გვერდით
მჯდარ, ამ სიტყვების არაგულწრფელობით შეფიქრიანებულ კამე-
ნევს.

ხუთ მაისს, პოლიტბიუროს სახელით, სერგო ორჯონიკიძეს სა-
ქართველოსთან ყოველგვარი სამხედრო კონფლიქტი აეკრძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დღეს საბჭოთა რუსეთი ჩაება პოლონელებთან ომში და მოსკოვში გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე გამოვიდა ...
მიტინგი გადააქცია პარადად, პარადიდან პირდაპირ ფრონტზე გაუშვა მოხალისენი. 7 მაისს კი ურატაძისა და კარახანის ხელმოწერით გაფორმდა რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულება და ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა სერგოზე. სტალინისაგან არ მოელოდა იგი ამნაირ სიმუხთლეს. ერთი მარცხი არ ჰქონდა მონელებული და მეორე დაერთო. ბრძანება შემოეთვალათ ახალი: ზაქათალას რაიონიდან გაიყვანე აზერბაიჯანის ჯარი და ყოველგვარი საომარი მოქმედება შეწყვიტეო. გულორჩილებით, ომის შეწყვეტის საჭიროებას ვერ ვხედავო, კადნიერად შეეპასუხა კრემლს ბოლშევიკური პოლიტიკით გულაცრუებული, ბაქოში გამოიკეტა და ადრე გამოხნავ ადრე გამოგხრავს მოლოდინით გაყუჩდა, უკეთეს მერმისს დაელოდა.

ხელშეკრულების ძალით მოხდა საქართველოს კომპარტიის ლეგალიზაციაც. მაგრამ ბოლშევიკები გაოგნებულნი დარჩნენ მაინც. თავისუფლდებოდნენ და სამოქმედო ასპარეზი ეცლებოდათ: ეკრძალებოდათ გაფიცვები, აჯანყებები, აქტიური გამოსვლები. რა ჰქნა ეს რუსეთმა, რა ხდებაო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ; სამშვიდობო ხელშეკრულების სადღეგრძელოს სვამდნენ მოსკოვში კრესტოვნიკოვის 11 ოთახიან ბინაში ურატაძე, კობახიძე, ხალირაშვილი და „ღალატის" ავტორი სუმბათაშვილ-იუჟინი.

რუსეთის სრულუფლებიან ელჩად საქართველოში დაინიშნა მ. კიროვი, — გამოჩენილი რევოლუციონერი, პარტიული მუშაკი. ამ თანამდებობაზე მისი გამომწესება ხელშეკრულების სერიოზულობაზე მიათითებდა თავდაპირველად. კიროვი თბილისში ჩამოვიდა 7 ივნისს და 17 სექტემბრამდე (უკან გაწვევამდე) არ შეუწყვეტია ძირგამომთხრელი საქმიანობა. ინსტრუქციებითა და საკუთარი ინიციატივით დაუკავშირდა სერგოს, ადგილობრივ ბოლშევიკებს, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს; მათგან იღებდა ინფორმაციებს, საჩივრებს და ერთმანეთის მიყოლებით აგზავნიდა მოსკოვში ცილისმწამებლურ წერილებს; საქართველოს მთავრობას ხელშეკრულების თითქმის ყველა შუხლის დარღვევას აბრალებდა ერთდროულად და ცალცალკე. ცხოვრობდა სოლოლაკში, დღევანდელ ჯაფარიძის ქუჩაზე. საქართველოს მთავრობას სურდა „პერ-

სონა ნონ გრატად“ მისი გამოცხადება, მაგრამ ახალი დადებული ხელშეკრულება უბორკავდა ხელფეხს. სამაგიეროს გადახდა უფრო დახვეწილი დიპლომატიური ხერხებითაც შეიძლებოდა. ამ როლს, თუკი ამას რაიმე აზრი ექნებოდა, შეასრულებდა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში გერასიმე მახარაძე. გერასიმეს ამის გაკეთება არ შეეძლო და კიროვობასაც არავინ თხოვდა, თუმცა ელჩის მოვალეობასაც, რაზეც ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, ვერ ართმევდა თავს.

სერგო ორჯონიკიძე ერთხელ 1918 წელს გააძევეს ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ — ვლადიკავკაზიდან. ორიოდე წლის შემდეგ თავად გამოსდია რასტოვიდან დენიკინელების არმიას და საქართველოს საზღვრებამდე მოყვა. სამხრეთის ფრონტმა გადმორეკა თეთრგვარდიელთა არმიების ნარჩენები ჩრდილოეთ კავკასიაში და შეიქმნა კავკასიის ფრონტი (მთავარსარდალი ტუხაჩევსკი, სამხედრო საბჭოს წევრი ს. ორჯონიკიძე). პირველი რიგის საომარი ოპერაციების დასრულების შემდეგ, კი ამიერკავკასიის ინტერვენციამდე, სამხრეთის ფრონტი ვლადიკავკაზის მიდამოებში, შტაბი თვით ვლადიკავკაზში განლაგდა. ლენინის ბრძანებით ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის ბიუროს ხელმძღვანელის (ს. ორჯონიკიძის) მოადგილედ დაინიშნა მ. კიროვი, რომელიც საგანგებო უფლებებით, ფულით, მიწებისა და საზღვრების დანაწილების რწმუნებებით ჩამოვიდა და ორჯონიკიძის განკარგულებაში გამოცხადდა. ორჯონიკიძე და ტუხაჩევსკი ბაქოში შესაჭრელად ემზადებოდნენ. დენიკინის ჯარების ნაგლეჯების გადაადგილებას ადევნებდნენ თვალს. დენიკინელები საქართველოდან აპირებდნენ რუსეთში გადასვლას. საქართველოს მთავრობას დარიალის ჩაკეტვა უნდოდა, თუმცა იგი ისედაც ჩაიხერგა არეულ-დარეული გამქცევ-მიმყოლი შენაერთებით.

1920 წლის მარტში შალვა მაღლაკელიძემ ვლადიკავკაზში საქონლის ვაგონებში დაბანაკებული ორჯონიკიძე და კიროვი ინახულა.

ვლადიკავკაზის კონსული, ექიმი ვახტანგ მაჩაბელი, გოგიტა ფალავა, მთავრობაძე გარდაიცვალაო, დეპეშა რომ გამოგზავნა, და შალვა მაღლაკელიძე (ვერმახტის მომავალი გენერალი) მიად-

გნენ ვაგონებს საბუთების მრავალგზისი გადამოწმების შემდეგ.

სამი ყავისფერი ვაგონი იყო მილურსმული რელსებზე [illegible] ლებელ ალაგას. ვაგონებს იქით იყო მინდვრები, [illegible] ჩანდა. შუა ვაგონიდან, რომელსაც ხის კიბე ჰქონდა მიდგმული, ბოლი ამოდიოდა. ერთი ვაგონი სამხედრო რუქებით იყო გავსებული, ერთში (შუაში) ცეცხლი ენთო და ერთ ვაგონში ება ცხენი, რომელიც სტუმრებმა მოგვიანებით შეამჩნიეს. თუნუქის ასვეტილ ღუმელზე, დროდადრო რომ უჩხიკინებდნენ საჩხრეკით ქვემოდან, გაუთლელ კარტოფილს წვავდნენ. დაბალი, თავკომბალა კაცი აღმოჩნდა კიროვი, გამხდარი, გრძელთმიანი და ცხვირა (იოლი მისახვედრი იყო) ორჯონიკიძე.

— გამარჯობა გოგიტა! — ამოიხედა ორჯონიკიძემ და არ წამოდგა, ხელიც არავის არ ჩამოართვა.

დასხედითო, გრძელ სკამს მიათითა კიროვმა. დასხდნენ. ჩოხოსანმა მაღლაკელიძემ ხმლის ვადას იდაყვი დააბჯინა. ორჯონიკიძე იღიმებოდა და ერთ ცხელ კარტოფილს აწვალებდა, დანახშირებულ კანს აშორებდა.

— რაო გოგიტაჯან, რა დაგაბარეს? ცოცხალია შენი მთავრობა.. ვის იმედზე ხართ?.. სომეხი თქვენ წაქცევას ელოდება, რუსს თქვენ არ უყვარხართ, ყიზილბაშებს ჩვენ მოვუგრიხავთ კისერს, თქვენც ყოფას გიტირებთ... ხელშეკრულება არ უშველის თქვენს ოლრაშობას... აგერაა ეს კაცი და იტყვის, თქვა უკვე ყველაფერი... რა გზაზე ადგიხართ თქვენ?!

— მიირთვით, ჭამეთ! — იღიმებოდა კიროვი, კართოფილს ათითებდა. ორჯონიკიძეც იცინოდა დროდადრო უმიზეზოდ, თვალები უელავდა და ელულებოდა.

ჭამის კი არა ლაპარაკის ხასიათიც გაფუჭებოდათ სტუმრებს.

— რა გინდათ?! — დასერიოზულდა ორჯონიკიძე მიბნედილი თვალები მოწკურა.

მოსულებს საშვი, საქართველოს საზღვრამდე და საგუშაგოებამდე უხიფათოდ მისვლა უნდოდათ.

— ეს ვინაა?

— შალვა მაღლაკელიძე! — წამოიწია ჩოხოსანი. ჩინი არ გაუმხელია.

— მაღლაკელიძე შალვა... — არაფერი არ უთხრა ამ გვარმა

და სახელმა. — კართოფილი არ გინდათ, აბა რა გინდათ, დასალევი ჩვენ არა გვაქვს, არ ვხმარობთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარაფერი არ უნდოდათ, საშვების გარდა. იმჟამად კი ყველაფერ-ლა ერჩიათ ყველაფერს.

— სერგეი, ამათ საშვი უნდათ, საქართველოში მიდიან!

— წავიდნენ მერე... საშვი მივცეთ.

— სერგეი, შენ წინააღმდეგი ხომ არა ხარ, ჩვენს მშობლიურ ენაზე რომ ვლაპარაკობთ?

— პირიქით. სულ არა ვარ წინააღმდეგი. გრიგორი კონსტანტინეს ძევ. ილაპარაკეთ თქვენს მშობლიურ ენაზე!

— შენ ექიმიც ხარ ხომ? — მაჩაბელს უყურებდა და ისევ იღიმებოდა. ლაშები ჰქონდა მომუწული და ბოლოებში აწეული. დროდადრო სერიოზულდებოდა და დაბლა ჩამოდიოდნენ ლაშები, ცხვირი, თვალის ჭრილები და წარბები.

— საშა გეგეჭკორს მე მოვჭერი ფეხი! — თქვა მოულოდნელად ვახტანგ მაჩაბელმა.

— რამდენჯერმე წაიმტვრია საშამ ფეხი და ბოლოს მოჭრეს. სერგეი, ეს ის კაცია, საშა გეგეჭკორს ვინც ფეხი მოჭრა!

— და ნუ!

— იცოდი შენ?

— ფეხი რომ არ ჰქონდა კი, რომ მოჭრეს არა.

— აქ იყო საშა ჩამოკვანჭალებული!

— ვნახე რამდენჯერმე... — გათამამდა მაჩაბელი.

— იქნებ არ ჰქონდა ფეხი მოსაჭრელი... იქნებ ის ფეხი არ მოჭერი!

თანდათან უკან-უკან მიდიოდა საქმე. ახლა გაჩუმება ჯობდა, პასუხება არ იქნებოდა.

— სერგეი, მე ამას ვეუბნები, იქნებ ის ფეხი არ მოჭერი-მეთქი!

— და ნუ. ბროს!

— სერგეი, შენ წინააღმდეგი ხომ არა ხარ, ჩვენს მშობლიურ ენაზე რომ ვლაპარაკობთ?

— მე არა ვარ წინააღმდეგი, ილაპარაკეთ თქვენს მშობლიურ ენაზე.

— ბეჭედი რომ არა გვაქვს, სერგეი, როგორ მივცეთ საშვები?

— ხელი მოვუწეროთ პირდაპირ, უბეჭდოდ.

— ეს კარგი გამახსენე, თქვენ თავისუფლები ხართ, ხელს მე იღებთ საშვებს!

ორჯონიკიძე ახლა მაღლაკელიძეს მიაჩერდა აგურისფერი თვალებით, მის სააღლუმო მორთულობას დააკვირდა ტუჩის აწეული ბოლოებით. შუა ვაგონში მოხარშული თუ დამწვარი ბალახისა და ნახშირის ბორიაყის სუნი იდგა. წინ რუქებით გაწყობილი ვაგონი, უკან მტრედისკვერცხისფერი ცხენის თავი ჩანდა.

ვახტანგ მაჩაბელმა ფეხი აითრია ჩასვლისას. აღარ იყო შეყოვნება საჭირო, მაგრამ მორიგ სისულელეს თუ იტყოდა, არ ეგონათ თანამგზავრებს.

— ერთი თხოვნა მაქვს კიდევ...

— ბრძანეთ.

— ნოხები მაქვს წასაღები და თუ შეიძლება ნოხების საშვი ცალკე გამომიწერეთ.

— აუცილებლად. ნოხების საშვი ცალკე მოგივათ, ჩვენ ვიცით, სადაცა ხართ ჩამომხტარნი! — ამჯერზე რუსულად ლაპარაკობადა ორჯონიკიძე და ბოდიშის მოხდა აღარ ჭირდებოდა, თუმცა თავკომბალა კაცი ყურადღებას აღარავის აქცევდა, თითქო სინანულით აქანებდა თავს და ცხელი კართოფილის ნაფხვენებს იყრიდა პირში.

სხირტლაძეების რესტორანში მიბრუნდნენ. სხირტლაძე უფროსს ხასიათი წაუხდა, მათი ვიზიტის ამბავი რომ გაიგო. არ უნდა მისულიყავითო. მე მოგიყვანდით საიმედო კაცს, რომელიც უხიფათოდ გადაგატარებდათ საზღვარზეო. მე ოფიციალური პირი ვარ და ოფიციალურად უნდა გავიდე საშვით, საშვი მოგვივა, იმეორებდა შეფიქრიანებული მაჩაბელი მეორე დღეს. ნასადილევს შემოცვივდნენ სასტუმროს ნომერში ჯარისკაცები. დააპატიმრეს მაჩაბელი და გოგიტა ფალავა. მაღლაკელიძე ფანჯრიდან გადახტა და თავს უშველა.

სასწაულებრივად გადარჩენილ, ცენტრალურ პარტიულ არქივში შენახულ ლენინის ტელეგრამას ბაქოს აღების აუცილებლობაზე სერგოს ასეთი მინაწერი ახლავს:

„ეს ტელეგრამა ბაქოზე შეტევის პერიოდს ეხება. ოპერაციას ლევანდოვსკის მეთაურობით განხორციელდა: 25—26-ში გადავდ. არეთ საზღვარი აზერბაიჯანისა და 28-ში უკვე ბაქოში ვიყავით.“

და პირველი მაისიც იზეიმა ბაქოში. 10 მაისს XI არმია დაათვალიერა თავისუფლების მოედანზე. დგას ტრიბუნაზე მაისის მზეში და ზედ მაზარაზე აქვს დაბნეული ახლად მინიჭებული ადგილობრივი მნიშვნელობის წითელი დროშის ორდენი. ძაბრა ქუდი ახურია და პირი აქვს დაღებული. იმ მომენტში ყვირის, ცხადია. მაგრამ მანამდე თუ იმის შემდეგ თქვა სიტყვა, დემოსთენეს: რომ შეშურდებოდა. შეაქო XI არმია, სულ ცოტა ხნის წინ, მისივე სიტყვებით, საბოლოოდ რომ გაიხრწნა და დაუმატა: **„უკვდავია თქვენი საგმირო საქმენი, ისინი ისტორიაში შევლენ!“**

პირველ მაისს უფრო გახარებული ჩანდა. გვერდით უდგა მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოგზავნილი, გაოცებული ნარიმან ნარიმანისძე ნარიმანოვი. ქვეით იდგა შავი, ფოტოზე შაში-ბეშად მომზირალი, კამო, რომელიც გამარჯვებულთა ზეიმს აღტაცებაგანელებული შეჰყურებდა. თუკი დროშების საფრიალოდაა უკვე საქმე, მე რიღასი მაქნისი ვარ, ვიღას ვებრძოლო, რა ჩემი ფეხები ვაკეთოო, ფიქრობდა და დიდი დროც აღარ ჰქონია დარჩენილი. ორჯონიკიძე რომ ხალხებს ათავისუფლებდა, კამო ძველ ხელობას მიყვებოდა. ექსპოპრიაციებს არ ანებებდა თავს. კოჯრის გზაზე სახელმწიფო საფოსტო ექსპედიციას დაეცა ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით და გაბაწრეს. გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა, რაღაც მანქანებით, ოცწლიანი კატორღით შეუცვალეს. ციმბირიდან ჯერ რომანოვების მე-300-ე წლისთავმა, შემდეგ რევოლუციამ იხსნა და ზღვას გადარჩენილი ცვარმა დაახრჩო ვერის დალმართზე, რომელსაც მისი დაღუპული თანაბანდიტის ელბაქიძის (ფული ერთად გაიტაცეს ერევნის მოედნიდან) ქუჩა დაერქმევა სულ მალე. საბარგო მანქანამ გაიტანა კოლა დვალის თამადობით. დამარხეს მაშინდელი ერევნის (საიდანაც ფული გაიტაცა), ბერიას, ლენინის მოედანზე ყოვლად შეუფერებელ, უადგილო ალაგას.

„...როდესაც ლენინს შევხვდები, არ ვიცი რას ვეტყვი მას...“

როგორ გავაგებინებ შენი სიკვდილის ამბავსო ცრემლი მოერია სამგლოვიარო მიტინგზე და სერგოს ისეთი გულჩვილობა სახალ-

ხოდ არც მანამდე არც იმის შემდეგ აღარ გაუმყარავნებია ლამ-
ნადაც ვიცით.

შემდეგ:

საქართველოს „გათავისუფლებამდე“, ომში საგანგებოდ გა-
თხოვილი, ვრანგელს ებრძვის ყუბანში ცოტა ხნით. დაღესტნის
არეულ-დარეულობაში და წვრილ-წვრილ შეტაკებებში იღებს
მონაწილეობას. 1920 წლის ნოემბერს (სამშობლოს „გათავისუფ-
ლებამდე“ სამი თვით ადრე) სტალინთან ერთად მოღვაწეობს თე-
მირ-ხან შურუში. 12 ნოემბერს დაღესტნის ავტონომიას აცხა-
დებენ, 17-ში თერგის რესპუბლიკის აღდგენას ულოცავენ მთიე-
ლებს. ერთად არიან დღეც და ღამეც იმ შემოდგომას; ერთად ძი-
ნავთ, იყოფენ ლუკმას, უზიარებენ ერთმანეთს ჭირს და სიხა-
რულს. დიდად აფასებდა სერგო სტალინის ნიჭს, პოლიტიკურ
ალღოს, დაუოკებელ მიზანსწრაფულობას და წინსვლას, სისასტი-
კეს, უეროვნულობას; თემირ-ხან შურუში გვიანი შემოდგომის
გრძელ ღამეებში ბევრი ექნებოდათ სათქმელი და სალაპარაკო,
საპირადო და საერო სადარდებელი. ბუხართან მიმსხდარნი შიგ
ნაცარში ხაზავდნენ და შლიდნენ საქართველოს საზღვრებს, „იმ-
პერიის განაპირა მხარის“ კონტურებს.

ისევ ბაქოშია.

ერთი ადგილი დ. გურამიშვილის წიგნიდან, რომელიც აქამ-
დეც უნდა გაგვხსენებოდა:

„სოლაღს, დარუბანდ, არმოანს, თქვენ რა ხელი გაქვთ ბაქოსა?
დასაბექველი მბაქველმან არც ეგრე უნდა ბაქოსა;
რადა ხნავთ, ანუ რად სთესავთ თქვენ ჩემსა სათამბაქოსა,
ანუ ბაქს, დაეღას რად იღებთ სადუქნეს, საქულბაქოსა?“

კვლავ ერთად არიან პროლეტარიატის მომავალი ბელადები.
სტალინი ესწრება კავბიუროს ყველა სხდომას, წარმართავს
კიდეც მის მუშაობას. ანგარიშებს აგზავნის ლენინთან. ან ეშლე-
ბა ან აზვიადებს ქემალის მთავრობის აგრესიულ ზრახვებს. ოსმა-
ლები შემოვლენ ამიერკავკასიაში ბათომით და აუცილებლად უნ-
და ავაფეთქოთ **„სურამის მატარებლის გვირაბიო.“** კავბიუროზეც
იგივეს იმეორებს: წიფის გვირაბს სურამისას უწოდებს და განსა-
კუთრებული დანიშნულების სტრატეგიულ პუნქტად მიიჩნევს,

კვლავ და კვლავ აფეთქების ვარიანტებს ატრიალებს. რეალური
იყო თუ არა საფრთხე, რომელზედაც სტალინის ყურადღებაა
გამახვილებული, დღევანდელი დღისათვის ბოლომდე არც
გარკვეული. ლენინი კი იმდროინდელ სიტუაციას ასე ახასიათებ-
და: **„ამჟამად კავკასიაში იქსელება ძალიან რთული პირობები,
რომლებშიაც ძალიან ძნელია გარკვევა...“ „კავკასიაში“ ...ძალიან
რთული მდგომარეობაა, მაგრამ მე სავსებით დარწმუნებული ვარ,
რომ ჩვენ იქიდან გამოვალთ.“**

როგორც დრომ და ისტორიამ დაგვანახა, მდგომარეობიდან გა-
მოსავალი (სხვა საკითხია როგორი) მოიძებნა და „სურამის მატა-
რებლის გვირაბის“ ჩამოქცევაც აღარ გახდა საჭირო.

ამასობაში პოლონელებმა გადმოლახეს საზღვარი შეიჭრნენ
უკრაინაში და აპრილის ბოლოს კიევი აიღეს. ყირიმში განლაგე-
ბული ბარონ ვრანგელის არმია ყუბანში შეგრიალდა პოლონელთა
პარალელურად. ამის გამო საქართველომ ნაწყალობები სუვერე-
ნიტეტი შეინარჩუნა; ერთი წლით გაიხანგრძლივა დამოუკიდებ-
ლობა.

ესეც ბარონი ვრანგელი!

ამიერკავკასიაშიც მშვიდობა დამყარდა. რუსს აღარ ეცალა
და მშვიდობა სუფევდა მცირე ხნით.

კავბიურომ, პირადად სერგომ ჩიჩერინის ხელით შედგენილი
ინსტრუქცია მიიღო: გართულებული საერთაშორისო ვითარებით,
სამხედრო ინტერვენციის გაჭიანურებით, მძიმე ეკონომიკური პი-
რობების გამო საბჭოთა ხელისუფლება კავბიუროს საქართველოს-
თან და სხვა ქვეყნებთანაც (თურქეთი, სომხეთი) ლოიალურ
დამოკიდებულებას უკარნახებდა, ბოლშევიკურ, მასიურ გამოს-
ვლებს და „აჯანყებებს“ კატეგორიულად კრძალავდა.

უფრო მეტიც:

„წითელი არმიის ნაწილებს ეკრძალებათ საქართველოს საზღვ-
რების გადალახვა“ — და ასე შემდეგ.

ლენინი ტ. 8 გვ. 535.

სერგო სულ დაიბნა.

სტალინმა მოთმინება ურჩია. შენ მანდ საფრთხეს (აჯანყების ჩაშლის საქმეს) ნუ აზვიადებ და ნუ ნერვიულობო, ყველაფერი ეს ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობით არის ნაკარნახევი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ადგილი ყოფილი მენშევიკის, ძველი სოციალ-დემოკრატის, მარქსიზმის თეორიტიკოსის მარტინოვის მოხსენებიდან (კონფერენციაზე წაიკითხა და გამოქვეყნდა რუსულ და ქართულ ცენტრალურ გაზეთებში):

„...პირველ ყოვლისა, მე ვბედავ, აგიხსნათ თქვენ ერთი საიდუმლო. რამდენადაც მე ვიცი, მოსკოვის ბოლშევიკი ლიდერები— ლენინი და ტროცკი წინააღმდეგი იყვნენ საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის. ლენინი მომხრე იყო ჟორდანიასთან შეთანხმების...“ „...საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლის ინიციატივა გამოდიოდა არა მოსკოველი ბოლშევიკებისაგან, არამედ ქართველი ბოლშევიკებისაგან.“ „...ქართველმა ბოლშევიკებმა ითავეს ეს საქმე თავისი შიშისა და რისკის ქვეშ და მოსკოველი ამხანაგები მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენეს.“

ხემ თქვა ცული რას დამაკლებს ჩემი გვარის რომ არ ერქოს შიგო, ნათქვამია და, ისე არაა მაინც, როგორც მარტინოვს გონია.

საგულისხმოა, რომ თავად სერგოც არ უარყოფს ამ ფაქტს: „მე უაღრესად კატეგორიული ფორმით უნდა განვაცხადო, რომ მოსკოვი ყოველთვის გადაჭრით წინააღმდეგი იყო საქართველოსაღმი რაიმე კონფლიქტური დამოკიდებულებისა.“

მიუხედავად ამისა, მოვუსმინოთ ტროცკის:

„...მენშევიკური საქართველო ვერ გაძლებდა. ეს ყველასათვის ერთნაირად ნათელი გახლდათ, მაგრამ გასაბჭოების მომენტებზე და მეთოდებზე ერთსულოვნება არ ყოფილა. მე ვიცავდი ცნობილ მოსამზადებელ პერიოდს, — თვით საქართველოში უნდა გაგვეჩაღებინა აჯანყება და მივსულიყავით დასახმარებლად. მე ვთვლიდი, რომ პოლონეთთან ზავისა და ვრანგელის განადგურების შემდეგ პირდაპირი საშიშროება საქართველოს მხრიდან არ იყო და ჩანაფიქრი შეიძლებოდა გადაგვედო. ორჯონიკიძე სტალინის მხარდაჭერით მოითხოვდა წითელი არმიის დაუყონებლივ შეჭრას საქართველოში, სადაც აჯანყება თითქოს მომწიფებული ჩანდა, ლენინი ცეკას ორი ქართველი წევრის მხარეზე იდგა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო სწრაფად იცვლებოდა, ინტერვენცია უკან იხევდა, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება სტაბილური ხდებოდა, ეროვნული ტიკური სიტუაცია იცვლებოდა შესაბამისად და ტროცკის სიტყვებით რომ ვთქვათ **„პირდაპირი საშიშროება საქართველოს მხრიდან“** მაინც არ იგრძნობოდა.

1920 წლის ნოემბერში სტალინმა ვლადიკავკაზიდან ლენინს შეატყობინა: საქართველოს მენშევიკური მთავრობა აზერბაიჯანზე თავდასხმას აპირებს (?), რასაც თურქეთისა და სპარსეთის გააქტიურება მოყვებაო და XI არმიის შეთხელებული ნაწილების გაძლიერება მოითხოვა. იმავე წლის 15 დეკემბერს ლენინის სამუშაო მაგიდაზე იდო ასლი კავბიუროს დადგენილებისა, სადაც საქართველოში რეგულარული ჯარის შეყვანის გადაწყვეტილებაზე (მერამდენედ) იყო ლაპარაკი. ლენინი ისევ ფრთხილობდა, არა მარტო — ლენინი.

ბაქოში XI არმიის შტაბში უნებური მოწმე გავხდი ლევანდოვსკისა და ლევ ტროცკის პირდაპირი მავთულით ლაპარაკისაო, იგონებს ტუხაჩევსკი. იგი ახალგაზრდა იყო, მაგრამ დიდი თანამდებობა ეჭირა და ამ საუბრის მოსმენის უფლებაც ექნებოდა. ტროცკი თბილისზე შეტევას თვითნებურს უწოდებდა. ჩვენი თავდასხმა შეუწყნარებელი ავანტურა იქნებაო, ამტკიცებდა.

1920 წლის 15 დეკემბერს მოწვეული იქნა კავბიუროს გაფართოებული სხდომა, სადაც სერგო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა. სხდომას, გარდა კავბიუროს წარმომადგენლებისა, ესწრებოდნენ: საქართველოს კომუნისტები: ლადო დუმბაძე, მიხეილ ოკუჯავა; XI არმიის მეთაურები: გეკერი, მიხაილოვი, ელიავა. სერგომ თქვა, როგორც ზოგიერთებს მოეჩვენათ, დაასაბუთა, რომ საქართველოს რესპუბლიკა იმპერიალისტურ, კონტრევოლუციურ ძალებთან ერთად საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისათვის ემზადებოდა: უცხოეთიდან წამოსული ესკადრები საქართველოში ეზიდებოდნენ იარაღს. ამიტომ და ამის გამოც მენშევიკური მთავრობის დამხობა იყო აუცილებელი, რაშიც, სხდომის მონაწილეთ, არც მანამდე ეპარებოდათ ეჭვი.

ლენინმა არც ამჯერზე მოიწონა კავბიუროს გადაწყვეტილება და იგი განსახილველად გადასცა პლენუმს თავისი უარყოფითი მო-

საზრებებითურთ. 17 დეკემბრის პლენუმმა ლენინის მიმითებების საფუძველზე არ მიიღო კავბიუროს დადგენილება.

„...დამტკიცდეს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება კავკასიაში ერესეფესერეს პოლიტიკის მშვიდობიანი გზის შესახებ და მოთხოვოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებას მიიღონ ყველა ზომა, რომელიც ამ პოლიტიკის წარმატებას უზრუნველყოფენ.“

მიდიოდა დრო. არ ადგებოდა საქართველოს დაპყრობას საშველი. ნერვიულობდა ამის გამო ორი დიდი ქართველი. ერთი ბაქოში ასკდებოდა გულს, მეორეს მოსკოვში მოსახდენის აუცილებლობაზე ეღიმებოდა.

პირდაპირი ლაშქრობის ნებართვას ვერ ეღირსნენ და საქართველოს „მშრომელთა აჯანყების“ ადრე შემუშავებული გეგმის გაღრმავება, დაზუსტება, გეგმის განხორციელებისათვის მზადება დაიწყეს. სერგომ საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს ბოლშევიკები და შეასახელა სომხები, რომელთაც აჯანყების ორგანიზაცია და დაწყება დაევალათ. აჯანყების თავკაცად მოიწვიეს ცნობილი ტერორისტი, ხელობით ასოთამწყობი იოსებ ღაზიანი. ღაზიანმა სწრაფად შეადგინა მეამბოხეთა საორგანიზაციო კომიტეტი, შექმნა შტაბი და შტაბის უფროსად დანიშნა ყოფილი გენერალი ოვსეპიანი. მზადებისა და მომავალი „აჯანყების“ გეგმა, დრო და მაშტაბი ორჯონიკიძისა და კიროვის ხელმოწერით 1921 წლის იანვარში კრემლში გადაიგზავნა. კრემლმა ამჯერზეც თავი შეიკავა, თუმცა „ნეიტრალურ ზონაში“ შექმნილი მეამბოხეთა კომიტეტის რეორგანიზაცია არ მოუთხოვია. ამიტომ მოძმე სომეხმა ამხანაგებმა გააქტიურეს თავიანთი მოქმედება, თუმც იქამდისაც არ მსხდარან გულხელდაკრეფილნი. აიარაღებდნენ და წვრთნიდნენ მოწვეულ მოხალისეებს, ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავებულ წარმომადგენლებს; აყალიბებდნენ საველე შტაბებს, სასოფლო რევკომებს და საგანგებო კომისიასაც (ჩეკა), იქამდისაც კი, რომ გაზეთის ერთი ნომრის „ტრუდ ი სვობოდა“-ს გამოცემაც მოახერხეს.

მეთერთმეტე არმიის ერთმა მოძალადე კომისართაგანმა გეკერმა განაცხადა, საქართველოს ამ დროს ყურთბალიშზე ეძინაო.

მართლა ყურთბალიშზე ეძინა საქართველოს მთავრობას?

1921 წლის იანვარში, წითელი ჯარის შემოსვლამდე დაახ-

ლოებით ერთი თვით ადრე, თბილისში შეიქმნა თავდაცვის ფონდი (თავდაცვის შტაბის შექმნა ჯობდა). თავჯდომარე აკ. ჩხენკელი.

ჩხენკელი მალე ევროპაში გაემგზავრა და იგი შეცვალა ჟორჟოლიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდი ნებაყოფლობითი შეწირულებისა და საჩუქრების ხარჯზე უნდა აღორძინებულიყო და დაიწყეს შეწირვა:

ნ. ჟორდანიამ შეწირა — ვერცხლის კოვზი.

ნ. რამიშვილმა — ჩაის ვერცხლის კოვზი.

(ჩაის კოვზზეა აქცენტი და აქედან გამომდინარე, ჟორდანიას სუფრისა შეუწირია. სუბორდინაცია დაცულია). ვიღაცამ შეწირა სამარილე, ვიღაცამ ყანწი, ერთმა კულა, მეორემ თიხის ჯამი; რომელიღაც ჩოლოყაშვილმა 150 ფუთი (იმედია საღი) სიმინდი ჩააბარა და ამ სიმდიდრეს ომის მსვლელობაზე, ამას შემდეგ ვნახავთ, გავლენა არ მოუხდენია.

1921 წლის 26 იანვარს შედგა კომუნისტების მორიგი პლენუმი, რომელმაც საქართველოს საკითხი განიხილა. დაისვა შეკითხვა: ომად იყო თუ არა რუსეთი საქართველოსთან საომრად? ამ საკითხის გადაწყვეტა დაევალა ტროცკის, ჩიჩერინისა და სტალინის შემადგენლობით შექმნილ კომისიას.

ომის დაწყების ძირითადი მიზეზი (თუკი რუსეთი საქართველოსთან საომრად მზად აღმოჩნდებოდა): საქართველოს თავს გაუვიდა, იგი ძალიან გათავხედდა და ასე შემდეგ. დადგენილების ერთ პუნქტში, ლენინის თხზულებათა მე-42-ე ტომში რომ შევიდა, გარკვევით წერია (დოკუმენტი ლენინის ხელითაა შედგენილი): **„მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის.“**

სტალინი ორჯონიკიძეს ეკითხება:

„რა ძალები დაგვჭირდება, რომ დავამარცხოთ საქართველო. შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი?“

რა უპასუხა კონკრეტულად ორჯონიკიძემ არ ვიცით, რას უპასუხებდა ვხვდებით. შეეძლო იქვე გაეცა გამარჯვების სრული გარანტი და სტალინსაც აღარ გაუტყდებოდა ძილი. არაფერი იყო სანერვიულო. მისი სამშობლოს ბედი გადაწყვეტილი იყო. რუსეთის იმპერიასაც აღარ ჭირდებოდა ამდენი მზადება. სულ თვენახევარში დაადგამდნენ საქართველოს ისევ უღელს, უფრო მაგრად წაუჭერდნენ აპეურებს, ვიდრე ოდესმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ანექსიას კატასტროფა არა, მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება მოყვებოდა რაღაც ევროპა აყაყანდებოდა მცირე ხნით და პროლეტარიატს ამასაც ერიდებოდა. საქართველოს გასაბჭოება კი უომრადაც შეიძლებოდა. გადასაწყვეტი გადაწყდებოდა, მოსახდენი მოხდებოდა, მაგრამ ლენინსა და ჟორდანიას ამ საკითხის მშვიდობიანად გადაჭრა უნდოდათ. არც კერძო, არც ოფიციალური, არც საიდუმლო შეთანხმება არ ჩანს, მაგრამ ნიადაგი მოსინჯული იყო საამისოდ. რა გინდათო, უთვლიდა ჟორდანია კრემლს. კრემლმა იცოდა, რაც უნდოდა. ლენინი კი თავის პოზიციას აშკარად არ ამჟღავნებდა ყოყმანობდა და ფეხს ითრევდა მხოლოდ. საქართველოს მთავრობაც (ხალხს არ უმხელდა) მოსალოდნელი თავდასხმისათვის ემზადებოდა ფსიქოლოგიურად და ჰეკერის განცხადება, ყურთბალიშზე ეძინათო სინამდვილეს მთლიანად არ შეეფარდება. **„საერთო რწმენა იყო, რომ რუსეთს ვერ გავუძლებდით“.** წერს ჟორდანია.

ერთა ლიგა შეიქმნა 1920 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვ. ვილსონის თაოსნობით პარიზში. ლიგა იმავე წლის 15 ნოემბერს შეუდგა აქტიურ საქმიანობას და ერთ-ერთ პირველ სხდომაზე სახელმწიფოებად აღიარა 10 ქვეყანა, მათ შორის, ლუქსემბურგიც. 16 დეკემბერს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად კენჭი უყარეს საქართველოს სუვერენიტეტსაც. ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 24-მა სახელმწიფომ. საჭირო იყო ორი მესამედის, ე. ი. 16 ხმის დაგროვება ერთა ლიგაში გასაწევრიანებლად. ქვეკომისიის თავჯდომარის ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მოგზაურისა და მკვლევარის დოქტორ ფრიტოფ ნანსენის მეცადინეობის მიუხედავად რუსეთის იმპერიის მიერ აღიარებული რესპუბლიკა ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა. მისი სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგი წავიდა 13 ქვეყანა: ავსტრალია, კანადა, კუბა, ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ინდოეთი, ახალი ზელანდია, ნიდერლანდები, სამხრეთ სლავია, ჩეხოსლოვაკია, დანია და დიდი ბრიტანეთი, რომლის მფარველობის იმედით ცხოვრობდნენ კიდევ საქართველოში.

შეწუხებული დადიოდა ფრიტოფ ნანსენი. სათითოოდ უხდიდა ბოდიშს საქართველოს დელეგაციის წევრებს ნორვეგიის საამაყო შვილი, 50 წლის უშიშარი მოგზაური, თავისუფლებისათვის მებრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოლი ადამიანი. მთავარიაო, ამტკიცებდა ფრიტოფი, რომ ეროვნული ხილველად გავიდა თქვენი დამოუკიდებლობის საკითხი. ეს
თქვენი დამოუკიდებლობის აღიარების პირველი ეტაპიაო. ეგრეც
იყო. საქართველოს სუვერენიტეტის სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ
უკვე დიდი ქვეყნების წარმომადგენლები და საქართველოს აღია-
რებისა და დაცემის ჟამიც დგებოდა ერთდროულად. 21 იანვარს
(ძველი სტილით 14 იანვარი) წმინდა ნინოს სახელის ხსენების
დღეს საქართველო იურიდიულად იცვნეს, დამოუკიდებლობა
ოფიციალურად გაფორმდა და დამთავრდა საქართველოს დამო-
უკიდებლობისათვის ბრძოლა ევროპაში. დაიწყო ელჩების დანიშ-
ვნა და მათ გაცვლა-გამოცვლაზე ლაპარაკი. აკაკი ჩხენკელი პა-
რიზს ჩავიდა და 20 თებერვალს ტრიუმფალურ თაღთან გვირგვი-
ნით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი. საქართველოს დედაქა-
ლაქის დაცემამდე კი ხუთიოდე დღე იყო დარჩენილი.

იმავე დღეს ჩავიდა ქუთაისში საქართველოს გამარჯვების ხმა.
თეთრ ხიდზე შეხვდნენ ერთმანეთს სერგია ერისთავი და კალის-
ტრატე ჩიკვაიძე. რიონი იყო მოდიდებული ხე და მიწა მოქონდაო.
წლის იმ დროისათვის რიონის აწყვეტა გაზვიადებულსა ჰგავს,
მაგრამ დაუჯერებელიც არაფერია. ნაადრევ გაზაფხულს სხვა
დროსაც გადაურევია იგი. მოდის უკაცრიელ თეთრ ხიდზე სერგია
და ხედავს კალისტრატეს, ორთავ ხელით რომ იმაგრებს ქარში
თავზე შლიაპას.

— კალისტრატე, გვიცვნეს, კალისტრატე გვიცვნეს! — ყვირის
სერგია.

— რა იყო ბიჭო, ვინ გიცნო? — შეჩერდა შუა ხიდზე კალის-
ტრატე. ყასიდად კითხულობს თორემ თავადაზნაურობის ყოფილი
წინამძღოლი სერგია ერისთავზე უკეთ ერკვევა პოლიტიკაში, სა-
ერთაშორისო საკითხებშიც უკეთაა ინფორმირებული.

— გვიცვნეს კალისტრატე, ერთა ლიგამ გვიცნო, საქართველო
იცვნეს, დამოუკიდებელი საქართველო იცნეს, ევროპამ გვიცნო!..

— გადაიხედე. — ეუბნება კალისტრატე სერგია.

ადიდებულ რიონს დაცქერიან თეთრი ხიდიდან.

— ჩემო სერგია, ეგ ამბავი რას ჰგავს თუ იცი?

— რას? — აღტაცება გაუნელდა სერგიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ რომ ამ რიონს მოჰქონდე და მე რომ აქედან ამ
დან დაგიძახო: გიცანი სერგია, სერგია გიცანი!..

25 თებერვალს საქართველოს ელჩი აკ. ჩხენკელი წითლად
გაწყობილი ეტლით ელისეს სასახლისაკენ მიგრიალებდა. საფრან-
გეთის პრეზიდენტ ბატონ მილიერანისათვის რწმუნების სიგელი
მიჰქონდა. წითელ ეტლეს დარჩეული მხედრები მოყვებოდნენ
სააღლუმოდ ჩაცმული მესტუმრეთუხუცესის წინამძღოლობით.
ელისეს მინდორზე შეკრებილი ხალხი ამ დიდებული სანახაობით
ტკბებოდა. თბილისის **„თავზე კი წითელი დროშა ფრიალებდა“.**
საქართველოს დედაქალაქი დაპყრობილი იყო.

— კალისტრატე გვიცნეს, კალისტრატე, გვიცნეს!

მენშევიკური ჯარი სტრატეგიულ პოზიციებს ეძებდა, ერთმა-
ნეთის მიყოლებით ტოვებდა მცხეთას, გორს, ხაშურს, რიკოთის
ულელტეხილს.

— გიცანი სერგია, სერგია, გიცანი!

ევროპაში გვცნობდნენ.

გვცნობდა ლუქსემბურგი.

აღმოგვაჩინეს (დაპყრობის შემდგომ) ამერიკის კონტინენტზეც.

მექსიკამ (დამოუკიდებელი საქართველო აღარ არსებობდა)
14 აპრილს გვაღიარა.

— კალისტრატე გვიცნეს!

— გიცანი სერგია!

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

და აღივსო **„შიმშილითა და საქართველოს მთავრობის ძალა-
ლობით გაწამებული საქართველოს მშრომელების“** მოთმინების
ფიალა. აჯანყდნენ ზუსტად 12 თებერვალს — წინასწარ შეთანხმე-
ბულ დღეს. და დაიძრნენ:

**„...თბილისში მოკალათებული კონტრევოლუციური მთავრო-
ბის წინააღმდეგ“.** იმავე დღესვე დახმარება თხოვეს წითელ არ-
მიას, თუმცა დასახმარებელი აღმოჩნდნენ მენშევიკური პოლკები
(3000-მდე მეომარი), იმავე დღესვე რომ განაიარაღეს საამისოდ
ვაწვრთნილმა „გლეხებმა“.

**„...ლორის გლეხები აჯანყდნენ მენშევიკური საოკუპაციო ჯა-
რების წინააღმდეგ. სამი ათასზე მეტმა ჯარისკაცმა თითქმის წინა-**

ააღმდეგობის გაუწევლად დაჰყარა იარაღი და აჯანყებულებს ჩაბარდა.“ (ს. ორჯონიკიძე).

ესე იგი, აჯანყდა სხვა ქვეყანა, სადაც იდგნენ მენშევიკური „ოკუპაციო ჯარები“, ჯარები განაიარაღეს და გაათავისუფლეს ოკუპირებული ნაწილი — ლორი, ან ლორე, ამის შემდეგ, რაღიაი წინსვლა გრძელდება, გადასულან სხვის ტერიტორიაზე სხვისი ხალხის განსათავისუფლებლად და ბოლოს „მთელი საქართველო აღსდგა საბრძოლველად“.

„...რა თქმა უნდა, საზღვარზე მდგარ წითელ არმიას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა, თუ როგორ დახვრეტდნენ მენშევიკები (ჯერჯერობით პირიქით ხდება) საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად აჯანყებულ გლეხებს.“

ს. ორჯონიკიძე

და „მთელი საქართველო აღსდგა საბრძოლველად!“

ზინაიდა ორჯონიკიძე

ვის წინააღმდეგ აღსდგა მთელი საქართველო საბრძოლველად? საქართველო საქართველოს წინააღმდეგ? ხატოვანი გამოთქმაა და ყოველ ფრაზას არ უნდა გამოვედევნოთ, თორემ წინ ველარ წავალთ. ესეც არ იყოს ზინაიდა სლუცკაია სულ ორჯერ — ერთხელ ღორეშაში დესპინესთან, მეორეხელ თბილისში ავლაბრელ პარიკმახერთან — იყო იქამდე ნამყოფი საქართველოში და ბევრი არაფერი შეეშლებოდა. თუმცა მოგონება (დაწვრილებითაა აღწერილი ყველაფერი) მოგვიანებითაა დაწერილი და ზინაიდაც მარტო დესპინესა და პარიკმახერისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებსა და ინფორმაციებს არ დაეყრდნობოდა.

ბარათი პირდაპირი მავთულით. მოსკოვი, კრემლი, ი. ბ. სტალინს. 17 II 1921 წ.

„...შიმშილითა და საქართველოს მთავრობის ძალადობით გაწამებული საქართველოს მშრომელები აჯანყდნენ ბურჟუაზიის აღვირახსნილი ღრეობის წინააღმდეგ, რაც მათ ქვეყანაში მეფობდა, და მძლავრი ნიაღვარივით დაიძრნენ თბილისისაკენ, რათა დაამხონ მოძალადენი და ექსპლოატატორები და დაამყარონ იქ მუშურ-გლეხური ხელისუფლება. საქართველოს წითელმა აჯანყებულებმა დახმარებისათვის მიმართეს ძმურ წითელ არმიას, რომელიც დაუყონებლივ გამოეხმაურა მათს მოწოდებას, და ახლა

წითელი ნიაღვარი უახლოვდება თბილისს, ბურჟუაზიული ორგიების ამ საძულველ კერას. თბილისის საათები დათვლილია...“

„...ცეკა წინააღმდეგი არაა, რათა XI არმია აქტიურად დაუჭიროს აჯანყებულებს საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმებისა და პირობების დაცვით.“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 52. გვ. 71).

რატომ უგზავნიდა სტალინს მხატვრული ნაწარმოების პრეტენზიით შედგენილ ოფიციალურ უსტარს სერგო ორჯონიკიძე, როცა საქმე ომის დაწყების მძიმე სურათს ეხებოდა. რა ნიაღვრებზეა ლაპარაკი? რატომ იყო თბილისი ბურჟუაზიული ორგიების საძულველი კერა“? რატომ აჯანყდნენ მშრომელები მაინცადამაინც „ბურჟუაზიის აღვირახსნილი ღრეობის წინააღმდეგ“?

მივყვეთ ერთხანობა წერილს:

„...ბორჩალოს მაზრის მშრომელთა აჯანყებამ გრანდიოზული მაშტაბი მიიღო და თვით საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა (ბორჩალოს მაზრა თუ საქართველო იყო საქართველოდან საქართველოში აჯანყება როგორ გადავიდა. თუ ბორჩალო სხვა ქვეყანაა აჯანყება სხვა ქვეყანაშივე რატომ არ გავრცელდა?) საქართველოს მუშები და გლეხები იარაღით ხელში აჯანყდნენ თავიანთი მოძალადეების წინააღმდეგ და დასახმარებლად მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა მხსნელ წითელ არმიას...“

მთელი მსოფლიოს მხსნელ წითელი არმიის ჯარისკაცებს მტკვარი უნდა გადაელახათ. მოწინააღმდეგემ ფოილოს ხიდი ააფეთქა. სერგო ანერვიულდა.

„...მახსოვს, როგორ ნერვიულობდა სერგო. იგი შინ არ შემოდიოდა, მთელი დღეები მიმღებ სატელეგრაფო აპარატთან იჯდა. მან კატეგორიულად ხიდის სამ დღეში აღდგენა მოითხოვა.“ (ზ. სლუცკაია).

საქართველოში გაზაფხული, რესპუბლიკის ბოლო გაზაფხული მოდიოდა. თებერვალი იწურებოდა, ხეში წყლის დადგომის დრო მთავრდებოდა. თოვლი დნებოდა და მტკვარი ყინულივით ცივი მოედინებოდა. ფოილოს ხიდთან წელამდე (ქვემოდან) შიშველი ჯარისკაცები თავდაუზოგავად მუშაობდნენ. ამ ფაქტს მეისტორიენი, სერგოს მეხოტბე-მებიოგრაფიენი ერთნაირი სიზუსტით აღწერენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და არც თუ უსაფუძვ-

ლოდ, რადგან XI არმიას, მამისონზე და გოდერძის უღელტეხილზე გაუმართლებელი გადასვლების ჩათვლით, უფრო გმირული (არ დაჭირვებიათ) არაფერი ჩაუდენია და მენშევიკური საქართველოს მხედარმთავრებსაც (სტრატეგიული თვალსაზრისით) ფოილოს ხიდის აფეთქების უმჯობესი, სამწუხაროდ, ძალიან სამწუხაროდ, არა მოუმოქმედებიათ რა.

კოჯორის მისადგომები.

ტაბახმელას პოზიციები, სადაც განალაგეს იუნკერთა სკოლის მოსწავლეები, სკოლის უფროსის, მამაცი პოლკოვნიკის ჩხეიძისა და სხვა მეთაურთა ხელმძღვანელობით. მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში ჩააბეს ყმაწვილკაცები, რომელთაგანაც ბევრი სამუდამოდ დარჩა თბილისის მისადგომებთან.

ქართველ იუნკერთა თავგანწირვაზე სიტყვა არაა ნახსენები რუსულად გამოცემულ წიგნში **„სამოქალაქო ომები საბჭოთა კავშირში“**. სამაგიეროდ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გმირულად დაიღუპა კურიშკო, რომელიც სულ მალე, სიკვდილისშემდგომ წითელი დროშის მეორე ორდენით დააჯილდოვეს. კოჯრის მისადგომებთან გამართული ომის სიმძლავრე უნამუსოდ შედგენილ წიგნშიც ვერ უარყვეს. **„გააფთრებული ომები გაიმართა მყარად გამაგრებული კოჯრის სიმაღლეების მისადგომებთან. საბჭოთა ჯარებმა 25 თებერვლის ღამეს დაიკავეს ისინიც.“**

ძვირად დაუჯდა საქართველოს კოჯრის ომი. ახალგაზრდების ცოდვა აწევთ წინასწარ წაგებული ომის მთავარსარდლებს. 23 თებერვალს, მოქუფრულ დღეს სამხედრო ტაძრის ეზოში დიდებით მიაბარეს მშობლიურ მიწას 13 ყმაწვილი: 19 წლის მარიამ მაყაშვილი, არჯევან ანანიაშვილი, ალ. ახვლედიანი, ირაკლი თოიძე, პავლე იაკობაშვილი, ნიკოლოზ სტურუა, ნიკო ზანდუკელი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკ. კალანდარიშვილი, დავით აბაშიძე, თოიძე და ორი უსახელგვაროდ დარჩენილი ჯარისკაცი, პარაკლისი, გადაიხადა კათალიკოსმა ლეონიდემ. სიტყვა კარლო ჩხეიძემ თქვა

სხვა იუნკრები თბილისის დატოვების შემდეგაც პოზიციებიდან რომ არ იცვლიდნენ ფეხს, უსაძმოსაფლავოდ, უეკლესიოდ, დაუტირებლად დაიმარხნენ. გადარჩენილებმა უხმოდ გადაიარეს ღამით ცარიელი თბილისი და მცხეთაში შეუერთდნენ ქართულ ლაშქარს.

მთავარსარდალი კვინიტაძე, „შამილის დამჭერი“ ივანიკა კვინიტაძის შვილი, მცხეთიდან აპირებდა თბილისის დაბომბვას, უკვანტო საკვანტოდ გამხდარი საქმის გამოსწორებას, გამოქცევად გამზადებული გენერლის თვალით ათვალიერებდა მცხეთის პოზიციებს და პატარა დიქტატორის ამბიციებს ამყღავნებდა, ჯარის ნაწილები კი უსისტემოდ განლაგდნენ. ვინ როგორ მოახერხა, ისე დაბინავდა, ვინც როგორ წადვა თავი ისე დაიძინა და გენერალმა მაზნიაშვილმა სწორად შეაფასა ეს სიტუაცია: **„მოწინააღმდეგეს რომ მეტი ენერგია და გაბედულება ჰქონოდა, 24 თებერვალს საღამოს, საქართველოს მთელ არმიას ტყვედ ჩაიგდებდა, მაგრამ მისი უმოქმედობის გამო ჩვენ შევძელით მცხეთის ქვაბიდან გასვლა.“**

IX არმიის ნაწილები გაგრიდან შემოვიდნენ. კიროვმა (კოსტრიკოვმა) მამისონის უწინააღმდეგო ოპერაციას უხელმძღვანელა. ცხენოსანი ჯარისათვის ყველაზე მოუხერხებელი ადგილი მამისონის უღელტეხილი დალაშქრა ჟლობამ; იგი მფრინავი იყო, მაგრამ თოვლიან მთებს ცხენით ვერ გადაახტებოდა, ამიტომ სწორზე წასვლა და შემოვლა ითხოვა. უარი მიიღო და ესკადრონი კინაღამ ჩაიჩუმქრა თოვლში. IX არმიამ შეახრამუნა აფხაზეთი, კიროვის განკარგულებაში მყოფმა ნაწილებმა — ოსეთი და, რა სათქმელია, სტრატეგიული თვალსაზრისით სათვალავში არ ჩასაგდები — რაჭა. ჟლობას კავალერიამ — აჭარა, რომლის მოსახლეობა სტალინსა და ორჯონიკიძეს სხვა ენაზე მოლაპარაკე არაქართული ეთნიკური ერთეული ეგონათ

17 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ XI და IX არმიების მოქმედების პიკში პირდაპირი მავთულით მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდა მოსკოვში სტალინს, საღამოს მოხსენება გააკეთა ბაქოში აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის III ყრილობაზე პროფკავშირების როლის შესახებ, სადაც გაკვრით, სხვათაშორის და აუღელვებლად თქვა: **„...ომის დროს საკითხი წყდება ერთი ან ორი ბრძოლით. აი ახლა, ქართველი მენშევიკების საკითხი შეიძლება გადაწყდეს დღეს ან ხვალ დილით თბილისთან!“**. ხშირად იმეორებდა მე სამხედრო კაცი ვარ, ომის ცოტა რამ გამეგებაო და იმავ დღეს შეეშალა, დროში და ვითარებაში დაიწვა. მიუხედავად ამისა, სერგოს მოსმენა ჯობია „სამოქალაქო ომების ისტორიის“ **რუ-**

სული წიგნის დაჯერებას. წიგნი რამდენიმე სტატისტიკური მონაცემისათვის დაგვჭირდება, სერგოს მონათხრობს კი ობიექტურობისათვის (ლენინის აზრით სერგოს ტყუილი არ შეუძლია) გამოვიყენებთ:

„...ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია განთავისუფლებულ ქართველ გლეხებს შორის.“

„ისინი სიხარულისაგან ტიროდნენ.“

„..წითელი არმიის ნაწილებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავა ონი.“

აქ ბოდიშს კი მოვიხდით, მაგრამ „თითქმის“ ცნობაში ჩამატებული გვგონია; დანამდვილებით ვიცით, ონში და ამბროლაურში, თუ თოვლს არ მივიღებთ მხედველობაში ოკუპანტებს წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

„...მენეშვიკური არმია აღარ არი, იგი სახლებში წავიდ-წამოვიდა...“ მუშები და გლეხები წითელი ჯარის დანახვაზე რომ სიხარულით ტიროდნენ, ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჯარისკაცები რომ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მართალია. ქართული ჯარი სერგოს ცნობით, მტკვარში ყრიდა იარაღსო, უფრო საიმედო წყაროებით, შინ მიჰქონდათო. ზოგი ყრიდა და ზოგს მიჰქონდა. გორის სადგურის ბაქანზე ნოე რამიშვილი საჯდომზე ხელებდაწყობილი დადიოდა და ვაგონებიდან თავგადმოყოფილ ცნობისმოყვარე ჯარისკაცებს თავაუწევლად უმეორებდა: მოვა რეალური დახმარება, მოვა რეალური დახმარება. ჯარისკაცებს, წარმოდგენა რომ არ ჰქონდათ რა იყო „რეალური დახმარება“, ეშელონის გასვლის დრო და გრაფიკი აინტერესებდათ; საიდანაც დაიახლოვებდნენ სოფელს ან რაიონს, იქიდან მიდიოდნენ შინ.

„მთავრობამ ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისათვის, მაგრამ ხალხმა არ ივარგა.“ დააააფორიზმა ნოე რამიშვილმა შემდეგ ეს მომენტი. „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს ბუნებამც თუ არ უშველა“. აკაკის გაუთანასწორდა კინალამ სისხარტეში. არ ავარგეს და ვერ ივარგა და ხალხმა არ ივარგა თუ მთავრობამ ესეც დასადგენია.

თბილისი მეორე ვერდენი გახდებაო, განუცხადებია მთავარ

ნოეს „სწორედ ვერდენზე დაიმსხვრევა საბჭოთა არმია და საბჭოთა რუსეთი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა თქვა თუ არა დამფუძნებელ კრებაზე 21 ოქტომბერს ეგ სიტყვები არ გადაგვიმოწმებია, მაგრამ თბილისი რა ვერდენიც გახდა ამასაც დავინახავთ.

„თბილისის მიმართულებით ველიკანოვის მეთაურობით დაიძრნენ: მეოცე, ოცდამეთორმეტე, მეცხრე მსროლელი დივიზიები, შეთორმეტე კავალერიის დივიზია, სომეხ ცხენოსანთა ბრიგადა, კურსანტების აღმოსავლური ბრიგადა, ხუთი ჯავშნოსანი მატარებელი, ოთხი ჯავშნოსანი ავტომობილი, ოთხი ტანკი, თექვსმეტი თვითმფრინავი.“ „...სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ზაქათალა კახეთით საქართველოს დედაქალაქს უახლოვდებოდა კურიშკოს ჯარების შენაერთი, რომელსაც მცხეთიდან უნდა დაერტყა თბილისისათვის, ხოლო თერგის ჯგუფის შენაერთი (სარდალი ლევანდოვსკი), მოდიოდა, დარიალის ხეობით. ამავე წიგნის, სამოქალაქო ომების ისტორიის მიხედვით, რაც ცოტა საეჭვოა, თბილისის მისადგომებთან ერთმანეთის პირისპირ დამდგარან ცოცხალი ძალისა და იარაღის რაოდენობით ერთნაირი სიძლიერის ჯარები.

და მაინც მთავარსარდალ კვინიტაძის, შამილის დამჭერის ივანიკას შვილის ბრძანებით ჯარმა უომრად დატოვა ქალაქი. ეს ამბავი მოწინააღმდეგისათვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. თბილისის დატოვებას ერთმანეთს გადააბრალებენ სამხედროები და პოლიტიკოსები; უაზრო საყვედურებითა და თავის მართლებით გამოუჭედავენ ხალხს ყურებს, ჭეშმარიტებას ძნელად დაადგენენ. თბილისის კი არა საქართველოს დაკარგვის ტრაგედია არ ჰქონდათ მთლიანად გასიგრძეგანებული. რუსის ჯარში და რუსის სამსახურში დაგენერლებული ხალხისათვის რუსის შემოსვლა უბედურებას არ წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატების ადგილს მეტოქე სოციალისტები იჭერდნენ. ერთი პარტია ცვლიდა მეორე პარტიას და ეგ იყო. გენერალმა მაზნიაშვილმა 1600 რუსის ტყვე რომ აიყვანა (?) პირველსავე აყვანაზე 18 მარტს წითელი გენერალი გახდა ვითარების შესაბამისად. ქიაზიმ-ბეის ბათუმიდან გაუგზავნა ულტიმატუმი, საომარი პოზიციები ჩაიბარა და ქართველ ბოლშევიკებთან გაბა კავშირი და სულ მალე შეუდგა წითელი არმიის „შენებას“, 30 ათასიანი წითელი დივიზიის შედგენას.

თვინიერად, აუღელვებლად მოდიოდა რუსის ჯარი საქართველოში. წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, მაგრამ მარტო ეგ არ იყო მშვიდობიანი მარშის მიზეზი. იგი მკაცრად იყო დამოძღვრული ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტს და კონტაქტსაც გაურბოდა. ჯეროდათ ან არ ჯეროდათ თავიანთი მესიანიზმი და არც დიდი ხალისით ათავისუფლებდნენ ხალხებს ბურჟუაზიისაგან, მენშევიკ-დამპყრობლებისაგან.

— თქვენ თუ გახსოვთ, ბატონო კონსტანტინე, წითლების შემოსვლა?

— როგორ არა, ძალიან კარგად მახსოვს... სიმღერაც იყო ასეთი:

შემოვიდნენ წითლები,
ატყდა დავიდარაბა,
რომელ პარტიას ეკუთვნი
ეძგვერაძე ბარნაბა!

— ბარნაბაც გახსოვთ ალბათ...

— როგორ არა, კარგი კაცი იყო, ყვავებს ყიდიდა წიწილებად ხონში, რევოლუციონერებსაც მფარველობდა... ისე, არაა მართალი.

— რომელი არაა მართალი, რევოლუციონერებს რომ მფარველობდა თუ ყვავებს რომ ყიდდა...

— ზესტაფონში ვცხოვრობდით მაშინ, ხმა ჩამოვიდა, წითლები მოდიანო. აფორიაქდა ზესტაფონი, შეიქმნა მითქმა-მოთქმა. ხალხს ჭამენო. ზოგმა თქვა, მართალიაო, ბევრმა პირიქით... 14 წლის ყმაწვილი ვარ და არცა ვარ, გავხდი თოთხმეტისა თუ ვხდები... მამა ვაჭარი კაცი იყო, დუქანი ჰქონდა შოროპანში. აჭედა დარაბები, მიატოვა დუქანი, გახიზნა ცოლშვილი სოფელში ცოლოურს, მე დამიტოვა. დავრჩით მე და მამაჩემი. ხმაა გავარდნილი, სასმელს ეტანება სალდათიო, სასმელი გადამალეთ, ჭურებს პილწავენო, ტყუილი გამოდგა. წააყარა მაინც ყველამ ჭურებს მიწა. მამაჩემმაც გადაასწორა ბიებქვეშ ალაგი, ბალახი დათესა, ქე ამობიბინდა კოინდარი, წითლების შემოსვლამდე. ვიღაცამ თქვა არ შველის მაგიო, ხიშტებით ეძებენო. ხიშტს ასობენ მიწაში, ჭურებს ეძებენ, აგნებენ, პილწავენო. ტყული. გემეღვიძა ერთ დილით,

შენ ხარ ჩემი ბატონი და რას ვხედავ. შემოსულარიან. გაბაწრული ჯარი მოდის შარაზე, არც თავი უჩანს, არც ბოლო, მოდიან... რამ თოვა და წვიმაო, ხალხი ეკითხება ერთმანეთს. მოვდა. დამავიწყდა მეთქვა და მამაჩემმა ერთი ჩაფი ღვინო ქე ამოიტანა. ჭურები რომ დამარხა მასუკან, ყოველშემთხვევისათვის, მიდო კუთხეში, ტომარა წააფარა. ჩავიდა მზე. ახალი გაზაფხულია, მარტი, ჩემო ბატონო და დაგვიკაკუნეს. ჩვენებური შემოვიდა, ტყავის ტუჟურკა ეცვა, ასე მახსოვს. ქე მოგვიყვანა ექვსი თუ შვიდი სალდათი. ესენი ღამეს გაათევენ თქვენსაო და წავიდა. შემობრძანდნენო, შემოვიდნენ. ლოგინები ქე გვქონდა გამომარაგებული ზალაში. შევიდნენ წყნარად, შენ ხარ ჩემი ბატონი, მილაგდნენ მისუფთავდნენ, ხელპირი გადაიბანეს კიბეზე. ამასობაში მამამ ქე გააწყო სუფრა, გამოიტანა რაც ქონდა. დავუძახეთ. გამოვიდნენ. პირტიტველა ბიჭები იყვნენ. ერთი ჰყავდათ უფროსად. მეო იმ უფროსმა თქვა, კომუნისტი ვარ, პარტიის წევრიო. ჭამეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, დალიეს, ქეც წააძალა მამამ და დაყირავდა ის ჩაფი. ადგნენ დილით და წავიდნენ. სიტყვა ზედმეტი არ უთქვიათ. ერთმა ტყვიები მაჩუქა, პირიქით. ღვინომ აწყინათ, რაც მართალია. მიუჩვეველი კაცის ამბავი ხომ იცი... გასულიყვნენ და ჭურისთავებზე ერწყიათ დაწამლული კატებივით, დედის ხსენი არ შერჩენოდა არც ერთს, რაღა ჭურისთავებზე, მარა რა იცოდნენ. გინდა დაიჯერეთ, გინდა — არა და მას შემდეგ გავხდი კომუნისტი. გავბოლშევიკდი ბაღნობიდან. მერე ქეც მიმიღეს, ქეც გამრიცხეს და აღმადგინეს ბოლოს. აწი ორი პარასკევი მაქვს დარჩენილი და კომუნისტად მოვკვდები ბარელამ...

ტროცკი:

„...ინტერვენციამ წარმატებით ჩაიარა და საერთაშორისო გართულება არ გამოუწვევია, თუ არ ჩავთვლით ბურჟუაზიულ პრესას და ინტერნაციონალის გაშმაგებულ კამპანიას.“

საერთაშორისო გართულება არ მოჰყოლიაო, მაგრამ „ინტერვენცია“ არც მთლად უმტკივნეულოდ ჩამთავრებულა. აგრესიას „ბურჟუაზიული პრესის“ რეაქცია მოჰყოლია და „ინტერნაციონალსაც“ ამოუღია ხმა და ყველაფერ ამას საერთაშორისო ვითარებაზე ვერავითარი კვალი ვერ დაუჩენია.

ბევრი ცოდვა ედო ლენინს კისერზე და ახლის აკიდება არ ეხალისებოდა. **„ეჭვგარეშეა, მთელ ამ კამპანიამ მოახდინა მთა-ბეჭდილება ლენინზე და მის მომხრეებზე, რომელნიც დიდად არ თანაუგრძნობენ ჩვენს საკითხში ტროცკი-სტალინს. ეს გამოჩნდა იქიდან, რომ ჯერ კიდევ ჩვენი თბილისში ყოფნის დროს გამოგზავნეს მოსალაპარაკებლად ა. ენუქიძე.“** იხსენებს ჟორდანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელ ენუქიძემ, რომელიც თითქოს სომეხ-საქართველოს სასაზღვრო საკითხების მოსაგვარებლად იყო გამოგზავნილი, საქართველოს მთავრობას თბილისში ველარ ჩამოუსწრო და ლენინის საიდუმლო დავალებამაც დაკარგა ფასი. მთავრობის წევრები ჩემოდნებზე ისხდნენ ქუთაისში და მოლაპარაკებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან სომეხ-საქართველოს საზღვარი რიონის მარცხენა სანაპირომდე საჯავახომდე იყო მიტანილი. საქართველოს სარდლობას, თბილისი რომ „სასწრაფოდ“ არ დაეცალა, რამდენიმე, თუნდაც ორიოდე დღით შეეჩერებინა მტერი დედაქალაქთან შეიძლებოდა ომი მართლაც საქართველო სომხეთის ინციდენტად მონათლულიყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა ცოტა გვიან, ცოტა სხვანაირად, სახელმწიფოებრივი ელემენტარული სტრუქტურის შენარჩუნებით. მარჩიელობას ახლა აზრი არა აქვს, ომი კი მაშინაც მშვიდობიანად მთავრდებოდა, იგი ომს არ ჰგავდა და ფეხშიშველი, ცუდად შეიარაღებული რუსის ჯარი შეუფერხებლად მოდიდოდა სამი მხრიდან; სამანევრო-საწვრთნელი დროით უახლოვდებოდა ბოლო წერტილებს.

პირველსავე შეტაკებაში გენერალმა მაზნიაშვილმა (მაზნიაშვილისავე განცხადებით) 1600 ტყვე წაასხა ზურგში, იმ ბრძოლისათვის შთამბეჭდავი შემთხვევაა და მარტო ეს ფაქტიც ბევრის მთქმელი იქნებოდა, ტყვეები მაზნიაშვილის გარდა კიდევ რომ თვალით ვინმეს ენახა.

„...არა ჯარის, არამედ ბანდების დახევა, გამოქცევა. ყოველივე წეს-რიგს გარეშე.“ „...ნათელი იყო მთელი ჩვენი ტრაღიკული ბოლო, გაუგონარი მოშლა, დაშლა.“

ნ. ჟორდანია.

მთავრობა ქუთაისშია ორი დღით. ქუთაისსა და სამტრედიაში რაღაც მოლაპარაკება შედგა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს

მთავრობის წარმომადგენელთა შორის. ერთი მოლაპარაკება სამტ-
რედიის ზავით შევიდა და არ დამკვიდრდა ისტორიაში. სამაგალითო
საჯავახოსთან, რიონის მარცხენა სანაპიროზე მოსალოდნელი ბრძო-
ლა არ შედგა. მთავრობა, „მთავარსარდლები", პოლიტიკური პარ-
ტიების წარმომადგენლები, მეფის ყოფილი ოფიცრები ბათუმში
შეგროვდნენ ბოლოს.

აჭარის მთებიდან ჟლობას კავალერია მოდის, ქობულეთ-ნატა-
ნების გზით, XI არმია უახლოვდება ბათუმს, აჭარისწყალთან სა-
ომრად გამზადებული ოსმალეთი დგას და შავი ზღვაა დარჩენილი
იმედად. სერგო ქავთარაძე საბჭოთა მთავრობის დავალებით ჟორ-
დანიას საქართველოში დარჩენას და სიცოცხლის შენარჩუნების
გარანტიას სთავაზობს. არის მსჯელობა, თათბირი, სახელდახელო
კრებები. ზოგი დარჩენის, ბევრი ემიგრაციის მომხრეა. „სხიველებ-
მა" — ნეო-სოციალ-დემოკრატებმა ჟორდანიას დაპატიმრებაც კი
გადაწყვიტეს ფარულად, საკუთარი ტყავის გადარჩენის საწინდრად.
„შედგა საამისო რაზმი, რასაც მეთაურობდა ერთი პირი". იმ ერთი
პირის ვინაობას, ცხადია, გარკვეული მოსაზრებით, ჟორდანია არ
ასახელებს, მისი დატყვევების მცდელობის ფაქტს არ მალავს. ბა-
თუმის მისადგომებიდან და ბათუმიდან ოსმალეთის განდევნის
გეგმის შედგენაში იღებს მონაწილეობას, წამსვლელ-დამრჩენთა
სიებს არეგულირებს.

რუსეთის არმიის ერთგული ოფიცერი, დამოუკიდებელი საქარ-
თველოს ერთგული გუშაგი და მოულოდნელად წითელი დივიზიის
მეთაური მაზნიაშვილი საკუთარ ვაგონში დაიბარა ბათუმში ჩამო-
სულმა სერგო ორჯონიკიძემ. ცალხელგაყავრებული, დაბალი,
ულვაშა, ოდნავ თვალებგადმოკაკლული, გაურკვეველი ორიენტა-
ციის გენერალი, რომელმაც იქამდე რევკომიც არ იცოდა (?) რას
ნიშნავდა, თამამად შევიდა ახალი გაზაფხულის მზით ჩამთბარი
სარკმლებჩამოწეულ ვაგონში. გრილი ზღვაური და მლაშე სი-
ნოტიე შემოდიოდა სარკმლებიდან. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი
ცხვირწამოჩენილი, თმააშლილი კაცი იდგა შალვა ელიავასთან
ერთად. მხედრულად აიღო ხელი მაზნიაშვილმა და თვალები გაა-
შეშა. ელიავამ წარუდგინა ერთმანეთს ორჯონიკიძე და მაზნიაშვი-
ლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ თუ იცი, უთხრა მაზნიაშვილს ორჯონიკიძემ, კანონგარეშე, რომ იყავი გამოცხადებული?

— ???

— ...და ყველა კომუნისტს უფლება ჰქონდა მიეხვრიტე ალაგობრივ!

მაზნიაშვილი წერს: **„ჩემ სიცოცხლეში პირველად დავიბენი და ხმის ამოღება ვერ მოვახერხე.“** თუ ამ სიტყვებს ვერწმუნებით, იგი არ დაიბნეოდა 1902 წელსაც, როცა თავად ხელმწიფე იმპერატორმა ჰოსპიტალში მკერდზე წმინდა გიორგის ჯვარი დააბნია. უხერხული პაუზის შემდეგ, რაც მაზნიაშვილის „ალაგობრივ მიხვრეტის“ შესაძლებელ ვარიანტს მოყვა, ცხენებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მაზნიაშვილის სახელდახელო მოხსენებაც ცხენებს ეხებოდა:

„ჩემს მოხსენებაში ვჩიოდი, რომ ბათუმში ცხენების საკვები არაა, რის გამო მრავალი ცხენი იხოცება. მივაქციე აგრეთვე სამხედრო კომისარის ყურადღება იმას, რომ ჩემს განკარგულებაში დარჩა ჟორდანია—ჭიჭინაძის ორი ეტლი, მშვენიერი ცხენებით... ამ ცხენების დარაჯობა ბევრ დავიდარაბასა და გაუგებრობას იწვევდა, რადგან კავალერიის დივიზიას უფროსი ამბ. ჟლობა კაცს კაცზე გზავნიდა და მოითხოვდა, გადამეცა მისთვის ეტლი და ცხენები.“

ცხენებზე, თითქოს განგებ, გაუთავებელი ლაპარაკი არ მთავრდებოდა და სერგო უკვე ბოლოს სცემდა ვაგონის დერეფანში.

— გადაეცი ჟორდანიას ცხენები ჟლობას! — ჩაილაპარაკა მან და ზურგზე ხელებდაწყობილმა განაგრძო სიარული.

— რა ვუყო ჭიჭინაძის ცხენებს?

— წაიყვანე, შენი იყოს! — იყვირა ორჯონიკიძემ. ხელგაშეშებული გენერალი შეკრთა, საგონებელში ჩავარდა, რა ეწყინაო და შეფიქრიანებული გამოვიდა, თუმცა ჭიჭინაძის ცხენების დანარჩენება არ დავიწყებია. შემდეგო, წერს თავად, **„ბრალი დამდეს, ვითომ ეტლიც მე მივითვისე და გავყიდე.“**

იმავე წლის 6 სექტემბერს ორჯონიკიძის სანქციით იგი დააპატიმრეს აღარც ჭიჭინაძის ცხენები შეარჩინეს, აღარც ეტლი, თავიც დაატოვებინეს მოგვიანებით „დიდი ტერორი“ რომ დაიწყო.

მთავარსარდალმა კვინიტაძემ ბათუმშივე **„...მორალის ასამაღლებლად აღლუმის ჩატარება ბრძანა. დაფაცურდნენ უფროსები,**

წესრიგში მოიყვანეს ნაწილები და ერთი მეორის შიყოლებით მის წინ სააღლუმო ნაბიჯებით ჩაიარეს. ნაწილები ვაუკაცურად და სრულფასოვნად გამოიყურებოდნენ". დალი კმაყოფილი დარჩენილა და ამ სიტყვების დამწერ ნ. ჟორდანიას 16 მარტს გემზე ასული დახვედრია. სურთუკის უბეში ხელგაჩხერილი, დაფიქრებული დადიოდა და მრავალბრძოლაგადახდილი ველარავის ამჩნევდა. **„...მეგონა, ბრძოლას (ბათუმის დანარჩუნებისათვის) მეთაურობდა. მოვთხოვე, დაუყონებლივ გადასულიყო ნაპირას და თავის თვალით ენახა მდგომარეობა და უფროსებთან ერთად ემოქმედნა. მართლაც გადავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა, არავინ უნახავს, ნაპირიდან არც დაძრულა. მისი უცხოეთში წამოსვლა მისი საკუთარი ინიციატივით მოხდა, არავის აზ დაუდგენია..."** (ნ. ჟორდანია).

დამარცხებული ჯარი კი, რომელიც აღლუმებს მართავდა სანაპიროზე, აღარ არსებობდა.

ბევრი აყვა შიშს, პანიკას, ფათერაკებისა და უკეთესი ბედის ძიების რომანტიკას და კვინიტაძის გარდა მრავალმა ფსევდომეომარმა, ბრალიანმა და უბრალომ მიატოვა სამშობლო.

საოცრად წყნარი და მზიანი მარტი იდგა იმ წელს. თოლიების გუნდებით დათეთრწინწკლებული ზღვა ცისფრად ლივლივებდა. იტალიის მტრედისფერი გემები „ვესტა" და „მარია" ირწეოდნენ რეიდზე. მზის ამოსვლისას საქართველოსაგან ცხვირშებრუნებულები გაცურდნენ გასრიალებულ წყალზე. თავგზააბნეული ქართველები იდგნენ გემბანზე გაცრიატებულ გათენებაში, უკანასკნელად ხედავდნენ საქართველოს მთებს და საქართველოს ისტორიის ერთი მორიგი ტრაგიკული ისტორიის ფურცელიც იხურებოდა

სიზმრად ვნახე საქართველო,
სისხლის ზღვაში ბანაობდა,
დაფლეთილი თეთრი დროშა,
კრეისერზე ქანაობდა...

და დარჩა ეს ლექსი. დაფლეთილი დროშის ფრიალი კი დაკარგული თავისუფლების ტირილი იყო. გულში იმღეროდა მრავალი წელი სამშობლოდაკარგული ქართველი ამ სტრიქონებს. ხანდახან წაიღიღინებდა თავისდაუნებურად და შეშინებული იხედებოდა აქეთიქით. რამდენმა წააგო თავი, თუნდაც ამ სიტყვებისათვის, ვინ იცის. ლექსი ვერ დააპატიმრეს და იგი დარჩა სევდიან მოგონე-

ბად: სიზმრად ვნახე საქართველო სისხლის ზღვაში ბანაობდა...

25 თებერვალს დაეცა თბილისი.

26-ე ბაქოდან ასეთი შეტყობინება გააგზავნა სტალინმა:

„...გუშინ დილით წითელი არმიის მხარდაჭერითა და საქ. რევკომის ხელმძღვანელობით აჯანყებულები შევიდნენ თბილისში...“

ტელეგრამა წერილივითაა და მეტის მოტანა საჭირო არაა. სერგოს, რომ, ლენინის აზრით, ტყუილი არ შეუძლია, ვიცით, მაგრამ ამ ერთ წინადადებაში თუ ორი ტყუილი არა, ორი შეცდომაა: არც აჯანყებულები შესულან, არც რევკომი შეძღოლია აჯანყებულებს თბილისში. თბილისი აიღო წითელმა ჯარმა, წინ რომელი ქართველი შეუძღვა, გასარკვევია, მაგრამ ამჯერზე სხვა გვაინტერესებს:

საქართველოს რევკომი შექმნილა შულავერში 21 წლის 16 თებერვალს. საქართველოს რევკომმა დაბადების დღესვე, ე. ი. 17 თებერვალს ლორეს აჯანყებულ მშრომელთა სახელით დახმარება თხოვა მეთერთმეტე არმიას. ამ თხოვნის საფუძველზე არმიას თავდასხმის ნებართვა უნდა აეღო ცენტრიდან. ნებართვა კი ორი დღით ადრე „თხოვნამდე“ იყო გამოგზავნილი და მეთერთმეტე არმიას არა მარტო „აჯანყებულთა“ დახმარება, არამედ თბილისის აღების უფლება ჰქონდა მოპოვებული. ორჯონიკიძის მიერ შედგენილი, კავბიუროზე დამტკიცებული რევკომის სია კი სტალინს ედო მაგიდაზე 17 თებერვალს. **„...რევკომის შემადგენლობა არ არის კარგი. წინადადებას გაძლევ მიუმატე სიას არაქელა, ცხაკაია, ელისაბედაშვილი, ვინმე თათართაგან და აგრეთვე ფედერალისტთაგან“.**

ორჯონიკიძეს სასწრაფოდ უნდა მოეძებნა ბოლშევიკი, თათარი, ფედერალისტი და ცხაკაია. ამის შემდეგ საქართველოს რევკომმა უნდა ადევნებოდა დაწინაურებულ ჯარს, გაესწრო და შეძღოლოდა თბილისში. ახლა მოვუსმინოთ საქართველოს რევკომის (ორჯონიკიძის, კავბიუროს და სტალინის დამტკიცებულ) თავჯდომარეს ფილიპე მახარაძეს:

„ამხანაგმა სტალინმა 1921 წლის 15 თუ 16 თებერვალს დამიბარა და მაცნობა, რომ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში გლეხთა აჯანყებაა; ეს აჯანყება სწრაფად იზრდება, ისე რომ საქართველო უკვე საბჭოთა ქვეყანა ხდებაო. ამასთან დაკავშირებით წი-

ნადადება მეძლეოდა საქართველოში წავსულიყავ, თანაც წინასწარ უნდა მენახა ვ. ი. ლენინი...“ „უწინარეს ყოვლისა, მან (ლენინმა) მითხრა თქვენი წასვლისათვის ყველაფერი გამზადებულია, ვაგონი და ყოველივე დანარჩენიო. მან მიმითითა, უნდა იჩქაროთო, და რუკაზე მიჩვენა, თუ რომელი მარშრუტით სჯობდა გამგზავრება. „აჯობებდა კავკავზე გავლით საქართველოს სამხედრო გზითო. (სამწუხაროდ, ეს გზა მაშინ შეკრული იყო ნამქერის გამო, რაც მხოლოდ კავკავში შევიტყვე).“ „...18 თებერვალს სპეციალური ვაგონით სხვა ამხანაგებთან ერთად საქართველოში გამოვემგზავრე. ვაგონში ჩვენ ოცზე მეტი ამხანაგი ვიყავით, თითქმის ყველა ქართველნი. დიდხანს მივდიოდით. ბაქოში ამხ. ს. ორჯონიკიძე შემოგვიერთდა. თბილისში მხოლოდ 6 მარტს ჩამოვედით.“

იმ ოც ამხანაგთაგან რამდენი იყო კიდევ რევკომის წევრი ფილიპე არაფერს ამბობს, მაგრამ თავად თავჯდომარეს, მისი შულავერში ჩასვლის დღეც რომ იყო გამოთვლილი, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა სამშობლოში, მისდამი რწმუნებულ რევკომში; იგი ყურმოკრული ხმებითა და ლენინ-სტალინის ინსტრუქციებით იკვებებოდა და აჯანყების ხელმძღვანელი „აჯანყების“ დამთავრების შემდეგ ჩავიდა თბილისში.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ ბოლო შეკრებაზე 21 თებერვალს დაადგინა: **„შულავერში შემდგარა ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას და რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის რუსეთის საბჭოთა ლაშქარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ადგენს: აღიარებულხი იქნან საქართველოს მოღალატეებად“.** ჩამოთვლილია რევკომის სია, რომელიც მენშევიკების დაზვერვის მოპოვებულს არ ჰგავს, იგი ბოლშევიკების მიერაა გავრცელებული ევროპისა და ისტორიის წინაშე თავის გასამართლებლად. **„დიახ, ჩვენ მოვუძღოდით წითელ ჯარს!“** დაწერს მაინც ფილიპე ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე.

თბილისის სამხედრო საწყობებში ხელუხლებელი დარჩა ჯარის აღკაზმულობა, ტყვია-წამალი, სურსათ-სანოვაგე და სხვა. გენერალი დ. ჭავჭავაძე კი სამტრედიაში გააგზავნეს უნაგირების ჩამოსატანად. სანამ გენერალი ჭავჭავაძე ღანირ-ქვიტირში უნაგირებს და მოსართავებს აგროვებდა (ცხენის აღკაზმულობითაა

გამოტანილი საწყობები) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

„როდესაც მე სათავეში (დროებით) ჩავუდექი ქართულ წითელ ჯარს, სავსებით დავრწმუნდი, რომ როგორც მომარაგების მინისტრმა ერაძემ, ისე მთავარ საინდენტატოს უფროსმა კალისტრატე გაგუამ, არ იცოდნენ რა ქონება ჰქონდათ და მთავრობას და არმიის შტაბს ტყუილ ცნობებს აწვდიდნენ.“ (მაზნიაშვილი).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის საწყობებიდან გამოტანილი აღკაზმულობით, ტანსაცმლით, იარაღით 17 ათასიანი წითელი არმია შემოსეს, შეაიარაღეს და შეაუნაგირეს კიდეც. როდესაც გენერალმა მაზნიაშვილმა იკითხა, ვისთვის ინახავდით ამ სიმდიდრესო, კალისტრატე გაგუამ უპასუხა: დიდ ხანს მინდოდა შემენახა, თანაც ნებართვას ველოდი. მეფის ხელისუფლებისაგან ხელწერილით არ ჰქონიათ ჩაბარებული და ვის ნებართვას ელოდებოდნენ? იქცეოდა ქვეყანა, იკარგებოდა თავისუფლება და სხვათა შორის, ნებართვაც გაცემული იყო.

„ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი!

სტალინი.

ეს ტელეგრამა ქართული სიტყვებით გამოგზავნა მოსკოვიდან. ქართულს შიფრის გართულების აუცილებლობა უკარნახებდა და „დასტურიც“ მიხა ცხაკაიასაგან არ ექნებოდა აღებული. საერთაშორისო ნორმებისა და წესების დაცვით იმოქმედეთო, მოსული იყო ადრევე ლენინის დირექტივა და ეს მითითებაც შესრულებული იქნა, თუმც ბევრ ხელმძღვანელს არც საამისო სურვილი გააჩნდა, არც იურიდიული განათლება აწუხებდა. ტვირთი ფუყე აღმოჩნდა. გამარჯვების მნიშვნელობა — ტრაგიკული. საქმე ბევრმა გაინაწილა, დანაშაული მისდაუნებურად იტვირთა მრავალმა, სახელი დარჩა რამდენიმეს, ორს, ერთს... არც თუ უსაფუძვლოდ. სწორედ იმ ერთმა აფრინა მოსკოვს ლენინისა და სტალინის ადრესით შედგენილი სამახარობლო, დღეისათვის ისტორიული დოკუმენტი:

თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

„...სანამ მენშევიკთა წარმომადგენლები ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, მთავრობა გემში ჩაჯდა და თან წაიღო ყვე-

ლაფერი, ლობიოც კი. ამბობენ. რომ ჩხეიძეს უთქვამს: „ულობიოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო.“ სერგო ორჯონიკიძე [illegible] იუმორის უბადლო ნიჭით არ იყო დაჯილდოვებული და კარლო ჩხეიძესაც რაღაც ამდაგვარი უეჭველად უნდა ჰქონდეს ნათქვამი. მ. ცხაკაიამ კი აბსოლუტურად სერიოზულად დაწერა: **„ჟორდანიამ თან წაიღო თვალმარგალიტი, ქინა და ჩააგდო განსაცდელში მუშები და გლეხები.“**

...თვალმარგალიტით, ლობიოთი, ქინაქინით დატვირთული გემი შორდება ბათუმის ნავსადგურს, ტირიან უწამლოდ და ულობიოდ დარჩენილი მუშები პორტში და უყურებენ ბაქანზე გამოსულ შავ კოსტუმიან, შავ შლიაპიან მენშევიკებს. ასეც შეიძლება წარმოვიდგინოთ ზემოთ მოტანილი ამონაწერებიდან ქართველების გაქცევა საქართველოდან.

თბილისში ჩამოსვლისთანავე (1921 წ. 8 მარტი) სერგო ორჯონიკიძე ესაუბრა „გრუზკავროსტას“ (სხვა დაწესებულება რატომ ვერ მოძებნა, გაუგებარია) თანამშრომელებს და საუბარი დაბეჭდა „პრავდა გრუზიაში“ ორი დღის შემდეგ.

ქვეთავი.

„რატომ მოვედით ჩვენ საქართველოში?“

„...ჯერ ერთი, აქ მოვიდნენ არა დამპყრობნი, არამედ საქართველოში გამოცხადებულია დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს რევკომი.“

წინადადების წყობაზე და ლოგიკაზე არაფერს ვიტყვით, რადგან მთავარია „საქართველოს რევკომი“ და „რატომ მოვედით“.

იმავე წლის 13 მარტს ნაძალადევის სახალხო სახლში ფ. მახარაძემ სიტყვა თქვა და რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „კომუნისტში“ (ორგანოები განაწილებული აქვთ) დაბეჭდა წერილი თითქმის იგივე სათაურით: „რატომ შემოვიდა ჩვენში წითელი არმია?“

ტექსტი:

„...დიახ, ჩვენ მოვუძღოდით წითელ არმიელებს, მაგრამ არა დასაპყრობათ, არამედ ქართველი ხალხის და აქ მოსახლე ერების განსათავისუფლებლად (ტაში)“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი შემოძღოლია და არც მეორე (ფიზიკურად). მაგრამ ამას არ ამხელდნენ და თავისთავად გასაგებია, შემდგომში აღარც ამაყობდნენ. ისინი იმთავითვეც სხვა რამეზე ამახვილებ-ნენ ყურადღებას: რუსის ჯარს და საბჭოთა ხელისუფლებას წმენ-დნენ სინდისს, მთავარია ხალხი და რევკომიო (ერთი მისი შემქ-ნელია მეორე — თავჯდომარე) მიანიშნებდნენ და „წითელ არ-მიას“ მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდნენ.

შემდეგ:

„წითელი ჯარი მაშინვე დასტოვებს საქართველოს საზღვრებს, როცა ჩვენში წითელი ჯარი შესდგება და ამასთანავე გარეშე საფრთხე თავიდან იქნება აცილებული. წითელი ჯარი წავა აქე-დან, მას სხვა დანიშნულება აქვს...“

გაცილებით ფრთხილად იქცევა და საგვიანო თამასუქებს იძ-ლევა ორჯონიკიძე. ერთი წლის შემდეგ იმავ „პრავდა გრუზიაში“ პასუხს სცემს მტკივნეულ შეკითხვას:

„რუსეთის წითელ არმიას მაშინ გავიყვანთ, როცა ამას საჭი-როდ დაინახავენ საქართველოს მშრომელი მასები!“

ეაშა!

თბილისში მთაწმინდის უბანში ცხოვრობდაო (ავტორს მახსოვ-რობა ღალატობს, პირველწყაროს ვერ ასახელებს) თავადი, ბვარად გაბაშვილი. ერთი მოსამსახურეღა დარჩენია სახელად სვიმონიკა. რუსის ჯარი რომ შემობრუნდა 21-ში მახათას მთაზე, რასაკვირ-ველია ნაწილი დაბანაკდა თურმე კვლავინდებურად. გაბაშვილმა აივნიდან გახედა მახათას, სახე მოიჩრდილა, ჯარი შეამჩნია და წავლენ მალეო, დაიიმედა თავი. დილა-საღამოს გახედავდა ხოლ-მე იმ დღის შემდეგ მახათას, წავიდნენ თუ არაო, აინტერესებდა.

იქ იყვნენ. წასვლას არ აპირებდნენ. ნათავადარი იმედს არ კარგავდა, მაგრამ თვალის ჩინი ეკარგებოდა. ძველებურად ველარ ჰხედავდა მახათას, რუსის ჯარის მიერ დაცემულ ბანაკს, ზარბაზ-ნების ლულებს და კონტურებს.

— ბიჭო, სვიმონიკა. — მოსამსახურეს ეძახდა. — გახედე, ბი-ჭო, წავიდნენ?

— იქ არიან ბატონო, არ წასულან.

— გახედე, ბიჭო, კარგად!

— ვხედავ, ბატონო, იქ არიან არ წასულან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სვიმონიკა, გახედე, წავიდნენ?!

არ იყვნენ წასულნი.

თავადი გარდაიცვალა. შემდეგ სვიმონიკა მოკვდა. ჯარი ძახათაზე დარჩა. იგი ისევ იქა დგას.

გავიდა დრო. კავბიუროს გაუქმების საკითხი დადგა. დაშლის აუცილებლობამ შექმნის იდეა წარმოშვა.

„...წელიწადი სრულდება, რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე დიდი საკითხი გადაჭრა და მოაგვარა. მან მოაგვარა ნაციონალური საკითხი და ჩამოაგდო საქართველოში ეროვნული თანხმობა.“ (ფ. მახარაძე. 1922 წ. III).

სულ რამდენიმე თვის შემდეგ გამოირკვა, რომ სხვა ბევრ მოუგვარებელ საკითხთან ერთად მოუგვარებელზე მოუგვარებელი ნაციონალური საკითხი ყოფილა სწორედ, ამას ფილიპე, თუ პირველი არა, ერთ-ერთი პირველთაგანი „მიხვდა“.

„...საქმე იმაშია, რომ ბევრ ჩვენს ამხანაგს ეგონა, რომ რაღაი ჩვენში დამყარდა მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება, ამით ნაციონალური საკითხი თითქო სავსებით მოვიშორეთ თავიდან, რომ ჩვენ ის გადავლახეთ და უკან დავიტოვეთ.“

ყველაფერი დაიწყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის გამოცხადებით. თავდაპირველად სარკინიგზო გზების გაერთიანებაზე და სავაჭრო ურთიერთობის მოგვარებაზე დაიწყეს ლაპარაკი. გაერთიანების ინიციატორები იყვნენ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით დაავადებული ბოლშევიკები ორჯონიკიძე და ძმანი მისი. სერგოს მონდომებას ფილიპე მახარაძემ „წრეგადასული ერთგულება“ უწოდა და შემდგომ ამისა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეტაკნენ ისინი ერთმანეთს.

„...ბოლო დროს ჩვენში მოდათ იქცა ლაპარაკი და წერა ერთობაზე, ყველაფრის გაერთიანებაზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ წინადადებას იძლევიან გააერთიანონ ის, რაც უკვე გაერთიანებულია, ოღონდ კი მოიხვეჭონ არქი-კოსმოპოლიტის, ჭეშმარიტ-ინტერნაციონალისტის სახელი.“ (ფ. მახარაძე).

არქი-ინტერნაციონალისტების წარმომადგენელი და ლიდერი ამიერკავკასიაში ლევ ტროცკიმ ამნაირად დაახასიათა: **„სტალინს აგენტად ჰყავდა კავკასიაში ორჯონიკიძე, ფიცხი და სულსწრაფი**

კაცი, რომელმაც საქართველო დაამარცხა და რომელსაც ყოველი წინააღმდეგობა პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის 17 თებერვალს, როდესაც XI არმია თბილისს მოგარენს უახლოვდებოდა, ს. ორჯონიკიძემ მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის III ყრილობაზე პროფკავშირების როლის შესახებ. მისი სამშობლოს ბედი წყდებოდა და პროფკავშირების როლზე, ლენინსა და ტროცკს შორის წარმოებულ უთანხმოებაზე ლაპარაკობდა; ლენინისა და ტროცკის თეზისებსა და პლატფორმებს უდარებდა ერთმანეთს, რჩევა-დარიგებასაც იძლეოდა: **„მე ვურჩევდი ტროცკისტებს ჯანდაბაში გადააგდონ მთელი თავიანთი პლატფორმა და შეუერთდნენ ლენინის პლათფორმას.“** მეორე დღეს სტალინს შეატყობინა: **„კენჭისყრის შედეგები: ლენინის პლატფორმის სასარგებლოდ — 236 ხმა, ტროცკის სასარგებლოდ — 35“.** დიდი სამუშაო გასწია ხმების ამნაირი შეფარდებისათვის, ეს იცოდა ყველამ და ტროცკიმ თავისთავად ცხადია. ბოლშევიკები იშვიათად უვიწყებდნენ ერთმანეთს ამნაირ სიკეთეს და ტროცკი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. რას უნდა გამოელოდე კაცისაგან“ რომელმაც საქართველო დაამარცხაო“, დაადო მოღალატის დამღა, თუმცაღა საქართველო მარტო სერგო ორჯონიკიძეს არ დაუმარცხებია. უფრო დიდი ქართველი მონაწილეობდა საქართველოს დამონებაში და უფრო პატარა ქართველების ჯოგი ერია ამ საქმეში.

XII ყრილობაზე მოსკოვში ფილიპე მახარაძემაც თქვა სიტყვა. ერთი ადგილი ამ სიტყვიდან:

„...ბუხარინმა სთქვა, რომ ის შეხვდა პროვინციიდან ჩამოსულ ამხანაგს და შეეკითხა: რა ხდება იქ თქვენშიო? აბა რა გითხრა, უპასუხა მან, ახალი არაფერი არ არის. აი, ვახრჩობთ ნაციონალისტებსო. როდესაც აქ ამხ. ორჯონიკიძემ გამოაქვეყნა ცნობილი პროექტი, მან თქვა: დიახ, ჩვენ კედელზე ვაჭყლეტთო და მან ეს განსაკუთრებული მადიანად გაიმეორა. ამხანაგებო, მე უნდა ვსთქვა, რომ ამ ორ ფრაზას შორის არავითარი განსხვავება არ არის, ვინაიდან სულ ერთია გინდ თქვი „ვახრჩობ“ და გინდ თქვი „კედელზე ვაჭყლეტ“, ეს სულ ერთია“.

სულაც არ არის სულერთი, ჩვენის აზრით, რასაკვირველია, კედელზე „მიჭყლეტის“ ორჯონიკიძისეულ ვარიანტს ...ჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციის მოწინააღმდეგეთა კედელზე მისრესის პოლიტიკა ძალაში შედიოდა საქართველოში და სიტუაცია თანდათან რთულდებოდა.

ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა ჯერ კავბიუროს, სამხრეთ კომიტეტს შემდეგ, თუმცა არც თავჯდომარე ერქვა არც პირველი მდივანი. საქართველოს გასაბჭოების პირველსავე დღეებში, კერძოდ 28 მარტს ასეთი ბრძანება გამოქვეყნდა: დაინიშნოსო, **„არესეფესერეს წარმომადგენლად საქართველოში.“**

წარმომადგენელია თითქოს და მეტი არაფერი. მეფისნაცვალია სინამდვილეში. „წარმომადგენლობა“ კი მისი ის პერსონის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს. საბჭოთა რუსეთი მიუთითებს ახალ საქართველოს: ამ კაცით გვექნება თქვენთან საქმე და ანგარიშიც მას ჩააბარეთო და მიუხედავად ამისა, საქართველოში დაიწყო მრავალხელისუფლებიანობა.

ძალაუფლებაზე, ქვეყნის მართვა-გამგეობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ: კავბიურო, შემდეგ სამხარეო კომიტეტი, რევკომი, შემდგომ საქართველოს მთავრობა, პრეზიდიუმი, საქართველოს ცეკა, XI არმია (საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელობა) და, ფილიპე მახარაძის ცნობით, ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოც კი. ქართველ ბოლშევიკებთაგან ბევრი, ცეკაში და მთავრობაში რომ ჩალაგდნენ, ორჯონიკიძეს თავს არც კი უყადრებდნენ, თვლიდნენ, რა, რომ საქართველოს დაპყრობაში (გასაბჭოებაში) არც მას ედო ნაკლები წილი. ამას ისინი საჯაროდაც აცხადებდნენ და მდგომარეობა (ორჯონიკიძესა და დანარჩენ ბოლშევიკებს შორის) თანდათან იძაბებოდა. ანალოგიურმა სიტუაციამ, ნაკლები დოზით მართალია, მაგრამ სომხეთ-აზერბაიჯანშიც იჩინა თავი და აქედან გამომდინარე თანდათან დამწიფდა ძალაუფლების ცენტრალიზაციის აუცილებლობა, რაც რკინიგზებისა და სხვა სამეურნეო ერთეულების გაერთიანების საჭიროებაზე არანაკლებ როლს თამაშობდა ფედერაციის შექმნის საქმეში.

საქართველოს მოსახლეობა მშვიდად შეხვდა გასაბჭოებას. მოვიდნენ ბოლშევიკები, გადადგნენ მენშევიკები, მაგრამ ისტორიის

სცენიდან ისინი არ გადასულან, ცვლას დაშლა არ მოყოლია. მენ-
შევიკები კვლავ რჩებოდნენ რეალურ ძალად. ბოლშევიკები თავა-
ზობდნენ თანამშრომლობას, თანამდებობებსაც. ასე იყო
ხანებში. საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე გამოვიდ
ფა ქემალი და ოსმალეთი რუსეთს ჩაახუტა. მიაყარა და მიაყარა
რუსეთმა ოსმალეთს იარაღი და ფული ოქროთი. ყვავს არ ჰქონდა
და ბუს გაჰქონდაო, ისე გამოვიდა. დაიწყო ინტენსიური მოლაპა-
რაკება ამ ორი ქვეყნის მთავრობებს შორის: შეთანხმებას გარიგება
მოყვა, გარიგებას შეთანხმება და ყველაფერი დაგვირგვინდა 1921
წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, რომელიც მოსკოვში გაფორმ-
და. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ტოვებდა საქართვე-
ლოს და საქართველო სამუდამოდ კარგავდა ძველთაძველ ქართულ
პროვინციებს, რუსეთის იმპერიის ყოფილ ოლქებს, სისხლით და-
რუნებულ საქართველოს მიწებს. იმავე დღეს ყრილობაზე ორჯო-
ნიკიძეს დიდი და დიდი დამსახურებისათვის ირჩევენ ცეკას წევ-
რად (რაც იშვიათობაა) — დაუსწრებლად.

ყრილობაზე, ორჯონიკიძეს საყრილობოდ, გასაგები მიზეზის
გამო, არ ეცალა, სიტყვა არ დაძრულა საქართველოს გასაბჭოება-
ზე, ოშზე და ანექსიაზე — მითუმეტეს. გემზე ადიოდნენ იმ დღეს
ყოფილი რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი წევრები, ჩაძირული
ქვეყნის კაპიტანი აუძღოდა დანარჩენებს:

მოვა ვარდი, მოვა ია,
ისევ მოვა ჟორდანია...

გიტარაზე დასამღერებელი ლექსი გამოუთქვა ხალხმა იმ კაცს,
ვინც ამას არ იმსახურებდა. ხალხი გმირს ეძებდა. იგი არ ჩანდა.

**„...საქართველო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, რომელსაც ძა-
ლიან ძლიერი ინტელიგენცია ყავს. თუ აზერბაიჯანსა და სომხეთში
საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას არ გამოუწვევია დიდი ხმა-
ური ევროპაში, სხვანაირი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ. იმიტომ რომ
მენშევიკურ ბელადებს გავლენა ჰქონდათ II ინტერნაციონალში“.**

სერგო ორჯონიკიძის ეს სიტყვები დაადასტურა ლენინმაც:

**„...საზღვარგარეთ გაცოფებული აგიტაციაა ერესეფესერეს წი-
ნააღმდეგ. განსაკუთრობით აქტიურობენ მარტოვი, წერეთელი და**

სხვები. საქართველოს რევკომმა აუცილებლად კონტრაგიტაციას უნდა მიმართოს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაგიტაცია მოქმედებდა ისედაც. დრო კი მიდიოდა. საქართველო ევროპაში აღარავის ახსოვდა. იგი ნელა შრებოდა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. გენუის კონფერენციაზე ამოიკნავლა ერთხელ მხოლოდ საფრანგეთის წარმომადგენელმა: სად გაქრა დამოუკიდებელი საქართველო. ჩიჩერინმა უადგილოდ წამოსროლილი სიტყვისათვის საფრანგეთის წარმომადგენელი დატუქსა და კონფერენციასაც დაემუქრა: თუკი ამნაირ გამოხდომებს ექნება ადგილი, ჩვენი დელეგაცია დატოვებს კონფერენციასო. ამაზე შეწუხდნენ: სამაგიეროდ ამ უმნიშვნელო ინციდენტზე ყურადღება აღარ შეუჩერებიათ. ეს ცნობა კი რამდენიმე დღის შემდეგ ოფიციალურად გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“, რომლის ერთი ეგზემპლიარი ასიათასი (100000) მანეთი ღირდა.

საზღვარგარეთს, პოლიტიკური ემიგრანტების ბრუნდ და მართალს ყურადღება ექცეოდა მაინც და ამ ფაქტორის უგულებელყოფა არ გამოდიოდა.სწორედ ამის გამოც გასაბჭოების პირველსავე წელს არტისტული საზოგადოების თეატრს რუსთაველის სახელი ეწოდა და იქედან, იმ სახელწოდებით დაიწყო თეატრმა წლების ათვლა. რუსთაველის სახელი კი ეროვნული აქციის დემონსტრირების მიზნით ორჯერ გააგორეს იმის შემდეგ იმდაგვარ ექსტრემალურ სიტუაციაში. ერთხელ ჩემი თაობის ბუნდოვან მახსოვრობაში (1937 წ.), მეორედ ახლახან ი. ჭავჭავაძის საზოგადოების დაარსების გამო. იმდროინდელი 1921 წლის აქტი კი პოლიტიკური თვალსაზრისით ასე შეფასდა: **„მენშევიკების ბატონობის დროს მას ერქვა ტლანქი არტო (არტისტული საზოგადოება) დღეს ამშვენებს „შოთა რუსთაველის თეატრი“.** გახსნის ზეიმზე სიტყვა წარმოსთქვა გრიგოლ რობაქიძემ, წარმოადგინეს შ. დადიანის „როს ნადიმობდნენ“ და კ. მესხის პიესა „თ. მეფისა და რუსთაველის ეპოქის დაროიდან“. პირველ მაისს გაზეთი „კომუნისტი“ დაიბეჭდა წითელ ქაღალდზე წითელი შრიფტით. თავბრუხვევის გარეშე იმ გაზეთის წაკითხვა ახლა ძნელია, თავის დროზეც არ იქნებოდა იოლი.

ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო; ხელოვნების სახლში **„სრულიად საქართ-**

ველოს მწერალთა ყრილობა" ჩატარდა. გამოქვეყნდა ზომლეთელისა და ეულის ლექსები, სადაც (ერთთანაც და მეორესთანაც) კრემლი და გრდემლი იყო გარითმული. დაიღუპა მფრინავი ზ. ... კიძე და იგი დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბეში. 7 აპრილს იდღესასწაულეს ხარება და „შრომის სახალხო კომისარიატმა" ის დღე (ხარება) უქმად გამოაცხადა. ოფიციალურად, საგანგებო დადგენილებითა და საცერემონიალო განაწესით აღნიშნეს 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე. წინასწარ განაცხადეს:

„...ჩვენ მას (26 მაისს) ვიდღესასწაულებთ, ჩვენ მას ბრწყინვალედ ჩავატარებთ, მაგრამ არა ისე დამახინჯებულ და გადმობრუნებულ მნიშვნელობით, როგორადაც ამას მენშევიკები და მისი ამყოლები სჩადიოდნენ." „...ჩვენი დროშა იქნება წითელი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ბრძოლის მაჩვენებელი, ბრძოლისაკენ მომწოდებელი. ასეთი დროშით გამოვალთ ჩვენ 26 მაისს."

სევასტი.

იგივე სევასტი (ვინაა ეს სევასტი?) გვატყობინებს რამდენიმე დღის შემდეგ: დამოუკიდებლობის ძეგლთანო (?) „მიტინგის გახსნის შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ფილიპე მახარაძემ, ლ. დუმბაძემ და (ვინ?) ს. მ. კიროვმა.

შოთა რუსთაველის საძეგლე აღგილთან სიტყვები წარმოსთქვეს:

„ფილიპე მახარაძემ, გრიგოლ რობაქიძემ, შ. ელიავამ, ს. კიროვმა: (კოსტრიკოვმა და სევასტიმ ალბათ).

და მოულოდნელად:

1921 წლის — ნოემბერს ბაქოში პლენუმზე კავბიუროს გადაწყვეტილებით გამოცხადდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია. რკინიგზებსა და სავაჭრო რგოლების გამთლიანებას ვინღა დაეძებდა, ერთი ხელის დაკვრით გაერთიანდა ყველაფერი. ამან კი თავზარი დასცა ქართველ კომუნისტებს, ინტერნაციონალური სულისკვეთებით რომ ამაყობდნენ მანამდე. ჩვენო, დაიწყეს ტირილი, ხალხთა მეგობრობის წინააღმდეგ კი არა ვართ და პირიქით. მაგრამ ასე უცბად ასე მოულოდნელად, საკითხის მოუმზადებლად და ხალხის თანხმობის გარეშე როგორ იქნებაო და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოხდა ცოტა ხნით ადრე:

საქართველოს რევკომის თავჯდომარე ფ. მახარაძე, შეცვალა აურქეთიდან დაბრუნებულმა, რუსეთის მთავრობის სრულუფლებიანმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა იმჟამად, ბუდუ ძღივანმა. ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი, ერთ დროს XI არმიის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი საგანგებოდ ამ თანამდებობისათვის გამოიწვია სერგომ თურქეთიდან თუ არა არ ვიცით, მაგრამ მისი ხელდასმის გარეშე რომ არ შემდგარა ეს აქტი, ნათელია. ისინი ხმაშეწყობილად თანამშრომლობდნენ კიდეც ცოტა ხანი, მაგრამ ფედერაცია და მსოფლმხედველობითი უმნიშვნელო სხვადასხვაობა დაედო საფუძვლად მათ ნახევრად პოლიტიკურ ბრძოლას. ბრძოლა მტრობაში, მტრობა სიძულვილში გადაიზარდა და იგი შემდგომ „ქართულ ინციდენტად" მოინათლა. იმ ინციდენტმა, მეტად თუ ნაკლებად, ჩაითრია ბოლშევიკური პარტიის ყველა ლიდერი ლენინის ჩათვლით. ამ ბრძოლამ იმსხვერპლა უამრავი ადამიანი. სერგოს სანათესაოს მიყოლებით ამოიძირკვა ბევრი ოჯახი, ზოგი მოკლეს, ზოგი ჩაკლეს, ზოგი ზოგს წააკლეს. სერგომ, როგორც ბოლოს ვნახავთ, წინ უსწრო მთავარ მოვლენებს, თუმც სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველად არ მოვლენია გრანდიოზულ, ტრაგიკულ სპექტაკლს, მისი დაღუპვის შემდეგ რომ გაიმართა

ანალოგიური რევკომები შეიქმნა აზერბაიჯანში, სომხეთში. ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი რევოლუციონერები ჩაუდგნენ თავთავიანთ რევკომებს სათავეში. საქართველოს ანალოგიური სიტუაციები განმეორდა ყველგან, კავბიურო დარჩა განზე, მაგრამ მარტო ამის გამო არ წარმოშობილა (ამაზე უკვე ვილაპარაკეთ) ფედერაციის შექმნის იდეა. შეერთება დაშლასაც ნიშნავდა. სამიდან იქმნებოდა ერთი და ის სამი თავისთავად ქრებოდა. ეს მოსალოდნელი პროცესი სერგომ მეტად ორიგინალურად ახსნა:

„...ოსმალეთის ფაშებმა, ევროპის იმპერიალისტებმა ამიერკავკასია სამ დამოუკიდებელ ნაწილად გაყვეს, ამით ისინი ასუსტებდნენ რუსეთის პროლეტარიატს და ამუხრუჭებდნენ რევოლუციურ მოძრაობას. სწორედ ამ აზრით ამიერკავკასია დააქუცმაცეს წვრილ ნაციონალიზმით გაჟღენთილ სახელმწიფოებად."

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემაგოგია და სიბნელე ამაზე შორს ვერ წავა. ამიერკავკასია (რა ერთეულია ეს ამიერკავკასია, რა ქვეყანაა, რა სახელმწიფოა?) დაუჭრიათ სამ დამოუკიდებელ ნაწილად რათა დაესუსტებინათ პროლეტარიატი. დაეშუხრუჭებინათ რუსეთის რევოლუციის. უკანონობა უნდა გასწორდეს, „ნაციონალიზმით გაჟღენთილი, დაქუცმაცებული" ტერიტორია უნდა გამთლიანდეს. ხალხი უნდა შეკავშირდეს ერთ მუშად, ერთარსებად. საკითხი შეთანხმებულია, რაც მთავარია, ნათელია და ქართველი ბოლშევიკების დიდ ნაწილს, თვით საქართველოს რევკომს მოულოდნელი და გაუგებარი ეჩვენებათ ყველაფერი. **„...როგორ, რვა თვის განმავლობაში თქვენ ქადაგებდით საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობას, ახლა კი კავკასიის ბიუროს ერთი გადაწყვეტილებით სპობთ ამ დამოუკიდებლობასო?!"** გამოცოცხლდნენ მოწინააღმდეგეები. და არც იცოდნენ ალბათ, რომ იმ რვა თვის განმავლობაში კავბიუროში ფედერაციაზე იყო ლაპარაკი.

სტალინი თბილისშია და 13 ივლისს მოხსენებას აკეთებს კავბიუროს სხდომაზე.

ლენინის ტელეგრამა:

„გაოცებული ვარ, სტალინს რომ დასვენების საშუალებას არ აძლევთ, სტალინმა სულ ცოტა ოთხი თუ ექვსი კვირა უნდა დაისვენოს კიდევ. იაღეთ საუკეთესო ექიმების წერილობითი დასკვნა!"

ეს თხოვნა თუ ბრძანება უყურადღებოდ არ დარჩებოდა, სტალინს „დასვენების საშუალებასაც" მისცემდნენ, მაგრამ ჩვენ სხვა რამე გვაინტერესებს: რატომ ჩამოვიდა ნალჩიკიდან (ჯერ ნალჩიკი რა დასასვენებელი ადგილი ნახა) იმ პაპანაქებაში სტალინი? ასე ჩამოდიოდნენ სხვა გამოჩენილი პარტიული მოღვაწენიც და სტალინის ვიზიტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ, მაგრამ შედეგები აღმოჩნდა გამაოგნებელი. ლენინის თანხმობის გარეშე დაწყებულმა სეპარატიულმა მოლაპარაკებამ წამსვე იჩინა თავი. სტალინის მოხსენება კი, რომელიც საქართველოში მხოლოდ ერთ გაზეთში „პრავდა გრუზიაში" დაიბეჭდა, უმრავლესობის ყურადღების გარეშე დარჩა:

„...მე მახსოვს წლები (1905—17), როცა ამიერკავკასიის მუშები და საერთოდ სხვადასხვა ეროვნების მშრომელებში შეინიშნებოდა სრული, ძმური სოლიდარობა..." „...ახლა თბილისში ჩამოსვ-

ლისთანავე გამოაცა ამიერკავკასიის ხალხებს შორის ძველი სოლიდარობის უქონლობამ. „სტალინის ამ მოხსენებას საფუძვლად ეს ნაწყვეტებია ამოღებული, სამი რესპუბლიკის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ფინანსური, სამხედრო, ეკონომიკური და სამეურნეო გაერთიანების აუცილებლობის დამადასტურებელი რეზოლუცია მოსდევს. სტალინისა და ორჯონიკიძის მიერ ხელმოწერილ ამ დოკუმენტში ამოტივტივდება პირველად სიტყვა „უკლონიზმი", „ნაციონალიზმისაკენ გადახრა", რომელმაც მრავალი და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა.

მომდევნო, ბაქოს ორი ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გამო:

„მოსკოვი კრემლი რკპ (ბ) ცეკას. ასლი ი. ბ. სტალინს."

„კავკასიის ბიუროს პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას ამიერკავკასიის ფედერაცია, გაერთიანოს სამეურნეო, საფინანსო, სამხედრო და საგარეო პოლიტიკა საკავშირო საბჭოს სახით. რეზოლუცია გამოიგზავნა. გთხოვთ, ცენტრალური კომიტეტის დასკვნას. ამის თაობაზე დაწყებული კომპანია წარმატებით მიმდინარეობს." (ს. ორჯონიკიძე).

წარმატებაზე ნაადრევი იყო ლაპარაკი. „დაწყებული კომპანია" უზარმაზარ წინააღმდეგობას აწყდებოდა საქართველოში, სომხეთში და თვით აზერბაიჯანშიც. კავბიუროს, შემდეგ სამხარეო კომიტეტსა და რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტებს შორის დაიმუხტა ატმოსფერო, შეიქმნა მითქმა-მოთქმა, საჯარო ლაპარაკი, გაიმართა საპროტესტო კრებები და ყველაფერი, როგორც ყოველთვის, გადაბრალდა ინტელიგენციას. გაჩნდა. ზემოთნახსენები ტერმინი ნაციონალური გადახრა და ეს საბედისწერო იარლიყი, მიეკერა მრავალს, თუმცა ამით არავინ დამფრთხალა. და გამძვინვარდა კაცი, რომელიც „პირად შეურაცხყოფად იღებდა ყოველგვარ წინააღმდეგობას".

„...საბჭოთა ხელისუფლების პირველ ნომერ ამოცანად ვთვლით ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ სამარცხვინო წარსულის ნაშთებთან, გახურებული შანთით ამოვწვათ, ამხანაგ სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციონალიზმის ნაშთები."

შემდეგ:

„დაე იცოდეს ჩვენმა ფარულმა და აშკარა მტრებმა, იცოდეს საქართველოს შოვინისტურ-ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მუშურ გლეხურ საქართველოსთან".

ინტელიგენცია კი, რომელიც უკვე „შოვინისტურ-ნაციონალისტური" გახდა ძნელი დასათრუგვნი აღმოჩნდა. მუქარამ არ გაჭრა, ანგარიშსწორებაზე ლაპარაკმა ვერავინ დააშინა.

აი, ია თქვა კიდევ სერგო ორჯონიკიძემ:

„...ქართველმა ინტელიგენციამ თავის თავს უნდა შეუძახოს: მენშევიკური საქართველო გარდაიცვალა! გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საქართველოს! ამნაირი ინტელიგენტისათვის ყველა კარი გაღებული იქნება. თუკი ინტელიგენცია საბოტაჟის, საიდუმლო შეთქმულების და აჯანყების გზით წავა, ჩვენ ტყვიის ენის გარდა სხვა ენაზე ლაპარაკს არ დავუწყებთ!" ის მუქარა და ეს გაფრთხილება ქართველმა ინტელიგენციამ ერთ ყურში შეუშვა, მეორეში გამოუშვა და ჩვეული თავმიცემულობა ამჯერზე ძვირი, ძალიან ძვირი დაუჯდა.

კრემლმა ანგარიში გაუწია უმრავლესობას და ფედერაციისაგან დროებით თავი შეიკავა. ამან კი საბჭოთა კავშირის შექმნის, იმპერიის მოდელის ფორმალურად შეცვლის პროცესის დაჩქარება გამოიწვია. ამიერკავკასიის რესპუბლიკები ერთიანდებოდნენ ფედერაციაში, მაგრამ როგორ უნდა გაფორმებულიყვნენ ისინი რუსეთში? ერესეფესერისა და ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ურთიერთთანამშრომლობის, სინამდვილეში ერთმანეთში ათქვეფა-აჭრის საკითხების მოსამზადებლად შეიქმნა კომისია სტალინის, კუიბიშევის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვის და სხვების შემადგენლობით. პროექტი, რომელსაც ჯერ ავტონომიზაციის გეგმა, შემდეგ „სტალინის თეზისები" ეწოდა, შეადგინა სტალინმა. იგი დაეგზავნა პოლიტბიუროს წევრებს, მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებს.

პროექტი სულ ექვსი მუხლისაგან შედგებოდა და პირველი მუხლი განსაზღვრავდა პროექტის არსს, მიზანდასახულობას.

„ჩაითვალოს მიზანშეწონილად დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ფორმალურად შესვლა ერესეფერეში."

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკები ავტონომიის უფლებით შედიოდნენ რუსეთში
და არავითარ გაერთიანებას,თუნდაც ფორმალურს, აღარ
ჰქონია. კამათი გამართული იყო არა შესვლაზე, ეს საკითხი
წყვეტილად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, არამედ შესვლის სტრუქ-
ტურაზე. როგორ შევდიოდით, დამოუკიდებლად თუ ფედერაციის
საშუალებით. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ შესვლა
აუცილებელია, შევალთ დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად
და არა ფედერაციადო, განაცხადეს ქართველმა ბოლშევიკებმა.
უფედერაციობა, თავისთავად, რესპუბლიკის პოლიტიკურ-იურიდი-
ული უფლებების დატოვებას გულისხმობდა და რაც მთავარია,
დაიშლებოდა კავბიურო, ბიურო და ამიერკავკასიის კომისარიატები.
ეს კი აცოფებდა კაცს, რომელსაც ყოველგვარი წინააღმდეგობა
პირადი შეურაცხყოფა ეგონა.

საქართველოს ცეკამ დამოუკიდებლად განიხილა სტალინის
თეზისები და მისი ძირითადი პუნქტები ნაადრევად და მიუღებლად
ცნო. 19 კაცმა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა, უმრავლესობამ
უარი თქვა, ექვსმა სტალინის პროექტს დაუჭირა მხარი.

აი. ისინიც:

ორჯონიკიძე, ენუქიძე, კიროვი, სოკოლნიკოვი, ღოღობერიძე,
კახიანი. მიხო ცხაკაიამ თავი შეიკავა. ეს მოხდა 1922 წლის 15
სექტემბერს. 22 სექტემბერს, კენჭისყრიდან ერთი კვირის თავზე
სტალინმა ლენინს გაუგზავნა წერილი, სადაც თავისი თეზისების
დასაბუთებას შეეცადა და ნაწილობრივ მოახერხა კიდეც; წერილს
ბოლოში მიაწერა: **„ჩამოვიდა ორჯონიკიძე. გიგზავნით მხურვა-
ლე სალამს!“**

სამხარეო კომიტეტმა კი მეორე დღესვე დაადგინა და დაავალა
კიდეც მახარაძეს, ქავთარაძეს და საბაშვილს, რომ საქართველოს
ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და კენჭისყრის შედეგები
არ გავრცელებულიყო პირველად პარტიულ ორგანიზაციებში,
ხალხში.

ავადმყოფობის მიუხედავად ლენინი გაეცნო სტალინის წე-
რილს, თეზისებს, სიტუაციას, მოწინააღმდეგე ბანაკების შესაძ-
ლებლობებს. იმპერია იყო, ამაზე თვალს არ დახუჭავდა, იგი დარ-
ჩებოდა, მაგრამ სხვა ფორმით, სხვა შინაარსით. არაიმპერიული
ალტერნატიული ფორმა სოციალისტური სახელმწიფოს მოდელი-

სა ბოლშევიკებს აღარ ჭირდებოდათ; უნდა გამოეძებნათ ფორმა მოჩვენებითი დემოკრატიული მართველობისა ერთა თვითგამორკვევის მათგან უკვე ყბადაღებული თეორიის მიხედვით. სიმართლეს თავი არ ტკიოდა მაინც. ერთი შეცდომა 1920 წლის 7 მაისს დაშვებული იყო. საქართველო მათ მიერ იყო დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარებული და რუსეთი ამ დაუფიქრებელი ნაბიჯის ნაყოფს იმკიდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით. სტალინის თეზისებში არსებითი ხასიათის ცვლილება იქნა შეტანილი. რუსეთში კი არ შევიდოდნენ რესპუბლიკები, რუსეთთან ერთად გაერთიანდებოდნენ საბჭოთა კავშირში. ეს თითქოს თანასწორუფლებიანობის გარანტიას იძლეოდა და ადრინდელ ფორმულირებას ჯობდა, ერთი შეხედვით. საბჭოთა კავშირი ჩაგულაპავდა თუ რუსეთი რუსეთის კუჭში მოხვდებოდა და ამით არსი არ შეიცვლებოდა. მაგრამ ფორმა ჭამისა და მონელებისა გაცილებით შეესაბამებოდა სამართლებრივ, საერთაშორისო ნორმებს. ე. ი. ამიერიდან უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასია და რუსეთი გაერთიანდებოდნენ საბჭოთა კავშირად და იცხოვრებდნენ ძმურად. კარგი და პატიოსანი, მაგრამ სადღა იქნებოდა საქართველო? ამაზე ქართველი ბოლშევიკები (ყველანი არა, რასაკვირველია) დაფიქრდნენ, განსაჯეს და თქვეს: შესვლა თუა მარტოც შევეტევითო. ყველა ეტაპზე იგივე გაიმეორეს და სულ დაავიწყდათ (მალე შეახსენებენ) ინტერნაციონალისტები რომ იყვნენ შეგნებით, მოვალეობით, მსოფლმხედველობით, წარმოშობით.

ლენინმა მიწერა კამენევს:

ამხანაგო კამენევო!..“

(ნამდვილი გვარია როზენფელდი — ლევ ბორისის ძე. კამენევი ფსევდონიმია, ქართულად — ქვათაძე).

.....უეჭველია, მიიღებდით სტალინისაგან მისი კომისიის რეზოლუციას ერესეფესერეში დამოუკიდებელი რესპუბლიკების შესვლის შესახებ. თუ არ მიგიღიათ აიღეთ სამდივნოში და წაიკითხეთ, ძალიან გთხოვთ! დაუყონებლივ. მე გუშინ სოკოლნიკოვს ველაპარაკე. დღეს სტალინს, ხვალ შევხვდები მდივანს (დამოუკიდებლობაზე“ ეჭვმიტანილი ქართველი კომუნისტია. ჩემი გაგებით საკითხი არქიმნიშვნელოვანია. სტალინს, ცოტა არ იყოს, აჩქარებისაკენ აქვს მისწრაფება. ამიტომ თქვენ (ოდესღაც გქონდათ სურვილი და

კიდევაც სწავლობდით ამ საქმეს) მოიფიქრეთ კარგად ზინოვიევ-მაც.

ერთ დათმობაზე სტალინი უკვე წავიდა: პირველ პარაგრაფში ერესეფესერეში შესვლის მაგივრად.

„ფორმალური გაერთიანება ერესეფერესთან ევროპისა და აზიის რესპუბლიკებისა საბჭოთა კავშირში და სხვა. ამასთან თანაბრად შევდივართ ახალ კავშირში, ახალ ფორმაციაში ევროპისა და აზიის რესპუბლიკების საბჭოთა კავშირში."

მთავარია, არ მივცეთ სალაპარაკო „დამოუკიდებლობის მაძიებელთ", არ გავანადგუროთ მათი დამოუკიდებლობა და პირიქით შეიქმნას თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ახალი სართული.

სტალინი დათანხმდა ჩემს ჩამოსვლამდე რეზოლუციის ცეკას პოლიტბიუროში გატანის გადადებაზე. ჩამოვდივარ ორშაბათს, მინდა შეგხვდეთ შენ და რიკოვს ორი საათით. ესაა ჩემი წინასწარი პროექტი. მდივანთან და სხვა ამხანაგებთან შეხვედრის შემდეგ დავამატებ და შევცვლი. ძალიან გთხოვთ, ეგრე მოიქეცით თქვენც და მიპასუხეთ.

თქვენი ლენინი

როზენფელდის (კამენევ-ქვათაძის) სახელზე გაგზავნილ ლენინის წერილს სტალინიც გაეცნო. თავისებურად შეაფასა იგი და ზოგიერთ პუნქტს „აჩქარებულობა" დასწამა; ლენინის დიპლომატიას კი „ნაციონალური ლიბერალიზმი" უწოდა.

მართალიც იყო თავისებურად. დასაკლავ ხარს ფერება ალარ ჭირდებოდა, დაპყრობილი ხალხის თავზე ხელის გადასმის აუცილებლობასაც ვერ ხედავდა. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარემ ხრისტიან რაკოვსკიმ კრიტიკულად შეაფასა სტალინის თეზისები: მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები (თეზისები ექვს პუნქტისაგან შედგებოდა) უვარგისად ჩათვალა და ქენევის უნივერსიტეტ დამთავრებული ბულგარელი მოყვა კიდეც ადამიანთა ხორცსაკეპში 1938 წელს. წინასწარი გარიგების მიხედვით სასამართლო პროცესზე ხელი დააღო პარტიულ ამხანაგებს და სტალინის წყალობა (რაც იშვიათი იყო) და 25 წლის ციხე დაიმსახურა. ხუთი წლით ჩამოერთვა საარჩევნო ხმისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება. იგი ამ დროს 65 წლისა იყო. 25 წლის პატიმრობის შემდეგ დაელოდებოდა ხუთწ-

ლიან ადმინისტრატიულ საჯარიმო დროს და 95ისა ხელახლა შეუდგებოდა პოლიტიკურ-სამეურნეო მოღვაწეობას. ექსპროპრიაციალი არ შედგა. ომის დაწყებიდან სულ მალე, 1941 წლის 14 სექტემ-ბერს, სტალინისა და ბერიას ხელმოწერით დახვრიტეს ქალაქ ორიოლთან. „მედვედოვსკის“ ტყეში სხვადასხვა საპატიმრო ვადით სასჯელმისჯილ 156 პატიმართან, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე ოლგა ოკუჯავასა და სხვა რამდენიმე ქართველთან ერთად.

17 ოქტომბერს, ლენინის წინადადებით, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უარყო საქართველოს რუსეთში ცალკე შესვლის სურვილი. საქართველოს დელეგაციას გასაგებად უთხრეს: რუსეთში კი არა (რამოდენა დათმობაზე მოდიოდნენ) შემოხვალთ ჩვენში, საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობითო.

დაბრუნდნენ სამშობლოში დელეგატები და საკამათოდ გახადეს მოსკოვის დირექტივები: კრემლის მომხრეები და მოწინააღმდეგეები შეებნენ ერთმანეთს სხვადასხვანაირი არგუმენტაციით ლანძღვითა და დედის გინებით.

უკრაინამ, ბელორუსიამ, აზერბაიჯანმა, ნაწილობრივ სომხეთმა ფედერაციის პროექტის ლენინისეული ვარიანტი მოიწონა, თუმცა არც ადრინდელი, სტალინური პროექტისათვის გაუწევიათ წინააღმდეგობა. საქართველოს ბოლშევიკთა ერთმა ჯგუფმა (მდივანი, მახარაძე, ქავთარაძე, ოკუჯავა და სხვა) ჩათვალა, რომ თანასწორობის პრინციპი საქართველოსათვის კონსტიტუციის პროექტის ახალი ვარიანტითაც ირღვეოდა და საბჭოთა კავშირში დამოუკიდებლად შესვლა გაიმეორა. ამ მოთხოვნას, რაც მოსალოდნელი იყო, წინააღმდეგობა შეხვდა თვით საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში და ზემოთჩამოთვლილი ამხანაგები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი ხვედრითი წონა დიდი იყო და საქმე მარტო ხმის უმრავლესობით არ წყდებოდა.

მდივანი აცხადებდა:

„...თუ კავშირი აუცილებელია, მაშ კარგი, საქართველო შევა მასში, მაგრამ დამოუკიდებლად, ამიერკავკასიის ფედერაციის გარეშე — რაც ორჯონიკიძის სრულიად ზედმეტი გამონაგონია.“

ეს სიტყვები ბევრჯერ გაიმეორა და ამ იდეას გადააყოლა თავი, ოჯახი და თანამოძმენი. საკავშირო კომისიაში შეყვანილმა, უკვე „ნაციონალურ გადახრაში“ ეჭვმიტანილმა დადგენილების პროექტს

ხელი არ მოაწერა. იგი დაიბარა ლენინმა და დიდხანს ესაუბრა. საუბრის ჩანაწერი არ დარჩენილა, მაგრამ ბუდუ მდივანი [illegible]ული წამოსულა. იმავე დღეს საქართველოში თავისიანებს შეატყობინა: ჩვენი მოწინააღმდეგენი დიდ ხანს ვერ გამოძვრებიან სოროებიდანო. ამ ცნობას სიხარულით შეხვედრიან, ფილიპე მახარაძეს აღტაცება ვერ დაუფარია.

„თავი მოგვაბეზრეს თეთრწვერიანმა მოხუცებმა!“ — წამოიძახა ერთ-ერთ მოხსენებაზე სერგო ორჯონიკიძემ. ფილიპე იგულისხმა, გაახსენდა ჟორდანიაც, რომელიც საფრანგეთიდან გააქტიურდა და, გარდა იმისა, რომ თეთრ წვერს ატარებდა, ფილიპესი არ იყოს, სიბერეს არ უჩიოდა. თეთრწვერას, მოხუცს, ბებერს, ვინღა დაეძებდა ბუდუ მდივანს მედუქნეს ეძახდა. სტალინმა მენშევიკები „სოციალ-შოვინისტებად“ (ამნაირი პარტია დედამიწის ზურგზე არ არსებობდა) და „სოციალ-მედუქნეებად“ მონათლა. სერგომ, როგორც ჩანს, სტალინს წაბაძა, თუმცა „მედუქნე“ (წერილობითაც) მხოლოდ ბუდუს მიუსადაგა.

ერესეფესერეში დამოუკიდებლად გაერთიანების მომხრე ქართველი ბოლშევიკები სტალინისა და ორჯონიკიძის გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ კვლავ და კვლავ და საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის სხვა ლიდერები (გულწრფელი და არაგულწრფელი) ძხარდაძჭერის მიუხედავად, უმრავლესობის, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს ეს ფაქტი, მომხრობას ვერ ახერხებდნენ.

„ქართველმა ამხანაგებმა დასვეს საკითხი: შეიძლება თუ არა, საქართველო ბელორუსიის თანაბრად, უშუალოდ შევიდეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში?“

იქვე, მომდევნო აბზაცშივე, რამდენად მართებულად მკითხველი განსჯის, პასუხობს სერგო ამ შეკითხვას:

„...ჩვენ ამაში ამიერკავკასიის ფედერაციის ხელყოფა დავინახეთ. ჩვენ მივუთითეთ: ამით ამხანაგებო, თქვენ ამიერკავკასიის ფედერაციის მოსპობას მოითხოვთ-თქო!“

მოსპობასაც მოითხოვდნენ, ცხადია, მაგრამ ბელორუსიასავით შეგვიძლია შევიდეთ თუ არა საბჭოთა კავშირში, ჯერ ამაზეა ლაპარაკი და კითხვაც უპასუხოდაა დატოვებული.

გაერთიანებული იყოფოდა და გაყოფილი უნდა შეერთებულიყო. „დამოუკიდებლობას“ ანიჭებდნენ ტერიტორიის სიდიდით,

მოსახლეობის რაოდენობით და არა ეროვნულობით, ეთნიკური კატეგორიებისა და სხვა პრინციპების მიხედვით. ერთი ოჯახი (როსია, მალოროსია და ბელორუსია) იყრებოდა, სამი დაბალანსებიანი ეზო (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ერთიანდებოდა ტერიტორიებისა და მოსახლეობის სიმცირის გამო. ამ შეუსაბამობას ლენინი გრძნობდა, ფიქრობდა, ყოყმანობდა, ანგარიშობდა; დროდადრო რუსულ შოვინიზმსაც უცხადებდა ომს, მაგრამ ამ იმპულსური აფეთქებებით არა გამოდიოდა რა.

„ამხ. კამენევო (ქვათაძევ)! რუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს. როგორც კი გავთავისუფლდები დაწყევლილი კბილისაგან საღი კბილებით შევტკივრავ (რუსულ შოვინიზმს)".

„...ის ქართველი რომელიც უგულებელყოფს საქმის ამ მხარეს, ათვალისწინებით წამოისვრის ბრალდებას „სოციალ-ნაციონალიზმში" მაშინ, როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი და ჭეშმარიტი არა მარტო „სოციალ-ნაციონალი", არამედ უხეში ველიკორუსი, „დერჟიმორდაც".

ტელეგრამები საქართველოდან ლენინს:

„...უკვე შეუძლებელია ცხოვრება და მუშაობა მისი (ორჯონიკიძესი) დერჟიმორდული რეჟიმით. ნუთუ ღირსი არა ვართ, გვყავდეს უკეთესი ხელმძღვანელი!".

„...დაგვიცავით სინდისდაკარგული ორჯონიკიძის მუდმივი მუქარისა და აუტანელი შეურაცხყოფისაგან!".

„...ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო კომუნიზმის მეთოდებია გამოყენებული, არავითარი პოლემიკა, არავითარი შეკამათება... კავკასიის ყველა ხალხების წინამძღოლად გამოგზავნილი თავის პარტიული სტაჟით ბევრზე ჩამორჩენილი ამხ. ორჯონიკიძე სამხედრო სულისკვეთებას ვერ იცილებს. როცა ჩვენ ამ ფორმის წინააღმდეგ ვაცხადებთ პროტესტს, პარტიულ დამნაშავეებად გვთვლიან. ლადო დუმბაძე იდიოტად და დურაქად მონათლა. ჩვენც გადადგომისაკენ გვიბიძგებდა, გვწამლავდა, ცილს გვწამებდა..."

სერგოს!

„იგი (ლენინი) გაცოფებულია აქედან, უკმაყოფილოა ქართველი ნაციონალისტების."

სტალინი.

„...გადაჭრით ვგმობ ორჯონიკიძის მიმართ გამოთქმულ, ლან-

ძლვა-გინებას და დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენი კონფლიქტი წესიერი და ლოიალური ტონით გადასაჭრელად გადაეცეს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს.“

ლენინი.

სერგო არა მარტო იგინებოდა და ილანძღებოდა — იმუქრებოდა: „პარტიული დისციპლინის დამრღვევთ“ სამართალში აძლევდა, „საქმის“ საკავშირო ცეკას საკონტროლო კომისიაში გატანას მოითხოვდა, მაგრამ ეს სურვილი ნიადაგგამოცლილი იყო, რადგან „ქართული ინციდენტი“ ქვემდგომ ორგანოებს აღარ ემორჩილებოდა. იგი უკვე ლენინ-ტროცკ, სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო. ორჯონიკიძეს კი მოთმინება ღალატობდა, ფეხებში ებლანდებოდნენ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პატარ-პატარა წევრები, მაშინ როცა თავად გენცეკი ხელმძღვანელობდა უკვე ამ წამოწყებას, იგი პირადად მფარველობდა ორჯონიკიძეს, ორჯონიკიძის თანამზრახველებს: ორახელაშვილს, ელიავას, კახიანს, ღოლობერიძეს (არცერთს ცოცხალს არ დატოვებს, როცა დრო მოვა) და სხვებს.

საქართველოს ცეკამ სამხარეო კომიტეტის მიერ გადაყენებული ცეკას მდივნის მ. ოკუჯავას აღდგენა მოითხოვა. ოკუჯავასთანა მდივანი ამაიკ ნაზარეტიანი მესამე ოთახში ეჯდა სტალინს პირად მდივნად. ერთგულად ემსახურებოდა პატრონს საქართველოს ცეკას მდივნად ნამსახური კაცი და ერთგულებისათვის მიახვრიტა კიდეც პატრონმა, როცა ხვრეტების დრო დადგა. ის დღე ელოდა ბარე ორს თუ ყველას არა, მაგრამ იმ დღეს არავინ ელოდა, იმ საშინელებაზე მაშინ არავინ ფიქრობდა. ეს „შოვინისტური სიმყრალე“ ახლავე უნდა მოვიშოროთ თავიდანო, უთვლიდა სერგოს და სტალინი (ლენინი კი აბრალებდა ადმინისტრატიულ ამჩატებას) არ ჩქარობდა. არ უყვარდა აცერცეტება. ორჯონიკიძე პირიქით, მოუთმენლობა იპყრობდა ხოლმე, ფრჩხილებს იკვნეტდა ამ დროს, თფუო, იძახდა, გადასილაქებული ჰქონდა თითის თავები. „თეთრწვერიანი მოხუცი“ ფილიპე მახარაძე (იგი მაშინ მხოლოდ 54 წლის იყო) პოზიციებს არ თმობდა ერთხანს. სტალინმა დამაყენა სწორ გზაზეო, თქვა შემდეგ, ძველ „მცდარ“ შეხედულებებს აღარ დაბრუნებია, ერთგულად ემსახურა სახელმწიფოებრივ აზრს, წყობას, იდეოლოგიას და ბოლოს მაინც ბოლშევიკებს შეეწირა.

ოფიციალურად და უმოწმებელი ცნობით, გარდაიცვალა ცეკაში ბიუროს სხდომაზე წვერში (იმჟამად უკვე მართლა მოხუცებული) რომ ქაჩავდა ბიუროს ერთი აგრესიული წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 ოქტომბერს, ნაშუალამევს ქართველი კომუნისტები დაუკავშირდნენ ა. ენუქიძეს. უბედურ დღეში ვართ, ორჯონიკიძის ხელში არ დაგვედგომება და გადაეცი კამენევს და ბუხარინს ჩვენი გაჭირვებაო. ვინახართო, კითხულობდა ძალად გაღვიძებული ნაბახუსევი ენუქიძე. კინაღამ საცვლებისამარა რომ გაიყვანეს მიმღებ აპარატთან სამდივნოში. აპარატთან იყვნენ: ფილიპე მახარაძე, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, სილიბისტრო თოდრია, ლადო დუმბაძე, პარმენ საბაშვილი, ეფრემ თოდრია. ყველას სახელით რუსულად გადასცემდა პარმენი. კამენევისა და ბუხარინის საშუალებით დაუკავშირდით ლენინს, შეატყობინეთ: საქართველოს ცეკა „დერჟიმორდა" ორჯონიკიძის გამო გადადგომას აპირებსო. ვითარება სერიოზული იყო და აბელ ენუქიძე თანდათან ფხიზლდებოდა, ლენინის მოსახსენებელ ტექსტს ალაგებდა უკვე გუნებაში და ძველებურად აღარ ამთქნარებდა. ტელეგრაფს იმნაირი შინაარსის წერილი მოყვა და სტალინმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, დაუშიფრავი ტელეგრამის მიღება პარტიული დისციპლინის დარღვევად ჩათვალა. წერილი დაუშიფრავი იყო მართლაც, მაგრამ ივი დამისამართებული იყო ცეკას და არა სამდივნოს სახელზე. სამდივნოს გვერდის ავლაც დანაშაულად გაფორმდა, თუმცა ლენინს ამ სუბორდინაციებისათვის ყურადღება არ მიუქცევია; იგი გაახელა წერილმა, კონფლიქტმა, რომელიც მას კარგა ხნის გადაწყვეტილი ეგონა. მე მეგონაო, პასუხობდა საქართველოს კომუნისტებს ყველაფერი შეთანხმებული იყო პლენუმების დადგენილებებითა და რეზოლუციებითო **„...რომლებშიც პირდაპირ ვმონაწილეობდი მე და პირდაპირ მონაწილეობდა მდივანი. ამიტომ გადაჭრით ვგმობ ორჯონიკიძის მიმართ გამოთქმულ ლანძღვა-გინებას"** სხვა და სხვა.

დეპეშის პირი სტალინს ჰქონდა გამოთხოვილი და ორჯონიკიძეს ატყობინებდა: **„იგი გაცოფებულია "აქედან" (ჩართულია ქართული სიტყვა „აქედან") უკმაყოფილოა ქართველი ნაციონალისტების."**

გახარებული ორჯონიკიძე სტალინს თხოვდა, დავაკმაყოფილოთ ამათი გადადგომაო. სტალინმა საქართველოს ცეკას წევრების გა-

დადგომა, გადაყვან-გადმოყვანის ვარიანტებიც დაიანგარიშა და
სულ მალე ყველაფერი აირ-დაირია. „ქართული ინციდენტი“ ორ-
ჯონიკიძის თავშეუკავლობის გამო გაღრმავდა და სტალინმა „ბრალი
ლა დურაქიაო“ თქვა (ადრესატს არ დავასახელებთ).

ალექსი რიკოვი მაშინდელი სახალხო კომისართა საბჭოს თავჯ-
დომარის პირველი მოადგილე ოფიციალური ვიზიტით (საამისო სა-
ბუთები არ ჩანს) არ უნდა ყოფილიყო თბილისში ჩამოსული და
საერთოდ არ გამოადგამდა აქეთ ფეხს, რომ ცოდნოდა უნებლიე
მოწმე გახდებოდა ინციდენტისა ღღევანდელი ჯაფარიძის ქუჩის
№ 7 სახლში რომ გათამაშდა.

კობაძიხეს (მირსკი) პოლიტიკოსობაზეც ჰქონდა პრეტენზია,
მაგრამ თავი გამოჩენილი სამეურნეო მუშაკი ეგონა. ორ სახელ-
მწიფო მოღვაწესთან (რიკოვთან და ორჯონიკიძესთან) დამოუკიდე-
ბელი საქართველოს სამეურნეო პოტენციალზე და საგარეო ვაჭრო-
ბის პერსპექტივებზე ლაპარაკობდა ღვინისაგან შეთამამებული.
დროდადრო ისწორებდა სათვალეს და ერთიდაიგივეს იმეორებდა
მომაბეზრებლად. დამოუკიდებლად ვერ იარსებებს საქართველო
ამტკიცებდა ორჯონიკიძე და მენშევიკურ ყოფილ საქართველოს
მათხოვრულს უწოდებდა. საქართველო ადრე თუ მალე კვლავ ჩა-
მოშორდება რუსეთს თავისი გზით წავალ, ამბობდა კობახიძე. ეგ
თქვენი გადასაწყვეტი საკითხი არაა, ენა ებმოდა რიკოვს.

— მოგვივლია საქართველოსთვის, საქართველოს პროლეტარია-
ტისათვის, მოვუვლით კვლავ და მოგივლით თქვენც!.. — განაცხადა
ორჯონიკიძემ.

— ვინ ჩვენ, დაინტერესდა კობახიძე.

— თქვენ, თქვენისთანებს!

— შენ შენ იმას მოუარე! — უთხრა კობახიძემ.

ორჯონიკიძემ მარჯვენა ყურზე აიფარა ხელი, კარგად ვერ გა-
იგო, რა თავის იმისათვის უნდა მოევლო. კობახიძე დაიხარა და
როგორც რიკოვმა აღნიშნა, ყურში უჩურჩულა. სტალინის ვირზე
და ცხენებზე ადრევე ჰქონიათ ლაპარაკი, სერგოსაც დიდი მოთმი-
ნება გამოუჩენია სტუმარ-მასპინძლობისა და რიკოვის ხათრით.
ყურში ჩურჩული ველარ აიტანა, წამოიწია დაარტყა კობახიძეს,
რომელიც სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის რეალური
პრეტენდენტის ფეხებთან გაგორდა. სათვალე, როგორც ცალკე ავ-

ლნიშნეთ, ცალკე გადავარდა, კობახიძე ცალკე. ნახევარ თბილისს არ ჰქონდა ეს ამბავი გაგებული და კრემლში სერგოს უსაქციელობაზე მსჯელობდნენ უკვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სერგო გათავხედდა. სტალინი კი იმის ნაცვლად, რომ იგი დაეშოშმინებინა, მხარს უჭერდა.“ (ზინოვიევი).

ლენინის განკარგულებით მომხდარი ფაქტის შესასწავლად საქართველოში გაიგზავნა საგანგებო კომისია ძერჟინსკის (თავჯდომარე) დ. ზ. მანუილსკის და ვ. ს. მიცკევიჩ-კაფსუკასის შემადგენლობით.

ძერჟინსკი სოხუმში ისვენებდა. ბრძანების უსიტყვო შემსრულებელს ჰგავდა, მაგრამ თბილისში წასვლა რომ დაეზარა, ფაქტია. გამგზავრების წინ თავისიანებს შეატყობინა: **„...აქ მზეა. თბილა. ზღვა უკიდეგანოა და მარად ცოცხალი ყვავილებია, ზღაპრული სილამაზე. შორს თოვლით დაფარული ქედებია.“**

ნაკატორღალ რევოლუციონერთა დამახასიათებელ პოეტურობას არც ძერჟინსკი იქნებოდა მოკლებული. ყველას, მეტ-ნაკლებად, წვავდა მაშინ პოეზიის სახმილი. კუიბიშევი მაგალითად, ძერჟინსკის შემდეგ რომ გაარჩია „ქართული ინციდენტი“, მგოსნობას არ მალავდა და თავი მუსიკასთანაც წილნაყარი ეგონა. პირველი ხუთწლედი პოეზიაა და მუსიკაცაა ჩემთვისო, დაწერილი აქვს.

ნოემბრის თბილ, მზიან დღეს ძერჟინსკი ვანო სტურუას, ნესტორ ლაკობასა და სხვათა თანხლებით ხარაგოულში ჩამოვიდა. სერგო ორჯონიკიძის გამოგზავნილ ცხენებზე ამხედრდნენ და ღორეშასაკენ აიღეს გეზი. ძერჟინსკი იქაურებს საქეიფოდ, დანარჩენებს საქართველოს სატრანსპორტო სამსახურის (ეს ვერსია გაავრცელეს ადრევე) შესამოწმებლად ჩამოსული ეგონათ. თხაწვეროსან კაცს გახუნებული, იდაყვებზე ყაწიმებაპრეხილი ლაბადა ეცვა. ფერდაკარგული და გამხდარი თავისუფლად იჯდა ცხენზე, ხამი არ ეთქმოდა და ცხენზე გაზრდილსაც ვერ მიამგვანებდა ადამიანი.

კონსტანტინე ორჯონიკიძის სახლის დიდ აივანზე ისხდნენ იმ თბილ, უქარო დღეს. სარეზზე გამობმული ცხენები ახრამუნებდნენ ახლადაჭრილ ჩალას, ადგილობრივი, დარბაისელი თამადა, „პრედსედატელად“ რომ ძოხათლა ძასპიხძელ'ძა, აძბობდა არაფრისძთქძელ სადღეგრძელოებს. მრავალჟამიერი ისმოდა შუადღით და სერგოც

მღეროდა თანასოფლელებთან. მღეროდა მაღალი ხმით, უხეშად, მაგრამ სწორად, იქაურ კილოზე.

ლენინი კი გორაკში მოუთმენლად ელოდა კომისიას, ~~რომელსაც~~ ბევრი არაფერი გამოურკვევია.

ძერჟინსკი ჩეკას (სახელმწიფო საგანგებო კომისიას) ხელმძღვანელობდა და, ეს ახლა დღევანდელი მკითხველისათვის მოულოდნელი დარჩება, იმ უწყებას სხვები (მოადგილეები) განაგებდნენო. ფიცხი, იდეებს შეწირული საქმეებს გადაყოლილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა მრწამსს თავისას და ყოველთვის იმის მხარეს იდგა ვისაც ძალა ერჩოდა, ვინც ძალაუფლებას ფლობდაო. იგი ფიზიკურადაც სუსტი და ავადმყოფი აღმოჩნდა და თითქოს იმის დასადასტურებლად, რომ ყველას არ კლავდნენ და არ ხვრეტდნენ, საკუთარი სიკვდილით გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად.

„...ჩემი ავადმყოფობის წინ ძერჟინსკი მესაუბრა კომისიის მუშაობისა და „ინციდენტის“ შესახებ და ამან ძალზე მძიმედ იმოქმედა ჩემზე.“

ლენინი.

დაავალა გორბუნოვს, ფოტიევას და გლიასერს შეესწავლათ „ქართული საქმე“; გამოეთხოვათ ძერჟინსკის კომისიის დასკვნები, საბუთები და ცენტრალურ კომიტეტში არსებული სხვა მასალები. პირველი კომისიის შედგენაში (ძერჟინსკი, მანუილსკი, მიცკევიჩი) ლენინს მონაწილეობა არ მიუღია და კომისიის პოლონურმა წარმოშობამ, მისმა მრწამსმა — გარუსებული არარუსი რომ „ველიკორუსზე“ უარესია, შეატანინა ამ ჯგუფის ობიექტურობაში ეჭვი.

გორბუნოვმა, ფოტიევმა და გლიასერმა ლენინის მრავალგზის შეხსენების შემდეგ ძალისძალით ააღლიტეს სტალინს „ქართული მასალები“ და ძერჟინსკის კომისიის დასკვნა, რომელიც ლენინის თანხმობის გარეშე პოლიტბიუროზე გასულიყო და საარქივოდ ყადაღადადებული გვერდზე იყო გადადებული.

„პატ.ამხ. ტროცკი! ძალიან გთხოვთ, იკისროთ „საქართველოს საქმის“ დაცვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ამ საქმეს ახლა სტალინი და ძერჟინსკი „დევნიან“ და მე არ შემიძლია დავენდო მათ მიუკერძოებლობას, მთლად პირიქით კია. თქვენ რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათანხმდებოდეთ იკისროთ მისი დაცვა, მე შემიძლია გულდამშვიდებული ვიყო".

ლენინი.

ტროცკიმ იდედლა, „ქართული საქმის" დაცვა არ იკისრა; თავი აარიდა ლენინის თხოვნას (მოგვიანებით თავი ავადმყოფობით და სტალინთან გამწვავებული ურთიერთობით გაიმართლა) და განზე გადგა, თუმცა ადრევე, როგორც ავღნიშნეთ, XII ყრილობაზე ფედერაციის მოწინააღმდეგეებს დაუჭირა ცალყბად მხარი. ზინოვიევი, ბუხარინი, ნაწილობრივ კამენევი ტროცკს მიემხრნენ, მაგრამ მათი პოზიცია შინაპარტიული, ფარული ბრძოლით უფრო იყო გაპირობებული, ვიდრე ბუდუ მდივნისა და სერიოჟა ქავთარაძის პატივისცემით ან დამოუკიდებელი საქართველოს სიყვარულით. პოლიტიკური თამაში საქმეს არ ასწორებდა და ლენინმა საქართველოში ახალი დელეგაციის — კამენევ-კუიბიშევისა და რამდენიმე ავტორიტეტული პარტიული პირის გაგზავნა და რაც მთავარია, ყრილობაზე ამ საკითხზე გამოსვლა გადაწყვიტა.

კამენევი და კუიბიშევი თბილისში ჩამოსვლისთანავე გაბრუნდნენ. ლენინის ჯანმრთელობის გაუარესების ამბავი გაიგეს, თანაც XII ყრილობის გახსნის დღე მოახლოვდა. ლენინს ამათთაგან არაერთარი ინფორმაცია არ მიუღია და ბოლო წერილი, ქართველ კომუნისტებს რომ დაუწერა, გაუგზავნელი დაურჩა:

„პატივცემულო ამხანაგებო!

სულით და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს. აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით და იმით, რომ მას მფარველობენ სტალინი და ძერჟინსკი, ვამზადებ თქვენთვის ბარათებსა და სიტყვას. პატივისცემით ლენინი."

„ძვირფასო სერგო!

კამენევისაგან შევიტყვე, რომ ილიჩი ამხ. მახარაძეს და სხვებს უგზავნის ბარათს, რითაც სოლიდარობას უცხადებს უკლონისტებს. გაგინებს შენ, ძერჟინსკის და მე. როგორც ჩანს, ყრილობას საქ. კომპარტიის ნება უნდა მოახვიოს თავს უკლონისტების სასარგებლოდ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ უკლონისტები ამ ბარათს მიღებისთანავე გამოიყენებენ სამხარეო კომიტეტის, შენი და მიასნიკოვის წინააღმდეგ.ჩემი რჩევაა: არავითარი დაწოლა თქვენი მხრიდან, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტზე. მიეცით სა-

შუალება ბოლობოლო მთლიანად გამოავლინონ თავი.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავიმახსოვროთ ეს ბოლო წინადადება „**მიეცით საშუალება ბოლობოლო მთლიანად გამოავლინონ თავი.“**

სტალინი.

ყრილობის გახსნის წინ 1923 წლის 12 აპრილს გაზეთ „პრავდაში“ ს. ორჯონიკიძეს დააბეჭდვინა წერილი **„ჩვენი ეროვნული პოლიტიკა კავკასიაში.** „ერთი ადგილი ამ წერილიდან:

„...1917 წლის მონაცემებით საქართველოს დედაქალაქში ქართველები მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო მთელს აღმოსავლეთ საქართველოში — მხოლოდ 44 პროცენტს.“

იგივე გაიმეორა ყრილობაზე უკვე 1923 წელს სტალინმა. 25 პროცენტია თბილისში ქართველიო და 1917 წელი არ უხსენებია, აჭარლები არაქართველებს მიაკუთვნა ისევ, ქართველ მენშევიკებს, ქართულ ინტელიგენციას მძიმე ბრალდებები წაუყენა, სამხარეო კომიტეტისა და ორჯონიკიძის მუშაობა დადებითად შეაფასა, რითაც „პრავდაში“ წინა დღით გამოქვეყნებული წერილიც გაამართლა. წერილი კი შემრიგებლური ტონით არ გამოირჩეოდა და პირიქით:

„მთელი ჩემი მუშაობა (ორჯონიკიძის მუშაობა) შოვინისტური ინტელიგენციის ბოროტ სისინში (კარგ დახასიათებას აძლევს მშობლიურ ინტელიგენციას) წარმოებდა, სამწუხაროდ, ხანდახან მაინცდამაინც კარგად ზოგიერთი კომუნისტიც ვერ იქცეოდა.“

„ზოგიერთი კომუნისტი“ — მდივანი, ქავთარაძე, მახარაძე ამ ყრილობაზეც ვერ მოექცნენ მთლად კარგად ორჯონიკიძეს, სტალინის საამებლადაც არ დაუსველებიათ ენა და ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

ფ. მახარაძემ „პრავდაშივე“ უპასუხა ორჯონიკიძეს. ადრე გამოქვეყნებულ, სტალინის რეკომენდირებულ წერილს ყალბი და დაუსაბუთებელი უწოდა:

„...აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, ამხ. ორჯონიკიძის მოყვანილი ციფრები დღეს უკვე სრულიად მოძველებულნი არიან; ისინი ეკუთვნიან რევოლუციამდე არსებულ ხანას და შედგენილნი არიან მეფის მოხელეების მიერ, იმ მოხელეების, რომელნიც ამიერ-კავკასიაში განუსაზღვრელ დიდმპყრობელურ და კო-

ლონიზატორულ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ამიტომ ეს ცნობები ჯერ კიდევ მაშინაც ძლიერ შორს იყვნენ სინამდვილისაგან.“

ორჯონიკიძემ 1917 წლის მონაცემები იმდროინდელი (1923 აპრილი) დემოგრაფიული და სოციალური სიტუაციის დასახატავად გამოიყენა, იგივე გააკეთა სტალინმა, იმ განსხვავებით, რომ 1917 წელი არ ახსენა; ყრილობაზე აჩვენა ციფრები, რომლებიც თავის დროზეც, ექვსი წლის წინადაც არ შეესაბამებოდნენ თურემ სინამდვილეს. გამოიყენა რა, რომ თბილისში დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილ დედაქალაქში ქართველები უმცირესობას შეადგენდნენ. ეს იყო პატკნარი, შორს გამიზნული ტყუილი.

ფილიპე მახარაძემ მოითხოვა:

„სტალინმა თავის უკანასკნელ სიტყვაში (უნდა ეთქვა, საბოლოო სიტყვაში) გვითხრას ჩვენ ან გვიპასუხოს შემდეგ კითხვებზე: ჯერ-ერთი, შეიძლება თუ არა დაშვებულ იქნას ბრძოლის ის მეთოდები, რომლებსაც მიმართავდნენ და რამდენიმედ დღესაც მიმართავენ საქართველოს ორგანიზაციაში; მეორეთ, ენდობა თუ არა ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც ბევრი წლების განმავლობაში მუშაობდნენ რევოლუციონურ მოძრაობებში და სხვა. მე ვფიქრობ, რომ ამხანაგი სტალინი მოგვცემს ჩვენ ამოწურულ და სრულიად ნათელ პასუხს ამ კითხვაზე. იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოთ მოვუღოთ ბოლო იმ არანორმალურ მოვლენებს, რომლებსაც აქამდე ჰქონდა ჩვენში ადგილი.“

„არანორმალურ მოვლენებს“ ბოლო არ მოღებია არც ერთხელ არც სამუდამოდ და სტალინსაც არ გაუცია „ამოწურული“ პასუხები ყრილობისათვის და პირიქით:

არ არსებობსო, განაცხადა მან — „ნაკკომი“ (უწყება, რომელსაც იგი განაგებდა), არავითარი ნაციონალური საკითხების გადაწყვეტას არ ვაპირებ, არც მინდა იმ კომისარიატში სამსახურიო და ყველას გასაოცებლად, შეუტია ლენინს, რომელიც იმ ყრილობას არ ესწრებოდა. ნახევარი თავისუფლება ნახევარსიმართლეს ჰგავსო. საერთოდ რა თანასწორუფლებიანობაზე ვლაპარაკობთ, როცა ეროვნებათა ურთიერთობა ჯარითა და ხიშტებით წესრიგდებაო. თქვა იმ კაცმა ვინც ჯარით, ხიშტებით, ხვრეტით ებრძოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომის შემდეგ თავისუფლებას და იმდაგვარი აღიარებით იმ დროის შემდეგ საზოგადოებას აღარ მოვლინებია.

ყრილობაზე გამოძახებული ცინცაძე, მახარაძე, მდივანი პლენარულ სხდომებზე იცავდნენ თავიანთ პოზიციებს, თავს ესხმოდნენ სერგო ორჯონიკიძეს, მაგრამ მოვლენები მათ სასარგებლოდ არ ვითარდებოდა. უბედურება ის არისო, განაცხადა სტალინმა, „თავდაცვითი ნაციონალიზმი" იქცევა ხოლმე შეტევით ნაციონალიზმად და თვისობრივად ახალ სახეს იძენს ივიო. ძორიგი საბედისწერო ტერმინი შედიოდა ძალაში და „შეტევითი ნაციონალიზმის" ძალებიც იბეჭუტებოდა. ტროცკის, ამდაგვარი ფორმულირებების გამოგონებაში რომ არ უდებდა ტოლს არავის თავდაცვითი და შეტევითი ნაციონალიზმი არ უხსენებია, მაგრამ ბრძოლის „დაცვითი ხასიათი" პირველმა მან მიუსადაგა ქართველების შინაპოლიტიკურ ბრძოლას. **„...უნდა ვაღიარო, რომ ამხანაგები, რომლებიც საქართველოს კომპარტიაში უმცირესობას წარმოადგენენ, პარტიული ხაზისა და ნაციონალური საკითხის არავითარ გადამხრელებად არ ჩაითვლებიან. მათი პოლიტიკა, ორჯონიკიძის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული თავდაცვითი ხასიათისა იყო."**

მიუხედავად ყველაფრისა, ყრილობამ მოიწონა სტალინის მოხსენება, დაადასტურა რა ამით ქართველ ბოლშევიკთა შოვინისტური განწყობილება. ბუხარინმა და რიკოვმა ყრილობის აღტაცება არ გაიზიარეს. ტროცკიმ ამოღერღა, თუ აქამდე ეჭვი მეპარებოდა თქვენს (ქართველი კომუნისტების) სიმართლეში ორჯონიკიძის გამოსვლის შემდეგ ეჭვები მთლიანად გამიქარწყლდაო.

დროს მიაქვს ყველაფერი. დროს მიყვებიან ადამიანები. დრო პიროვნებებსაც თავის კანონ-სამართალის გადასახედიდან ათამაშებს და მაინც:

„...საბედისწერო როლი შეასრულეს სტალინის აჩქარებამ და ადმინისტრატიულმა გატაცებამ, აგრეთვე მისმა გაბოროტებამ უბადალებულ „სოციალ-ნაციონალიზმის" წინააღმდეგ. საერთოდ, გაბოროტება ჩვეულებრივ მეტად ცუდ როლს ასრულებს პოლიტიკაში."

ლენინი.

ლენინმა, სამწუხაროდ, ყრილობის მუშაობაში ვერ მიიღო მონაწილეობა, ტროცკიმ ყრილობის შემდეგ მოიქნია ჯოხი, კამენევი

შეყოყმანდა, სტალინს ბევრი უჭერდა მხარს და ქართველი კომუნისტები ნახევრადდამოუკიდებლობაზეც რომ იყვნენ თანახმა, ორჯონიკიძესთან ბრძოლაში დამარცხდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დამნაშავე ვარ რუსეთის მუშების წინაშე იმისათვის, რომ საკმაოდ ენერგიულად და საკმაოდ მკვეთრად არ ჩავერიე ყბადაღებულ საკითხში ავტონომიზაციის შესახებ.“

ლენინის ეს სიტყვები ადრევე იყო ნათქვამი, მაგრამ „ქართული ინციდენტი“, რომელსაც სტალინმა შემდგომ უმნიშვნელო უწოდა, ამოწურულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

„...ყრილობიდან ისინი (ქართველი ბოლშევიკები) დასისხლიანებული დაბრუნდნენ.“

ხატოვნად აღნიშნა ყრილობის დამთავრებისთანავე სერგომ და რა იცოდა, რას წარმოიდგენდა, დასისხლიანების დრო რომ შოგვიახებით დადგებოდა.

მოდიოდა დრო სისასტიკისა, შიშისა, სისხლისა. მანამდე კი ბედუკულმართი 1924 წელი იდო.

ამხანაგი სერგოს ეროვნული წარმოდგენები არათანამიმდევრული, არგუმენტაციას მოკლებული, ხშირად ინფანტილურია.

„...ქართველობა საქართველოში — ესენია ველიკორუსები რუსეთში. ესაა „მპყრობელი“ ერი. მას არ შეუძლია ილაპარაკოს იმაზე, რომ მას ჩაგრავენ, რადგან, ის არის გაბატონებული ერი საქართველოში.“

აი ეგ იყო სერგო ორჯონიკიძის ნაციონალური მსოფლმხედველობის საფუძვლები, ქვაკუთხედი, რაზედაც უნდა დაშენებული სახელმწიფოებრივი ეროვნული პოლიტიკა, ეროვნული თვითშეგნება, რომელიც მას არ გააჩნდა. სამაგიეროდ ყავდა პოლიტიკურ-ეროვნული მოძღვარი:

„...ქართული შოვინიზმი, მიმართული სომხების, ოსების, აჭარლებისა და აფხაზების წინააღმდეგ...“

სტალინი ტ. 5. გვ. 208

„...და აი აქ, ამიერკავკასიაში, ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების პირველ მორიგ ამოცანად ვთვლით — ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ სამარცხვინო წარსულის ნაშთებთან, გახურებული შანთით ამოვწვათ, ამხანაგ სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციონალიზმის ნაშთები.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო.

„...სამივე რესპუბლიკის ნაციონალისტებს ერთმანეთი ეყოლათ, ისინი ფედერაციის მტრები არიან.“

ესეც სერგო.

კიდევ კარგი, სხვაგანაც ყოფილან „ნაციონალისტ-შოვინისტები“, ჩვენ ერთადერთი არ ვყოფილვართ და გერთიანება მაინც საჭიროა; სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური შეკავშირება აუცილებელია. კულტურული და ენობრივი საკითხები კი იოლი მოსაგვარებელია. ჯერ გავარკვიოთ რა არის ენა:

„ენა არის ხელუხლებელი წმინდა რამ თვითეული ხალხისათვის, რადგან ენა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შეიძლება კომუნიზმის რევოლუციური ქადაგება!“

გასაგებია. ესე იგი, ენის ძირითადი ფუნქცია კომუნიზმის იდეების ქადაგებაა. მივყვეთ მაინც ბოლომდე:

„...გულუბრყვილობა, სასაცილო, დანაშაული და სისულელე იქნებოდა კომუნიზმის საქადაგებლად მისვლა ჩინელებთან ფრანგულ ან ქართველ მუშებთან და გლეხებთან — იმ ენაზე, რომელიც მათ არ ესმით... ამიტომ მივმართავთ ჩვენ საქართველოს კომუნისტები ოსებს, სომხებს, აფხაზებს და სხვებს მათ მშობლიურ ენაზე.“ ე. ი. ქართველ მუშებსა და გლეხებს უნდა ელაპარაკო იმ ენაზე, რომელიც ესმის, დანარჩენებს — მათ მშობლიურ ენაზე. პრინციპში ერთიდაიგივეა, მაგრამ პრაქტიკულად როგორ უნდა მოახერხო ეგ. აფხაზეთში გააგზავნი აფხაზ კომუნისტს, ოსეთში ოს კომუნისტს და ასე შემდეგ ალბათ. რადგან ენა კომუნიზმის ქადაგების ძირითადი იარაღია, ყველა ერს უნდა ვუქადაგოთ იმ ენაზე, რომელზედაც ის ლაპარაკობს. მისასალმებელია. მაგრამ საინტერესოა, რა ენებზე ლაპარაკობდა თავად, როცა ჩრდილო კავკასიის მრავალენოვან ხალხში ქადაგებდა.

„...როცა ეროვნულ უმცირესობებს ქართულ ენაზე დაწერილ ამა თუ იმ ქაღალდს უგზავნიან და მათ სოფლებიდან ქალაქში წასვლა უხდებათ ქართველის საძებნად იმისათვის, რომ ქაღალდი წაიკითხონ, — ეს არაფრად არ ვარგა. „არ ვარგა, ესეც მართალია, მაგრამ რა ენაზე უგზავნიდნენ მის მშობლიურ ხალხს „ქაღალდებს“ ცენტრიდან, თუნდაც იმ დროს ამ სიტყვებს რომ ამბობდა? მართალია, სტალინმა ორი ღერი ქართული (ახლავე, შეუტიე, დას-

ტურია, ქალაქი აიღე) ჩაუწერა ტელეგრამში, მაგრამ ეს საქმეს ჭირდებოდა, თანაც სტალინმა იცოდა ქართული, რითაც, სამწუხაროდ, არასოდეს უამაყნია და არც „ქაღალდები" უგზავნია. ... გაულის რაიონში ამ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ავიღოთ საქართველო. აქ არის 30 პროცენტზე მეტი არა ქართველი მოსახლეობა. მათ შორის სომხები, აფხაზები, აჭარლები, ოსები, არის აზერბაიჯანელებიც. სათავეში დგანან ქართველები და აი, ქართველი კომუნისტების ნაწილში იშვა და ვითარდება იდეა ამ მცირე ერებისათვის სათანადო ანგარიშის არ გაწევის შესახებ. ეს არის შოვინიზმი, შოვინიზმი მავნე, რომელსაც შეუძლია პატარა საქართველოს რესპუბლიკა გაუგებრობის არენად გადააქციოს."

სტალინი

ამის შემდეგ განმარტავს, თუ რატომ უნდა ქართველ ნაციონალ-კომუნისტებს საბჭოთა კავშირში დამოუკიდებელ რესპუბლიკად შესვლა. მათ უნდათო **„მიიღონ პრივილიგირებული მდგომარეობა."** მაშინ, როცა თბილისში ქართველები 25 პროცენტზე მეტს არ შეადგენენ **„ქართველებს არახელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორების სურვილი ამოძრავებთ."**

აი, რაში ყოფილა საქმე: ქართველებს საქართველოში, კერძოდ საქართველოს დედაქალაქში თავიანთი არასახარბიელო დემოგრაფიული (შეიძლება სხვა რამისიც) მდგომარეობის გამოსწორების სურვილი გასჩენიათ. ამიტომ დაუხვავდა ახალ-ახალი ტერმინები: „თავდაცვითი ნაციონალიზმი", „შეტევითი ნაციონალიზმი", „სოციალ-შოვინიზმი", შოვინიზმი და შოვინიზმი. ამიტომ ჩქარობდა ლენინიო. (იგი უკვე მძიმე ავად იყო) ფედერაციის შექმნასო. დღევანდელი მასალებითა და დოკუმენტებით პირიქით მტკიცდება. არა თუ არ ჩქარობდა, არამედ სხვებს აფრთხილებდა, არ ავჩქარდეთო:

„ვფიქრობ, რომ აქ საბედისწერო როლი შეასრულეს სტალინის აჩქარებამ და ადმინისტრატიულმა გატაცებამ."

დამოუკიდებელ საქართველოში, ჟორდანიას თქმით, თბილისი, აქედან გამომდინარე სხვა ქალაქებიც, სანოვაგით საქართველოს სოფლებიდან მარაგდებოდნენ. რუსეთიდან პურიც აღარ შემოდიოდა და ეს დანაკლისი ძნელი გამოსასწორებელი აღმოჩენილა.

„ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირი სანოვაგით, გავ-ვიხარდა რასაკვირველია. დედა მეუბნება: მითხრეს, შენ მინისტრი ხარო, რავა დავიჯერო, ჩემი სარჩენი მინისტრი ვის ...

უჭირდა იმდროინდელ საქართველოს. სოფელი ასე თუ ისე ღონიერი, გლეხი გონიერი იყო და მაინც უჭირდა; რთული საგარეო და საშინაო ვითარება ეკონომიკურად მომჯობინების საშუალებას არ იძლეოდა.

„...გასაკვირი იყო არა ის, რაც გვაკლდა, არამედ ის რაც გვქონდა.“

ნ. ჟორდანია.

„დაგვრჩა ფულის საბეჭდავი მანქანა ერთად-ერთ წყაროდ შემოსავლისა.“

ნ. ჟორდანია

„...საზოგადოთ ფულს ვუყურებდით როგორც ჩამოვარდნილ ფურცელს, რასაც ეჭირვება მხოლოდ ახვეტა და გადაყრა.“

ესეც ჟორდანია.

ფულის ბეჭდვის ტექნიკური საშუალება და ფულის საბეჭდავ ქაღალდი ჰქონიათ, როგორც ირკვევა და ბეჭდავდნენ „ხვეტდნენ“ და ყრიდნენ, ბზესავით ანიავებდნენ. გასაბჭოების პირველ ორ წელს ბზედქცეული ფული იყო ძალაში (რუსული ასიგნაციებიც შემოდიოდა მიმოქცევაში) და გაზეთი ორასიათასი მანეთი, მეტიც ღირდა. რაღაი ღირდა, ვიღაც ყიდულობდა კიდეც ერთ გაზეთს ორასიათასად.

სამგზავრო მატარებლები დაღოღავდნენ რკინიგზებზე. ორთქმავლებს შეშით ახურებდნენ. მგზავრები კეცებს აფიცხებდნენ ცეცხლს და ორთქმავალშივე აცხობდნენ ჭადებს.

ფოთიდან თბილისში ნახევარბილეთით გამომგზავრებულმა სერგია ერისთავმა ერთი კვირა დაჰყო მატარებელში. ხარაგაულთან ბილეთი შეუმოწმეს და რა არის ესო, უსაყვედურეს, ბავშვის ბილეთით მგზავრობ ამხელა კაცი?! ბავშვი ვიყავი ბატონო, მატარებელში რომ ჩავჯექი და გზაში გავიზარდეო, უპასუხნია სერგიას.

სერგიასა და ბაკულას ბათუმში ჩასვლაც დაუგვიანდათ. მთავრობიანი გემიც ახალი გასული დახვედრიათ. სანაპიროზე დგანან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღონებული უყურებენ ზღვას. ყველა გემმა გაგვასწრო და რა ვქნათ, სტამბოლამდე რას ჩავყვეთო, უკითხია სერგიას. გავბერეთ ნიფხვები და გავუყვეთ ცურვითო, უპასუხნია ბაკულას. ნიფხავი თუ დაგრჩა მთელი საზღვარგარეთ რაღა გინდაო, „ჩაუკვანტისტრიალებია“ სერგიას.

რესპუბლიკის ხელისუფლებამ წითლების შემოსვლამდე მატარებლით დატოვა თბილისი. დამეძინა და მცხეთას როგორ გავცდი, არ გამიგიაო, იგონებს ნოე ჟორდანია (რესპუბლიკის დედაქალაქის დამტოვებელი მცხეთამდე რამ დააძინა!), გავცდი მცხეთას თუ არა აღსტაფაში გამეღვიძაო, საიდან სადაო, წმინდა საბაო, ამაზეა ნათქვამი. ბევრმა დაიხვია ხელზე აღსტაფას ამბავი და ჩვენ აღარ უნდა ამოგველო ხმა, მაგრამ გზებს და მატარებლებს გავყევით. ჩაუარა მთავრობის მეთაურის ვაგონმა მცხეთას, აღსტაფას (რა უნდოდა იმ გზაზე აღსტაფას!) ხაშურს, გორს...

„...ჩვენ ვფიქრობდით, სატახტო ქალაქი გვექნება ქუთაისი და იქიდან მივაწვდით ყოველივე სამხედრო მასალას ჯარს...“

და რუსი ქუთაისს აუვლიდა გვერდს? თუ ხარაგაულთან დაბანაკდებოდნენ მონღოლებივით და უკან გაბრუნდებოდნენ?..

და მაინც, ნ. ჟორდანია უფრო რეალურად აფასებდა არსებულ ვითარებას, ვითარებას ვიდრე სხვები. ნ. რამიშვილი „რეალურ დახმარებას“ პირდებოდა გაქცეულ ჯარს, „რეალური დახმარების“ იმედით შეიქცია ხალხი 1924 წლის ბოლომდე და აჯანყების მხედართუფროსად დანიშნული გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძეც შეიყვანა შეცდომაში.

ნოე ჟორდანია წინააღმდეგი იყო აჯანყებისაო.

სანამ მთელი კავკასია, თუნდაც მთიანეთი არ ადგება გამოსვლები უაზრობა იქნებაო, ამბობდა; მაშინაც იცოდა, რამდენად რეალური იყო ეს ცოდნა ახლა ძნელი დასადგენია, რუსის ჯარს რომ ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ უკავშირდებოდა იმ დღეებში პირდაპირი მავთულით ლენინსა და ტროცკის, რას აკეთებთ, რა გინდათო, კითხულობდა გაოცებული. თუ შემოსვლა უნდოდათ, ვინ აკავებდათ, გასაბჭოებაზე კი ხომ ადრევეც იყო თანახმა. ჩათრევას ჩაყოლა ერჩივნა ყოველთვის და 24 წლის გამოსვლების უნიადაგობასაც ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ აღსტაფა მცხე-

თის იქით ეგონა და ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადება და-
აპირა, რუსი რომ რიონის საფგურში მოვიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, სტამბოლში დაბინავებული რამიშვილის
ცრუ ცნობებსა და გვარჯალაძის ინფორმაციებს აჰყვა. გამოგონი-
ლი სინამდვილედ მიიღო და მანდატებისა და რწმუნებების გაცემა
დაიწყო; აჯანყების მაშტაბურობა არ ირწმუნა, მაგრამ ამჩატდა
მაინც.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს უთქვამს:

კომუნისტურ წყობაზეც თანახმა ვარ, მხოლოდ რუსი არ უნდა
დარჩეს საქართველოშიო. კომუნისტები ურუსებოდ როგორ წარ-
მოიდგინა, ძნელი ასახსნელია; ეს ერთი, მეორეც. რუსს არ ემსა-
ხურებოდნენ მისი უახლოესი წინაპრები, რუსს არ ემსახურა და
არ შეეწირა კინაღამ? რუსეთის არმიის ყოფილი აფიცერი ყლობას
გადაეხვია ბათუმში და დაუმოწმებელი ცნობებით სამახსოვრო
ფოტოც გადაიღო ყლობასთან. მეფის ყოფილი აფიცერი მეფის
ყოფილ აფიცერს მიესიყვარულა და გაუგებარი აქ არაფერია.

ს. ორჯონიკიძეს ერთი მეტად დამაფიქრებელი აზრი აქვს გა-
მოთქმული. საქართველოში ჩვენმა შემოსვლამ შიში და ზიზღი
იმიტომ გამოიწვია, რომ წითელ ჯარად მოვედით და არა რუსულ
არმიადო. წერეთელი და ჩხეიძე, დღეს რომ პატრიოტებად, სა-
ქართველოს თავისუფლების მებაირახტრეებად მოაქვთ თავი, გუ-
შინ რუსეთის ერთგულებაზე დებდნენ ფიცს. ფინეთისა და პო-
ლონეთის დამონებაში, დამონებული ხალხების ეროვნულ-გამათა-
ვისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში იღებდნენ მონაწილეობასო
და სხვა.

ძალიან მეზარებოდა კაცის დახვრეტაო, იგონებს ქაქუცა ჩო-
ლოყაშვილის თანამებრძოლი სულხანიშვილი. მეზარებოდაო. გე-
გონება, ჭიდან წყლის ამოღებაზე იყოს ლაპარაკი. ეზარებოდა,
მაგრამ რა ექნა. ხვრეტდა. რაზმელებს დახვრეტის განაჩენი გა-
მოჰქონდათ ტყეში, ღრეში, ორღობეში, ვინ ესროდათ, ვის ესროდ-
ნენ? ქართველებს. თეთრები და წითლები ვის ხოცავდნენ? ერთ-
მანეთს: ქართველები ქართველებს.

ეროვნული თავისუფლების იდეას ემსახურებოდა 1924 წლის
აჯანყება. მაგრამ სოციალური ბრძოლისა და შურისგების, სამაგიე-
როს გადახდის ნაწილი იდო იმ გამოსვლებში. ზოგი სამეფო ხე-

ლისუფლების რესტავრაციას, ბევრი ბატონყმობის დაბრუნებასაც კი ელოდა. კლასი კლასის დასათრგუნავად ემზადებოდა. ტომ ეგონათ, რომ უსისხლოდ დათმობდნენ ბოლშევიკები მოპოვებულ ძალაუფლებას.

საშა ობოლაძე XI არმიას შემოყვა თუ დახვდა საქართველოში. თუ დახვდა, ვერ შემოყვებოდა, თუ შემოყვა ვერ დახვდებოდა. ყველაფერს ერთად ვერ ჩაიდენდა. თავისთავად ცხადია, მაგრამ თავისი წილი საქმე XI არმიის შემოსვლამდე გაკეთებული ჰქონდა. ჯერ პარტიის დავალებით კლავდა ხალხს, შემდეგ „დამოუკიდებლადაც“ ვმოქმედებდიო, დაწერა. როგორ ახერხებდა ამას, ძნელი დასადგენი არ იქნება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს საბჭოთა ხელისუფლების დავალებით მოქმედებდა მხოლოდ-დამხოლოდ.

ცოდვის ტირილი დაატრიალა 1923 წლის ზაფხულში გურიაში. ალიხანოვ-ავარსკის 1905 წლის ეგზეკუცია მონაგონი ეგონათ საშა ობოლაძის შემხედვარე ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლებს.

— ვისია ეს პინჯაკი?! — ვლასი მანწკავას ოდა სახლის აივნიდან იკითხა საშა ობოლაძემ და გამოხუნებული პიჯაკი ლიპა ბეჭებით აწია.

— ჩემია. — უპასუხა ეზოში დედამამასთან და თანასოფლელებთან გაჩერებულმა 14 წლის ბიჭო მანწკავამ. საშა ობოლაძემ პიჯაკი დასტანდაზზე გადაფინა, ნელა, კოჭლობით ჩამოვიდა ხის დაბალ კიბეზე. თხელი, მოგრძო სახის კაცი, ჩაცვენილი, მოწკურული თვალებით იხედებოდა თითქო სხვაგან და ბიჭო მანწკავას უახლოვდებოდა. ხელში ეჭირა თურმე დაჭმუჭნილი ბარათი, ლურსმანზე მიკიდებული პიჯაკის გულისჯიბიდან რომ ამოიღო ეჭვმიტანილი სახლის ჩხრეკის დროს. ტყეში გასული უფროსი ძმა ატყობინებდა ბიჭოიას: თბილისიდან საშა ობოლაძის კურსანტების ლეგიონი მოდის, ჩვენ სახლსაც მოჩხრიკავენ, მაქაურობას გაეცალე. ჩემთან წამოდიო.

— ვისია?! — დაჭმუჭნილი ქაღალდი გამოაჩინა. მარჯვენაში მაუზერი ეჭირა.

— ჩემია.

„საშა, არ ააცილო, არ შერცხვე ამდონ ხალხში!“

— მაშინებს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალიმება ცადა. მარტის პაპუ თოვლზე ასხლეტილმა შუქმა გა-
უფართოვა მაუზრის ლულას მიბჯენილი ცისფერი თვალები.

— ჩემია.

რაღაც დაეჯახა მძიმედ და ძლიერად. გაწვა. ნელა ამოტრიალ-
და ბიჭოია.

„მესროლა."

ზევით ასულ, ამაღლებულ, დიდგუმბათიან, კვამლისფერ ცას
შეხედა ერთი წამით.

მილიციის ლეგიონის მსმენელები მთავრობის ურჩთა სახლებს
ამოწმებდნენ გურიაში. დედის ცივი ხმა აღიოდა წყალთოვლიან
ციცვეში. იპობოდა მობურული ცა კივილით. ტკაცა-ტკუცით იწ-
ვოდა მანწკავების ძველი, ყავარსახურავიანი სახლი. ბიჭოია წი-
თელ რბილ მიწაზე იწვა და აღარ იყო თავის სახლთან. აბარბალე-
ბული ცეცხლი უნათებდა თეთრ სახეს. ეყრებოდა ჩინჩხვარი.
დედას აკავებდნენ. სხვა ვერავინ ბედავდა ბავშვთან მისვლას.

— ბიჭოია, უბედურ დროში დაბადებულო, გაუხარელო ბი-
ჭოია!

საშა ხელმძღვანელობდა დამსჯელ ექსპედიციას, წვავდა სახ-
ლებს, კლავდა ხალხს, მსუბუქ ღვინოს სვამდა და უქალობას უჩი-
ოდა შინაურებთან. კვაჭალათში რა გინდოდა თუ სიკვდილი არ
გინდოდაო, ძველი სიმღერა ახლებურად გადაუკეთეს საშას, თუმ-
ცა ხმამაღლა ის სიმღერა იმხანებში არავის უმღერია. კვაჭალათ-
ში ეტლში შეუგდო ბომბი გოგია ღლონტმა. გოგია ვარ ღლონ-
ტიო იყვირა, მაგრამ მისი ხმა დაგლეჯილ საშას, ჩუბინიძეს და სა-
ნიკიძეს არ გაუგონიათ. ხალხისათვის თავდადებული რაინდები
უწოდეს კვაჭალათში დაღუპულებს. დამარხეს თბილისში, ყოფილ
ალექსანდრეს ბაღში, სადაც მენშევიკებმა იმნაძის რაზმის მეთაუ-
რობით ბოლშევიკების მეთოდით ბოლშევიკები (არა მარტო ბოლ-
შევიკები) დახვრიტეს. დასაფლავებისას გაიმართა მიტინგი სრო-
ლით, სამხედრო ორკესტრის მუსიკით. ბავშვები გაიყვანეს მეორე
დღეს სამარეზე, ყვავილები დააყარეს ბავშვებმა რაინდებს და
საპასუხოდ დახვრიტეს ალალბედურად გადარჩეული მენშევი-
კი თუ მენშევიკობაში შემჩნეული ადრე დაპატიმრებული მოქა-
ლაქენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვრეტილთა სია გამოაქვეყნეს დახვრეტის ცნობასთან ერთად. განაჩენს ხელს აწერდნენ: საგანგებო კომისიის პრეზიდიუმის წევრები: კვანტალიანი, ბერია, მიქაძე. 1924 წლის 10 მაისს ლომინაძე დაიტრაბახებს: **„ჩვენ სიკვდილით დავსაჯეთ 100 ბანდიტი, რამდენიმე ხნის შემდეგ დახვრეტილი იქნა მთელი სამხედრო ცენტრი, რომელშიც შედიოდა მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის მოღვაწენი.“** ლომინაძე ას კაცს ჩემულობს, გაზეთში 92 კაცია მძევლებად (და არა ბანდიტებად) მოხსენიებული. ლომინაძემ, თვითმკვლელობით რომ დაამთავრა სიცოცხლე, ციფრი დაამრგვალა თუ გაზეთის რედაქციას გამორჩა რვა კაცი, არ ვიცით. ვერც ვერაფერს ვიტყვით, რადგან იმავ გაზეთში სხვა ადგილას ისევ ასი კაცის დახვრეტაზეა ლაპარაკი. თვალსაჩინო ალაგას კი გვარით, სახელით, მამისახელით გამორჩეული შრიფტითაა ჩამოწიკწიკებული 92 მამაკაცის სია. სადაა ის რვა? საძმო საფლავში მაინც თუ შეხვდათ სხვებთან ერთად ადგილი!

„განაჩენი ყველას მიმართ მოყვანილია სისრულეში.“)

„...დანარჩენები გამოცხადებულნი არიან მძევლებად და დაიხვრიტებიან ათეულობით.“ (გაზ. „კომუნისტი“ 18 III 1923 წ.)

შემდეგ:

დაიხვრიტნენ ამიტომ, ამისათვის და „ტყუილებისათვის“. არასწორი ჩვენებებისათვის უნდა ეწეროს ალბათ. ტყუილებისათვის, მე მგონი, არც მაშინ შეიძლებოდა დახვრეტა.

„მე მგონი, სერგოს ტყუილი არ შეუძლია!“

ლენინი

დანარჩენები გამოცხადებულნი არიან მძევლებად და დაიხვრიტებიან ათეულობითო.

გაუთავდებოდათ პატიმრები ახლებს დაიჭერდნენ; მართალს, ბრალიანს და უბრალოს, ცოდვიანს და უცოდველს შეყრიდნენ ციხეში და ათეულებად დახვრეტდნენ. არ დაზოგავდნენ ტყვიებს, ისინი ხომ პროლეტარიატის მიერ იყვნენ დამხადებულნი. საშა ობოლაძეს 100 მიაყოლეს, დანარჩენებს უკეთესი პატივით დაკრძალავდნენ.

ძვირად აფასებდნენ ავიანთ მკვდრებს, მარტო სიტყვით კი არა — საქმით. მძევლობია კი კრემლის მიერ ადრე გამოცხადებული

„წითელი ტერორის“ გამოძახილი იყო. ვოლოდარსკის მკვლელობ ზინოვიევმა ლენინგრადში საკადრისი ვერ მიუზღა და ლენინგრ ტიკი საყვედური დაიმსახურა; რატომ არ ჩაატარეთ საპასუ სობრივი ტერორი, შემოუთვალა. იმავე წლის სექტემბერშივე მოკლეს პეტროგრადის სახელმწიფო პოლიტგანყოფილების უფროსი ურიცკი და იმჯერზე ლენინის მითითება გათვალისწინებული იქნა. 500 მძევალი დაიხვრიტა ერთდროულად და ხვრეტა გაგრძელდა, გადაინაცვლა პენზაში, ნიჟნიში და სხვაგან. ტყუილად, გულგარეთ არ იმუქრებოდნენ ორახელაშვილი და ელიავა ერთ რევოლუციონერში 100 კონტრევოლუციონერს (თუ ვერ იშოვნიდნენ არაკონტრევოლუციონერებსაც მიაყოლებდნენ) დავხვრეტთო. ერთში ასსო. რუსეთში ხუთასსაცაო, მაგრამ იქ მაშტაბებიც სხვა იყო. პორცენტულად კი რა შედარებაა, ჩვენ ვჯობხიდით აშკარად.

ასე აფასებდნენ ბოლშევიკები თავიანთ თანამოძმეებს, სანამ კიროვს (კონსტრიკოვს) მისიანებიც არ მიაყოლეს, თუმცა იმ დროს ანგარიში უკვე არეული ჰქონდათ და თავისიანებს და სხვისიანებს ველარ ანსხვავებდნენ. ამაზე შემდეგაც მოგვიხდება ლაპარაკი და ახლა ბოლშევიკების ერთ, არატრადიციულ საკანონმდებელო აქტზე შევჩერდებით:

1941 წლის ივნისში, მკვლევობიდან 34 წლის შემდეგ პასუხისგებაში მისცეს და შემდეგ გაასამართლეს ილიას ერთ-ერთი მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი. ომის პირველსავე დღეებში, თითქოს საქმე ჰეტი აღარაფერი ჰქონდათ, თითქოს იქამდე არ იცოდნენ ვინ იყო ბერბიჭაშვილი, დაიწყეს ილიას ოფიციალური მკვლელის სასამართლო პროცესი. ილიას მკვლელობის შესწავლილი საქმის „შესწავლა“. რაღა ომის დაწყებისას დაიჭირეს მათ ცხვირწინ მოტრიალე მათიანი ბერბიჭაშვილი. შესაძლებელია გერმანელთა მიერ საქართველოს ოკუპაციის შესაძლო ვარიანტიც იყო გათვლილი და ილიას მკვლელის გაპარტიზანებულ, გაჩეკისტებულ სამშობლოში დატოვება ზედმეტ უხერხულობას შეუქმნიდა კომუნისტების პროპაგანდას. ეს ვარაუდია მხოლოდ და ამაზეც აღარ შევჩერდებით, საინტერესოა რატომ არ გაითვალისწინეს ხანდაზმულობა, რომელიც კანონად იმჟამინდელ იურისპრუდენციაშიც მოქმედებდა. დაწერილ სამართალს არავინ დაგიდევდათ, მაგრამ ხომ არ მიუსადაგეს, ფორმალურად მაინც, ხანდაზმულობის გამამართლებელი

საბუთის რომელიმე მუხლი ბერბიჭაშვილს? დიახ. მიუსდაგეს — რევოლუციონერის მკვლელობა, რომელიც თურმე ხანდაზმულობას არ ემორჩილებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ილია ჭავჭავაძის, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციონერი მოძრაობის საზოგადო მოღვაწის და გამოჩენილი მწერლის მკვლელობა გაუთანაბრდა რევოლუციონერ მოღვაწეთა მკვლელობას".

(ოფიციალური დოკუმენტი).

ხედავთ, რამოდენა პატივი მიუგიათ ილიასათვის, რამოდენა დათმობაზე წასულა სასამართლო, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ვისი სანქციითაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და, რაღა ლაპარაკი უნდა, ცენტრალური კომიტეტი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საშა ობოლაძის, კამოს და „დავახეთქეს" ტოლფასი გახადეს, მხოლოდ ჭლექიანი საშა ობოლაძის ფარდი პატივი, კიდევ კარგი, არ უციათ და გიგლა ბერბიჭაშვილიც არ დაუხვრეტიათ, როგორც დღესდღეობით ირკვევა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა გრძელდებოდა, ახალ ფაზაში შედიოდა. შესაძლებლობის ფარგლებში ერთიანდებოდნენ, ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტს ამყარებდნენ სოციალ ფედერალისტები, „სხიველები", ჟორდანიას დატუსაღება რომ უხდოდათ, ეროვნული დემოკრატები და სხვები. 1922 წლიდან დამოუკიდებლობის აღდგენის ბრძოლაში ჩაებნენ სოციალ-დემოკრატებიც და შეიქმნა დამკომი — დამოუკიდებლობის კომიტეტი. წლის ბოლოს დაიწყო მუშაობა პარიტეტულმა კომიტეტმაც, რომელსაც ნიკო ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ სათავეში ჩაუდგა საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი.

პარიტეტული კომიტეტის წევრები:

იასონ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პარიტეტული კომიტეტის მდივანი).

მიხეილ ბოჭორიშვილი (ესერი)

გიორგი ჯინორია (სოციალ-დემოკრატიული პარტია)

მიხეილ იშხნელი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია)

კირილე ნინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ კომიტეტთან ჩამოყალიბდა სამხედრო კომისია, რომელმაც ერთმანეთისაგან იზოლირებული, პატარ-პატარა, [illegible]ული რაზმების შედგენა დაიწყო.

პარტიული კომიტეტი სარეზონანსო მოძრაობას აპირებდა; მეკავშირეებს ეძებდა როგორც ევროპაში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში და ჩრდილო კავკასიის ხალხებში. ეს ძიება უნაყოფო გამოდგა და დამოუკიდებლობის კომიტეტმა, ცენტრალური კომიტეტების დაუკითხავად რომ მოქმედებდა, აჯანყება დაადგინა.

ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიდნენ საფრანგეთიდან და ერთმანეთის მიყოლებითვე დააპატიმრეს ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი, ნოე ხომერიკი და სხვები.

აქტიურად მოქმედებდნენ საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკა) პრეზიდიუმის წევრები: კვანტალიანი, მოროზი, მოგილევსკი და ბერია. 25 წლის ლავრენტი განსაკუთრებული გულმოდგინეობითა და შორმისუნარიანობით გამოირჩევა. ახალ-ახალი, ხშირად ერთიდაიგივე ცნობები შეაქვს ორჯონიკიძესთან და სერგოს გუნებაში ეღიმება ამ ლაწირაკის მონდომებაზე. იგი ბოლოს ხვდება, **რომ ეს სახეგალესილი, გამხდარი ბიჭი** რაღაც სხვა წყაროებიდანაც იღებს ინფორმაციებს; ასახელებს აჯანყების დაწყების თარიღებს (გადავადების გათვალისწინებით) და ეჭვმიტანილ პირებს, თვით საქართველოს ჩეკაში რომ არიან მოკალათებულნი. ორჯონიკიძე არ ჩქარობს. გუნებაში მაინც ეღიმება და სახეზე არაფერი ეტყობა. ბერია ჯერ არ იცნობს სტალინის დირექტივა-ფორმულირებას — აცალე, სრულიად გამოავლინონ თავი. სახელმწიფო დონეზე აზროვნება სხვაა, მსტოვრულ დონეზე ანგარიში სხვაა. ბარე ორი ტურა კი იკივლებს სანამ ახლადგამოჭყლეტილი ჩეკისტი, მუსავატელებისა და ბოლშევიკების (ერთდროულად) ყოფილი აგენტი ამ ჭეშმარიტებას მიხვდება.

პარტიული კომიტეტის აჯანყების გეგმა მარტივია:

ერთდროულად გამოვლენ მებრძოლი ჯგუფები და ქაქუცა ჩოლოყაშვილის დიდი რაზმი საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში, დაბებში, სოფლებში. მთელი საქართველო უნდა აღსდგეს პირველსავე დაძახებაზე. პირველივე დღეს უნდა დაეცეს თბილისი — საქართველოს დედაქალაქი. აჯანყებულთა ძირითადი რაზმები (კახეთის ფრთა) თავს დაესხმება

ვაზიანში დაბანაკებულ ამიერკავკასიის არტილერიას, ჯავშნოსან მანქანებს და თბილისისაკენ გზა ხსნილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყების დამარცხების მრავალმიზეზთაგან აჯანყებულ ძღვანელები არც თუ მთლად დასაბუთებულად გამოჰყოფენ ორს:

1.28 აგვისტოს ამიერკავკასიის სარდლობამ არიტლერია, ჯავშნოსნები და ავიაცია ვაზიანიდან გადაიყვანა თბილისში, განალაგა მთავარ მაგისტრალებზე და ჩაკეტა ქალაქში შესასვლელ-გამოსასვლელები. აჯანყებულებს 29 აგვისტოს ღამეს ვაზიანის მინდორი მოტაცებული დაუხვდათ.

2. ჭიათურა ერთი დღით ადრე აჯანყდა. აჯანყებას ნამდვილი აჯანყების სტრატეგიაზე გავლენა არ მოუხდენია, გამაფრთხილებელი შუშხუნა გავარდა მხოლოდ. კ. ანდრონიკაშვილს ერთი ფაქტი ვერ აუხსნია, მეორე ვერ გაუგია. რატომ შეიყვანა მთავრობამ ჯარი თბილისში წინა ღამითო კითხულობს, რატომ გამოცვივდნენ ჭიათურლები ერთი დღით ადრეო, მარჩიელობს.

ვაზიანი არ დაეცა.

იგი დაცემული დაუხვდათ.

ცხელი ქარი დაფოთიალობდა გადატრუსულ ველებში, გადაყვითლებულ ბალახებში. პარტიტეტული კომიტეტი კი დაიჭირეს შიო მღვიმის ტყეში, მონასტერთან ახლო სიგრილეში.

აჯანყებამდე:

იჭერენ და ხვრეტენ მომავალი აჯანყების მონაწილეებს. ვალიკო ჯუღელი ვრცელ წერილს ბეჭდავს გაზეთ „კომუნისტში". აჯანყების უაზრობაზე, უნიადაგობაზე ლაპარაკობს, გამიშვით და დავბრუნდებიო იხვეწება. თავის თუ აჯანყების გადარჩენის უკეთეს საშუალებას ვერ პოულობს. არ უშვებენ, სიტყვის არ ჯერათ, აჯანყების ჩაშლაც არ უნდათ აღბათ. სტალინის თეზისი ძალაშია: **„არავითარი დაწოლა თქვენი მხრიდან, მიეცით საშუალება (მაშინ უკლონისტებზე" იყო ლაპარაკი) ბოლობოლო მთლიანად გამოავლინონ თავი."**

თბილისი არეული და აფორიაქებულია. აჯანყებას გაავდრებასავით მოელიან. ვინმე ბაგრატიონი ბერიას თანამშრომელია. ვინმე გოლეთიანი პარტეტული კომიტეტის მსტოვარია. ჩეკისტი ბაგრატიონი ეძებს პატრიოტ გოლეთიანს, რომელსაც ბერიას ბინაში ძინავს. პარიტეტული კომიტეტის ტერორისტული ცენტრის ხელმძ-

ღვანელი მიშა კოლუაშვილი ვერაზე აფთიაქიდან დღევანდელ ბელინსკის ქუჩის დასაწყისში, კლავს ეჭვმიტანილ ბენდელიანს. დაუმიზნა. გაარტყა. მოკლა. ესროლეს, დაჭრეს, დაიჭირეს, დაბრალდა. რიტეს თავადაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი იცის ჩეკამ. უფრო მეტი იცის (ორჯონიკიძეს ასე ჰგონია) სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელმა, მეფისნაცვლის რწმუნებებით აღჭურვილმა სერგომ.

„...თუ კი ინტელიგენცია საბოტაჟის, საიდუმლო შეთქმულების და აჯანყების გზით წავა, ჩვენ ტყვიის ენის გარდა, სხვა ენაზე ლაპარაკს არ დავუწყებთ.“

პარტიტეტული კომიტეტი მოქმედებს. მთავარსარდალი სპირიდონ ჭავჭავაძე საზღვარგარეთიდან ელოდება რამიშვილის „რეალურ დახმარებას“, კავკასიის სხვა ხალხების თანადგომას.

აჯანყების პირველად ადგილებს, აჯანყების დაწყების თარიღებს აზუსტებენ და ცვლიან აჯანყებულთა შტაბში და ჩეკაშიც. სინქრონულად მოქმედებენ ისენი და ერთნაირი კორექტივები შეაქვთ გეგმაში და სტრატეგიაში.

ნახშირგორისა და წყლულეთის მიდამოებში ადგილებს ინაცვლებენ ჩოლოყაშვილის რაზმელები; ნაფეტვრების გორაკებიდან დაჰყურებენ ცხელ ღამეებში აციმციმებულ თბილისს. აჯანყება გვიანდება. ტყე-ტყე უმიზნო სიარული და ერთი და იგივე ადგილებში მიწის ტკეპნა ჭირს.

და როგორც იქნა

დაიწყო და დამთავრდა დაწყებისთანავე. ჩატარდა (არაფერი ღაშავდება ამ სიტყვას თუ ვიხმართ) უფრო სწორად. 29-ში დანიშნული 28-ში შედგა. ვაზიანი ცარიელი, თბილისი გამაგრებული დაუხვდათ.

„28 აგვისტოს, დილაადრიან მივიღეთ ცნობა, რომ გათენებისას. დილის 4 საათზე, ყოფილ თავადაზნაურთა ჯგუფი თავად გიორგი წერეთლის მეთაურობით თავს დაესხა ძილში მყოფ ჭიათურას. შეეცადა იარაღი აეყარა ჩვენი ამხანაგების ნაწილისათვის და დაიკავა ქალაქი. მეორე დღეს დილის 8 საათზე კომუნარების პატარა რაზმი ჩვენი ამხანაგის, ჟორჟიკა ქავთარაძის და სხვების მეთაურობით თოფის გაუსროლლად შევიდა ჭიათურაში და „დამოუკიდებელი საქართველოს“ ეს დროებითი მთავრობა სადღაც გაქრა.“

სერგო განგებ აუბრალოებს, შემდეგ მოსკოვში განგებ გაართულებს სიტუაციას, ცოტას აქეთ იტყვის ცოტას იქით, მაგრამ გადაადგილებით მოვლენების არსს ვერ შეცვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...იმავე დღეს გვაცნობეს, რომ ყოფილი თავადი ჩოლოყაშვილი ჩეჩნებს, ლეკებს და კახელებს თბილისისაკენ მოუძღვება, მაგრამ თურმე ამ ბრწყინვალე თავადს სულ 15 კაცი ჰყოლია და პირველი გამოსვლისთანვე ის იძულებული გახდა მთებისაკენ მოეკურცხლა“.

ეს ცნობებიც „ბრწყინვალე თავადის საქციელს რომ ასახავს, არასწორია და „გვაცნობეს“ და „თურმეზეა აგებული. ჩოლოყაშვილი არც ჩეჩნებს წამოძღოლია, არც ლეკებს (უტაქტოდ და უადგილოდ ნახმარ „კახელებზე“ აღარაფერს ვამბობთ), იგი თავისი რაზმით ტრიალებდა თბილისის თავზე, თუმც შევსებასაც ელოდა. ადრევე მიხვდა, საქმე რომ წაგებული იყო და უღიმღამო, თავმოუბმელმა მზადებამ ეგ აზრი უფრო განუმტკიცა; ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა მაინც და მანგლისის სამხედრო სასწავლებლის მძინარე ბატალიონს დაესხა, ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაუხსნეს ზედა სართულიდან და კუდითქვანასროლივით მიატოვებინეს იქაურობა. სხვა რაზმები, რომელთანაც ურთიერთკავშირში უნდა ეწარმოებინა თბილისისათვის ბრძოლა, მან ვერ აღმოაჩინა, გულაცრუებული ჩამოეხსნა მანგლისსაც და დილაბნელშივე დატოვა თბილისის შემოგარენიც. მუჰადიჯვართან, სოფელ სიმონიანთხევში გაძარცვა თავლა, რაზმელებში დაანაწილა საჯდომად და სამარქაფოდ გადარჩეული ცხენები და თრიალეთის გზას გაუდგა.

უდანაკარგოდ (რაღაც სროლებზედაცაა მათ მოგონებებში, ლაპარაკი) გაიარეს პირველი ზოლი და სხვა წინააღმდეგობა აღარ შეხვედრიათ. ტყვიით ყანყრატოგახვრეტილი ლურჯი ულაყი საბიკვდილოდ ვერ გაიმეტეს. ერთგული პირუტყვი საქართველოს საზღვართან მობრუალე, გხააბნეულ, უკვე სამშობლოდაკარგულ ქართველებს მისდევდა, სისხლს აფრქვევდა მოღერებული ყელიდან, ყაყაჩოსფრად ღებავდა თრიალეთის მდელოს.

ასე იყო თუ ისე, მოსახდენი მოხდა, გამოსაშვები სისხლი გამოვიდა და დაიწყო ცოდვის ტირილი. უმრავლესობამ ვერ უშველა თავს, ბევრს დამალვაც არ უცდია, საქმე იქამდე მივიდა რომ

ხვრეტების შეწყვეტის ბრძანების წამოსვლა გახდა საჭირო მოსკოვიდან. მაშტაბი პატარა, რეზონანსი დიდი, შედეგები მეტად ეფექტური მოჩნდა. ჩამოყალიბდა აჯანყების გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შემსწავლელი საკავშირო კომისია მოლოტოვის, ორჯონიკიძის და სხვა ნაკლებადცნობილი პარტიული პირების შემადგენლობით. შეწყდეს ხვრეტაო, ხელი მოაწერა დადგენილებას ორჯონიკიძემაც გარედან მაცქერალი კაცივით. მოლოტოვმა პლენუმზე (კომისიამ ანგარიში პლენუმს ჩააბარა) ხაზგასმით აღნიშნა: საქართველოსა და ამიერკავკასიის ხელმძღვანელობა მოწყდა მასებს და აჯანყება მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდაო. მართალი ბრძანა ამხანაგმა მოლოტოვმა, ჩვენ შევასუსტეთ მასებთან კავშირი, აჯანყება კი მოულოდნელი არ ყოფილაო, განაცხადა საპასუხო სიტყვაში ორჯონიკიძემ.

—სად დაიჭირეთ ჯუღელი? — დაამთქნარა ტროცკიმ პრეზიდიუმში.

— ქუჩაში. — შემობრუნდა ორჯონიკიძე, შეიცადა, მაგრამ ტროცკის მეტი აღარაფერი უკითხავს.

—...პირველ დღეებში ერთი კაციც არ დაგვიხვრეტია და რეპრესიების გამოუყენებლობას მენშევიკები ჩვენი უძლურებით ხსნიდნენ. ასეთ ვითარებაში მასობრივ ხვრეტებს მივმართეთ...

რა იგულისხმება მასობრივ ხვრეტებშიო, დაინტერესდნენ ისევ პრეზიდიუმში, მაგრამ ამ შეკითხვაზე ორჯონიკიძეს ზუსტი პასუხი არ გაუცია.

— რამდენი დახვრიტეთ?!

— ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ამ საქმეს აღარაფერი ეშველება!

დარბაზი ახმაურდა და ისევ ტროცკის ხმა მოისმა:

— მენშევიკები გხვრეტდნენ თქვენ?!

— იშვიათად. — ყრუდ უპასუხა და გაჩუმდა. დარბაზი უფრო ხმაურობდა, ორჯონიკიძე იდგა ახალ შეკითხვას ელოდა, წარბები, ცხვირი და ტუჩის ჭრილები დაბლა ჰქონდა დაშვებული.

რა მოხდა მანამდე 24 წლის გამოსვლებამდე მნიშვნელოვანი? გარდაიცვალა ვლადიმერ ლენინი.

„21 იანვარს 6 საათზე და 50 წუთზე საღამოს ვლადიმერ ილიას

ძე უეცრად გარდაიცვალა. სიკვდილი სასუნთქი ცენტრის დამბლას მოყვა. დასაფლავება შაბათს 26 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუყონებლივ ინფორმირებულიყავით პასუხისმგებელი მუშაკები. პრესაში ცნობები გამოქვეყნდება დღეს. უზრუნველყავით მტკიცე წესრიგი, არ დაუშვათ პანიკის მცირე გამოვლენაც კი. თუ საჭიროდ ცნობთ, მიტინგების გარდა ჩაატარეთ სამგლოვიარო დემონსტრაციები შაბათს გასვენების დღეს. სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნეთ ლენინის ანდერძისადმი ერთგულების, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო თანადგომის შესახებ. დელეგაციების გამოგზავნა დაკრძალვის დღეს დაამთხვიეთ.

ტელეგრამის მიღება დაადასტურეთ.

ცეკა მდივანი სტალინი 22 I 1924

ლენინი მძიმედ იყო ავად და მისი გარდაცვალება მოულოდნელი არ ყოფილა. წინა წელიწადს იგი გამოტირებული ყავდათ. აგვისტოში მოვიდა მხოლოდ ცნობიერებაზე, სახელმწიფო საქმეებში დააპირა ჩარევა, თუმც ეგ უკვე მის ძალასა და ენერგიას აღემატებოდა. კუიბიშევმა წამოაყენა წინადადება: გამოვუშვათო „პრავდის“ ერთი ან რამდენიმე ეგზემპლიარი სადაც მხოლოდ ლენინის წერილები, საამებელი ინფორმაციები და ანეკდოტები იქნება დაბეჭდილიო. პოლიტბიურომ კუიბიშევს მხარი არ დაუჭირა, უზნეო უწოდა მის არც მთლად სულელურ წინადადებას.

ექიმ როზანოვის ცნობით 11 მარტს (1923 წ.) ლენინმა ყმუილი დაიწყო. უჩვეულოდ თბილი, მთვარიანი ღამე იყო იმ ახალგაზაფხულზე გორკაში და ლენინი ყმუოდა გაბმულად, თითქმის გათენებამდე.

იმ ზაფხულს ტროცკი ისვენებდა კისლოვოდსკში. ზინოვიევის, ბუხარინის, ვოროშილოვისა და ლაშევიჩის თანდასწრებით გამართა თათბირი და წაიკითხა მოკლე მოხსენება როგორ ვუხელმძღვანელოთ პარტიას უილიჩოდ.

მე იქ გავლით მოვხვდიო, იგონებს ორჯონიკიძე და მიკროთათბირის შინაარსიც რამდენიმე დღის შემდეგ გახდა ჩემთვის ცნობილიო. ტროცკი, რომელსაც ორჯონიკიძე გულზე არ ეხატებოდა, ანგარიშს არ ჩაბარებდა, თუმცა ამბის გამომტანიც არ გაუხდე-

ბოდა საძებარი. უილიჩოდაც იცხოვრებდნენ, ამას მომავალიც

გვანახებდა, მაგრამ დაკარგული ნდობით ველარ იარსებებდნენ.
შინაპარტიული ომი, რომელიც ამჟამად არ გვაინტერესებ
ბული იყო, იგი ღრმავდებოდა და ლენინის სიკვდილის შემდეგ,
სანამ ერთი პირის ხელში არ მოხვდებოდა სახელმწიფოს მართვა-
ლობის აპარატი, კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, საშიშ ფორმებს
შეიძენდა.

აჯანყების შედეგები რომ დაიანგარიშეს, მსხვერპლი რომ შეა-
ფასეს, სტალინს ჩაულაპარაკია, არაუშავს, მაგათ სამოქალაქო
ომებში მაინც არ მიუღიათ მონაწილეობაო.

1924 წელს შეეძინა ლავრენტი ბერიას ვაჟი, რომელსაც ჯერ
ოთარი, შემდეგ, სერგო ორჯონიკიძის საპატივცემულოდ, სერგო
დაარქვეს. სერგო გაიზარდა, ცოცხალია; საქმიანი, სასარგებლო
(ვისთვის?) მოქალაქე (ვისი?) დადგაო. ღმერთმა გაუმარჯოს და
საქმეშან მისმა წარმოაჩინოს იგი.

ვის სამაგიეროდ გააჩინა მშობელმა სერგო იმ ბედუკულმართ
წელს, რომელი ქართული ოჯახის დანაკლისი შეავსო მისმა დაბა-
დებამ. იქნებ ვაჟა ფშაველას დახვრეტილი ვაჟის სანაცვლოდ მო-
ევლინა ქვეყანას, იქნებ კიტა აბაშიძის 24 წლის გია აბაშიძის ნა-
თელი შეცვალა ან კორნელი კეკელიძის ოჯახს ეშველავათა მისი გა-
მოცხადება. მამის დანაშაულზე შვილი პასუხს არ აგებსო (?). ეგ-
რეც რომ იყოს სისხლიან მშობლებს შვილის გაჩენის, მემკვიდრის
დაბადების უფლება არა აქვს. იგი დამახინჯებული თესლითაა აღ-
მოცენებული და მისი ნაყოფი რომელიღაც მოსავალზე მაინც
უბედურებას მოიტანს. ლავრენტის მეუღლე ქალბატონი ნინა ახ-
ლაც ამტკიცებს, მაშინ ქმრები ცოლებს დღეგანდელივით არ
ანებივრებდნენ, სახელმწიფო საქმეებში არ რევდნენო. ლავრენ-
ტიც სახელმწიფო საქმით იყო დაკავებული, ოჯახისათვის სხვებ-
სავით არ ეცალაო. მართალია, როცა ქალბატონი ნინა მშობიარობ-
და ლავრენტი და ბევრი სხვაც ქართველთა გენეტიკური კოდის,
ჯიშის განადგურებით იყვნენ დაკავებულნი. ვაგონებიდან ჩამოღ-
ვრილი სისხლით იღებებოდა მაშინ ლიანდაგები, ცოცხლად ჩა-
ფარხულ დაჭრილთა კვნესა ისმოდა თხლად წაყრილი მიწიდან;
ტრიალებდა სახელმწიფო აპარატის სისხლიანი ბორბალი და იმ
სახელმწიფოს სათავეში იდგა ქართველი, გვერდში ედგნენ ქართ-

ველები და პროლეტარიატისა და რუსეთის რევოლუციის სახელით ებრძოდნენ საქართველოს. საოჯახო საქმეებისათვის არ ეცალენ ლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპე მახარაძე ქართველების წინააღმდეგ აქეზებდა ოსებს; საქართველოს ავტონომიაზე მეოცნებეებს დასცინოდა და როცა გაუნათდა გონება, ვიდრე კვლავ არ დაუბნელდებოდა, იბრძოდა იმ ავტონომიზაციისათვის, რომლისაც არ სწამდა. ფილიპეს, მდივანს, ოკუჯავას, დუმბაძეს, ცინცაძეს და სხვა ქართველი კომუნისტების ელემენტარული ავტონომიური მოთხოვნილებები რომ დაკმაყოფილებულიყო, მოპოვებული რომ ყოფილიყო ის უფლებანი მაინც, რომელსაც ლენინი მოწყალებასავით გაიღებდა, საქართველო — თავი დავანებოთ 24-სა და 37-ს, არ ამოწყდებოდა სხვის ომში, რომელსაც სამამულო დაარქვეს: იმ რაოდენობის ქართველებს ვერ გაიწვევდნენ, რომლებიც გაიწვიეს, გაირეკეს და გაყარეს სასაკლაოებზე სხვის ომში.

სხვის ომში დაიღუპა შთამომავლობის მომცემი თაობა, რომელსაც ერი უნდა აეღორძინებინა, გაემრავლებინა კვლავ.

საქართველოზე ომს არ გადაუვლია და ეგ მსხვერპლი დასაშვების ფარგლებშიაო, იტყოდა სტალინი, ჩიბუხის ტარს გადაისობდა ულვაშებზე და ჩვენც ვიამაყებდი თმისი სიბრძნით, ჩიბუხით, ჩიბუხის ტარით და ულვაშებით, ყველაზე მეტი მსხვერპლი პროცენტულად ჩვენ გავიღეთ სამამულო ომშიო წამოვიძახებდით ყეყეჩურად, დავასახელებდით ფანტასტიკურ ციფრებს, ამდენი წავედით, ამდენი ვერ დავბრუნდითო, თითქოს დიდი სასიკეთო და თავისმოსაწონებელი საქმე გვქონდა შთამომავლობის წინაშე ჩადენილი.

ლავრენტი შვილს ორჯონიკიძის საპატივცემულოდ სერგო გადაარქა. ეს მოხდა 1926 წელს, როცა სერგო მოსკოვში წასასვლელად გაემზადა და ბერია მიხვდა, რომ საქართველოში მისი ბატონობის ჯერიც დგებოდა. კრემლში გაწვეული კაცი შვილის ნათლიად მოიკიდა და სერგომ თავად ნათლიმამა მონათლა (საჯაროდ არ გაუმხელია), პროფესორ-ტორ აზეფის საპატივცემულოდ პატარა აზეფი უწოდა. სერგოს ძულდა ბერია და ტანითაც პატარა, ასაკითაც „პატარა აზეფსაც“ ძულდა სერგო, ამ სიტყვის პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირი მნიშვნელობით. სიძულვილს „ნათელმირონობის“ მიუხედავად ფარავდნენ და ამჟღავნებდნენ კიდეც დროდადრო.

1931 წელს კრემლში სამდივნოზე სტალინმა მოიწვია ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და ლავრენტი ბერია, რომლის იქ დანახვაც იუცხოვა ყველამ. ორგბიუროსა და სამდივნოს გადაწყვეტილებითო, თქვა სტალინმა, საქართველოს ცეკას პირველ მდივნად და სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად ინიშნება ლავრენტი პავლეს ძე ბერია; ქართველიშვილი თავისუფლდება საქართველოს ცეკას პირველი მდივნის მოვალეობისაგან რათა მთლიანად და მთელი ენერგია მოახმაროს სამხარეო კომიტეტს სადაც იგი კვლავ რჩება სამუშაოდ და სხვა.

დუმდა გაოგნებული ქართველიშვილი. სამხარეო კომიტეტის სხვა წევრებიც აღარ იღებდნენ ხმას.

საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს, შემდეგ ალბათ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსაც ჩააბარებდნენ ჩეკისტს. ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა პატარა აზეფს სათავემდე. იქაც დასვამდნენ, სხვას არაფერს მოასწავებდა ეს მოულოდნელი დანიშვნა. ჩეკისტის პარტიულ სამუშაოზე აბიძგება.

— მე ვერ ვიმუშავებ ამ კაცთან! — თქვა ქართველიშვილმა მოგვიანებით.

— რატომ? — ღრმა პაუზის შემდეგ იკითხა სტალინმა.

პასუხი არ ისმოდა. დუმდა ლავრენტიევი (ქართველიშვილის პარტიული გვარი) ლავრენტი, სახეზე წითლდებოდა მეორე ლავრენტი; მოდიოდა ახალი ლავრენტი, მიდიოდა ნიჩაბზე დადებული ძველი ლავრენტი ლავრენტიევი.

— რატომ ვერ იმუშავებთ ამხანაგ ლავრენტისთან ამხანაგო ლავრენტი?!

— ვერ ვიმუშავებ. — ვერ ვიმუშავებ... — გაიმეორა ლავრენტი ლავრენტიევმა და გადავარდა სკამიდან.

— ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ სამუშაო წესით! — თქვა სტალინმა, ხრიგინით შეწია მძიმე სკამი მაგიდის ქვეშ, მკერდზე გადაბიჯა წაქცეულ ქართველიშვილს და ჩქარი ნაბიჯებით გავიდა.

ლავრენტი ბერია დაამტკიცეს, სადაც დანიშნეს.

ლავრენტიევის (ქართველიშვილის) საკითხიც განიხილეს რაღაც წესის მიხედვით და რადგანაც ამიერკავკასიაში ლავრენტის სიახ-

ლოვეს ვერ შეძლებდა, სამსახურს გაამწესეს დასავლეთ ციმბირში
ცოტა ხნის შემდეგ გაუფართოეს ასპარეზი და გაუშვეს
აღმოსავლეთში სამხარეო კომიტეტის მდივნად და რადგანაც სტა-
ლინისა და ბერიას თვალსაწიერს დიდი მანძილით დაშორდა, ცოტა
ხანში მოიახლოვეს; გადმოიყვანეს სითბოში, ყირიმის საოლქო კო-
მიტეტის მდივნად და მალევე დახვრიტეს.

ბერიას საქართველოს ცეკად კურთხევას ორჯონიკიძე არ დაეს-
წრო. თირკმლის შეტევა მოიმიზეზა, შინიდან არ გამოვიდა, სხდო-
მის შემდეგ თავად ბერიამ დაურეკა. ჯამრთელობა იკითხა, შენი
ჭირი მე შემყროდა ჯობდაო. ორჯონიკიძემ თანამდებობა მიულოცა
ცალყბად, ნინას და „ნათლულის" ამბავი იკითხა. შენი წყალობით
მოხდა ყველაფერიო, უთხრა ბერიამ, ორჯონიკიძის უკითხავად
საქართველოში არა გაკეთდება რაო. მაინც კმაყოფილი დარჩა
სერგო ამ საუბრით, თუმცა ბერიას გინება არ მიუტოვებია. მომ-
დევნო წელს ლავრენტიმ კისლავოდსკში ჩამაკითხა. სერგომ მიი-
ღო და გულისყურითაც მოუსმინა, დაიჯერა კიდეც მისი წასვლის
შემდეგ, რომ სამხარეო კომიტეტში მ. ორახელაშვილის გამო საქ-
მეები უკან მიდიოდა და ზოგიერთების ავტორიტეტსაც ჩრდილი
ადგებოდა. უსმენდა პატარა აზეფს და ფაქტები აოცებდა, გარე-
წარია, მაგრამ მართალს ამბობსო ფიქრობდა. ძალა აღმართს ხნავ-
და მაინც და ბერიას ერთი ნაბიჯის გადადგმაშიც აღარ შეუშლიდა
ხელს.

ქუთაისის ციხეში დაუახლოვდა ლავრენტი საშა გეგეჭკორს, გეგე-
ჭკორმა შეიყვანა ქართველ რევოლუციონერთა წრეში ბაქოელი
ავანტურისტი. ერთ საერთო საკანში ისხდნენ, ერთ პურ-მარილს
იყოფდნენ და ხანდახან სხვებისათვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობ-
დნენ. დროის გარკვეულ მონაკვეთში თავისუფლად სეირნობდნენ
ეზოში, გრძელი დერეფნის ფანჯრებთან, საშა დაახრიგინებდა ხის
ფეხს და სიარული უჭირდა, ფანჯრის გისოსებიდან დაბალი სახლე-
ბის ყავრის სახურავები და ვიწრო ქუჩები ჩანდა. მზის ჩასვლისას
საშას ცოლი აკითხავდა, ხან საპაემნო ადგილიდან ელაპარაკებოდა,
ხან ქუჩიდან ესიყვარულებოდა. ღარიბი ნათესავი გოგონა ახლდა
ხოლმე; ერთად დგებოდნენ მაღალი ყორის გადაღმა წინასწარ
ამოჩემებულ ალაგას. გოგონა ნინა მაღალ ფეხებზე ირწეოდა და
მერი დეიდას არ უშვებდა მსუქან მკლავზე ორთავ ხელს, საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელს, ორ კაცს და სათვალის მინებს ხედავდა. გადმოკაკლული თვალები იჯდა შუშებს იქით, ამ თვალებს არიდებდა და ვერ ეტანებოდა წორებდა გოგო მზერას, მამაკაცს გრძნობდა მაინც. როგორ-ორ-ორ ნინიკოო იძახდა საშა. ეს აწკეპილულვაშიანი კაცი ქალს არ გაატარებდა თვალისგაუყოლებლად, მაგრამ ცოლის ნათესავი, მკერდიც რომ არ აჩნდა ხეირიანად, ნამეტანი ბავშვი ეგონა და ლავრენტი თუ სხვა თვალით უყურებდა, ვერ ხვდებოდა. თავად გარყვნილს სხვისი სიგარყვნილე არ ჯეროდა.

ჩვენს წინაა 30-ან წლებში გადაღებული ფოტოსურათი. იდილიური სცენაა აღბეჭდილი, საისტორიოდ დატოვებულ ფოტოზე. სტალინი ზის ეზოში, ჩრდილში, ქაღალდები აქვს გაშლილი მაგიდაზე და მუშაობს. მდივანი ქალი საბეჭდ მანქანასთანაა მოკალათებული და ასე შემდეგ. ოდნავ მოშორებითაა ზერია, რომელსაც მუხლზე უზის სვეტლანა. ბერია ფოტოობიექტივს გრძნობს აშკარად, მაგრამ უხერხულობას სვეტლანას გამო ვერ ფარავს. სხვა რამე არ იფიქროს ამ მახინჯი ბავშვის გამო მამამისმაო და ერთი სული აქვს როდის მოიშორებს ქვაზე დახატულ ეშმაკს. „მამამისი“ სამუშაოშია ჩაფლული, ფოტოს რომ იღებენ მანაც იცის, მაგრამ ბერიას შიშს და უხერხულობას ვერ აღიქვამს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მან ბოლომდე კიდევ არ იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე.

„პატარა აზეფი“ თანამიმდევრულად, დრო და ჟამის შესაფერისად მიცოცავდა ზევით, დრომდე და მომენტამდე ასრულებდა მხოლოდ და მხოლოდ „პატრონის“ ნება-სურვილს, სხვებსაც, ზევით მდგომთაც უქიცინებდა კუდს, სხვისთვის ათასნაირი მახე და საწამებელი ჰქონდა გამზადებული. დრო და სიტუაცია მფარველობდა და არა ნიჭი და გაიძვერობა. ორჯონიკიძესაც მოუვლიდა ადრე თუ მალე, თუმც აზეფობა არ წყინდა, სადღაც მოწონდა კიდეც ეს შედარება. კატისთვალებიან ევნო-აზეფსაც პოლიტექნიკური სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ფენომენალური მეხსიერების პატრონს უყვარდაო ქალები; ესერთა პარტიის წევრი საიდუმლოდ მსახურობდა პოლიციაშიც და ხელმძღვანელობდა ტერორისტულ ჯგუფსაც, რომლის საბრძოლო ბირთვი გაყიდა თავადვე. ესერებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ მოკვდა საკუთარი სიკვდილით, რაც ბერიას სანატრელი გაუხდა.

1926 წელს „ბერიას საქმე“ (ბაქოში მოღვაწეობის პერიოდი) ძერჟინსკს გადასცეს. საქმის შესწავლა (ისე შეისწავლიდა, როგორც „პატრონი“ ეტყოდა) დაწყებული არ ჰქონდა, რომ გარდაცვალება. მის სიკვდილში სხვისი ხელი არ ერია, რაც სათანადოდ დააფიქსირეს კიდეც გერმანელმა ექიმებმა, რომლებმაც გარდაცვალებამდე იწინასწარმეტყველეს ნაადრევი სიკვდილი, ძერჟინსკის შერყეულ ჯანმრთელობას რომ უნდა მოყოლოდა. გათავისუფლდა ადგილი პოლიტბიუროში და სერგოს ამგზავრების დროც დადგა. დღედღეზე დატოვებდა იგი ამიერკავკასიას, დაბეჩავებულ, მორჩილ საქართველოს. ყველა სიგლახეში მიიღო მონაწილეობა, ყველა სიავე დაამკვიდრა სამშობლოში პროლეტარიატისა და ინტერნაციონალიზმის სახელით. ახალი ტიპის რუსული იმპერიის გასაძლიერებლად იღვაწა, მოსპო ეკლესია-მონასტრები, გაანადგურა საყდრები, წაბილწა წმინდანთა ნაწილები.

არგვეთას მთავართა დავით და კონსტანტინეს თავის ქალები აბურთავეს ქუთაისში ვალია ბახტაძის მეთაურობით, მოწამეთა ძვლები არაჩხუნეს ქუჩებში ბახტაძის თანაჭკუისელებმა და ეს ფაქტი სერგო ორჯონიკიძემ სიამაყით მოიხსენია:

„...ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში ანტირელიგიური კამპანია გაშალა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კამპანიის შედეგები მაოცებს. წარმოიდგინეთ არის მაზრები (სენაკისა), არის ისეთი ადგილები, სადაც ერთ ეკლესიასაც ვერ შეხვდებით; ეკლესიები იქ სკოლებად და საავადმყოფოებად გადააკეთეს... „დაავიწყდა ეთქვა: თავლებად, საჯინიბოებად, საწყობებათაც. შემდეგ:

„...გადავდგით ასეთი ნაბიჯი: საქართველოში ქუთაისის ახლოს, მოწამეთას მონასტერში იყო წმინდანთა — „დავითისა და კონსტანტინეს“ ნაწილები. ქუთაისლებმა შეკრიბეს ყველა მაზრიდან მოხუცი გლეხები, სამღვდელოება, ექიმები, გახსნეს ეს ნაწილები და აღმოჩნდა ფერფლადქცეული ძვლების გროვა.“

თუ ძვლების გროვა აღმოჩნდა (სხვას რას ელოდნენ?), ფერფლად არ ყოფილა ძვლები ქცეული.

„...ჩამოიტანეს ეს ძვლები ქუთაისში და პროფკავშირთა საბჭოს შენობაში დაასვენეს. ამან გლეხებზე კოლოსალური შთაბეჭდილება დატოვა.“

როგორ უნდა გავიგოთ ეს წინადადება. „დაასვენეს“ და „ეკლესიალური შთაბეჭდილება დატოვა“. ღვთისსაპატივცემულო [illegible] ლი შეასრულეს? ეგრე არ ყოფილა, სამწუხაროდ. [illegible] დაყარეს. თავის ქალები აგორავეს. წმინდა ნაწილები შეურაცყვეს. ძვლები ქუჩა-ქუჩა აარაჩხუნეს. ზოგიერთი თვალითმნახველი დღესაც ცოცხალია. ეგ ამბავი 1923 წლის დასაწყისში მოხდა. ამის შემდეგ დაანგრიეს ქუთაისის საკრებულო ტაძარი და სხვა ნაკლებცნობილი ეკლესიები; ლენინის ცირკულარის მიხედვით დაიჭირეს საეკლესიო პირები: ამბროსი ხელაია, ეპისკოფოსი ნაზარი და სხვანი. ამბროსის გენუას კონფერენციაზე გაგზავნილი წერილი გაახსენეს. სხვებს საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა დააბრალებს, დახვრიტეს ნაზარი, თუმც შუას რეციდივის განმეორება ვერ გაბედეს, სასულიერო პირების წინასწარ მოფიქრებული ხვრეტის მოდელი ვერ გადმოიღეს და მრავალი გადაურჩა განზრახულს. ეკლესიების ცარცვა-გლეჯა, თავლებად, საჯინიბოებად, საწყობებად გადაკეთება, მღვდლების კრეჭა, ანაფორების ტრეტვა გაგრძელდა და მოულოდნელად:

„...ჩავაბაროთ მათ (გლეხებს) ეკლესიის გასაღები და როგორც უნდათ, ისე ილოცონ.“

ამ დეკლარაციას პრაქტიკული ქმედება მოყვა. დაიწყო საყდრების გახსნა, პარტიული ამხანაგებისათვის ეკლესიის გახსნის დაგვიანებისათვის საყვედურის გამოცხადება. ამ პროცესმა ორგანიზებული ხასიათიც კი მიიღო და მოულოდნელად გამოქვეყნდა კაგანოვიჩის მოხსენება, სადაც ეკლესიას, მეჩეთს და სინაგოგას კონტრევოლუციონერთა ბუდე ეწოდა; ყველაფერი ეშმაკისაკენ შეტრიალდა კვლავინდებურად და სერგოსაც აღარ უხსენებია იმ დღის შემდეგ ეკლესია, ქუდის გამოსატანადაც რომ არ შედიოდა ადრევეც შიგ. 24 წლის აჯანყებაში ზოგიერთი მაზრის გლეხებმაც მიიღეს მონაწილეობა და ხელისუფლებამ ეს ფაქტი უეკლესიობას, უმღვდელოებას მიაწერა; ამ ნაკლის გამოსწორება, გლეხების გულის მონადირება განიზრახეს, ვის როგორც უნდა და სადაც უნდა იქ ილოცოსო წამოიძახეს ლოზუნგი, რომელიც თვითონვე უარყვეს. აჯანყება კი თავად-აზნაურობას მიაწერეს. მართალია, ორჯონიკიძემ გააფართოვა წრე თავადებსა და აზნაურებს მიემხრნენო ყოფილი ოფიცრები, ყოფილი მენშევიკები, ინტელიგენციის წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლებიო, მაგრამ აჯანყება თავადაზნაურულად ჩაითვალა, ამაში იყო სიმართლის ნაწილი. გაზეთ „კომუნისტში“ 1924 წლის სექტემბერში გამოაქვეყნეს დაპატიმრებული, სასიკვდილოდ განწირული პარტიტეტული კომიტეტის წევრთა სურათები ასეთი თანამიმდევრობითა და ამდაგვარი წარწერებით:

ანდრონიკაშვილი კონსტანტინე ემანუილის ძე — ყოფილი თავადი.

ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე — ყოფილი აზნაური
ნინიძე კირილე ესე ძე — ყოფილი აზნაური
ბოჭორიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე — ყოფილი აზნაური
იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე — ყოფილი აზნაური
ჯინორია გიორგი ევგენის ძე — ყოფილი აზნაური

ამათ ემატებოდათ: ყოფილი თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ყოფილი თავადი (ყოფილი მთავარსარდალი) სპირიდონ ჭავჭავაძე, რომელმა ვერც კი გაარკვია რას სარდლობდა, ვის ხელმძღვანელობდა, ვის ემორჩილებოდა და სად იდგა ის ჯარი, კრეისერებიდან რომ გადმოსხეს „რეალური დახმარების“ ანგარიშით.

ბევრია ჩვენში თავადაზნაურობაო, განაცხადა ერთ დღეს სერგო ორჯონიკიძემ. დარბაზიდან შეაწიეს სიტყვა, დავიყვანოთ ნოლამდეო. მაშინდელმა ცეკას მდივანმა ლევან ღოღობერიძემ წამოიძახა, ლენინივითო, (არის ასეთი პარტია!) ასე თქვეს. დამადასტურებელი საბუთი ჩვენ არ გაგვაჩნია, რა წამოიყვირა და რა წამოაბოდა არ ვიცით, მაგრამ ამდაგვარი რაღაც მართლაც თქვა, არა თუ თქვა, გამოაქვეყნა გაზეთში: („კომუნისტი“ 1924 წ. 21 V).

„...თქვენ იცით ამხანაგებო, რომ საქართველოში 6 პროცენტი თავადაზნაურობაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ არის, თუ გინდ პოლონელი პანების სამეფოშიც, სადაც თავადაზნაურობის პროცენტი 4 პროცენტს აღწევს. ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტი. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ჩვენი საბჭოთა ბოლშევიკური იარაღი არ ბლაგვდება და არ ტყდება!“

იგივე გაიმეორა ფაქტიურად საქართველოს ცეკას სხვა მდივანმა კახიანმა:

„...ვინაიდან, ვიდრე ჩვენს წინაშეა საბჭოთა საქართველოში ეს მრისხანე ციფრი 120—130 ათასი თავადაზნაურობისა, 7000 მე-

ფის ოფიცრობისა, არა ვართ დარწმუნებული, იმაში, რომ ეს საწ-
ვავი მასალა არ აალდება ხელახლა ყოველ ხელსაყრელ საერთაშო-
რისო და საშინაო გართულებათა შემთხვევაში. ამ საკითხს არა-
ერთხელ და ორჯერ სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს საქართვე-
ლოს კპ ცეკა".

ფიქრობდნენ, წერდნენ, ასრულებდნენ, პრაქტიკულად ანხორ-
ციელებდნენ ჩანაფიქრს, ინსტრუქციებს, მითითებებს, საკუთარი
ინიციატივითაც მოქმედებდნენ. აზნაურები იყვნენ თავადაც:

ყორდანია.
ორჯონიკიძე.
გეგეჭკორი.
ღოღობერიძე.
კახიანი და სხვები.

აკლებული ყავდათ ორჯონიკიძეებს ძველად წერეთლები ზე-
მო იმერეთში, ციციშვილები ქართლში — ძამას ხეობაში. მრის-
ხანე ფეოდალები — ციციშვილები XVIII საუკუნეში მეფესთან
ჩიოდნენ აგვიკლეს ორჯონიკიძეებმა და გვიშველეო.

სერგოს ბუდე, როგორც ვიცით, ძაღლუაშვილებად იხსენიება,
დედმამიშვილ ამოწყვეტილი ერთი ახალშობილი ორჯონიკიძე,
იქნებ იცოცხლოსო, ძაღლად განათლეს და გადარჩა; გვარისა და
შთამომავლობის ასაღორძინებლად იცოცხლა; სათუთად ზრდიდნენ,
ცივ ნიავს არ აკარებდნენ და გაამართლა კაცის გაძაღლებამ.

1776 წლის სიგელით, უფრო სწორად, ვინმე ჩხეიძის საჩივრის
წყალობით შერჩა ისტორიას ძაღლუა:

**„...ორჯონიკიძე ძაღლუამ კაცი გამილახა, იარაღიც აუყრია,
თოფიც წაურთმევია."**

ადრინდელ სიგელში, ჩხეიძის სახლიკაცის გალახვამდე რომაა
შედგენილი (1753—58 წლები), ეს წერია:

**„...ოქროპირმა (წერეთელმა) უჩივლა (ორჯონიკიძეს) დამიხვდი
შენ და შენი ყმა, თოფები ესროლეთ ჩემ ძმას, ჩემი ძმა დაჭერით,
გაყიდეთ" და სხვა.**

ციციშვილებმა ერთხელ ციციშვილებს უმტრეს და ძამას ციხეში
დაატრიალეს ტრაგედია. პაატა და დავით ციციშვილებმა გადმოიყ-
ვანეს იმერეთიდან კიკნაძეები და ორჯონიკიძეები და

„...დასახოცი დახოცეს, გასაყიდი გაყიდეს: ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა. რაც ჩვილი ყმაწვილი ეყოფოდა, არავინ იყიდა. ციხიდამ გადაყარეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამეს. რაც მონაზონი და ბებერი იყო, რომ არ გაიყიდებოდა, სულ ერთს სახლში შეყარეს, ბოძები გამოუყარეს, სახლი ზედ დააქცევეს და ისე უზიარებელი დახოცეს. ძირს რაც დარჩა, შუა გაიყვეს, დავითმა იმერეთს წაასხა და იქ დაყიდა; და პაატამ ოსმალოში წაასხა და იქ დაყიდა. საციციანო ისე გახარაბებული იყო, ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არცა ცეცხლი ანთებულა; არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია.“ „...ამ აზნაურშვილების თავეთი და თავეთის ცოლ-შვილის და ყმისა ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტანთა, ფეხთა, ქვეშაგები, გუთნეული, ტხვარი, ძროხა კანბეჩი, ღორი. — იმათი სარჩო — პური, ღვინო, ყველი, ერბო, ხმელი თუ ნედლი; ამ აზნაურშვილებისა და ამათის ყმების თოფი, ხმალი, იარაღი, ტყვია და წამალი კიკნაძეებით და ორჯონიკიძეებითა აიკლო და ყათლანი უყო.“

ეს მომხდარა 1747—49 წლებში.

1923 წელს კი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების დროს ორჯონიკიძეს დარბაზიდან შემოუტია ვინმე ნიკო კიკნაძემ, როცა მომხსენებელმა „პროფმოძრაობა“ გააკრიტიკა. კრიტიკას კიკნაძემ კრიტიკით უპასუხა სერგოს უკადრებელიც აკადრა და აჟიოტაჟი გამოიწვია.

რომელიღაც ორჯონიკიძემ, ესეც ძველი ამბავია, აბაშიძეებს ოსმალეთში გასასყიდად წასხმული ტყვეები დააყრევინა; ზოგმა ის ქნა, ზოგმა ის და ძაღლუა ორჯონიკიძის (ჩხეიძე რომ გალახა) ნაშიერმა სოციალისტური იმპერიის მართვა-გამგეობაშიც ქე მიიღო მონაწილეობა და კრემლში დამკვიდრებამდე თავადაზნაურთა (კვლავ ზემოდან მითითებით) ხვრეტაც შეწყვიტა.

თავადები დახვრიტეს ქართლში (ცოტა), კახეთში (ბევრი), იმერეთში. უმრავლესობას აჯანყებაში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ სიცოცხლეს აჯანყების კი არა თავადობის გამო გამოეთხოვენ. ეგ არ არის სწორი პოლიტიკაო, განაცხადა ბოლოს სტალინმა, აზნაურული სული, აზნაურული მრწამსი უნდა დაითრგუნოს, თორემ რევოლუციაში აზნაურებიც მონაწილეობდნენ, პროლეტარიატის იდეებს აზნაურებიც ემსახურებოდნენ, რაღა შორს წავიდეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავად ლენინიც აზნაური გახლდათ, ლენინის მამა ილიას ტიტლის აზნაურად მოჰქონდა თავი.

„დაკარგული სამოთხის“ გადაღების დროს (1937 წ.) ბელი რეჟისორი დავით რონდელი გამოიძახა ბერიამ. ღამით დაიბარა საქართველოს ცეკაში.

...მივედი, ბატონო. მისაღებში კაცი დამიხვდა თავგადაპარსული, ჯმუხი. თქვენ ხართ რონდელიო? მე ვარ ბატონოთქვა, მე ვუთხარი. მიბრძანდითო. ოთახია ერთი დიდი და იმას იქითაა კაბინეტიო. შევედი, ბატონო, სიბნელეში, გზა ვერ გავიკვლიე, გამოვბრუნდი. ამინთე, ბატონო, შუქი, ვთხოვე. არა მაქვს უფლება, ვერ აგინთებო. შევედი ხელმეორედ, გავყევი კედელს ხელების ფათურით. წამოვედევი, ბატონო, რაღაცას, წავიქეცი ამსიმაღლე კაცი. შუქს არ მინთებს, არ შეხვალ შენი აჯობებს. მივაგენი კარს როგორც იქნა. ახლა რა ვქნა, დავაკაკუნო, დავიძახო, უკითხავად გავაღო? ტავარიშჩ რონდელი, ზახადიტე! დამიძახა ვიღაცამ. შევედი ბატონო, დიდი კაბინეტია, დიდი მაგიდა, შიგ არავინ ჩანს. თურმე აგერ ზის ხელმარჯვნივ, კედელთან, პატარა მაგიდასთან. ნახაზები აქვს გაშლილი, ნათურა ანთებული. მიყურებს, ადგა, ჩამომართვა ხელი, დაჯექიო, მითხრა. დავჯექი, შენო კინოს იღებ და თავადაზნაურობას დაცინი, ამასხარავებო? რა ვუთხრა. არა ბატონო... ამოვიღე როგორც იქნა ხმა, მერე სულ დამება ენა... არ დავცინი, მე ვუთხარი. კარგია მაგ, თუ არ დაცინიო. თავადაზნაურობით ვართ ქართველები თუ ვართ, მაგათმა გადაარჩინეს საქართველო თუ გადაარჩინესო, ჩვენი დასაცინი რა ჭირთო... მცდის, ვფიქრობ. არ დაცინოო, გამიმეორა. გახსოვდეს, ბიჭო, ვისი გვარის ხარო... ჩვენს ისტორიას, ჩვენს წარსულს სხვანაირი პატივისცემა ჭირდება, საქართველო რუსთაველისა და სტალინის სამშობლოაო.

ბერია ამ დროს 38 წლის იყო. ბევრი ხვრეტა ჰქონდა მომთავრებული და დიდი ხვრეტის კამპანიას მეთაურობდა, დავით რონდელს რომ საქართველოს წარსულის სიყვარულს შთააგონებდა. აზნაურობით (დედის მხრიდან) გულის სიღრმეში სადღაც თავადაც ამაყობდა, მაგრამ რეჟისორს მაშინ გულგარეთ ელაპარაკებოდა; არ ჯეროდა არც რონდელის (მშვენივრად იცოდა რას იღებდა და ვის დასცინოდა) და არც სტალინის, ვის მზესაც ფიცულობდა.

ფილმის კრიტიკა და თავადაზნაურთა დაცვა კი უბრალო შიზ-ზის შედეგი იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანებში, ზემოთაღწერილი საუბრიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ტაიროვის კამერულ თეატრში დაიდგა მუსიკალური სპექტაკლი „გოლიათები“, რომლის ლიბრეტოს ავტორი გახლდათ დემიან ბედნი (ეფიმ კონსტანტინეს ძე პრიდვოროვი რუსეთის მეფე-იმპერატორთა უკანონო ჩამომავალი). სპექტაკლს, იგი სტალინს არ უნახავს, კაგანოვიჩმა და ვოროშილოვმა, გაამჟღავნეს რა არაფრით არ გამართლებული მუსიკალური პრეტენზიები, პოლიტიკური ტაქტის უქონლობა დასწამეს და ცენტრალურ პრესაში თეატრის პარტკომს, პარიკმახერ ვანია ბარანოვს გამოაქვეყნებინეს ვრცელი გამაქიაქებელი წერილი. იქ ეწერა, როგორ დასცინოდნენ თეატრში რუსეთის ისტორიულ წარსულს, ხალხს, თვით ისტორიას და ისტორიულ პირებს. „მეტი თავმდაბლობა ამახანაგო დემიან!“ არა მარტო ამის გამო, ნაბუშარი დემიან ბედნი სამკვიდროდან (კრემლიდან) გამოაგდეს, სპექტაკლი „გოლიათები“ აკრძალეს, ღონისძიება (როგორც ხდებოდა ხოლმე) სამაგალითოდ დასახეს და ეს დღე ეწეოდა კინოფილმ „დაკარგულ სამოთხესაც“ ბერიას სხვა სადარდებელი რომ არ ჰქონოდა იმ ხანებში.

ბერია იყო ამსრულებელი, მაგრამ ეროვნული სიამაყის გრძნობა (მხოლოდ სხვა ერების სიძულვილით რომ გამოიხატებოდა) ატროფირებული არ ჰქონდა. ერების გამოლენჩების ბელადისეული ჩანაფიქრი, სულ ტყუილად, ამოხსნილი ეგონა. საკუთარი ტვინით (მსოფლმხედველობაზე არაა ლაპარაკი) ამას ბელადს ვერ მიუხვდებოდა. ბელადი კი გეგმაზომიერად მიყვებოდა ხალხთა დიადი გამოთაყვანების წინასწარ შემუშავებულ ხაზს. ამიტომ დაახვრეტინა კატინში პოლონეთის არმიის 15 ათასი რჩეული აფიცერი, ამიტომ მოითხოვა თეირანში 50 ათასი გერმანელი ოფიცერის განადგურება ომის დამთავრების შემდეგ. რუზველტს ხუმრობა ეგონა, ჩერჩილი კი ცუდად გახდა. სანქციადადებულ 50 ათასს მიაყოლებდა იმდენივეს და დაიშრიტებოდა დროებით (საჭირო იყო სამუდამოდ) ძალი და ვნება. გერმანელთა, დარჩენილთა გამოლენჩება ტექნიკის საქმე იყო და ამას იოლად მოახერხებდა. ღვთის წყალობაც რომ ყოფილიყო.

ბერია ანგარიშობდა, ხვდებოდა. ბოლომდე ვერ ხვდებოდა. ა-
რულებდა და თავის გადარჩენაზეც ფიქრობდა. სერგო უფრო მარ-
ტივად, სწორხაზობრივად აზროვნებდა. მსოფლიო კომუნისტუ-
ოცნებო საგანი ეგონა. ემსახურებოდა პოლიტიკას, დროს, სიტუ-
ციას, უმრავლესობის მისწრაფებებს; სულიერი ფასეულობების
ნგრევას და ახლის დამკვიდრების სურვილს. პროფესიით იყო რე-
ვოლუციონერი, პარტიული მუშაკი, განათლებით ფერშალი და ეს
ხელობა ბევრგან გამოადგა. განვლილ ცხოვრებაზე უყვარდა თვა-
ლის გადავლება, თუკი საამისო დროს იპოვიდა. პირადი კეთილ-
დღეობისათვის, ოჯახური სიამტკბილობისათვის ვერ იცლიდა,
ეზრდებოდა ერთადერთი გოგონა ეთერი, რომელიც ბარძაყში
იყო დაბადებით ამოსახსრული.

წამოიჩიტა ეს ეთერი და ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს.

ოპერაციას აკეთებდა იმხანებში ცნობილი ქირურგი კილასო-
ნიძე. მზრუნველობას არ მოაკლებდნენ, რაღა თქმა უნდა და ოპე-
რაციის წინ საავადმყოფოში გამოცხადდა თავად სერგო ტყავის
კურტაკით, ჩექმებით, გალიფეთი და მაუზერით. ოპერაციაზე დას-
წრება ითხოვა, რაზეც კილასონიძემ ცივი უარი უთხრა. სერგომ
ამოიქშინა, შეტრიალდა, მძიმე ნაბიჯებით გაიარა გრძელი დერე-
ფანი და მთავარი ექიმის პროფესორ გოგიტიძისა და რამდენიმე
ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მუშაკის თანხლებით დაბრუნდა.
აქ ამ განყოფილებაში მე ვარ უფროსი და ყველანი დიდიან-პატა-
რიანად გაბრუნდითო, განაცხადა საოპერაციოდ გამოწყობილმა
მიხეილ კალასონიძემ. პროფესორი გოგიტაძე სახეზე წამოჭარხლ-
და, ოფლმა დაუცვარა ცოტა ხნის შემდეგ მელოტი თავი.

კილასონიძის მედპერსონალი და ორჯონიკიძე-გოგიტიძის
მხლებლები იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და აღარაფერს ამბობ-
დნენ. სერგო მძიმედ სუნთქავდა. თვალს არიდებდნენ მისიანები.
ვის უბრძანებ, ვის უყვირებ, ვის გადაუტრიალებ მაჯას. შეიძლება
ბავშვმა და თავმდგურმა ჩოჩქოლს, შემდეგ ამ უცნაურ სიჩუმე-
საც კი ძიაქციეს ყურადღება.

— მე ბატონო, ფერშალი ვარ.

— ფერშალი თუ ხართ, მობრძანდით!

1926 წელს სერგო ორჯონიკიძე ჩრდილო-კავკასიის სამხარეო
კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნეს. როსტოვში გაემგზავრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე. დაბინავდა თუ არა „პალას ჰოტელში“, ნახა თუ არა ერებვალი შვეიცერი, ვერ ვიტყვით; ღირსსამახსოვროც არა გადახდენილა. იმ მოკლე ხანში, როგორც ჩანს, რადგან მისი იქ ყოფნის კვალი ქალაქს არ დატყობია. წლის ბოლოს გადაიყვანეს მოსკოვში და როგორც მოსალოდნელი იყო, ჩააბარეს დიდი და საპასუხისმგებლო თანამდებობა — მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური საკონტროლო კომისიის კომისრობა. ამასთან ერთად სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაამტკიცეს.

ასე ამრიგად, დატოვა სერგომ ამიერკავკასია, საქართველო, სადაც ამდენი უსიამოვნება შეხვდა; ბოლშევიკური პარტიის ყველა ბელადის შეწუხება, ხელდახელ ჩხუბი, ტყვიის ენით ლაპარაკი დაჭირდა. საქართველოს გამო დაიმსახურა წყრომა ლენინისა, რომელსაც ძალიან უფრთხოდა. წავიდა და დატოვა თვალდახელშუა შემოდნობილი საუკეთესო წლები, მომჩივანი თანამდებობის პირები და უკმაყოფილო ხალხი. არჩილ მეფესავით არ უთქვამს მაინც:

„დავაგდე ქაჯთა ქვეყანა ღვთისაგან დაწყევლილისა;
ვინც გახდეს მისი მოყვარე, იქმნეს მაჰმადის სჯულისა!“

40 წლისა ახალგაზრდობასთან კარგახნის გამოთხოვებულივით გამოიყურებოდა; ჯანმრთელობა ღალატობდა აშკარად, ჯერ ყრუდ, შემდეგ შეტევით ტკიოდა ცალი თირკმელი.

„...ყველაფერი აირია, ძვირფასო ემილიან, ყოველთვის მარჯვენა თირკმელი მტკიოდა, ექიმები კი ამტკიცებდნენ, მარჯვენა საღიაო, მარცხენა კი დაავადებულიაო. მარცხენა ამოვაჭრევინო, მარჯვენა მომკლავს.“

თუ თირკმელი არა რაღაც მოკლავდა ბოლოს, ზ გრამ ახალგაზრდა კაცის ორგანიზმი უკვე ველარ უძლებდა უძილობას, ნერვიულობას, სიცივესაც კი. არ ანებივრებდნენ თავიდანვე ერთმანეთს კაცი და ორგანიზმი; ურთიერთპატივისცემაში არ ამოდიოდათ სული. ამაზედ არც ფიქრობდნენ. მთავარი იყო საქმე, მიზანი. სხეული კი ჩვენია, მას ისე გამოვიყენებთ, როგორც გვსურს, როგორც საჭიროა, როგორც პროლეტარიატს, საერთო საქმეს ჭირდება. სული კი არ არსებობს. ფიქრი, განსჯა, გრძნობა, ტკივილის, მწუხარების, სიხარულის შეგრძნებაა — ეს ტვინია. ტვინიც მატერიაა. არის კიდევ სხვა?.. არაფერი.

მოკლეს კოტოვსკი. შეუცვლელი კაცი იყო, აფსუსიაო, თქვა სტალინმა და არც მკვლელი უძებნია, არც მკვლელობის მიზეზების რკვევით შეუწუხებია ვინმე. კოტოვსკის სიკვდილის ამბავმა ფრუნზეს ჯანმრთელობით დაინტერესდა სამაგიეროდ.

კარგად ვარ თითქოსაო, ეუბნებოდა შეფიქრიანებული და მკვდრისფერდადებული საავადმყოფოში სანახავად მოსულ სერგოს ფრუნზე. პოლიტბიუროს დადგენილებით მიკეთებენ კუჭის ოპერაციასო.

— არაფერი არაა მაგ.

— ოპერაციაა მაინც, თან აღარ მტკივა...

— ადე მაშინ და წამოდი, რაც არი არი...

— არა, სერგო, აღარ შეიძლება, პოლიტბიუროს დადგენილებაა.

— მაშინ გისურვებ წარმატებას!

გულმა ვერ გაუძლო, განაცხადეს ოპერაციის შემდეგ გულმაგარ ფრუნზეზე, აღარაფერი მაწუხებსო, რომ ამტკიცებდა ოპერაციის წინ. ნარკოზს ვერ გაუძლო. ხარის დოზა მისცეს და კისერი ვერ მოტეხეს. სალაშქრო სიმღერებს მღეროდა მაგიდაზე გათარანებული 48 წუთი. უმატეს და უმატეს ხლოროფორმის დოზებს და ვეღარ გაუძლო გულმა, რომელიც „პროლეტარიატისათვის ძგერდა". მოკვდა და დაუკრიფეს გულზე ის ხელები, რომელშიც მაუზერი ეჭირა. ექიმმა პოლოსიანცმა გამოიტანა სამწუხარო ამბავი საოპერაციოდან. ამ ამბისაგან ჭკუაშერყეულმა ცოლმა, ქმარი დამიკლესო, რომ აცხადებდა, თავი მოიკლა სულ მალე. ფრუნზე კი (ზინოვიევის კაცი) შეცვალა სტალინის ყურმოჭრილმა ვოროშილოვმა, რომელსაც კარგა ხანი აზმანებდნენ იმ ადგილს. მძიმე წელი აღმოჩნდა სერგოსათვის 1925.

„...სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ჩვენ ამ ტრიბუნიდან ვლაპარაკობდით ალიოშას, ათარბეკოვის, მოგილევსკისა და ნარიმანოვის დაღუპვაზე. ისინი ვერც კი მიგვებარებინა მიწისათვის, რომ გვაცნობეს ვლადიმეროვის და მარხლევსკის დაღუპვა, ამას წინათ დაიღუპნენ სკლიანსკი და ხურგინი, გუშინ დილით კი მივიღეთ საშინელი დეპეშა იმის შესახებ, რომ აღარა გვყავს ჩვენი ძვირფასი მიხეილი."

ძვირფასმა მიხეილმა ყირიმში ვრანგელის ყოფილ ჯარისკაცებს ამნისტია აღუთქვა. ოღონდ ჩაეწერეთ წითელ ჯარში და მეტი არა-

მოკლეს კოტოვსკი. შეუცვლელი კაცი იყო, აფსუსიაო, თქვა სტალინმა და არც მკვლელი უძებნია, არც მკვლელობის მიზეზების რკვევით შეუწუხებია ვინმე. კოტოვსკის სიკვდილის ამბავმა ფრუნზეს ჯანმრთელობით დაინტერესდა სამაგიეროდ.

კარგად ვარ თითქოსაო, ეუბნებოდა შეფიქრიანებული და მკვდრისფერდადებული საავადმყოფოში სანახავად მოსულ სერგოს ფრუნზე. პოლიტბიუროს დადგენილებით მიკეთებენ კუჭის ოპერაციასო.

— არაფერი არაა მაგ.

— ოპერაციაა მაინც, თან აღარ მტკივა...

— ადე მაშინ და წამოდი, რაც არი არი...

— არა, სერგო, აღარ შეიძლება, პოლიტბიუროს დადგენილებაა.

— მაშინ გისურვებ წარმატებას!

გულმა ვერ გაუძლოო, განაცხადეს ოპერაციის შემდეგ გულმაგარ ფრუნზეზე, აღარაფერი მაწუხებსო, რომ ამტკიცებდა ოპერაციის წინ. ნარკოზს ვერ გაუძლო. ხარის დოზა მისცეს და კისერი ვერ მოტეხეს. სალაშქრო სიმღერებს მღეროდა მაგიდაზე გათარანებული 48 წუთი. უმატეს და უმატეს ხლოროფორმის დოზებს და ვეღარ გაუძლო გულმა, რომელიც „პროლეტარიატისათვის ძგერდა". მოკვდა და დაუკრიფეს გულზე ის ხელები, რომელშიც მაუზერი ეჭირა. ექიმმა პოლოსიანცმა გამოიტანა სამწუხარო ამბავი საოპერაციოდან. ამ ამბისაგან ჭკუაშერყეულმა ცოლმა, ქმარი დამიკლესო, რომ აცხადებდა, თავი მოიკლა სულ მალე. ფრუნზე კი (ზინოვიევის კაცი) შეცვალა სტალინის ყურმოჭრილმა ვოროშილოვმა, რომელსაც კარგა ხანი აზმანებდნენ იმ ადგილს. მძიმე წელი აღმოჩნდა სერგოსათვის 1925.

„...სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ჩვენ ამ ტრიბუნიდან ვლაპარაკობდით ალიოშას, ათარბეკოვის, მოგილევსკისა და ნარიშანოვის დაღუპვაზე. ისინი ვერც კი მიგვებარებინა მიწისათვის, რომ გვაცნობეს ვლადიმიროვის და მარხლევსკის დაღუპვა, ამას წინათ დაიღუპნენ სკლიანსკი და ხურგინი, გუშინ დილით კი მივიღეთ საშინელი დეპეშა იმის შესახებ, რომ აღარა გვყავს ჩვენი ძვირფასი მიხეილი."

ძვირფასმა მიხეილმა ყირიმში ვრანგელის ყოფილ ჯარისკაცებს ამინისტია აღუთქვა. ოღონდ ჩაეწერეთ წითელ ჯარში და მეტი არა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო ლაპარაკი. ასევენაირად სჯიდა იგი სამხედრო-საკადრო საქმეშიც. ძველი წყობისა და ფსიქოლოგიის მხედართმთავარს, ტარულ ერთგულებით გაჟღენთილ ჯარისკაცს ამჯობინებდა. ამ იდეით იყო შეპყრობილი და ძველი კადრის ახლით შეცვლას ერთი ხელის დაკვრით (გააკეთა კიდეც) აპირებდა. ეს დაკვრა კი ერთი წყება ხალხის გაქრობას, მეორე წყება ხალხის აღზევებას გულისხმობდა. ტექნიკური ინტელიგენციის რეპრესიით კი ორ კურდღელს იჭერდა: საომედო ცვლა გაზრდილი ეგონა და მასწავლებლებს ციმბირში და სხვა ნაკლებდასახლებულ რაიონებში გამოიყენებდა. სპეციალისტებად თუ არა მუშახელად გამოდგებოდნენ იდეურ ზეგავლენას ველარავისზე მოახდენდნენ. და მირეკავდა შორეულისაკენ შრომისუნარიან, იაფ სპეციალისტებს.

ზანზარებდა ძძიმე მრეწველობის კომისარიატი. დღე ერთი იყო და წარმოების რამდენიმე ხელმძღვანელს ასაღებდნენ ხალხის მტრად, ჯაშუშად, დივერსანტად: შეუძლებელი იყო უკვე მტრისა და მოყვრის გარჩევა: ეჭვი და უნდობლობა ისადგურებდა უწყებებში, სამსახურებში, საამშენებლო ობიექტებზეც. რა ხდებაო, ეკითხებოდა ხანდახან პიატაკოვს. პიატაკოვმა კი იცოდა, რა ხდებოდა, საჭიროაო — მოკლედ პასუხობდა მოადგილე, ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. შეუმჩნევლად იღიმებოდა, ამ პასუხს რომ იძლეოდა დიდი ტანის, წითური კაცი. ძნელი გასარკვევი იყო რა ედო გუნებაში, ამ პროცესის საჭიროებას რომ ამტკიცებდა. პოლიტიკასთან აღარაფერი მესაქმებაო, აცხადებდა ძველი ოპოზიციონერი იური პიატაკოვი, თანამზრახველებსაც აღარ ხვდებოდა, თავაუღებლად მუშაობდა, ღამის სამ საათზე გადიოდა სამსახურიდან და როგორც ახლა ზოგიერთები ამტკიცებენ, ძძიმე მრეწველობასაც ის განაგებდაო. სერგოს მრეწველობის, განსაკუთრებით ეკონომიკის არა გაეგებოდა რაო. ეგ არ უნდა ყოფილიყო მთლად მართალი. პროფესიით პარტიული მუშაკი, განათლებით ფერშალი ეკონომიკაშიც მიიღებდა დილეტანტურ განათლებას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მართვის დროს. სამეურნეო-სამრეწველო საკითხში მართლაც თავის პირველ მოადგილეს აყენებდა წინ. თქვენ საქმე მაჩვენეთ, საკითხები წამოჭერით მხარს დაგიჭერთ, პოლიტბიუროზე კბილებით გავიტან საკითხსო. აცხადებდა ყველას გასაგონად. მთავრობაში და ცენტრალურ კომი-

ხაზს, გააკრიტიკა ოპოზიცია, ბევრი ტყუილი თქვა, ბევრი მართალი, ძალით მოიყვანა გული, ფიცხი, ალალმართალი პარტიული მუშაკის, მისთვის სასურველი შთაბეჭდილება დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1930 წელი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე გახდა და ყოველგვარი კანდიდატობის გარეშე რიკოვის მაგივრად პოლიტბიუროს წევრად დანიშნეს.

1932 წელი. იანვარი.

მძიმე მრეწველობის სახკომი.

ამ თანამდებობით და დარჩენილი ხუთი წლით ემსახურა თავის პარტიას, პროლეტარულ იდეას და სხვის ხალხს.

იმავე წელს 9 ნოემბერს საშვიდნოემბრო დღესასწაულების შემდეგ მოიკლა თავი ნადეჟდა ალილუევამ, სტალინის მეუღლემ, სერგო ორჯონიკიძის ერთ-ერთმა პირადმა მდივანმა, შენობით, ხანდახან ქართულად ელაპარაკებოდა სერგო. ქალი მხიარული ადამიანის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა და თავის ზომკვლელს არ ჰგავდა.

ავის მომასწავებელი ნიშანიაო, უთხრა ჩუმად ცოლს, როცა „ხაზეინის“ ცოლის სიკვდილის ამბავი კრემლის მთელ ეზოს მოედო.

— რატომ? — ცრემლი შეიმშრალა ზინაიდამ, ისიც ჩუმად, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, თუმცა მათ გარდა შინ არავინ იყო. რატომ? გაიმეორა მან, პასუხისათვის არ დაუცდია, ჩათვალა, რომ ნადიას სიკვდილი მათი ოჯახის სიმშვიდესაც, მათ ცოლქმრულ ურთიერთობასაც შეარყევდა და სერგო ამ სიტყვებს ტყუილად არ წამოისროდა; იგი არც ისეთი პირდაპირი და გულღია იყო, როგორც ზოგიერთებს ეგონათ.

— ჩვენ ყველანი ამნაირად დავიხოცებით!.. — დაფიქრებული დადიოდა, მძიმედ ადგამდა უკვე ნაბიჯებს სიმსუქნეში შესული.

ოცდაათიან წლებში სახელითა და დამსახურებით უფრო ფასდებოდნენ პარტიული მუშაკები, ვიდრე თანამდებობებით. ხალხი სახელს ეხარბებოდა და ჩინებში და სუბორდინაციებში ძნელად ერკვეოდა. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურებს ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, რიკოვს, ბუხარინს და სხვებს ბელადებს ეძახდნენ და ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. **„მე თუნდაც ერთი წუთითაც დავეჭვებულიყავი იმაში, რომ ბრძოლა, რო-**

მელიც აქ ჩვენთანაა, ეს ბრძოლა ბელადებს შორის ორთაბრძოლაა, მაშინ არასოდეს არც ერთ მათგანს არ დავუჭერდი მხარს.“ ამბობდა სერგო ადრევე. ამის შემდეგ თავადაც გაბელადდა დაჟრეველი ერთი ბელადის, ერთი „ხაზეინის“ გვერდით იდგა, თუმცა ბოლშევიკაცის გაფეტიშებაც ეჩოთირა, როცა დრო მოვიდა, რაც მართალია მართალია.

1928 წელს დაბრუნდა ევროპიდან მ. გორკი.

1929 წელს საზღვარგარეთ, ყირიმიდან თურქეთში გაემგზავრა ლევ ტროცკი.

ამ თარიღებს დაემთხვა რამდენიმე სასამართლო პროცესი, რომლებიც ბევრს მართლა ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილები ეგონა. ესენი იყო: შახტის, პრომპარტიის, მენშევიზმის და სხვათა პროცესები. იმავე წლებში დააფიათეს ინჟინერთა ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერი“ და სხვა. ივსებოდა ციხეები, კოლონიები, საკონცენტრაციო ბანაკები; ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი მავნებელ-ჯაშუშთა დივერსიულ მოქმედებაზე. ხვრეტებზე ლაპარაკი არ ყოფილა, მაგრამ საკადრისი ეზღვებოდა თითქოს ყველას და დიდი ხვრეტების დრო თუ დადგებოდა მაინც არ იგრძნობოდა. სახელოვანმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ, ლენინის პირის ზიარება რომ გახდა, გარკვევით განაცხადა, მტერი როცა არ ნებდება ანადგურებენო. რას გულისხმობდა განადგურებაში ძნელი გასაშიფრი არაა, თუმცა განადგურებისა და ხვრეტების წინააღმდეგი იყო რაღაც ეტაპზე, პროლეტარიატის წარმომადგენელი ინტელიგენციასაც მფარველობდა შესაძლებლობის ფარგლებში.

სოციალისტური მშენებლობის დრო კი მიდიოდა. ფეთქდებოდა შახტები, ჩერდებოდა ნაჩქარევად ნაშენები ბრძმედები, სპობდნენ ძველ კადრებს, იჭერდნენ ტექნიკური ინტელიგენციისა და არისტოკრატიის წარმომადგენლებს; მათ ადგილებზე გეგმაზომიერად აწინაურებდნენ მუშებს, ბოლშევიკური პარტიის წევრებს. გამოცდილებას, ცოდნას, კულტურას ცვლიდა ენერგია, ერთგულება, იდეურობა და ამ უკანასკნელს ანიჭებდა სტალინი გადამწყვეტ უპირატესობას. ლენინსაც უმტკიცებდა: ერთგული და უცოდინარი ჯობია მცოდნეს და ორგულსო. ყველა უცოდინარი და ხეპრე ერთგული არ იყო ისევე, როგორც ყველა ინტელიგენტი და მცოდნე — ორგული, მაგრამ უმრავლესობაზე, საერთო ფონზე და სურათზე

იყო ლაპარაკი. ასევენაირად სჯიდა იგი სამხედრო-საკადრო საქმეშიც. ძველი წყობისა და ფსიქოლოგიის მხედართმთავარს ბრალეული ტარულ ერთგულებით გაჟღენთილ ჯარისკაცს ამ ჯობინებდა. იდეით იყო შეპყრობილი და ძველი კადრის ახლით შეცვლას ერთი ხელის დაკვრით (გააკეთა კიდეც) აპირებდა. ეს დაკვრა კი ერთი წყება ხალხის გაჭრობას, მეორე წყება ხალხის აღზევებას გულისხმობდა. ტექნიკური ინტელიგენციის რეპრესიით კი ორ კურდღელს იჭერდა: საომედო ცვლა გაზრდილი ეგონა და მასწავლებლებს ციმბირში და სხვა ნაკლებდასახლებულ რაიონებში გამოიყენებდა. სპეციალისტებად თუ არა მუშახელად გამოდგებოდნენ იდეურ ზეგავლენას ველარავისზე მოახდენდნენ. და მირეკავდა შორეულისაკენ შრომისუნარიან, იაფ სპეციალისტებს.

ზანზარებდა მძიმე მრეწველობის კომისარიატი. დღე ერთი იყო და წარმოების რამდენიმე ხელმძღვანელს ასაღებდნენ ხალხის მტრად, ჯაშუშად, დივერსანტად: შეუძლებელი იყო უკვე მტრისა და მოყვრის გარჩევა; ეჭვი და უნდობლობა ისადგურებდა უწყებებში, სამსახურებში, საამშენებლო ობიექტებზეც. რა ხდებაო, ეკითხებოდა ხანდახან პიატაკოვს. პიატაკოვმა კი იცოდა, რა ხდებოდა, საჭიროაო — მოკლედ პასუხობდა მოადგილე, ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. შეუმჩნევლად იღიმებოდა, ამ პასუხს რომ იძლეოდა დიდი ტანის, წითური კაცი. ძნელი გასარკვევი იყო რა ედო გუნებაში, ამ პროცესის საჭიროებას რომ ამტკიცებდა. პოლიტიკასთან აღარაფერი მესაქმებაო, აცხადებდა ძველი ოპოზიციონერი იური პიატაკოვი. თანამზრახველებსაც აღარ ხვდებოდა, თავაუღებლად მუშაობდა, ღამის სამ საათზე გადიოდა სამსახურიდან და როგორც ახლა ზოგიერთები ამტკიცებენ, მძიმე მრეწველობასაც ის განაგებდაო. სერგოს მრეწველობის, განსაკუთრებით ეკონომიკის არა გაეგებოდა რაო. ეგ არ უნდა ყოფილიყო მთლად მართალი. პროფესიით პარტიული მუშაკი, განათლებით ფერშალი ეკონომიკაშიც მიიღებდა დილეტანტურ განათლებას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მართვის დროს. სამეურნეო-სამრეწველო საკითხში მართლაც თავის პირველ მოადგილეს აყენებდა წინ. თქვენ საქმე მაჩვენეთ, საკითხები წამოჭერით მხარს დაგიჭერთ, პოლიტბიუროზე კბილებით გავიტან საკითხსო. აცხადებდა ყველას გასაგონად. მთავრობაში და ცენტრალურ კომი-

ტეტში გამავლობა ჰქონდა. მისი სიტყვა ჭრიდა, მხოლოდ იმდროინდელ მავნებელ-დივერსანტ-ჯაშუშთა ავან-ჩავანში ვერ ერკვეოდა. აღარც იძიებდა. ეს უკვე „ხაზეინის“ საქმე იყო. წმენდა, შეკვანძვა-რება, შემოწმება საჭიროაო, ამბობდა შინაურებში, ამ სიტყვებში გვარიანად შეეჭვებული. მგზნებარედ გამოდიოდა კვლავ შეკრებებზე, პლენუმებზე, ყრილობებზე, პოლიტბიუროს სხდომებზეც კი. 1935 წელს სტახანოველთა შეკრებაზე გადაღებული ფოტოსურათი დევს ჩვენს წინ. სერგო ამბობს სიტყვას, პირდაღებული და მუჭაშემართული გაპობას უპირებს თითქო ტრიბუნას. ზურგსუკან დგანან: შეწუხებული კალინინი, დაღვრემილი კაგანოვიჩი და ყურშითითგაკვეხებული მიქოიანი.

ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთი სხდომის შემდეგ ლაზარ მოსეს ძე კაგანოვიჩმა უთხრა: გაითვალისწინეთ ამხანაგო სერგო, აქ პოლიტბიუროს სხდომაა და არა მიტინგი. სერგო გაშრა. თითქოს ვერ გაიგონა. ნათქვამიც ვერ დაიჯერა თავდაპირველად. ლენინმა უშელავათა თავის დროზე, მაგ მეც მიყვირის იმიტომ, რომ ყურს აკლიაო, უთხრა პლენუმს და კაგანოვიჩი ვინ ფეხები იყო ამდენს რომ ბედავდა. ეს უკვე კიროვის სიკვდილის შემდეგ მომხდარა. შავი კატა გაირბენდა ხოლმე შიგადაშიგ სტალინსა და რომელიმე პოლიტბიუროს წევრს შორის და ერთი იმნაირი დრო ჰქონდა შერჩეული კაგანოვიჩს. პიატაკოვს ეთქვა, თავის დროზე სტალინი რასაც წარმოადგენს ვიცი, მაგრამ კაგანოვიჩს ხომ ჯობიაო. ამ სიტყვების არც უარყოფა უცდია ვინმეს, არც დადასტურება, მაგრამ სერგომ პიატაკოვის ნათქვამად იცოდა. კაგანოვიჩიც, რომ იტყვიან საქმის კურსში იყო და ადრე იქნებოდა თუ გვიან „ხაზეინისთვისაც“ გახდებოდა ცნობილი. ძვირად დაუსვამდნენ ამ იაფფასიან ხუმრობას პიატაკოვს. მანამდე კი ბარე ორი ტურა იკივლებდა.

ცოლის სიკვდილმა სტალინი უფრო გულჩათხრობილი გახადა; იგი ადრინდელზე უნდობლად უყურებდა თავისიანებს, მაგრამ არაფერს ამჟღავნებდა. გარეგნულად. ისედაც არაფერი იცვლებოდა, თუმცა ავისმომასწავებელი ნიშნები კარგახანი ისახებოდა მოწმენდილ ცაზე.

პირველი კონფლიქტი.

ბლიუმკინის დახვრეტაზე შელაპარაკდნენ, მაგრამ სერგოსა და სტალინის ურთიერთობაზე ამას გავლენა არ მოუხდენია. მოხდა

და დამთავრდა. ოპოზიცია განადგურებული იყო, მაგრამ, წარმატებებს, სტალინის შორსმჭვრეტელობის მიხედვით, წინააღმდეგობები უნდა მოყოლოდა. ეს თეორია ჯერჯერობით არ მართლდებოდა. შეხმატკბილებულად მუშაობდა თითქოს პოლიტბიუროც და მაინც იგრძნობოდა, რომ ერთ მხარეზე იდგნენ:

ორჯონიკიძე, კიროვი, კუიბიშევი.

მეორე მხარეზე:

მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი და სხვები.

მდგომარეობა მათ შორის არასოდეს მწვავდებოდა და ეს უჩინარი დაპირისპირებაც ბუნებრივად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

ქვეყანა გიგანტური ინდუსტრიული ნახტომისათვის ემზადებოდა. დიდი და გაუგონარი შიმშილი იწყებოდა უკრაინაში.

სერგო ცხოვრობდა კრემლში, სტალინის ყოფილ ბინაში. მეგობრობდა კიროვთან, მიქოიანთან, ენუქიძესთან, ალიოშა სვანიძესთან.

თბილისიდან რეკავდა „პატარა აზეფი", ათანხმებდა ამიერკავკასიის ამბებს, რომლებიც შეთანხმებული ჰქონდა უკვე სტალინთან. იზრდებოდა ეთერი. იზრდებოდა სერგო პატარა ლავრენტის ძე. საქართველოდან ჩამოდიოდნენ ძმები, ახლობლები, დესპინე, რომელიც თვეობით რჩებოდა. შემოდგომაზე ჩამოჰქონდა ჯანჯუხები, ცოტა ფელამუში, ცოტა თხილი, ნიგოზი, არაყი ჯაჭვს რომ იკეთებდა შტოფის ყელთან. ყინვა-სუსხში ნათრევი ორგანიზმი ითხოვდა სპირტს. დალევაც უნდოდა ხანდახან და არ შეეძლო უკრძალავდნენ, იკრძალავდა.

გერმანიის ელჩის მირბახის მკვლელი იაკობ ბლიუმკინი, ნიფხვით რომ დაეკიდა საელჩოს ეზოს ღობის რკინის სარს, საბჭოთა შთავრობამ გაასამართლა, დახვრეტას ჩამოხრჩობით თუ შეუცვლიდნენ თორემ სხვა გზა არ ჩანდა, მაგრამ ტროცკიმ გადაარჩინა, დააყენა სწორ გზაზე. ვიდრე ხელახლა არ შეიწირა. ბლიუმკინი ჩამოშორდა ესერებს, გახდა ბოლშევიკი და ჩადგა კიდეც ბოლშევიკური პარტიის სამსახურში. მუშაობდა მაშინდელი ენკავედეს საზღვარგარეთელ სამმართველოში და საჭირო თანამშრომლის სახელითა და გარკვეული ჩეკისტური ავტორიტეტითაც სარგებლობდა, სანამ გადამრჩენელს და პატრონს — ტროცკის არ დაუკავშირდა საზღვარგარეთ საკუთარი ინიციატივით. ავღანეთიდან ახალმა დაბ-

რუნებულმა ფრიად გადაუდებელი და საიდუმლო საქმის გამო შეხვედრა თხოვა ძველ ტროცკისტ კარლ რადეკს. რადეკი, თავადვე ეწვია, მიაკითხა ნაქებ ბინაში, რომლის ნახვა ისედაც ინტერესებდა. ბინა მართლაც მდიდრულად, შეიძლებოდა თქმულიყო, ეგზოტიკურად, აღმოსავლურად იყო მოწყობილი. მაგრამ რადეკი გააკვირვა არა ბინამ არამედ მასპინძლის მორთულობამ. წითელი ხალათით, იმფერივე ჩაჩით და ქოშებით გამოვიდა „მიღებაზე". ხელში ეჭირა გრძელტარიანი ყალიონი, რომელსაც ტროსტადაც გამოიყენებდა ადამიანი. მონღოლეთიდან ჩამოსული თურქეთში იყო მივლინებული, დღედღეზე აპირებდა გამგზავრებას და როგორც გამოირკვა, რადეკისაგან დავალების მიღებას. ტროცკის უნდა შეეხვდე და რას დამაბარებო, კითხულობდა, კვამლს უშვებდა ფთილა-ფთილად, მძაფრ და გამაბრუებელ ბოლს აფრქვევდა ახლაღგამომცხვარი შეიხი. ტროცკი თურმე რადეკს თვლიდა იმ პირად, ვისთანაც კავშირისა და საქმიანი კონტაქტების დამყარება შეიძლებოდა. იგი (რადეკი) იყო რევოლუციური პრინციპების ერთგული, დიქტატურის შეურიგებელი მტერი და ასე შემდეგ. რადეკი დუმდა, პასუხზე კი არა სხვა რამეზე ფიქრობდა. გუნებაში ალაგებდა სიტყვებს, რომლებსაც სტალინს ჩაუკაკლავდა. კაცმა არ იცოდა. ტროცკის მოგზავნილი იყო იაკობ ბლიუმკინი თუ სტალინის. ტროცკისთან მსახურობდა ტროცკის გადარჩენილი და პატრონის თვალყურის დევნებაც ჰქონდა თავის დროზე დავალებული. ტროცკი მფარველობდა და არ ენდობოდა. ვისი მოგზავნილია? ტვინს იჭყლეტდა რადეკი. ასე ოლად უპირებდნენ გაცურებას რადეკს? ნაქებია პარტიაშიო, მასზე ითქმოდა სწორედ. აი, როგორ ახასიათებდნენ თანამედროვენი:

„კაცი აშკარად ავანტურისტული მიდრეკილებით. ნიცშეანელი, მაკიაველელი, ლენინელი, ტროცკისტი, კოსმოპოლიტი... ხან გერმანელი, ავსტრიელი (მდგომარეობისა და სიტუაციის მიხედვით) პოლონელი, ებრაელი, რუსი, კონიუქტურიზმის დიდი ტალანტით დაჯილდოებული პოლიტიკოსი."

რაც ჩაითქვა ის აასრულა. ბლიუმკინს მოფიქრების დრო, სტალინს მიღება თხოვა.

სტალინი გაცოფდა ამ ამბის გაგებაზე. ტროცკი, როგორც ჩანდა, მართლა ცდილობდა ბლიუმკინის საშუალებით რადეკთან კავ-

შირის გაბმას. გაივსო ჩეკაც გამცემლებით. მოღალატე აღმოჩნდა, ის ვისაც სახელმწიფო წყობისა და პირადად მისი დაცვა ჰქონდა დავალებული. არ მიუზღვეს საკადრისი თავის დროზე. ბოლშევიკური ლიბერალიზმის შედეგი. კიდევ სად, რომელ უწყებაში, კომისარიატში უნდა ეძებო ბლიუმკინისთანა გარეწრები?. ყველგან, ყველგან იქნებიან მოკალათებულნი. რევოლუციური დამსახურებისათვის ვპატიობდით ღალატს, პარტიულ სამუშაოებზეც ვაწინაურებდით ამნაირებს. ეს აღარ განმეორდება. გასარკვევი იყო კიდევ ვისი იმედის ანაბარა იყო დარჩენილი ტროცკი, კიდევ ვისთან აპირებდა ბლიუმკინი ტროცკის დაკავშირებას? დაუწყეს დევნა და თვალთვალი ბლიუმკინს. მიუჩინეს ვინმე ლიზა საყვარლად, მაგრამ ველარაფერი გამოტყუეს. ამას ჭირდებოდა დრო, არაჩქარება, სტალინს კი მოთმინება არ ეყო, იაკობ ბლიუმკინი დაიჭირეს, მიახვრიტეს ჩეკას შენობაშივე. რადეკს (სობელსონს) შერჩა ცარიელი მადლობა ერთგულებისათვის, ეჭვი და უნდობლობა (შედეგი მოგვიანებით) ამ ისტორიაში მოხვედრისათვის.

მოულოდნელი აღმოჩნდა ბლიუმკინის დახვრეტა ბოლშევიკური ელიტისათვის. ბრალდებულს თავი დამნაშავედ არ უცვნია და დანაშაული, სასჯელის უმაღლეს ზომას მაინც რომ არ ითვალისწინებდა, არც დადასტურებული იყო. არც ნაღიარები. ტროცკისთან აპირებდა შეხვედრასო, განმარტავდნენ. ტროცკი ტროცკი იყო მაინც და მასთან ურთიერთობაც კი იმხანად სახელმწიფო ღალატად არ აღიქმებოდა. ადრე იყო დასახვრეტიო. ადრე თუ იყო, ადრე უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ ლენინი ეგრე არ სჯიდა. ძველი გვარდიის წევრებს ეგრე არ ეპყრობოდა და ეს არგუმენტიც არადამაჯერებელი ეჩვენათ. სხვისთვის რომ თავი დაენებებინათ, ცოცხალი იყო თვით მარია სპირიდონოვა მემარცხენე ესერების ლიდერი და მირბახის მკვლელობის აღიარებული ორგანიზატორი. მხოლოდდამხოლოდ ჩემი დავალებით მოქმედებდა ბლიუმკინიო, განაცხადა კიდეც სასამართლოზე სპირიდონოვამ. გაათავისუფლეს. არ მოისვენა და კვლავ დაიჭირეს, ციხიდან გაქცევის შემდეგ ფსიქიატრიულ იზოლიატორში ამოაყოფინეს თავი. საპატიმროდან საპატიმროში ატარეს იმის შემდეგ თავზეხელაღებული ქალი. თავისუფალ გადასახლებაშიც ჰყავდათ შუა აზიაში, უფაში. ომის და-

წყების შემდეგ 1941 წლის 11 სექტემბერს ოლია ოკუჯავასთან და სხვებთან ერთად დახვრიტეს მედვედოვის ტყეში 57 წლისა.

ლევ ტროცკი სტალინის რევოლუციონერ მსხვერპლთან ბლიუმკინით არ იწყებს. სისხლი პირველად სულთან-გალიევზე გაილიკო ამბობს. აქ რაღაც ეშლება. სულთან-გალიევი 1923 წელს დააპატიმრებინა, მაგრამ 1938-ამდე უგორა კოჭი, რისი პატივიც სხვისთვის არ მიუგია. სულთან-გალიევი ეროვნებათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იყო ერო დროს, უშვალოდ ემორჩილებოდა სტალინს...

სულთან-გალიევი. კაცი მეტად ბნელი და საშიში. რატომ უნდა იყოს საქართველო დამოუკიდებელი, თუნდაც ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკაო იმეორებდა სხდომებზე და წონასწორობიდან გამოყავდა ისეთი ინტერნაციონალისტიც კი, როგორიც იყო ს. ორჯონიკიძე. შუა აზიის ხალხებისაგან აპირებდა თურანის (ისლამური) რესპუბლიკის შექმნას შორს გამიზნული პერსპექტივებით. საბჭოთა კავშირს ყოფდა „მასივებად", აღიარებდა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას. სხვა დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულს რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე იგი ვერ ხედავდა. საქართველო ხვდებოდა კავკასიის მასივში. „კავკასიის მასივი" მიუერთდებოდა ბოლოს „ყირიმის მასივს" და ორი დიდი მასივი შუა აზიისა და კავკასია-ყირიმისა დაუპირისპირდებოდა რუსეთ — უკრაინის. სულთან-გალიევს ბევრი მომხრე ჰყავდა. ბევრი ნაციონალურ საკითხშიც უჭერდა მხარს, ბევრი, მათ შორის ტროცკიც, მგზნებარე ბოლშევიკად სახავდა.

ს. ორჯონიკიძეს სულთან-გალიევისათვის თავი არ გამოუდვია, ბლიუმკინის დახვრეტაზე გამოთქვა პროტესტი, რიუტინს (ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ) გამოესარჩლა და „ხაზეინის" უნდობლობა დაიმსახურა. „უნდობლობა" რეალურად არაფერში გამოხატულა, მაგრამ ბზარი გაჩნდა, რომლის გამთელება (თუ პირიქით არა) აღარ იქნებოდა.

იყო ერთი მუშა-რევოლუციონერი გვარად რიუტინი. კაცი გაბედული, პრინციპული, უსისტემოდ, უგზოუკვლოდ განათლებული.

მარტემიან რიუტინი.

ოპოზიციურ „ბრძოლებში" პარტიის ერთიანობისათვის იყო

თავგადასავალი, დაუნდობლად ესხმოდა თავს ზინოვიევ-კამენევ-ტროცკისაც. 1928 წლიდან გადაეკიდა სტალინს და მოსვენება არ მისცა. რამდენჯერმე დაიხია უკან, მაგრამ გინება არ შეუწყვეტია. ჩამოაყალიბა „მარქსისტ-ლენინელთა კავშირი", შეადგინა ბალანსიანი მედო პროგრამა, სტალინის დიქტატურის ლიკვიდაცია დააპირა. დაიჭირეს 1931 წელს და სტალინის სანქციით გაანთავისუფლეს წლის ბოლოს. 1932 წელს დაწერა გრძელი და მოსაწყენი ტრაქტატი პრეტენზიული სათაურით: **„მარქსისტ-ლენინელთა პლატფორმა. სტალინი და პროლეტარიატის დიქტატურის კრიზისი"**. ბუხარინთან საკითხავი რელაცია, ბოლობოლო ადრესატს რომ უნდა მირთმეოდა, იოლი ხელმისაწვდომი გახდა იმთავითვე ზემდგომი ორგანოებისათვის და რაღა თქმა უნდა სტალინისათვის. სტალინმა „პლატფორმა" პოლიტბიუროს გააცნო და ავტორის არც მეტი არც ნაკლები, დახვრეტა მოითხოვა. წინააღმდეგი წავიდნენ: ორჯონიკიძე, კიროვი, კუიბიშევი. თანხმობა განაცხადა კაგანოვიჩმა, დანარჩენებმა თავი შეიკავეს. ვერც კი თქვეს, ვერც უარი. დუმილი სტალინმა თანხმობად მიითვალა, მაგრამ რიუტინის დახვრეტის დირექტივა ვერ გასცა, კარგად ახსოვდა, ბლიუმკინიც როგორ დააყვედრეს. ახლა საჭირო იყო უმრავლესობის თანხმობა, მარტო კაგანოვიჩი არ კმაროდა.

რიუტინის ლიკვიდაციამდე:

მოსაშორებელი იყო ცენტრალური ოპოზიცია (ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი), მემარჯვენე ოპოზიცია (რიკოვი, ბუხარინი, ტომსკი) და შინაგანი ოპოზიციაც (კიროვი, კუიბიშევი, ორჯონიკიძე) დანარჩენებს პარალელურ ოპოზიციას, კრემლის დაჯგუფებას და სხვებს იოლად მოუვლიდა.

სტალინი ოჯახში სადილობდა. აპარტამენტიდან შინ გადადიოდა ნაშუადღევს. დაფიქრებული სეირნობდა კრემლის ეზოში, სახლთან ახლო, ახლობლებთან ლაპარაკს შერჩებოდა ხანდახან:

დაიმახსოვრე, ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია. ქართულად უთხრა სერგო ორჯონიკიძეს, როცა მარტონი დარჩნენ.

ათასი ჭკუის ადამიანია ჩვენს ირგვლივ. ყველას ერთნაირად ხომ არ ააზროვნებ, ყველა სხვანაირად მოფიქრალს ხომ ვერ გაანადგურებ. ანგარიშობდა სერგო გუნებაში და სტალინის ფორმულასაც, ვინც მასთან არ იყო მტერი რომ იყო, იმახსოვრებდა. რას

წარმოიდგენდა მაშინ, რომ ყველა სხვანაირად მაფიქრალი ადამიანის განადგურებას აპირებდა სწორედ სოსო ჯუღაშვილი.

„დაიმახსოვრე სერგო, რაც გითხარი, ვინც ჩემთან არ ეარსებული ჩემი მტერია!“ ამჯერზე რუსულად თქვა.

ბიბლიოთეკა

რიუტინი კი ხელახლა გაასამართლეს 5 წლის შემდეგ. ძველი ბრალდებები გადმოულაგეს კვლავ და დაუმატეს ერთი, რომელმაც გადაწონა დანარჩენები და რიუტინის ყოფნა-არყოფნის საკითხიც საბოლოოდ გადაწყდა. ყველაფერთან ერთად ხელმძღვანელობდიო, ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელსაც პარტიისა და მთავრობის მეთაურების, მათ შორის, სტალინის სიკვდილი ჰქონდათ განზრახული. სასამართლო გაგრძელდა 40 წუთი. გამოიტანეს ბოლო ბრალდების შესაფერი განაჩენი და დახვრიტეს იმავე დღეს ციხეში.

მაგრამ მოსაწყენი მოხსენება მაინც დარჩა. იგი ხიეს, ხიეს ვერ დახიეს: ტიპოგრაფიასაც ეღირსა ბოლოს, პერიოდულ პრესაში მოხვდა. ერთი ადგილი იქ ხაწარმოებიდან:

„...შეზღუდული და ეშმაკი, უფლებისმოყვარული და შურისმაძიებელი, დაუნდობელი, ბოღმიანი, ფარისეველი და თავხედი, ტრაბახა და ჯიუტი, — ხლესტაკოვი და არაკჩევი, ნერონი და გრაფი კალიოსტრო — ასეთია სტალინის სულიერი, იდეურ-პოლიტიკური ფიზიონომია.“

მსგავსი ემოციური მაგალითების (ბევრის არა) მოტანა შეიძლება კიდევ. ეს თავისთავად დოკუმენტის ღირსებაცაა და ნაკლიც: იგი ტაქტიკური შეცდომებისაგანაც არაა დაზღვეული და შეიძლება მოხსენების თუ (რა ვუწოდოთ არ ვიცით) ტრაქტატის დაწუნება, გაკრიტიკება, შექებაც, თავისგადასაყოლებელი ღირებულება კი ნამდვილად არ გააჩნია.

სტალინს მაკომპრომენტირებელი დოკუმენტის (თუნდაც საიდუმლოსი) შედგენა, შენახვა, დატოვება არ უყვარდაო; ამ ხასიათის შეცდომებს, რომლისგანაც ბევრი არაა დაზღვეული, არ უშვებდაო. კამენევმა კი თავისი ხელით შეადგინა საბუთი, რომელიც სტალინს დოკუმენტად ჩაუვარდა ხელში. ლაპარაკია კამენევისა და ბუხარინის საუბარზე, სტალინის დიქტატურის წინააღმდეგ რომ არის მიმართული. მახსოვრობით ჩაუწერია მასპინძელს (მოქმედება კამენევის ბინაში ხდება) საუბარი, რომლის დაფიქსირების აუცილებლობას ვერაფრით ვერ წარმოიდგენს დღევანდელი მკითხველი:

„...უთანხმოება ჩვენსა და სტალინს შორის გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ჩვენი და თქვენი (კამენევ-ზინოვიევ-ტროცკი) **უთანხმოება. რიკოვი, ტომსკი და მე ერთსულოვნად შევთანხმდით, რომ სტალინის ნაცვლად პოლიტბიუროში შესულიყვენ ზინოვიევი, კამენევი. მე განვიხილე ეს საკითხი რიკოვთან და ტომსკისთან".**

1928 წლის ზაფხულია. ლაპარაკობს ბუხარინი. გაგაცნობთ მეორე ადგილს, რომელიც პირველზე მეტად გვაინტერესებს:

„...სერგო ორჯონიკიძე დიდი რაინდი არა მყავს... ხშირად მოდიოდა ჩემთან და დაუფარავად აგინებდა სტალინს, გადამწყვეტ მომენტში გაგვყიდა."

ვერაფერი მოსაწონი საქციელია, თუ ეს მართალია. ჯერ კაცის გინება რა არი და მერე გაყიდვა? თანაც გადამწყვეტ მომენტში, თუმცა სიტყვა გინება სხვანაირად აღიქმება სხვა ენაში და ორჯონიკიძე ალბათ ამბობდა აუგს და არ უტრიალებდა დედმამის სულს, როგორც ახლა შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა.

სერგო ახალი ჩაყვანილი ყავდა პატრონს იმპერიის დედაქალაქში. იგი ახალგაზრდა იყო, მაგრამ გამოცდილება არ აკლდა და გინებას არ იკადრებდა. სტალინს კი მოთმინების დიდი ნიჭი ჰქონდა და დრომდე და მომენტამდე გინების ატანაც შეეძლო.

XVII ყრილობა გაიხსნა 1934 წლის 26 იანვარს. 9 თებერვალს აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი. 10-ში ჩატარდა პლენუმი და ასე შემდეგ. მომდევნო წლებში დახვრიტეს XVII ყრილობაზე არჩეული ცეკას 44 და ცეკას წევრობის კანდიდატების 63 წევრი ანუ მთელი შემადგენლობის 70 პროცენტი.

XVIII ყრილობამდე (1939 წ.) 139 კაციდან ცოცხალი გადარჩა 31. ხმის დამთვლელი კომისიის 63 წევრიდან დახვრიტეს 60. დელეგატთაგან მიაყოლეს მრავალი. აღარაფერს ვამბობთ ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს ადრინდელ წევრებზე, რომლებთაც XVII ყრილობაზე დასწრების უფლებაც არ ჰქონიათ.

ოფიციალური აღრიცხვით ცეკას წევრად ერთხმად (შესაბამისი 1059 ხმა) აირჩიეს მ. ი. კალინინი და ვინმე ი. ფ. კოდაცკი—ლენინგრადის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე, დაასახელეს იმდენი რამდენსაც ირჩევდნენ და გაშავებას არავინ ელოდა, მაგრამ ხმების საპრესტიჟო რაოდენობა საჭირო იყო და დაიგროვეს კიდეც მეტნაკლები განსხვავებებით.

სტალინმა მიიღო სამი შავი, ვოროშილოვმა — ორი, კიროვ-
მა — ოთხი, მიქოიანმა — სამი, მოლოტოვმა — ხუთი, ორჯონიკიძემ — სამი; ერთმა ცოტა მეტი, მეორემ ცოტა უფრო ნაკლები. ასე შემდეგ. 1059 იყო მაქსიმუმი და 1000 ქვევით რიკოვისა და ტომსკის გარდა არავინ ჩამოსულა. ისინი კანდიდატებად იყრიდნენ კენჭს და დაიგროვეს საწინააღმდეგო ხმების (რიკოვი 201, ტომსკი 558) სარეკორდო რაოდენობა.

კიროვის მკვლელობის ხელახალი ძიების კომისიამ ნ. ხრუშჩოვის დავალებით რომ შეიქმნა 1960 წელს (პრესაში ოფიციალური ცნობები არ გამოქვეყნებულა) დაადგინა, რომ XVII ყრილობაზე ყველაზე მეტი თეთრი მიიღო კიროვმა, ყველაზე მეტი შავი (292) სტალინმა. სტალინის ბრძანებით გაუქმდა 289 შავი ბიულეტენი და დარჩა (დაანგარიშება იოლია) სამი. ეს ცნობები, რომელიც ხმის დამთვლელი კომისიის ზატონსკის მოადგილე ვ. ვერხოვიხმა წარუდგინა პოლიტბიუროს უკვალოდ გაქრა. იგი აღარ დევსო იქ სადაც ხრუშჩოვმა საშვილიშვილოდ შეიხახაო.

XVII ყრილობის ხმის დამთვლელი კომისიის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა დახვრიტეს. გადარჩენილებმაც მოგეჯამეს ჭირი და დაგვრჩა ოქმები და სიები, იოლი ხელმისაწვდომი რომ გახდა მასიური მკითხველისათვისაც. გამოუცდელი თვალიც იოლად შეამჩნევს, სიებში ციფრები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, დაახლოებით ერთ თარგზეა გადათიბული. მაგრამ ფალსიფიცირების სხვა უკეთესი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. უფრო მეტიც, გამოქვეყნდა მასალა, სადაც არჩევნების შედეგების ოფიციალური ვერსიის უტყუარობაა დადასტურებული. არ არსებობსო, ამტკიცებენ ავტორები იმ მასალისა, სტალინის გაშავებისა და კიროვის აღზევების რაიმე რეალური საფუძველიო და პირიქითო: თავად კიროვი თუ ყველას არ ჯობდა არავის სტალინის ქებადიდებაში არ ჩამოუვარდებოდაო (ეგ ფაქტია) და ხანგრძლივი ტაში, მისი სიტყვის დასრულებას რომ მოყვა ეკუთვნოდა სტალინს კიროვს და არა სტალინის მეტოქესო.

მიუხედავად ამისა, დაფიქსირებულია გაუთვალისწინებელი ტაშით შეცბუნებული სტალინი, რომელიც მომდევნო კადრში სნაიპერის თოფს უმიზნებს ყრილობის პრეზიდიუმს, რასაკვირველია, ხუმრობით. თოფი საიდან გაჩნდა, ვინ მოიტანა და ვისგან ისა-

ჩუქრა სტალინმა ჯერ არ ვიცით. მაგრამ ყრილობა რომ ამნაირი ხუმრობით დამთავრდა (რაში გადაიზარდა შემდეგ ვნახავთ) ეს ფაქტი ახსოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემლში, სერგო ორჯონიკიძის ბინაში ყრილობის დროს, ზოგიერთის მტკიცებით პლენუმის წინა დღით შეგროვდნენ ყრილობის დელეგატები: კოსიორი, ეიხე, შებოლდაევ-შარანგოვიჩი და სხვებიც. მათ შორის, ნაკლებსარწმუნო ცნობით, ა. ენუქიძე და მ. ორახელაშვილი. ლაპარაკი ჰქონდათო სტალინის გადარჩევაზე, კიროვის „გენცეკის" პოსტზე დასახელებაზეო. ამის შემდეგ დაუძახეს კიროვს და თათბირის შინაარსი გააცნესო (ეს დაადასტურა კიროვის ცოლისდამ სასამართლოზე 1937 წელს).

შეთავაზებულ პოსტზე კიროვმა (მადლობა თქვა თუ არა, არ ვიცით) უარი განაცხადა და მეორე დღეს აღმოჩნდა სტალინთან. გამოიძახეს თუ გამოცხადდა, დასადგენია, პირისპირ, ერთი ერთზე რომ საუბრობდნენ დადგენილია, რა საერთო ჰქონდა ნაკლებცნობილ პარტიულ ბოსებს, თუნდაც შებოლდაევ-შარანგოვიჩს სერგო ორჯონიკიძესთან და რატომ შეიყარნენ ისინი მაინცადამაინც სერგოს ბინაში? რატომ არ დაესწრნენ ამ სახიფათო თათბირს უფრო კომპეტენტური პირები, ოპოზიციონერები? ისინი გარედან მოქმედებდნენ თუ მხოლოდ ამ ვიწრო წრეს მოაფიქრდა ამნაირი გაბედული ვარიანტი? მრავალი კითხვა რჩება უპასუხოდ და ერთი ცხადია, სტალინის გადაყენებას. თუკი ეს ვერსია დადასტურდება, ისინი შინაპარტიულ, ორგანიზაციულ საქმედ თვლიდნენ და ოპოზიციასთან კავშირს, რაც ღალატის ტოლფარდი აღმოჩნდებოდა, კავშირს არ დაამყარებდნენ. ასე იყო თუ ისე, პარტია ამისათვის ჯერ არ იყო ღა შემდეგ საერთოდ აღარ იქნებოდა მზად.

რაც შეეხება შებოლდაევ-შარანგოვიჩს:

ბორის შებოლდაევი აზოვ-შავიზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო იმ დროს, პროფესიით სანიტარი შეთავსებით ფერშალი, სერგოს ძმადნაფიცი გახლდათ. ერთად მოღვაწეობდნენ ბაქოში, „გახრწნილ" XI არმიაში. არმიის კომისარი დაღესტნის ოლქისა და ბაქოს პარტიული ხელმძღვანელი მეგობრობდა კიროვთანაც, ენუქიძესთანაც. ეს კი თავისთავად განაპირობებდა პოზიციების ერთობლიობას, ნდობის ფაქტორს. ნიშანდობლივია ერ-

თი ფაქტიც: 1937 წლის 30 ოქტომბერს ერთად დახვრიტეს ბელ-ენუქიძე და ბორის შებოლდაევი. ხოლო დახვრეტა მიუსაჯეს ორჯონიკიძეს თავეს იმავე წლის 16 დეკემბერს, დახვრეტიდან თვე და ბევრ მეტი დღის შემდეგ. ამნაირი უცნაურობა იმ გაუგონარ ხოცვა-ჟლეტვაშიც კი არ სმენია ადამიანისშვილს.

ზემოთ აკწერილმა ეპიზოდმა კი, ჭორმა თუ სინამდვილემ, კიროვისა და ორჯონიკიძის ურთიერთობა წაახდინა. ამას საბედნიეროდ პარტიის ერთიანობაზე, მითუმეტეს ისტორიის განვითარებაზე გავლენა არ მოუხდენია. კიროვის გასვენებაზე. სამოქალაქო პანაშვიდებზე დამწუხრებული ხალხი სერგო ორჯონიკიძეს ართმევდა გამორჩევით ხელს. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ძველი რევოლუციონერები, „ძველი გვარდიის" წევრები ჯერ სერგოს, შემდეგ მიცვალებულის ოჯახსა და პოლიტბიუროს დანარჩენ წევრებს უსამძიმრებდნენ. თვლიდნენ, რომ სერგოს და კიროვს საარაკო ძმობა და პარტიული ამხანაგობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. ასე იცოდნენ, ასე ჯეროდათ, ასე იყო ცნობილი, მაგრამ XVII ყრილობის შემდეგ სერგოსა და კიროვს შორის, ძმობაზე აღარაა ლაპარაკი, ურთიერთობა სხვა რამის გამოც გამწვავდა. სერგოს ბინის თათბირი, კიროვის სტალინთან გულახდილი საუბარი გახდა საბაბი თუ ის სამეურნეო საკითხებიც, რომლებიც იმ წლებში წარმოიშვა მძიმე მრეწველობის კომისარიატსა და ლენინგრადის საოლქო კომიტეტს შორის, კარგად არაა გარკვეული. ერთი მეორეს არ გამორიცხავს, პირველი მეორეს ხელს არ უშლის, მაგრამ ერთმანეთის ტყავი მაინც არ უნდა დაეხიათ. ჩვენი დაკვირვებით.

1934 წლის ზაფხულში ორჯონიკიძემ სათათბიროდ გამოიძახა ლენინგრადის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები და სამრეწველო ობიექტების რამდენიმე ხელმძღვანელი, რომლებთანაც შეხვედრა არ შედგა. მართლაც ვერ მოიცალა სერგომ სათათბიროდ თუ თავი დაიფასა ლენინგრადელებმა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მისალებში რომ გაითენეს ის ღამე, ვერ გაარკვიეს. კიროვს დაუკავშირდნენ მესამე დღეს, ასეა და ასე ჩვენი საქმეო. სერგეი კიროვმა „ქოში უკუღმა ყარა" ამის გაგებაზე და მივლინებით გაგზავნილი ხალხი უკან გამოიხმო. ეს გაუგებრობა თუ ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტი პოლიტბიუროს მსჯელო-

ბის საგნად აქცია. ორჯონიკიძე თავს იგდებს და ანალოგიურ სიტუაციაში იგივეს გავაკეთებო საჯაროდ განაცხადა. ამაზე შეკამათებენ, სამზეოზე გამოიტანეს სხვა ამბებიც. რომლებიც ... ნებლადაც არა ღირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი მირონის ძე კიროვი ძალად კი იშლიდა ხანდახან ნერვებს, მაგრამ მლიქვნელობაშიც არავის უდებდა ტოლს: უკან დახევაც დროული იცოდა „დიდმა ტრიბუნმა" და თავის მოკატუნებაც. იგი ცეკას მდივნად დაინიშნა ხელმეორედ. ლენინგრადიდან მოსკოვს უნდა გადმოსულიყო იმ დღეებში. მოტივი უკან დაბრუნებისა (მთელი ენერგია მოახმაროს ცენტრალურ კომიტს და სხვა) ტრაფარეტულია, დამაჯერებლობასაა მოკლებული. სტალინი ხელიდან აცლიდა ლენინგრადს. ეს ნათელი იყო: კიროვი ხვდებოდა, ფეხს ითრევდა, წქმოსვლას აგვიანებდა.

ლეონიდ ნიკოლაევი „ენკავედის" საშვითა და პორთფელით შევიდა სმოლნში. ერთმა ცნობისმოყვარე მცველმა ეზოდან მოაბრუნა, პორთფელი გაუხსნა და აქოულო ტყვიებით გაძეძგილი რევოლვერი. რამდენიმე დღის შემდეგ, 34 წლის პირველ დეკემბერს იგივე პორთფელითა და სხვა საშვით (ამჯერზე აღარ შეუმოწმებიათ) გაიარა სმოლნის კომენდატურა. შევიდა კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის ყოფილ შენობაში და ესროლა სხდომათა დარბაზიდან ტელეფონზე სალაპარაკოდ გამოსულ კიროვს. ბიუროს წევრები სროლის ხმაზე წამოცვივდნენ, ეცნენ კარს. იგი არ გაიღო. კარზე ფეხები ჰქონდა მობჯენილი სისხლში მოსვრილ გვამს. იქვე ეგდო გულწასული ნიკოლაევი და არსად ჩანდა დაცვის უფროსი ბორისოვი, ჩაისა და ბუტერბროტების შემოსატანად რომ გავიდა ცოტა ხნით ადრე.

სტალინს წარმოდგენა არ ჰქონდა კიროვს თუ მოკლავდნენო, განაცხადა ღრმა სიბერეში მოლოტოვმა და ამის დასამტკიცებლად ასეთი დამაჯერებელი ეპიზოდი გაიხსენა: ერთად ვისხედით სტალინის კაბინეტში, როცა ლენინგრადის კაგებეს უფროსმა დარეკა. — კიროვი ძოკლეს!

„სტალინმა ქუდი მოითხოვა და ჩვენ გავემგზავრეთ ლენინგრადში."

სპეცმატარებლითა და იაგოდას თანხლებით ჩავიდნენ. ეს უჩვეულო მოვლენა იყო მაშინაც კი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაგებეს შენობის ერთ-ერთ სართულზე დაბანაკებულმა სტალინმა ამოაყვანინა ნიკოლაევი, დაისვა პირისპირ და ჰკითხა:

— რატომ მოკალი ის კაი კაცი?

მე ვესროლე პარტიას და არა კიროვსო განაცხადა უკვდავების მანიით შეპყრობილმა, პარტიაზე განაწყენებულმა ნიკოლაევმა, რომელსაც პარტია სადღაც მართლა კიროვი ეგონა. იგი სასწრაფოდ გაასამართლეს და სასწრაფოდვე დახვრიტეს. გზაში შემოაკვდათ დაკითხვაზე გამოძახებული ბორისოვი, რომელსაც არ დაცალდა ეთქვა, რატომ მოჰქონდა ჩაი და ბუტერბროტები შუა ბიუროზე და ვინ გამოიხმო კიროვი „პირდაპირი მავთულით" კრემლთან სალააარაკოდ. მკვლელი და მოწმე აღარ იყო. ამის შემდეგ დაიწყეს ძიება და ეჭვი მიიტანეს ფინეთიდან და პოლონეთიდან დაბრუნებულ ყოფილ თეთრგვარდიელებზე. გადაარჩიეს ყოფილი ოფიცრები და დახვრიტეს 104 კაცი. დახვრეტის შემდეგ გაარკვიეს, რომ საქმე გაცილებით რთულად იყო, ვიდრე თავდაპირველად გამოჩნდა: კიროვის მკვლელობას ხელმძღვანელობდნენ არა თეთრგვარდიელები არამედ კონტრევოლუციური ცენტრები, ბლოკები, გაერთიანებები; ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, სხვები და სხვები, მილიონობით მოქალაქენი.

ლენინგრადიდან გაასახლეს ათასობით ძირძველი ოჯახები, მომდევნო წლიდან დაიწყეს დაჭერები.

ყველაზე დიდ ყორღანში, სადაც სკვითთა დიდი ბელადი იყო ჩასვენებული, ყველა ყორღანზე მეტი მიცვალებული აღმოაჩინეს. სკვითთა დიდი ბელადისათვის თან ჩაეყოლებინათ სამასამდე — ბავშვი, ქალი, კაცი. კიროვის მკვლელობას კი, საერთო ჯამში, ჩააყოლეს თუ გადააყოლეს მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. წინაპროინდელი ციფრობრივი მონაცემები ახლანდელს არ ემთხვევა, მაგრამ დიდად არ შორდება. 5-დან 7 მილიონამდეა დაღუპული, თუმცა მხოლოდ 37—38 წლებია ნაანგარიშევი. ამ ციფრებს კიდეც დააზუსტებენ, გაზრდიან, შეამცირებენ, საერთო სურათს ვერ შეცვლიან, დამნაშავეს ვერ გაამართლებენ, უდანაშაულოს ვერ გააცოცხლებენ. მოვა დრო და გვამები ალაპარაკდებიანო, განაცხადა სასიკვდილოდ განწირულმა რაკოვსკიმ. მერე? მოვიდა ეგ დროც. ჩამოდგა ჟამი მკვდრების ალაპარაკებისა და სიყრუისა, ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომისა და ხელახალი სისხლის ნთხევისა. ყველაფერი იყო, ყველაფერი იქნება?

ერთის სიკვდილი ტრაგედიაა. ბევრის (მილიონების) სტატისტიკაო, თქვა სტალინმა. კიროვის (კოსტრიკოვის) სიკვდილი იყო ტრაგედია, დანარჩენების სტატისტიკა?..

4 დეკემბერს კიროვი ჩაასვენეს მოსკოვში იმავე მატარებლით, რომლითაც სტალინი დაბრუნდა. გასვენების დღეს ჩამოვიდა ამიერკავკასიის დელეგაცია ბუდუ მდივნის, ხანჯიანის, ლაკობაძისა და სხვების შემადგენლობით. ბევრ მათგანს ჩამოყვა კოსტრიკოვის დაკრძალვაზე სიკვდილის აურა. ამაზე შემდეგ ვილაპარაკებთ.

— ბატონო მიხაკო, იმ წლებში სერგო თუ ჩამოდიოდა ჩვენში?

— იშვიათად. ძერჟინსკი რომ მოყვა მასუკან ღორეშაში აღარ ყოფილა. დესპინე იქ იყო ზამთრობით. ერთი ღერი რუსული არ იცოდა და იჯდა თავსაფარწაკრული. ნადეჟდა ალილუევამ რომ თავი მოიკლა, სტალინმა ბინა შეიცვალა. შედი შენ ჩემ ბინაშიო, სერგოს უთხრა. გადავიდნენ. იქ ცხოვრობდნენ: სერგო, ზინაიდა, ეთერი, მომხმარე ქალი. ლავრენტიევნას ეძახოდნენ. დესპინე იჯდა ტახტზე ჩუმად, თავწაკრული. სერგო 1934 წელს საშვიდნოემბროდ ჩამოვიდა თბილისში. პარადს დაესწრო. ისადილა ბერიასთან პარადის შემდეგ და მოიწამლა, კინაღამ მოკლა პაპულიამ, რა გინდოდა ბერიასთანო. მთელი ღამე ქაფი გადმოდიოდა პირიდან. არ მიიკარა აქაური ექიმები, თვითონ ამოირეცხა კუჭ-ნაწლავი. მეორე დღეს მისი ექიმები ჩამოფრინდნენ მოსკოვიდან, გადაარჩინეს, თვითონ გადაირჩინა. უფრო სწორად, თავი. როგორც გულისრევა იგრძნო, პაპულიასთან ჩავარდა. ბერიასაგან ერთი სართულით ქვევით ცხოვრობდა. უთირკმლო კაცი იყო. საჭმელსაც ერიდებოდა. პირი არ დააკარა თურმე არაფერს, ახალი თევზი გასინჯა მარტო. ამან უშველა...

...პაპულია, ჩემო ბატონო, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი იყო, თუ აღარც იყო მაშინ, აღარ იყო... მალე კი გადაყენეს და მუხრანში გადაიყვანეს საძაღლე მეურნეობის დირექტორად. სანადიროდ მივყავდი ერთხელ. საღამოხანია და სამსახურიდან დაბრუნებული ბერია შეგვეჩეხა კიბეზე. ჩაგვიარა უბრად. აღარა შოიხედა. აწი კი გექნება ნადირობის დრო, ძაღლებიც ბევრი გეყოლებაო. ახალი მოხსნილი ყავს რკინიგზიდან პაპულია. დაავდო

თავის შალითაში გაკრული თოფი და ეცა ჩემსას, რავა დაგანებებ-
დი, შეიქნა ქიჩავი და გამომგლიჯა, მაგრამ ბერიამ გაასწრო. ავა-
რა და ავარდა ზევით, კარი შეიკეტა. რაღა გვენადირებინა, ბინა-
რამ წავედით მაინც. ალსტაფაში უნდა გაგვეთენებინა. ბინა-
მივხედავდით ჩვენ საქმეს... ესროდა უეჭველად. გაბოროტებული
იყო. შვილი ყავდა ჭლექით ავად, — ბიჭიკო. ბერიას ცოლსაც
უგინებდა — ავადმყოფი შვილი დამიწყევლაო. წალაპარაკება მოს-
ვლოდათ მართლაც ეზოში ყმაწვილებს — ბერიას სერგოს და ბი-
ჭიკოს და ჩარეულან ჩხუბში მშობლები. დედა კარგი ქალი ყავ-
და ბერიას — მართა, — დაც. ანეტა. ღვთისმოსავი, ნახევრად გა-
მონაზონებული. ბიჭიკო მალე მოკვდა. მერე პაპულია დაიჭი-
რეს და მიმაყოლეს მე ბერიას მკვლელობის მცდელობისათვის...

—...მართალი უთქვამს მიხაკოს. მართლა თოფით გაიწია მამა
ბერიაზე. მიხაკო მე მგონი, არ იყო იქ. მოსაკლავად გაიქაჩა. ეს-
როლა ნეტავი, მეტი რაღა დაემართებოდა, რაც დაემართა. რაც
დაგვემართა... სერგოს მოწამვლა კი, როგორ არ მახსოვს. ეთერი-
ზე სამი წლით უფროსი ვარ. დაეხვია მოსკოველი ექიმები. სტა-
ლინმა დარეკა, როგორ არიო. მეორე დღესვე ადგა ბიძაჩემი. მი-
სუსტებული და დაფიქრებული დადიოდა. რა გინდა, რას მერჩიო,
მამაჩემი ეუბნებოდა. გვესმოდა ჩვენ ყველაფერი. ხმამაღალი ლა-
პარაკი იცოდა მამამაც. ხუთი შვილის მამა ვარ, მე თავი დამანე-
ბეთ, შენი გულისათვის მდევნის, მოეშვი მაგ სულძაღლს. ეტყო-
ბა, რაღაცას უშავებო. სისულელეს ნუ ლაპარაკობ, არავითარი
ბრალობა არა გვაქვს ერთმანეთში. საერთოდ ვინ არის, ვინ მიგდია
შენ ჩვენი სტრუქტურის ამბავი არ იცი, ვერ აგიხსნი, - ბერია ერ-
თგულია, საჭირო კაცია, შენ არ გესმის ესო, ბოლოსდაბოლოს
ჩემს ხელშია გამოჭყლეტილიო. ჩვენი კაცია. — თქვენი იყოს,
მხოლოდ მე დამანებოს თავიო, მამამ უთხრა. ბიჭიკო მაშინ ცუ-
დად იყო, მაგრამ სასიკვდილე არაფერი ეტყობოდა და მამამ მე
და ჩემი და საახალწლოდ მოსკოვში გაგვიშვა. დავრჩით ბიძაჩ-
ვენთან. ზინაიდა კარგი ქალი იყო. ეთერი. დესპინე. გვიხაროდა იქ
ყოფნა. კრემლი. ბელადები. სტალინი. მაშინ არც ვაქცევდით ამ
ამბებს ყურადღებას. სერგოს იშვიათად ვხედავდით. როდის გადი-
ოდა და როდის შემოდიოდა ვერ ვგებულობდით. გაზაფხულზე
ჩემი ძმა გარდაიცვალა და მატარებლით გამოგვამგზავრა. ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ჩააბარა ბერიას. ბერიას ვაგონით მოვდიოდით ოთხი ღამე-
დაღამე. ვისხედით ცალკე კუპეში გატრუნულები. მკვდარივით არ
გვეუბნებოდნენ. მაგრამ ვხვდებოდით, რაღაც რომ არ ეკეთებ ალ-
გად. თექვსმეტი წლის ვხდები, ჩემი და უმცროსია... ლამაზი ქალი
ამოუყვანეს ბერიას მოსკოვშივე. ორი ღამე თავისთან ჰყავდა. მე-
რე სხვებს გადაულოცა, მივხვდით. რამდენიმე კუპე გადმოინაცვ-
ლა ჩეკისტებთან. სვამდნენ განუწყვეტლივ. ბაქომდე სადღაც გა-
გვაჩერეს და ქალს უთხრეს, ჩადიო. მაღალი ტანისა იყო, მშვენი-
ერი ფეხები, ჩალისფერი თმა. ღამეა. სად ჩავიდეო, შეეშინდა.
წითელი კოფთა ეცვა. ლამაზი. დამამახსოვრდა. ჩააფრინდა ვაგო-
ნის კიბის სახელურებს, ხელები ძლივს გააშვებინეს. ჩააგდეს წიხ-
ლით. ნინა ელოდა თურმე, ცოლი, ბაქოში. ბაქოდან ცოლთან ერ-
თად იმგზავრა გარეწარმა, მაგასთან ერთად უნდა იხსენიებოდეს
ჩვენი ოჯახი, ჩვენი გვარი!.. მამაჩემი, დედაჩემი! 40 წლის დედა
დამიხვრიტა. დედასთან რა უნდოდა ოთხი შვილის დედასთან, ერთ
შვილზე გამწარებულ დედასთან... ორმოცი წლის ლამაზი დედა...
მამას წამებით ამოართვა სული...

....ჩამოვიდა ერთ საღამოს ჩვენთან მართა, რა დრო იყო აღარ
მახსოვს, ლპარაკიც მიჭირს, ხედავთ... ჩამოვიდა მართა, ბერიას დე-
და. მამას უთხრა: წუხელ ჩვენთან იყო ქობულოვი. შენ გახსენებ-
დნენ. ალბათ დაგიჭერენ და წადი გაასწარიო. მამა გათეთრდა.
სუფთა ქაღალდის ფერი დაედო სახეზე. სად წავიდეო. ძლივს ამო-
ილაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ. ყველგან საბჭოთა კავშირია, ყველ-
გან მაგათიაო. იმ ღამით აღარ დაწოლილა. ჩურჩულებდნენ დედა
და მამა ზალაში. გადაფრინდი აუცილებლად მოსკოვშიო, დედა
ურჩევდა. უარესი არ გამოვიდესო, ამბობდა მამა. ჯერ ერთი არ
გამიშვებენ. რაღაცას მომწევენო. მე აქაც დავამტკიცებ ჩემს სი-
მართლესო. მეორე დილითვე დაურეკეს პარტიის კრებაზე უნდა
მობრძანდეთო. უძინარმა მამამ გაიპარსა, ჩაიცვა. ამოიღო წითელ
ყდაში ჩასმული პარტიის მანდატი, ჩაიდო გულის ჯიბეში, ხელი
გულთან გააჩერა, მახსოვს, საღამოს ოპერის წინ შეგვხვდა მე და
ჩემ ამხანაგს. სად მიდიხართო, გვკითხა, როცა ხელი მოვკიდე,
მანამდე ვერ დაგვინახა. კინოში გვინდა შესვლა-მეთქი. ამოიღო და
მომცა ფული, არ დააგვიანო შინ მოსვლაო. გამაფრთხილა. წავე-

დით, მოვიხედე რატომღაც, რაღაცამ მომახედა. ისევე იქ იდგა და ჩემკენ იყურებოდა. მამა შინ აღარ დაბრუნებულა. სერგოს სიკვ- დილის შემდეგ ნახვის ნება დაგვრთეს. წავედით ყველანი. [illegible] შეგვიყვანეს. სადღაც დაგვსხეს. გაიღო რკინის კარში ჩაკერებული რკინის სარკმელი და გამოჩნდა მამის წვერგაუპარსავი თავი, ჩაცვენილი, უმოძრაო თვალები. გვიყურა. არც გაგვიღიმა. არც არაფერი გვითხრა. სანამ ხმის ამოღებას მოვახერხებდით, შეტრიალდა და სამუდამოდ გაქრა.

ბერია განაგებდა ამიერკავკასიას — აზერბაიჯანს, სომხეთს, საქართველოს. სადაც მეტი იყო დაწოლა, მეტი იყო წინააღმდეგობა, ეს იყო საქართველო. იგი უნდა გადაგვემტვრია ჯერ ხერხემალში. დანარჩენებს იოლად მოუვლიდი. მუშაობდნენ ბერიას წინააღმდეგაც, სანამ ბერია ამიერკავკასიის კურატორი გახდებოდა არც იცის სტალინმა რას ჩადისო. ბჭობდნენ ძველი კომუნისტები. გროვდებოდა ლავრენტის საკომპრომენტაციო სპეც-დოკუმენტები, სადაც ბერიას მოღვაწეობის ბაქოს პერიოდის საეჭვო საქმიანობა იყო გაშიფრული. უკანასკნელი, ნახევრად ოფიციალური მონაცემებით კი „საქმე" მოსკოვში, კრემლში მიჰქონდა გულმართალ ბოლშევიკს ვანო სტურუას. იგი მოსკოვში გამგზავრებამდე რაჭდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა „გულის დამბლით". ცუდად გახდა ცაკის სხდომაზე ბერიას თანდასწრებით, მალე მოკვდა გულის რევით, პირზე ქაფით და გააოცა თავად ბერია:

„...უკანასკნელად შევხვდი მას სხდომაზე, როგორც ყოველთვის მგზნებარეს და ფხიზელს. სამი საათის შემდეგ კი გათავდა, გაგვშორდა."

ეს მოხდა 1931 წლის 15 აპრილს. რამდენიმე დღით ადრე ქართველმა მწერლებმა და ფილიპე მახარაძემ „სახელმწიფო პოლიტიკურ საშმართველოს" (ჩეკა) არსებობის 10 წელი მიულოცეს. ეს არისო აღნიშნა ფილიპემ **„პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი უსაჭიროესი ორგანო. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ თვალს და ყურს!"**

ეს ერთგული თვალი და ყური ერთგულად და პუნქტუალურად დაყვებოდნენ თავად ფილიპეს, ფრთხილად, ერთგულად დადიოდა უკვე ფილიპე და ისევე მიიცვალა ბიუროს სხდომაზე საკუთარი სიკვდილთ, არც თუ სხვის დაუხმარებლად.

20 აპრილს დაიბეჭდა ბერიას სამძიმარი ვანოზე და თავად ვანო სტურუას უცნაური ბიოგრაფია-ნეკროლოგი, სადაც მისი ბერიასეული დამსახურებაზეა რატომღაც ლაპარაკი. „პროფესიონალური ... რისტი“ არ ვიყავი. მაგრამ „შავ სამუშაოს“ პარტიის დავალებით შიგადაშიგ ვასრულებდი, საყველპურად ამ ხელობაზეც (კაცის კვლაზე) მიხდებოდა მუშაობა.

ნეკროლოგიდან:

„...მაგრამ ვანომ, რომელსაც უკვე 60 წელი ჰქონდა შესრულებული, აუღელვებლად ვერ გაიხსენა ეს ისტორია. მოთხრობის დამთავრებისას მან კიდევ უფრო მეტი აღელვებით მოიგონა, თუ როგორ ჩაჰკიდა გამყიდველ არამზადას ხელი ყანყრატოში, აიღო ხელი, რომელშიაც ფინური დანა ეჭირა, როგორ ეგედრებოდა მუხლებზე დაჩოქილი, ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ ამაყი, სასიზღარი ჯაშუში...

გამოჭრა ყელი ამხანაგს (მოღალატე აღმოჩნდა) ფინეთის რკინიგზის ერთ პატარა სადგურში ფინური დანით და მოხუცმა ვანომ (60 წლისაა) აუღელვებლად (გულჩვილობა დაჩემდა, როგორც ჩანს) ვერ გაიხსენა ეს ეპიზოდი.

ამხანაგი ვანო ცუდად გახდა ცაკის სხდომაზე. გარდაიცვალა სამ საათში მუცლის გვრემით, პირზე მომდგარი ქაფით. დაკრძალეს შესაფერისი პატივისცემით, წარსული დამსახურების აღნიშვნით. (24 აპრილს დავით კლდიაშვილი მიიცვალა სიმონეთში, იმავე გაზეთმა იმავე დღეს, სტურუას ნეკროლოგებს ქვევით და შორს, მეოთხე გვერდის ბოლოში მიჭეჭყილი განცხადებით ამცნო საზოგადოებას დიდი მწერლის გარდაცვალება).

1936 წლის 28 დეკემბერს „თბილისში გულის ანგინის შეტევისაგან“ (ეგრე დაიწერა გაზეთებში) უეცრად გარდაიცვალა ნესტორ ლაკობა. იგი მოიწამლა ბერიას ბინაში ნაგვიანებ ვახშამზე. უეჭველია, ჭამა თევზი, რადგან მასაც პირიდან საპნის ქაფივით ამოდიოდა დუჟი. მიიყვანეს თუ არა სასტუმროში, სადაც იგი იყო ჩამომხტარი, მოკვდა. **„...ულმობელმა სიკვდილმა ჩვენი პარტიის სახელოვან რიგებს გამოსტაცა 39 წლის სტუმარი ნ. ლაკობა“.**

„სამედიცინო დასკვნას, გულის ანგინა, რომ დაადასტურა ექიმებთან ერთად ხელი მოაწერა რესპუბლიკის პროკურორმა ი. ტალახაძემ.

წინა წელს მარტში ლავრენტი ბერიას (დაჯილდოვდა ნ. ლაკობასთან ერთად) ლენინის ორდენი მიულოცეს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლენკომ.
გოლცევმა.
პასტერნაკმა.
ტიხონოვმა.

„ჩვენ გვიყვარს თქვენი შესანიშნავი ქვეყანა, — სტალინის სამშობლო. აღფრთოვანებული ვართ (აღფრთოვანებას შემდეგ ნახავდნენ) მისი წარმატებებით და თქვენი მუშაობით.“

ეს ის წელია, როცა კონვეიერულად იწერება **„ამიერკავკასიის ბოლშევიკური პარტიის ისტორია“.**

შემსრულებლები: ერიკ ბედია, მალაქია ტოროშელიძე.
ავტორი — ლავრენტი ბერია.
კონსულტანტი, რედაქტორი და სტილისტი — სტალინი.

21 ივლისს წიგნი თავად ბერიამ წაუკითხა აქტივს. ხუთი საათი კითხულობდა, შესვენების ჩათვლით, სიცხისაგან გათანგულ აუდიტორიაში. მთვლემარებაში წასული აქტივის წევრები ტაშის გრიალით აფხიზლებდნენ ერთმანეთს დროდადრო.

ბერიას დაჯილდოების ერთი თვის თავზე მუცლის გვრემითა და პირზე ქაფით სამსახურში გარდაიცვალა, შინიდან მშვენიერ ხასიათზე გასული, ძველი ბოლშევიკი, თბილისის საქალაქო საბჭოს თავჯდომარე სიმონ პილატეს ძე ჯუღელი, რომელიც (რა დამსახურების გამო, გაუგებარია) მთაწმინდაზე, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. მოწამვლის ისეთი აშკარა ნიშნებით მოკვდა („გულის ანგინა“ არ გამოადგათ), რომ ჭირისუფლებმა სიკვდილის მიზეზების ძიება დაიწყეს მთაწმინდაზე დაკრძალვის შემდეგაც.

აშკარად ვიღაცის მოწამლულიაო ჩემი მეუღლეო რამდენჯერმე დაურეკა ბერიას ჯუღელის ცოლმა და სიმონ პილატეს ძე ჯუღელი ხალხის მტერი აღმოჩნდა. ლაკობასავით ამოიღეს სამარედან, მთაწმინდიდან ჩამოიტანეს მალულად და სხვა მიწას მიაბარეს. ზესტაფონი კი, სადაც ჯუღელი დაიბადა, ზესტაფონად დარჩა და გადაარქვეს თუ აღარ დაარქვეს ქალაქს (გამართლებაზეა ყველაფერი) ჯუღელი.

ნამეტანი ოლად უსადაგებდნენ ქალაქებს თავიანთ გვარებს სიცოცხლეშივე ბოლშევიკები. ლენინს პეტროგრადის ლენინგრადობა არ გაუგია და სხვა ბელადებმა თავადვე ჩამოარიგეს ქალაქე-

ბი, დაბები, დასახლებული პუნქტები, სოფლები, კანტის მშობლიურ ქალაქს კენისბერგს უწოდეს კალინინგრადი საპატივცემულოდ კაცისა, საბჭოთა მეურნეობის მოანგარიშეს რომ ჰგავდა — ამ ადგილ-ადგილ გენილების გამოქვეყნებაზე კანტი შეინძრა თუ არა საფლავში არ ვიცით. მაგრამ თავად კალინინს არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია. მახარაძეს ოზურგეთი ეცოტავა, ქუთაისიც შეიძლებოდაო, ჩაულაპარაკებია უსაყვედუროდ. იმპერიის რუკებზე აღმოცენდნენ: სტალინგრადი, სტალინი, სტალინირი, ტროცკი, ვოროშილოვგრადი, ფრუნზე, ორჯონიკიძე, კიროვი, კიროვი კიროვი და სხვები და სხვები. რატომ არ დაარქვეს, ვთქვათ, ხარკოვს ბუდიონოვგრადი, ვერ ვიტყვით.

გამარჯვებულთა ყრილობის წელს, ორჯონიკიძის ბინაში გამართული საიდუმლო სერობის რამდენიმე თვის შემდეგ 1934 წლის 7 ნოემბერს თბილისში, ბერიას ბინაში, ვახშამზე, როგორც ვიცით, ციმორით მოიწამლა სერგო ორჯონიკიძე. სამი კვირის შემდეგ მოკლეს კიროვი, თვენახევარი არ იყო გასული და მეტად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა კუიბიშევი („ხალხის მტრების“ მოკლულად ჩათვალეს ბოლოს) და გამოკედელდა სამეული (კიროვი, კუიბიშევი, ორჯონიკიძე) კრემლის კედელზე. დაინიშნა ეჟოვი კიროვის მაგივრად ცეკას მდივნად და გასრულდა „გამარჯვებულთა ყრილობის“ მეორე წელიწადწლეული და დაიწყო კაცობრიობის ისტორიის მახსოვრობისათვის გაუგონარი „დიდი ტერორი“.

საბჭოთა ქვეყანა გაივსო მტრებით, მავნებლებით, დივერსანტებით, მკვლელებით, უცხოეთის აგენტებით და ასე შემდეგ.

ერთი ადგილი ბერიას მაშინდელი მოხსენებიდან:

„...ლომინაძე, ტერ-ვაჰანიანი, ვარდანიანი და სხვები ტყუილად კი არ „სეირნობენ“ შავი ზღვის სანაპიროზე...სწორედ ისინი არიან ცალკეულ მუშათა სასადილოებში საჭმელში საწამლავს რომ ურევენ, რათა ქარხნის საუკეთესო სტახანოველები მოსწამლონ.“

აქედან ძნელია, მოხსენების არსში გარკვევა, ამას არც ვაპირებთ, მაგრამ ამ ნაგლეჯებსაც ჭირდება კომენტარი: ე. ი. ლომინაძე, ვაჰანიან-ვარდიანიანი ზღვის სანაპიროზე ტყუილად კი არ სეირნობენ, აგინებენ საბჭოთა ხელისუფლებას (თავად არიან ხელისუფლება), კონტრევოლუციურ გეგმებს აწყობენ, შეხედავ, სეირნობენ, მეტი არაფერი. თეფშებში მარტო თვითონ კი არ ყრიან საწამლავს, სხვე-

ბიც მათნაირები ჩადიან ამ საქმეს. საწამლავის ინჯრაში ჩაყრა კი, უხერხულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ძნელია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საერთო ქვაბს წამლავდნენ, მაგრამ როგორ ახვევდნენ მოწამლულ კერძს მაინცდამაინც „საუკეთესო სტახანოველებს“, გაუგებარი;ა დაღუპულ სტახანოველთა სიებიც არაა გამოქვეყნებული პრესაში და ეს გვაფიქრებინებს, რომ სტრახანოველებს (უეჭველია, ერთი ქვაბიდან) ნელ-ნელა უღებდნენ ბოლოს, ალბათ უუარესებდნენ ჯამრთელობას, უმღვრევდნენ ტვინს; ეს კი თავისთავად უარყოფითად მოქმედებდა სოციალიზმის მშენებლობაზე.

მოსკოვში, ლენინგრადში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში მაშტაბები გაზრდილი იქნებოდა, მაგრამ სტახანოველთა იმდროინდელი შრომისუნარიანობა იმ მეთოდის (საჭმელში საწამლავის შერევის) ეფექტიანობაში გვაეჭვებს.

და ქვეყანა მაინც ძლიერდება, ერთიანდება. ერთ მასად იკვრება, ერთფეროვნდება, მაგრამ ქვეყანა მაინც ადამიანებისაგან შედგება და ადამიანებს გაფრთხილება ჭირდებათ, რადგან:

„სტალინმა ყველაზე ძვირფას კაპიტალად ადამიანი დაგვისახა.“

ს ე რ გ ო.

ადამიანია და ადამიანიც. ერთს ერთი ჭკუა აქვს, მეორეს — მეორე. აუცილებელია ერთნაირი — ბოლშევიკური აზროვნება. სხვანაირად მოაზროვნენი სოციალისტურ სახელმწიფოს არ ჭირდება, მაგრამ ისინი არსებობენ. უფრო მეტიც: ქვეყანა გაივსო კონტრევოლუციონერთა ბუდეებით. ისინი ასეთი თანამიმდევრობითა და სახელწოდებებით დალაგდნენ:

ლენინგრადის (კონტრრევოლუციური) ცენტრი.

მოსკოვის (კონტრრევოლუციური) ცენტრი 1934—35 წლები (ზინოვიევს მიუსაჯეს 10, კამენევს 5).

კრემლის საქმე 1935 წელი. (ხუთწლიან კამენევს დაუმატეს 10. გაასამართლეს 110 კაცი. დახვრიტეს 30. (ა. ენუქიძის დაღუპვის პროცესი).

გაერთიანებული ანტისაბჭოთა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრი. 1936 წ. (გაასამართლეს 16. თექვსმეტივე დახვრიტეს.

ანტისაბჭოთა პარალელური ცენტრი. 1937 წ. (შეიძლება შუალედური პროცესი ეწოდოს).

ანტიპარტიული ტერორისტული ბლოკი. 1938 წ. (დასკვნითი პროცესი).

ემატება ძირითადში ჩართული პატარ-პატარა ცენტრალიზაციები, „საქმეები“ შესაბამისი დიდი და პატარა, იმპერიაში გასული მეტასტაზებით, სასამართლოებით და ხვრეტებით.

კიროვის მკვლელობის დღეს 1934 წლის პირველ დეკემბერს გამოქეყნდა ცაკის (34 წ. I, XI) დადგენილება. იგი სამად სამი პუნქტისაგან შედგებოდა:

1. დააჩქარონ ძიება და სასამართლო პროცესები.

2. არ შეაჩერონ სასჯელის უმაღლესი ზომის სისრულეში მოყვანა, რადგან ცაკი შუამდგომლობებს პატიების შესახებ განსახილველად არ იღებს.

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებმა განაჩენები სასჯელის უმაღლესი ზომის შესახებ მოიყვანონ სისრულეში დაუყონებლივ, განაჩენის გამოტანისთანავე...“

ამ დადგენილების მიხედვით მოქმედებდნენ სამართალდამცავი ორგანოები მთელს საბჭოთა იმპერიაში, მაგრამ სტალინის გადაყენების საკითხი, ლენინის ავადხსენებული ანდერძის თანახმად დღის წესრიგიდან არ იხსენებოდა. „დიდი ტერორი“ კი თანდათან იკრეფდა ენერგიას.

ტროცკისტ-ზინოვიეველთა გაერთიანებული ანტისაბჭოთა ცენტრი:

1935 წელს გამოვიდა კანონი მცირეწლოვანთა სასჯელის გაძლიერებაზე. იგი იმავე წლის 7 აპრილის დადგენილებით შევიდა ძალაში და სისხლიანი ასოებით ჩარჩება კომუნისტური კანონების ისტორიაში. კანონი მცირეწლოვანთა, 12 წლის ზევით დახვრეტასაც ითვალისწინებდა. 13 წლისა დახვრიტეს რუსეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული ალექსი, თუმცა მაშინ კანონები არ უძებნიათ. 7 აპრილის კანონს უფარდებდნენ პოლიტპატიმართა შვილებს, ამ კანონით აშინებდნენ ძიებაში მყოფთ, შვილის სიცოცხლით თამაში კი აღემატებოდა წამებას, ტანჯვას, ყველა სისატიკეს, ყველა სისაძაგლეს ერთდროულად.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1936 წლის 22—24 აგვისტოს „ღია პროცესზე“ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა ზემოთნახსენები ცენტრის 16 მონაწი-

ლეს და თექვსმეტივე დამხვრიტა მეორე დღეს, იმავე წლის 25 აგვისტოს. აქედან უმრავლესობა, ზინოვიევი, კამენევი, ევდოკიმოვი, ბაკაევი, მრაჩკოვსკი კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებულ იყვნენ ადრევე. მსჯავდებულნი სხვადასხვა ვალით, სასჯელს გადასახლებებსა და საპატიმროებში იხდიდნენ: ისინი ხელახლა გაასამართლეს და დახვრიტეს, როგორც მოგახსენეთ, 25 აგვისტოს ციხეშივე. დახვრეტილთაგან 5 გერმანელი, გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრია. საბრალდებულო დასკვნის მიხედვით, ყველანი მეტ-ნაკლები დოზით დაკავშირებულნი იყვნენ ტროცკისთან საზღვარგარეთ და მონაწილეობდნენ ტროცკისტ-ზინოვიეველთა გაერთიანებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში. ბრალად ედებოდათ კიროვის მკვლელობა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებზე თავდასხმისათვის მზადება. წინასწარი დაანგარიშებით უნდა მოეკლათ პოლიტბიუროს წევრები, საბჭოეთის ბელადები ასეთი თანამიმდევრობით: **ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. კ. კოსიორი, პ. პ. პოსტიშევი.**

მაშინდელი (1936 წ. აგვისტო) პოლიტბიურო:

წევრები — ანდრეევი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, კოსიორი, მოლოტოვი, მიქოიანი, ორჯონიკიძე, სტალინი, ჩუბარი.

კანდიდატები — პეტროვსკი, პოსტიშევი, რუდზუტაკი, ჟდანოვი, ეიხე.

უნდა მოეკლათ:

სტალინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, კოსიორი, პოსტიშევი და კიროვის მკვლელობის შემდეგ გამომწვლეული, იმჟამად პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ჟდანოვი.

სიაში არ ჩანან: ანდრეევი, კალინინი, მიქოიანი, ჩუბარი და რაც მთავარია, მოლოტოვი, ძირითადი ხუთეულის (სტალინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, მოლოტოვი) ძირითადი მონაწილე. იგი გამოჩნდება (როცა დაიმსახურებს) მოსაკლავთა მომდევნო სიაში, სამაგიეროდ ამოვარდება ორჯონიკიძე (აბა რატომ მოიკლა თავი) მოსაკლავთა მომდევნო (1938 წ.) სიაში და გამოირკვევა, რომ არც ერთ ბლოკს და ცენტრს მისი სიცოცხლე არ აინტერესებდათ.

თუ გავიხსენებთ, რომ მოკლეს კიროვი, მიაყოლეს [illegible] მოსაკლავად გადაარჩიეს შვიდი კაცი — სტალინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე (შეცვლის მოლოტოვი) კოსიორი [illegible] შვეი, ჟდანოვი — ტროცკისტთა თუ მთელი არა, ნახევარი საქმე გაკეთებულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

მოლოტოვის საქმე იყო სამაგიეროდ ცუდად. არც მკვდრებში ეწერა იგი არც — ცოცხლებში; პატრონი არ კითხულობდა და მტერი არ ეძებდა იმ დღეებში. მისი პერსონის უგულებელყოფა კარგს არაფერს მოასწავებდა. ერთ-ერთ სიაში ეჟოვმა თავისი გვარი თავისივე ხელით ჩაწერა და სტალინმა თვალი დახუჭა. ვიაჩესლავ მიხეილის ძე ამას ხომ არ იზამდაო, ეთქვა პარტონს, მაგრამ ამას მოლოტოვისათვის სიმშვიდე არ მოუტანია და პირიქით. ან არ აგდებდნენ (მიქოიან-კალინინივით) არაფრად, ან მტრებიც თავისიანად თვლიდნენ. პირველს არა უშავდა და მეორე უბედურებას მოასწავებდა. კაცი ვერ გაარკვევდა, რა ჰქონდა პატრონს ჩაფიქრებული. რომელ სიაში, რომელ გრაფაში ჰყავდა იგი გათვალისწინებული. გაცილებით უკეთესად, რა შედარება იყო, ჰქონდა საქმე სერგო ორჯონიკიძეს. სამიზნე სიებშიც მყარად იჯდა და სასამართლო პროცესებზეც ფიგურირებდა. ჩელიაბინსკის სატრაქტორ ქარხნის მთავარმა ექიმმა, გერმანელმა კომუნისტმა ნათან ლურიემ „აღიარა", ორჯონიკიძე უნდა მოეკლა, მაგრამ კაგანოვიჩი და ორჯონიკიძე სატრაქტორო ქარხანაში, როგორც ეს ადრე იყო დათქმული, არ ჩამოვიდნენო. სამაგიეროდო, გულახდილად განაგრძობს ექიმი — მკვლელი ნათან ლურიე, ხუთჯერ ჩავედი მოსკოვში ამავე განზრახვითაო. ბოლო ჩასვლაზე მომპარეს რევოლვერი, ფული და საბუთებიცაო. ძმა ნათანისა უფრო შორს წასულა. პირველი მაისის პარადს დასწრებია ლენინგრადში ჟდანოვის მოკვლის მიზნით, მაგრამ ტრიბუნასთან ახლო მისვლა ვერ მოუხერხებია. სხვა დროსაც თუ გქონიათ ანალოგიური შემთხვევაო, მოსამართლე ულრიხი ეკითხება. ამაზე უკეთესი არა, სურვილი კი დიდი მქონდაო. გერმანელ კომუნისტებს ძმებ ლურიებს მოწმე არ ჰყავთ; თავიანთ დანაშაულს, განზრახულს რომ არ სცილდება, თავიანთივე აღიარებით ადასტურებენ მხოლოდ. ოქმებში, სტენოგრაფიულ ჩანაწერებში და სხვა მასალებში ისინი ინიციალებით (მ. ი. ლ. და ნ. ი. ლ.) იხსენებიან და მათი გამოცალცალკავება ჭირს. ამას ახლა არცა აქვს მნიშვნე-

ლობა და რომელი რომელიაო არავინ კითხულობს. ისინი, ძმები (მ. ი. ლ და ნ. ი. ლ.) მონაწილეობდნენ სასამართლო სპექტაკლში და არა ისტორიაში. მათი როლები, თავის გადარჩენისათვის ... იყო განაწილებული, სხვა კატეგორიაში გადიოდა. იაგოდა და ეჟოვი დიალოგებს სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორთან და მთავარ გმირებთან ათანხმებდნენ და ძმებ ლურიებს არაფერს ეკითხებოდნენ. შეთანხმება-მოლაპარაკება კი მეტად მტკივნეულად ჭიანურდებოდა, დაძაბულობა და ნერვიულობა მატულობდა.

დღედაღამეს ასწორებდნენ ხელებდაკაპიწებული „ენკავედეს" თანამშრომლები: პარტიას, პარტიის ერთიანობას ჭირდება თქვენს მიერ დანაშაულის აღიარებაო ჩასჩიჩინებდნენ მთავარ ბრალდებულებს; მხოლოდ ამ გზთ შეინარჩუნებთ სიცოცხლესო, არწმუნებდნენ. არ იტყვით რაც გვინდა, დაიხოცებით, იტყვით, რაც გვინდა და (მაინც დაიხოცებოდნენ) გადარჩებითო.

ზინოვიევმა და კამენევმა სტალინთან შეხვედრა მოითხოვეს. სტალინს, სპექტაკლში მონაწილეობისათვის, პოლიტბიუროს წევრების თანდასწრებით სიცოცხლის შენარჩუნების გარანტია უნდა მიეცა მათთვის. სული ხორცს ეყრებოდა ისედაც და ერთადერთი გამოსავალიც ეგ იყო. ყველასათვის მოულოდნელად სტალინი შეხვედრაზე დათანხმდა.

დაკითხვა. წამება შეწყდა. პატიმრებს ჭამის, ძილის, მოსვენების საშუალება მისცეს და ერთ მშვენიერ ღამეს ზინოვიევი და კამენევი ჩეკას მაღალი რანგის მოხელეების მოლჩანოვისა და მირონოვის თანხლებით კრემლში გააქანეს.

ოლად დაიმხრეს სტალინის მისაღები. იაგოდა იჯდა რძისფრად განათებულ დარბაზში, ტყავის საქაღალდე ედო მუხლებზე, ერთი თითის დადება ულვაში უუთრთოდა ნესტოებთან. ტელეფონებით სავსე მაგიდასთან თეთრად ელავდა პოსკრიბიშევის პირწმინდად გადაპარსული თავი. დადუმებული ტელეფონის ყურმილი ეჭირა და ახლადშემოსულებს უყურებდა გულგრილად. „დიდი მუნჯი", როგორც მას ახლობლები ეძახდნენ, დუმდა. არა მარტო მუნჯობისათვის აფარებდა პატრონი, რომელიც მეორე ცოლს, ორი შვილის დედას გადაუსახლებს სულ მალე, და მაინც ერთგულად გააგრძელებს „დიდი მუნჯი" სამსახურს და გადასახლებული ცოლის ორი შვილის ამღზრდელად, მესამეს (პირველზე ქვრივად გახლდათ) მო-

იყვანს, ეს მოხდება მოგვიანებით. ახლა იგი მალულად ამთქნარებს უძილობით და უჩვეულო პერსონაჟების (ზინოვიევ, კამენევი) ხილვით მოდუნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედით! თქვა, როცა რომელიღაც ნათურა აინთო სტენდზე.

კაბინეტში იყვნენ: ვოროშილოვი, ეჟოვი, სტალინი. სტალინი იდგა. შემოსულებს უყურებდა.

— დაბრძანდით!

დასხდნენ. მირონოვი კამენევს, მოლჩანოვი ზინოვიევს მიუჯდა, თითქოს ან ერთი აპირებდა გაქცევას ან მეორე.

— რას იტყვით?! — იკითხა კარგა ხნის შემდეგ.

— აქ უნდა ყოფილიყვნენ სხვა ამხანაგებიც... — ძლივს ამოილაპარაკა ზინოვიევმა და მოეჩვენა, რომ საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა და არ ჰგავდა იმ მომაკვდავს, პირადი წერილებით რომ უხატავდა სტალინს.

— კერძოდ?! — ეზერა ჰქონდა გაყინული.

— თუნდაც ამხანაგი გრიგოლი კონსტანტინეს ძე, სერგო...

ვოროშილოვი შეიშმუშნა ერთი წამით და ისევ გაშეშდა.

— ორჯონიკიძეზე არაა ლაპარაკი, ყველას თანდასწრებით უნდა შემდგარიყო შეხვედრა... ჩვენ მოვითხოვეთ პოლიტბიურო... — მშვიდად ჩაილაპარაკა კამენევმა, თავი არ აუწევია.

— აბა ჩვენ ვინ ვართ?! — ვოროშილოვს გადახედა სტალინმა.

— ვინ გგონიათ თქვენ პოლიტბიურო?! — იმ სიტუაციისათვის უჩვეულოდ ხმამაღლა იკითხა სტალინის ყურადღებით გათამამებულმა ვოროშილოვმა.

ზინოვიევს და კამენევს, რიგრიგობით რომ ხელმძღვანელობდნენ ოდესღაც ხსენებულ ორგანოს და თავისთავად ცხადია, კარგად იცნობდნენ მას, არაფერი არ ეგონათ იმ წუთას პოლიტბიურო.

ამხანაგმა ეჟოვმა, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა ზინოვიევი, ერთი წლის წინ გამაფრთხილა, პოლიტიკურად უკვე დახვრეტილი ხარო. თავკომბალა ეჟოვი მწვანე ბაყაყს დაემსგავსა ერთი წამით.

...მართალია ამხანაგი ეჟოვი, მე უკვე ფიზიკურად და მორალურად განადგურებული, პოლიტიკურად დახვრეტილი ვარ: სტალინი მოულოდნელად გამოცოცხლდა პოლიტიკურად დახვრეტილი მოეწონა და ზინოვიევი მიხვდა, რომ მისი ბოლო ბარათი, სადაც იგივე ეწერა, წაკითხული არ ჰქონდა. ჩემი სიკვდილი ჯანდაბასო,

თქვა შემდეგ, ლენინის უერთგულესი მოწაფეების ღალატს და სიკვდილს რომ გაიგებენ ხალხს კომუნიზმის რწმენა დაეკარგებათო. აქ უკვე თვალთმაქცობდა უმისამართოდ. ხალხის რწმენის დამბეგრავი ... ეს ... ეს ... ეს

დაყენებიდან მეორე დღესვე სასამართლო დარბაზში დატოვეს გვარები, რომლებიც ძიებაში და საბრალდებულო დასკვნებში, თეთრ და შავ, ჩასწორებულ და ჩაუსწორებელ სიებში არ ფიგურირებდნენ. ესენი იყვნენ: ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი, [illegible] სხვებიც. 21 აგვისტოს ვიშინსკიმ განაცხადა: უკვე გავეცი ბრძანება და ზემოთჩამოთვლილი პირები (რიკოვი, ბუხარინი, ტომსკი, რადეკი, პიატაკოვი) ბრალდებულთა ჩვენებებსა და აღიარების საფუძველზე მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, მათ მიმართ აღძრული იქნება სისხლის სამართლის საქმეო. ეს განცხადება მეორე დილითვე გამოქვეყნდა პრესაში და იმავე დღეს ბოლეშოვოში იგლიჯა შუბლში ტყვია მიშა ტომსკიმ (ეფრემოვმა). დაბურული დღე იყო, აგვისტოს ხვატი დაწოლოდა ჩამბალ ტორფნარს და ადიოდა თბილი ნისლი მწვანე ჭაობებს.

ტომსკის სიკვდილი სასამართლოშივე, ბრალდებულთათვისაც კი იმავ დღესვე გახდა ცნობილი. ვიშინსკიმ ეს ფაქტი სასარგებლოდ გამოიყენა. ტომსკი გაექცა პასუხისმგებლობასო, განაცხადა.

„ღია პროცესი" კი ამნაირ, უმნიშვნელო ფაქტებს და ინციდენტებს თუ არ მივიღებდით მხედველობაში, წინასწარშედგენილი სცენარის მიხედვით წარიმართა და ეგრეც დასრულდა. ვიშინსკიმ ცოფიანი ძაღლები უწოდა ბრალდებულებს და თექვსმეტივეს დახვრეტა მოითხოვა. მოსამართლის იმედზეღა დარჩენილმა ბრალდებულებმა საბოლოო სიტყვებითაც აღიარეს დანაშაული, ნაძირალები უწოდეს საკუთარ თავს და ერთმანეთს. მეტის ღირსი ვართო და ასე შემდეგ. თექვსმეტივეს სიკვდილი გამოუტანა ულრიხმა. ხალხის, საზოგადოების თვალის ასახვევი ფანდია თექვსმეტივეს გადაგვასახლებენო, გავრცელდა ხმა. მაგრამ ამ სიტყვების უეჭველობაში იყო დარწმუნება ძნელი, ჭორი ნუგეშად, ხავსზე ხელისმოსაჭიდებლად კმაროდა.

ზინოვიევს ბნედამ მოუარა დახვრეტის დღეს, ნახევრად ბნელ, მიხვეულმოხვეულ ტალანებში ყვირილი დაიწყო. ბადრაგის უფროსმა ჩეკისტმა ცარიელ საკანში შეაგდო და იქვე მიახვრიტა ალაგობრივად; კამენევი მორჩილად თავდახრილი მივიდა საჯალათომდე და მისი აპათიით გაცოფებულმა ჩეკისტმა თავადვე დაიწყო ყვირილი. მკვდარსაც ესროდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველს, ზინოვიევი რომ მოკლა, ორდენი, მეორეს, მკვდარი რომ ხელმეორედ გაასაღა, სამსახურიდან დათხოვნა; შეიძლება, ეს უფრო ჭკუასთან ახლოა, მიახვრიტეს კიდეც. ასე დაასრულეს ბელადობა, პარტიული მოღვაწეობა და სიცოცხლე კამენევმა (როზენფელდმა) ლევ ბორისის ძემ, ზინოვიევმა გრიგორი ევსევის ძემ (რადომისლსკიმ გერშონ არონის ძემ) და სხვებმა.

მეორე დღეს პარიკმახერობიდან აღზევებულმა და სტალინის გარემოცვაში მოხვედრილმა პაუკერმა ზინოვიევი გამოაჯავრაო. ოპერეტის თეატრის პარიკმახერს მიბაძვის გასაოცარი უნარი ჰქონდა და სიკვდილმისჯილი კაცის წარმოდგენაც არ გაუჭირდებოდა, იცინოდა თუ არა სტალინი, როგორც მიმომხილველები ირწმუნებიან, იმ წარმოდგენის დროს, ძნელი სათქმელია. სიკვდილთან რომ გაშინაურებული იყო და სხვათა სიკვდილი არად უჩნდა, ცნობილია, მაგრამ სასაცილო ამ ფაქტში მაინც არაფერია. ლენინი, ტროცკი, სტალინი, ორჯონიკიძე, ზინოვიევი, სხვები და სხვები სიკვდილს მოწყალებასავით არიგებდნენ და ალბათ, არ იცინოდნენ.

ოცდათხი წლის აჯანყების გასრულების შემდეგ ორჯონიკიძემ დაწერა:

„მენშევიკებზე უფრო გახრწნილი, ზნედაცემული და წყალწაღებული პარტია მე არ მინახავს...“

იმას არ უნახავს სხვა ნახავდა. მაგრამ მიზეზიც ხომ უნდა დასახელო. ასახელებს:

„...ამხანაგებო, ხალხი „შეიარაღებულ აჯანყებას“ იწყებს, მოუწოდებენ „სახალხო აჯანყებისაკენ“, წერენ ყოველგვარ ჭორს და როცა ორი დღის შემდეგ ხედავენ, რომ ეს ყველაფერი ზღაპარია და ბუტაფორია, ამ ადამიანებს გამბედაობა და მოქალაქეობრივი სიმამაცე არ ყოფნით, რათა ღირსეულად შეეგებონ სიკვდილს!“

ხედავთ, რაში ყოფილა საქმე?!

ქონდა ამ სიტყვების თქმის უფლება, როცა „ზღაპარი და ბუტაფორია“ აღმოჩნდა მისი ცხოვრება, სიტყვა საქმედ აქცია; სიკვდილსაც, რომელიც მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა, იოლად შეურიგდა. პირველი ვერ გახდა და უკანასკნელიც არ აღმოჩნდა.

ლენინი მძიმე ავადმყოფობის დროს თავის მოკვლას აპირებდა (ახლახან გამოქვეყნდა ამის დამადასტურებელი მასალები — ლენი-

ნის დის წერილები), რამდენჯერმე თხოვა სტალინს ცეანისტიკალით (რატომ გაიხადა სათხოვნელად საქმე!); სტალინი პირდებოდა, მა-გიტანო, ლენინი ელოდა და მათი თხოვნა-დაპირებანი ... ... -რო ჰგავდა, ვიდრე საქმეს.

ნადეჟდა ალილუევას შემდეგ თავი მოიკლეს: ზინოვიევის მდივანმა ბოგდანმა, ლომინაძემ, მიშა კაგანოვიჩმა, მიშა ტომსკიმ, ლაშევიჩმა, გამარნიკმა, ორჯონიკიძემ, სხვებმაც არც ისე ბევრმა. ისე რომ, ბოლშევიკებზე **„გახრწნილ, ზნედაცემულ, წყალწაღებულ“** ხალხსაც ბევრს ვერ ნახავდა სერგო იმ ქვეყანაში.

პოლიტბიუროს პირველივე სხდომა, დასასვენებლად წასული სტალინის გარეშე რომ გაიმართა, კაგანოვიჩმა ჩაატარა, ეჟოვმა სასამართლო პროცესის მოკლე ანგარიში ჩააბარა პოლიტბიუროს. განაჩენი ყველას მიმართ, აქ შეისვენა, მოყვანილია სისრულეშიო.

იცოდნენ. არ ჯეროდათ, ცრუ ხმები გამოდიოდა, ეგონათ, ციხიდან; ასე იოლად, ასე უცბად ასე თვითნებურად?! იქნებ ეფიქრათ. ემსჯელათ. დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა ამ ცნობამ ყველზე. ჩვენ უძლურნი ვართ სასამართლოს წინაშე, განაცხადა კაგანოვიჩმა და სხდომაც დამთავრებულად ჩათვალა. ეჟოვი, პირადად რომ დაესწრო ხვრეტას, საქმიანად ალაგებდა ქაღალდებს პორთფელში; ზედმეტი შეკითხვებით არავინ აწუხებდა თორემ ასევე საქმიანად და წვრილად (ნებადართულის ფარგლებში) იტყოდა სასაკლაოს ამბავსაც.

კრემლის ეზოში საუბრობდნენ ხოლმე ამნაირ ამინდში, სანამ აგარაკებისაკენ გაცვივდებოდნენ თავპირის მტვრევით. ერთმანეთს აღარ ელოდებოდნენ, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, მანქანებში სხდებოდნენ. გადაშვებული, თეთრი, წვრილქამარშემოჭერილი ხალათი ეცვა მიქოიანს. შავი, გამხდარი, უძილობისაგან თვალებამოღამებული იდგა ქვაფენილთან ავტომობილის მოლოდინში.

— უშველა თავს მიშა ტომსკიმ. — შეჩერდა ორჯონიკიძე, უბრალდ რომ აპირებდა მიქოიანისათვის გვერდის ავლას.

— დღეს ცხელა ძალიან...

რბილად შემოგორდნენ და ჩაქვავდნენ შავ-შავი ავტოები მათ წინ.

— აღარაფერი აღარ დარჩება ადამიანს თავის მოკვლის გარდა, ხანდახან დგება ეს მომენტიც...

— არ გინდა, სერგო, ეგ ლაპარაკი... — ქართულად უთხრა მიქოიანმა და კარგამოღებულ ავტომანქანაში შევიდა.

შუა ახიიდან ჩამოვიდა ტიანშანში სანადიროდ ატრუბრუნული ბუხარინი. მიშა ტომსკისა და სასამართლოს ამბები დაგვიანებით მიღებული გაზეთებით შეიტყო; რიკოვთან ერთად მიაკითხა მძიმე მრეწველობის კომისარიატში სერგო ორჯონიკიძეს.

— მოართვით ჩაი ამხანაგ ბუხარინს, ამხანაგ რიკოვს! — მისაღებში გასაგონად (რადიოში ჩაირთო მისი ხმა) უთხრა თანაშემწე სიომუშკინს. სამუშაო დღე დამთავრებული იყო. საღამოვდებოდა, სიგრილე შემოდიოდა ღია ფანჯრებიდან.

— ჩვენ არაფერი გვაქვს დასაფარავი, დარჩეს აქ სიომუშკინი და სხვებიც შემოვიდნენ თუ საჭიროა... — რიკოვს ადრინდელზე მეტად ებმოდა ენა, ორჯონიკიძის დაკვირვებით, პირიც ქონდა გამშრალი. საიდუმლო მოლაპარაკება არავინ შეგვწამოსო, ამის თქმა უნდოდა; ორჯონიკიძე არავის უფრთხოდა და დროზე ეთქვათ სათქმელი ჯობდა.

— გადაეცი სტალინს, თხოვე ჩვენი სახელით დაგვაპირისპიროს ზინოვიევს და კამენევს... გამოჩნდება მათი მზაკვრობა, სიცრუე... ჩვენი სახელების ხსენებისათვის მიიღებენ საკადრისს! — იმუქრებოდა ბუხარინი ზინოვიევ-კამენევის მისამართით.

მეტს რაღას მიიღებდნენ, რაც მიიღეს. ორჯონიკიძეს შუამავლის როლი ეკისრებოდა. ქართველი ქართველს გაუგებდა, თხოვნას შეუსრულებდა. სხვა ვერავინ მოძებნეს სტალინთან შესაგზავნი.

—...ერთადერთი შანსია თქვენი დაპირისპირებისა, — ყრუდ წამოიწყო მან. — იმ ქვეყნად თუღა შეხვდებით, სხვა ვარიანტი გამორიცხულია... ისინი უკვე წავიდნენ, ჩვენი დროც დადგება...

რას ნიშნავდა ეგ.

ორჯონიკიძე დიდი ხუმარა არ იყო და იგავებით ლაპარაკიც არ უყვარდა მაინცადამაინც.

თავზარი დაეცათ. მართალი უფრო ძნელი დასაჯერებელი აღმოჩნდა. ასე ხომ ერთმანეთსაც გადახვრეტდნენ დარჩენილები, ერთი ხროვის, ერთი კლანის წარმომადგენლები.

დაწყებულიყო.

ამ პროცესს ვეღარაფერი გააჩერებდა.

ტანმორჩილი, ქერა, ფერმკრთალი კაცი და სრულტანსაცმელიანი, აწოწილი საფრთხობელა ჩამოდიოდნენ მძიმე მრეწველობის კომისარიატის შენობის წითელ ფარდაგადაფენილ შიგა-[illegible] ამსვლელ-ჩამსვლელს ვეღარა ცნობდნენ, მათი ცნობაც უკვირდათ. ერთი იყო რიკოვი, მეორე ბუხარინი.

— წავიდა მიშა და დავრჩით ჩვენ, ორი იდიოტი! — ყრუდ თქვა თვალგაშტერებულმა ბუხარინმა.

სამაგალითოდ, ჭკუისსასწავლებლად ჩათვალეს ტომსკის საქციელი, მაგრამ სულ მალე შოკმა გაუარათ და მოეჩვენათ: იგი აჩქარდა, ნაადრევად გაასწორა სააქაოსთან ანგარიშები.

ტროცკისტ-ზინოვიეველთა კონტრევოლუციური ცენტრის პროცესზე რიკოვ-ბუხარინ-ტომსკისთან ერთად მოიხსენიეს რამდენიმე პიროვნება, მათ შორის პიატაკოვი. თავდაპირველად ადრესატების მეტს ამ ფაქტისათვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია. ცენტრალური ცენტრის გარდა არსებობსო პარალელური ცენტრიო, ძიებაშივე აღნიშნეს გ. ევდოკიმოვმა, ი. რეინგოლდმა, ე. დრეიცერმა. 12 სექტემბერს ურალში დაიჭირეს მივლინებაში მყოფი ორჯონიკიძის პირველი მოადგილე და მარჯვენა ხელი იური პიატაკოვი. მალე მიაყოლეს დანარჩენები და 17 კაცი გადააწყვეს ახალი სასამართლო პროცესისათვის, რომელსაც **„ანტისაბჭოთა პარალელური ტროცკისტული ცენტრი“** დაარქვეს.

იური პიატაკოვს პირველ პროცესზე, სადაც ზინოვიევი, კამენევი, სხვები და სხვები დაასამარეს, ბრალმდებლის როლი შესთავაზეს (საამისო გამოცდილება ჰქონდა), რაზედაც იგი უყოყმანოდ დათანხმდა. ივლისში დაუპატიმრეს მეუღლე, რომელთანაც იგი ფაქტიურად გაყრილი იყო. ჩხრეკისას მეუღლეს აღმოუჩინეს პიატაკოვის ოპოზიციური მოღვაწეობის (20 ანი წლები) მამხილებელი საბუთები, ჩანაწერები, ტროცკისთან გაგზავნილი ბარათების ასლები, რომლებიც ცოლს სასიყვარულო წერილებთან ერთად ჰქონდა შენახული. ამას დაემატა ისიც, რომ ჩეკაში უკრაინიდან მოვიდა ვინმე გოლუბენკოს ტელეგრამა. გოლუბენკო იუწყებოდა: პიატაკოვი უკრაინაში ანტიპარტიულ, ტროცკისტულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდაო, ცოლის ჩვენებები, უნებართვოდ შენახული წერილები და გოლუბენკოს ტელეგრამა ეჟოვმა პიატაკოვს აჩვენა და აუხსნა, რატომ ეთქვა უარი ბრალმდებლობაზე და რა შეიძლე-

ბოდა მოყოლოდა ამ მამხილებელ ფაქტებს. გაოგნებულმა პიატაკოვმა ვრცელი წერილი გაუგზავნა სტალინს. აუხსნა, რომ იგი ადრე ხანია აღარ მონაწილეობდა შინაპარტიულ დაჯგუფებებში, ეკავშირა და ნაცნობობაც კი გაწყვიტა ოპოზიციის წარმომადგენლებთან; თავისაუღებლად მუშაობდა მრავალი წელი მძიმე მრეწველობის კომისარიატში, მის თავდადებას ხედავდა ყველა და ამ დარგის მიღწევა-წრმატებაში (ამას დაადასტურებდა სერგო ორჯონიკიძე) მასაც ედო წილი. მე ვარო მტკიცე ლენინელიო და სხვა და სხვა. წერილს არც პასუხი არც არავითარი რეაგირება არ მოყოლია და პიატაკოვმა წონასწორობა დაკარგა.

ენკავედეს მაღალი რანგის მოხელემ, სასწაულით ცოცხლად გადარჩენილმა და საკუთარი სურვილით ექსორიაქმნილმა ვინმე ალექსანდრე ორლოვმა დაწერა:

„...იური პიატაკოვი ერთ-ერთი ყველაზე მეტად უნარიანი და ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაფასებული ადამიანია ბოლშევიკურ პარტიაში.“ „...პიატაკოვი იყო განსაკუთრებულად პრინციპული ადამიანი, ამასთან ერთად პრინციპული ჭკუისა და ძლიერი ნებისყოფისა, იყო უშიშარი.“

საამისოდ იგი იმოწმებს ლენინს. ლენინმა კი თავის პოლიტიკურ „ანდერძში“ ექვს პარტიულ ლიდერთან ერთად დაახასიათა მართლაც იგი, გამორჩეული ნებისყოფისა და უნარის მქონე ახალგაზრდად მონათლა; მაგრამ, დაატანა თან, შიშველი ადმინისტრირებისაკენა აქვს მიდრეკილებაო. ამ ნაკლში იგი თითქმის ყველას ადანაშაულებდა დ ხასიათის ეს თვისება, არც მაშინ, მითუმეტეს შემდეგ, ნაკლად არ აღიქმებოდა. ორჯონიკიძე რომ არაო, ასკვნის შემდეგ პიატაკოვის მაქებარი ორლოვი, პიატაკოვს ვერც ციხე, ვერც ტანჯვა-წამება ვერ გატეხდა, ვერაფერს დააკლებდაო.

ეგრე იყო?

თითქოს ამ ვარაუდისა და საკუთარი ღირსების წარმოსაჩენად 21 აგვისტოს პირველი სასამართლო პროცესის პირველსავე დღეს „პრავდაში“ გამოაქვეყნა საზიზღარი წერილი სათაურით: **„დაუნდობლად გავანადგუროთ საძაგელი მკვლელები და მოღალატენი“.** (სათაური განსაზღვრავს წერილის შინაარს. სათაურს კი კომენტარი არ ჭირდება). წერილის გამოქვეყნებამდე, პროცესის დაწყებამდე ეჟოვს ესაუბრა ხელმეორედ; ხელი მოაწერა საკუთარ **ახსნა-გან-**

მარტებას თუ ჩვენებას და ითხოვა, გააცანითო არა მარტო სტა-
ლინსა დ აპოლიტბიუროს, არამედ ცეკას ყველა წევრსო.

აი, რა წერია პიატაკოვის ნაკარნახევ, ეჟოვის მიერ ...
დოკუმენტში:

„...პროცესზე ბრალმდებლად დანიშვნას მისადმი ცეკას უდიდესი ნდობის გამოცხადებად უყურებს და სულითა და გულით მიესალმება ამ ნაბიჯს; თვლის, რომ პროცესზე ბრალდემბლად გამოსვლის შემდეგ მისი ნდობა ცაკას მიმართ, ცოლის პატიმრობის მიუხედავად, განმტკიცდება.

ითხოვს, ყოველნაირფორმიან (ცეკას შეხედულების მიხედვით) რეაბილიტაციას. კერძოდ, მისი მხრიდან შემოაქვს წინადადება და მზადაა, მისი ცოლის ჩათვლით დახვრიტოს ყველა სიკვდილმისჯილი. ეს თხოვნა უნდა გამოქვეყნდეს პრესაში...“

ეჟოვ-პიატაკოვის სტილი დაცულია და შინაარსი, აზრზე აღარაფერს ვამბობთ, თხოვნისა გასაგებია: თანახმა ვარო დავხვრიტო სიკვდილმისჯილები (პირველი პროცესის მონაწილენი იგულისხმება) და საკუთარი ცოლიო. ამ თხოვნას, ეჟოვმაც რომ აბსურდული უწოდა, ასრულება არ ეწერა, მაგრამ ფაქტია ყურადსაღები, თუ შემაძრწუნებელი არა. უნდა დაეხვრიტა ცოლი, სიკვდილმისჯილები (ჯერ არა აქვთ მისჯილი) — კოლეგები, თანაპარტიელები, ლენინელები, ვისთანაც ერთად თავად ლენინმა დიდ ანდერძში დაასახელა.

მიუხედავად მაცდუნებელი წინადადებისა, ხვრეტაზე (მხვრეტელები ყავდათ) უარი ეთქვა და იგი პარტიიდან გარიცხეს. გამხდარი, გაძვალტყავებული, უკბილო მოიყვანეს სხდომათა დარბაზში პლენუმზე. მაშინდელი წესისა და რიგის მიხედვით განიხილეს მისი პარტიაში ყოფნა, არყოფნის საკითხი, სიტყვებით გამოვიდნენ წინასწარ მომზადებული პარტიული მუშაკები და პრეზიდიუმის წევრები; წამოიმართა ორჯონიკიძე. ხელში ეჭირა წითელი ფანქრით მსხვილად, მის მიერ დახაზული პიატაკოვის „თხოვნა“, რამდენიმე ცალად რომ გაამრავლეს და პოლიტბიუროს წევრებს არგუნეს მხოლოდ. მისი აბსურდულობის გამო იგი არ განუხილავთ და ამ საკითხზე წესით არც არავის უნდა ამოეღო ხმა. მე მაინტერესებსო, კითხულობდა ორჯონიკიძე და „თხოვნის“ ცალს დაჰყუ-

რებდა, თქვენ დაწერეთ თუ არა ეს?! ქარალდი აწია და ყოფილ მოადგილეს დაანახა; მაღალი, წითელი მოადგილე უკბილო პირს აღებდა და მისი ხმა სერგოს არ ესმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა უნდა დაგეხვრიტათ საკუთარი ცოლი და დამნაშავენი, ბრალდებულები, რომელთაც სიკვდილი მისჯილი არ ჰქონდათ?! — ხელაწეულ მუჭში ეჭირა უკვე თხოვნა, ყვიროდა, მარცხენა ხელით პრეზიდიუმის ტრიბუნის მოაჯირს ეყრდნობოდა.

— თუკი ცენტრალური კომიტეტი მომცემდა ნებართვას, ნებართვას, თანახმა, თანახმა ვიყავი...

ორჯონიკიძეს კვლავ არ ესმოდა, მარჯვენა ხელი, „თხოვნა“ აღარ ეჭირა, მარჯვენა ყურზე ჰქონდა ამოფარებული, ტრიბუნის მოაჯირს, ბარძაყებით აწვებოდა, უფრო და უფრო იხრებოდა წინ.

— მოკიდეთ ხელი თორემ გადავარდება! — ჩაილაპარაკა სტალინმა. ყველამ გაიგონა ორჯონიკიძის გარდა. არავის გაცინებია. არც იცოდნენ, ხუმრობდა თუ არა სტალინი.

ჩაის სმის დროს, შესვენებაზე კალინინმა ღიმილით უთხრა: სერგო, 50 წლის ხდები, ვიცით, — ჭიქაში კოვზის რაწკუნს მოუმატა, ხმას დაუწია, მსმენელი დაძაბული დატოვა, — საჩუქარს გიმზადებთ...

მაჯილდოებენ, მიხვდა სერგო. ლენინის ორდენი ახალი მიღებული ჰქონდა. გამომძიებნიან რაღაცას. ფეხზე ჭამდა ცხენივით; უმადოდ, უგულოდ იღეჭებოდა, თითქოს მოვალეობას იხდიდა. კალინინი ჯამრთელი ყურის მხარეს ეჯდა, კიდევ კარგი.

...დაისვენე იუბილემდე...

„იუბილე არა ის!“

...გადაღლილი გამოიყურები, ჩემი რჩევაა, დაისვენე. ერთმანეთს, ერთმანეთის ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ...

უფრთხილდებოდნენ ისედაც. პიატაკოვი კოლეგებზე ზრუნავდა.

„მიშორებენ. რჩევა მამასახლისაა, აზრი სხვისა...“

ხმას აღარ იღებდა სერგო, მოხარშულ კვერცხს უკაკუნებდა თეფშზე.

— იცის ბელადმა? — იკითხა მოულოდნელად.

კალინინი შეცბა. პატარა თავით აწია დიდი სათვალე, დაჭორფლილი უპეები დააჩნდა.

— ბელადი არაა საჭირო... — ჩუმად თქვა მან.

ბელადები იყვნენ თავადაც. ბელადები იყვნენ სხვებიც: ფრიალიარენიც, მკვდარიც, ცოცხლებიც, დახვრეტილებიც, [illegible] ტებიც და ბელადებს შორის უპირველესი, ბელადების ბელადი, ხალხის მასწავლებელი კი იყო ერთი.

რა დოზით მიიღო სერგომ სტალინის ერთპიროვნულად გაბელადებაში მონაწილეობა და მიიღო თუ არა. პრიორიტეტს აკუთვნებენ კაგანოვიჩს, რომელმაც 1929 წელს უწოდა სტალინს დიდი ბელადი. თუ ეს ცნობა ზუსტია, მიმბაძველებისა და მხარამბგელების (ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა) მოძებნაც არ იქნებოდა ძნელი. სერგო ორჯონიკიძე თავშეკავებულიც კი ჩანს ამ გაგებით, თუმცა, ესეც ვიცით, მარტო პირდაპირობისა და ობიექტურობის ნიშანთვისებებით არ აღმოჩენილა კრემლში.

„...პარტიას ამხ. სტალინი მიაჩნია პარტიის გენერალური ხაზის მტკიცე დამცველად და ვლადიმერ ილიას ძის საუკეთესო მოწაფედ (ტაში)!“

1930 წ.

„...ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და ლენინის საუკეთესო მოწაფის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით წავალთ წინ!“

(1931 წ.)

„...ლენინის პარტია ჩვენი სტალინის ხელმძღვანელობით გადალახავს ყველა დაბრკოლებას!“

(1933 წ. იანვარი)

„...გაუმარჯოს ჩვენს ლენინის პარტიას და ჩვენს ბელადს ამხ. სტალინს, ვაშა, ამხანაგებო! (ტაში. წამოძახილები: ვაშა, ვაშა, ვაშა, გაუმარჯოს დიდ სტალინს!)

(1933 წ. აგვისტო)

აღრე სხვანაირადაც სჯიდა:

1925 წლის დეკემბერში რამდენიმე კაცთან ერთად პირდაპირ XIV ყრილობიდან ლენინგრადში გაამგზავრეს ზინოვიევ-კამენევის კონტროლის ქვეშ მყოფი ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში „ახალი ოპოზიციის“ მხილებისათვის, პარტიულ მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომების აღმოსაფხვრელად. ჩვენთვისო, განაცხადა მან ლენინგრადში, **„ილიჩის სიტყვა კანონი იყო, როცა**

ახლა საკითხი დგება მისი შეცვლის შესახებ, ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი კაცი არ არის პარტიაში.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლებოდა იმ დროს, როგორც ჩანს ამის თქმა, რაც ინდელი — პოლიტიკურ-სოციალური სიტუაციით იქნებოდა ნაკარნახევი, თორემ ლენინს შემცვლელი ჰყავდა, გიხდოდა არ გიხდოდა, ეგრე იყო. როცა განაგრძობდა, აწი პარტიას კოლექტიურად უნდა ვუხელმძღვანელოთო, ესეც საქმეს ჭირდებოდა, საამისო უფლებებითაც იქნებოდა აღჭურვილი და ნათქვამს მაინც ძალის ნაკბენივით დაუმახსოვრებდნენ ბოლოს.

სტალინის გაღმერთკაცების პროცესში ედო წილი, ცხადია, სხვას ვერ აჯობა, მართალია, მაგრამ ტოლიც არავის დაუდო.

სტალინს უკვე ეძახდნენ: მზეს, მნათობს, ვარსკვლავს, რკინას, რვალს, კაჟს, კლდეს, მთას, მყინვარს, ორბს, არწივს და სხვას. ქალაქებს მთებსა და ზღვებსაც ერქვა უკვე მისი სახელი: სტალინის პიკი, სტალინის უბე, სტალინის არქიპელაგი ჩრდილოეთ მიწაზე და შენადნობი სტალინიტი. ეს არც იყო გასაკვირი. კაცი რომ ჩვეულებრივ პირობებში ფოლადს (сталь) დაირქმევს, დიქტატურის დროს, რა გინდ რა სახელს არ მიუსადაგებ, მყინვარწვერს შეადარებ, მაგრამ ამნაირს (ქვემოთ ნახავთ) ნამდვილად ვერ მოიფიქრებთ:

„...სტალინს — რევოლუციის ლოკომოტივის პირველ მემანქანეს ჩვენი მატარებელი მიჰყავს ისე, რომ იგი არ წყდება, მას ბიძგები არა აქვს, იგი სძრავს მატარებელს მწყობრად და მიჰყავს შეუფერხებლად.“

(ლაზარე მოსეს ძე კაგანოვიჩი 1936 წ.)

და პრიორიტეტი ამ ხატოვანი ოხუნჯობისა კაგანოვიჩს არ ეკუთვნის მაინც.

თავად კარლ მარქსმა რევოლუცია ლოკომოტივს შეადარა **„რევოლუციები ისტორიის ლოკომოტივებია“**-ო. ლენინს, როგორც ჩანს, ძალიან მოეწონა ეგ შედარება და მარქსის წიგნზევე მიაწერა: **„ჩვენ გავაქანებთ ლოკომოტივს და არ გადავაგდებთ რელსებიდან.“**

„რევოლუციის ლოკომოტივის“ (ლენინმა რომ გააქანა) პირველი მემანქანეც ვერ დაიტრაბახებდა დიდი ორიგინალობით, როცა საკუთარ თავს მოკრძალებულ სახელს ფოლადს არქმევდა. ბაქო-

ში მისი მოღვაწეობის პერიოდში, კერძოდ 1907 წელში რევოლუ-
ციონერობდა ქუთაისის გიმნაზიადამთავრებული, რიგგარეშე მკვლელი, ბოლშევიკი ვალიკო ტარასის ძე ბაქრაძე, მეტსახელად „ჟელეზნი“. იგი ყიზვინში (სპარსეთი) ჩამოახრჩვეს, სერგოს ჩასვლის წინა დღეს. ჟელეზნი კი ამხანაგებმა დიდი ფიზიკური ძალის გამო შეარქვეს. სტალინი ძალიან კარგად იცნობდა „ვალიკო ჟელეზნის“, ყიზვინში რომ ჩამოახრჩვეს: თოკზე ჩამოპორწიალებულმა მიწას ფეხის ცერები რომ დააწვდინა კინაღამ

თავად სერგოს მეტად უფერული, ინტერნაციონალურ-კავკასიური სახელი სერგო შერჩა ბოლომდე და ამასვე დაჯერდა. გვარისთვის ხელი არ უხლია. რკინის სახკომს ბევრს ეძახდნენ, მათ შორის — ეჟოვს. სერგო ამ წოდებით არცაა ცნობილი, მაგრამ რადგან მაშინ ყველა სახკომი, თუკი იგი მავნებელი არ აღმოჩნდებოდა, რკინისა იყო რკინისვედ დავტოვეთ. შეიძლებოდა „მძიმე სახკომი“ მძიმე მრეწველობის ანალოგიით, მაგრამ დარჩა „რკინის სახკომი“.

„ორჯონკიძის მკვლელობის მცდელობა.“

ასეთი სათაურით გამოქვეყნდა პრესაში წერილი 1936 წელს ბელადების დევნით მანიით შეპყრობილი ადამიანები მომრავლდნენ. საბჭოებში კიროვის მკვლელობის შემდეგ და ეს „მცდელობაც“ სხვისგან არაფრით არ გამორჩეული ეპიზოდია მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ფონისა. დაგდევენ, ესე იგი, არსებობ. ეგ კარგი ნიშანი იყო. ერთმანეთისა და პატრონის ეშინოდათ და არა ტერორისტების და რა შთაბეჭდილებას ახდენდა ადრესატებზე ამდაგვარი ინფორმაციები, ვერაფერს მოგახსენებთ.

ვიღაც თუ ვინმე არნოლდმა, მასონთა ლოჟის წევრმა, აღიარა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. ჯერ თავისი გვარი გაამჟღავნა (იგი რამდენიმე გვარითა და ცოლით მოგზაურობდა და ცხოვრობდა ევროპაში) შემდეგ სხვისი თქვა:

— როდის ჩაიდინეთ პირველი ტერორისტული აქტი? — ეკითხება ვიშინსკი.

„...პირველი ტერორისტული აქტი ჩავიდინე 1934 წლის გაზაფხულზე ორჯონიკიძის წინააღმდეგ. მაშინ მე კრემლის გარაჟის გამგე ვიყავი. რადგან იმ დროს ორჯონიკიძის შოფერი ადგილზე არ აღმოჩნდა, მე დავჯექი საჭესთან. ორჯონიკიძესთან ერთად მანქანაში ჩასხდნენ რუხიმოვიჩი და ეიხე. როცა გამოვედით გზაზე და

ვეშვებოდით თავქვე, მე მოვუმატე სიჩქარეს, მინდოდა დავჯახებოდი დაბრკოლებას, მაგრამ შემეშინდა და გადავიფიქრე.“

ესაა ტეროორისტული აქტი. ამაზე უარესი იმ წლებში ვერაფერს მოგახსენებთ და სერგოს „ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდებისაგან“ არაფერი შემთხვევია.

1935 წლის 16 ნოემბერს სტახანოველთა საკავშირო თათბირზე სერგომ თქვა:

„...ლენინის სიკვდილის შემდეგ, როცა უნდა დაგვეცვა ლენინიზმის ტროცკისტებისაგან, ზინოვიეველებისაგან, კამენეველებისა და ათასგვარი სხვა ოპორტუნისტებისაგან, პარტიას სათავეში ჩაუდგა სტალინი — ლენინის საქმის განმგრძობი, რომელმაც გაანადგურა ლენინიზმის ყველა მტერი და ჩვენი პარტია და ქვეყანა უდიდეს გამარჯვებამდე მიიყვანა.“

საინტერესოა, საიდან მოეჩვენა, რომ „ლენინიზმის ყველა მტერი“ განადგურდა? განადგურება იწყებოდა და ლენინიზმის მტერი თუ განადგურებული იყო, სტალინი საკუთარ მტრებს ხომ არ დაუწყებდა დევნას. ჯობდა იმ კაცს მძიმე საქმისთვის — ფოლადი, თუჯი, ნაგლინი — და მრეწველობისათვის მიეხედა. ხედავდა კიდეც:

პერმში ათვალიერებს ქარხანა № 19-ს.

ამოწმებს ურალის მეტალურგიულ ქარხნებს.

ჩადის მაგნიტოგორსკში.

ესაუბრება სინთეზური კაუჩუკის ქარხნების დელეგაციას.

ხვდება ნავთობსახდელი ქარხნების ინჟინერ-ტექნიკოსთა მუშაკების დელეგაციას.

ხელმძღვანელობს ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა თათბირს.

ხელმძღვანელობს დაზგასაამშენებლო მრეწველობის მუშაკთა კონფერენციას.

ესწრება მუხლუხა ტრაქტორების გამოცდას და სხვა.

რაც მეტია დაწოლა, მეტია წინააღმდეგობა.

წარმატებებს კლასობრივი ბრძოლების გამწვავება მოყვება.

ყველა წინასწარი ნიშნისა და მონაცემების მიხედვით კონტრეოლუციური ბანდები, დაჯგუფებანი, ბლოკები, ცენტრები ააქტიურებენ მოძრაობას. მტერი განადგურებული უნდა იქნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგოს განადგურებული ეგონა.

ეგონა კი?

მუშავდება პროექტი ახალი კონსტიტუციისა, რომლისაც
ის წევრია თავადაც. გაზეთ „პრავდაში" ქვეყნდება რუსი მკითხველისა და ბოლშევიკური პარტიის ძველი და ახალი წევრებისათვისაც უცნობი პირის, ლავრენტი ბერიას წერილი **„გავაცამტვეროთ სოციალიზმის** მტრები". გავაცამტვერეთ კი არა — გავაცამტვეროთო. ამ გაზეთში შეცდომით არაფერი არ იბეჭდება. შემთხვევით არაფერი არ ხდება. უნდა გავაცამტვეროთ, გავანადგუროთ, მოვსპოთ. მწიფდება საზოგადოებრივი აზრი, განადგურების აუცილებლობის იდეა. ხალხის, მასის შეგნებაში მკვიდრდება კლასობრივი სიძულვილის ხელახალი აუცილებლობა.

რუსთაველის თეატრმა დიდი წარმატებით დაამთავრა გასტროლები მოსკოვში. პარტიულმა პრესამ აქო და ადიდა სპექტაკლები. თეატრალურმა მოსკოვმა შენშიაშვილის „ანზორი" (რამდენად გულწრფელად, სხვა საკითხია) აიყვანა ცაში და დამდგმელი რეჟისორი (აკაკი ვასაძე), განსაკუთრებით ავტორი მეცხრე ცამდე აწია.

სერგო ორჯონიკიძემ შერჩევით დაპატიჟა აგარაკზე რუსთაველის თეატრის წარმომადგენლები და პოლიტბიურო. კარგა ძალმა ხალხმა მოიყარა მაინც თავი. ადრინდელი ქება-დიდებით გაბრუებულმა შანშიაშვილმა, როგორ მოგეწონათ არსენაო ჰკითხა სერგოს, როცა ეს უკანასკნელი მისი ჯამრთელობით (ერთადერთი რასაც შანშიაშვილი არ უჩიოდა) დაინტერესდა.

— მომეწონა. — ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა ორჯონიკიძემ. — მხოლოდ, უკეთესი უნდა დაწერო.

რას ნიშნავდა ეს, შანშიაშვილმა ვერ გაიგო მაგრამ წყენა დამალა. კავკასიაში რევოლუციური ბრძოლების ამსახველი პიესა უნდა დავწერო, ამხანაგი სერგო დაერქმევა პიესასო.

— ეგ არაა საჭირო, — ულვაშები ჩამოიწია ორივე ხელით სერგომ. — აგერ კლიმენტი ეფრემის ძე, კაცი კრისტალი, ლეგენდა...— თვალები ულიმოდა, ნელა ლაპარაკობდა, იტკეპნებოდა და შანშიაშვილს მოეჩვენა, დაწერა კიდეც. რომ იგი რაჭველივით მეტყველებდა. უკეთესი უნდა დაწეროო, გაუმეორა სუფრაზედაც. აშკარა იყო, „ანზორი" არ მოწონდა. ბელადს მოეწონა და ორჯონიკიძის მოწონება-არმოწონებას არც ჰქონდა მნიშვნელობა. თავად ბელადი ბანკეტ-

ზე არ მოვიდა და მასპინძელს შანშიაშვილზე უარესად ჰქონდა გუ-
ნება წამხდარი და „არსენას“ არ დაფასება ამის ბრალიც შეიძლებ-
ბოდა ყოფილიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„არსენა“ კი „არსენობდა“ არა მარტო მოსკოვში. სპექტაკლი
დროს და სიტუაციას პასუხობდა. დამდგმელმა რეჟისორმა სიბერე-
შიც კი დაიტრაბახა: შარაგზის ყაჩაღი ხალხური არსენა რევოლუ-
ციონერად გამოვიყვანე და დიდი გამარჯვების საწინდარიც ეგ იყო.

**„...ს. შანშიაშვილმა არსენა რევოლუციონერის გზნებითა და
მიზანსწრაფვით, პოლიტიკური მებრძოლის „ცოდნითაც“ აღჭურვა
და ამით ეს ისტორიული გმირი თანამედროვეობას დაუკავშირა.“**

პოლიტიკური ცოდნით აღჭურვილ პოლიტბიუროს წევრებს საე-
რთოდ არ აინტერესებდათ ვინ იყო არსენა და რითი აღჭურვა და
რას დაუკავშირა იგი შანშიაშვილმა. „ხაზეინს“ მოწონდა და ნებაც
მისი იყო, ბანკეტს კი „უხაზეინობა“ არ დატყობია და პირიქით,
ხელფეხგახსნილებმა იქეიფეს ახალი შემოდგომის მშვენიერ საღა-
მოს. თამადად („პრედსედატელად“) ს. ორჯონიკიძემ ვოროშილოვი
დაასახელა. რეპეტიცია გაზაფხულზე ჰქონდათ გავლილი და სუფრა
ადრინდელზე უკეთესი გამოვიდა. (გაზაფხულზე თავად ვოროში-
ლოვმა გაშალა სუფრა და ბუდიონი ათამადა. ქართულად იმღერეს:
მოლოტოვმა, ჟდანოვმა, მიქოიანმა და ასე შემდეგ). იმ საღამოს,
ორჯონიკიძეს აგარაკზე ღვინო, ბუდიონის შემდეგ, სხვაზე მეტად
მოეკიდათ ორჯონიკიძესა და შანშიაშვილს. მასპინძელი სტალინზე,
შანშიაშვილი მასპინძელზე იყო დაბოღმილი, თუმცა სუფრის მსვლე-
ლობაზე ამ ფაქტორებს მერე და მერე გავლენა აღარ მოუხდენია.

„წაიყვანეს თამარ ქალი“ წამოიწყო სერგომ მაღალი ხმით და
არტისტები აიყოლია. ცოტა ხნის შემდეგ ჟდანოვმა, მოლოტოვმა და
მიქოიანმა „ნანინავ, დელი-ვოდელიასა“ დაამღერეს. ორ გუნდად გა-
ყოფილმა სუფრის წევრებმა რაჭული ორპირულივით გადაძახ-გად-
მოძახეს ერთიმეორეს და შემდეგ სიმღერა ხორავას, ვასაძეს, ემა-
ნუილ აფხაიძესა და სერგო ორჯონიკიძეს დაანებეს. სერგო სხვას
არ უსმენდა, მაგრამ სწორად, გლეხურად მღეროდა. იმერულ „ფერ-
ხულს“ კი, იქ რომ გაიგონეს ზოგიერთებმა პირველად, ძლივს შე-
უწყვეს ბანები. ბუდიონმა ამ ფერხულზეც იბუქნავა. შემდეგ ბა-
იანი გაწელა, ვოროშილოვი აცეკვა. ხორავა დაჯდა როიალთან, სა-

შინელ ტემპში დაუკრა „ანზორისათვის“ დაწერილი „ლეკური“ ვანა-ძემ ითამაშა და სუფრაც დარჩა მხიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იდგა 1936 წლის შემოდგომა. დიდი ტერორის ფარ-ველი 50 წელი კისლავოდსკში შეუსრულდა.

ბერიამ წიგნი („ორჯონიკიძე 50“) გაუგზავნა ერთგულებისა და პატივისცემის ნიშნად. უგემოვნოდ და მდიდრულად გამოცემული კრებული თვითმფრინავთმშენებლობის ბუმის ნაყოფს მოგაგონებდათ ფერით, ფორმატით და ფორზაცებად ჩაკრული ცელულოიდის ფურცლებით. შემდგენლები: **ბერია, ბედია, ბაგიროვი,** (ავტორთა კოლექტივი დახვრეტილია).

ბაგიროვი ჯაფარ აბასოვიჩი. ასაკითაც და ერთ დროს თანამდებობითაც ბერიას უფროსი, ბერიას ყმად და შეგირდად თვლიდა მაშინ თავს. განაგებდა აზერბაიჯანის ჩეკას (პოლიტიკურ სამმართველის, შემდეგ ცეკას. ერთხელო, დაუდასტურებელი ცნობით სამხარეო კომიტეტის მდივანმა ორჯონიკიძემ ჯაფარ ბაგიროვს ბერიას მაკომპრომენტირებელი მასალების ამოქექა დაავალა, დედას ვერ დააფიცებდა არ თქვაო, საიდუმლოს გაცემის პასუხისმგებლობას შეახსენებდა და მუქარასაც არ დააკლებდა, მაგრამ ბაგიროვმა (რამდენი იყოყმანა, არ ვიცით) ბერიას შეატყობინა ყველაფერი და „მასალებიც“ ვერ აღმოაჩინა. ბერია ორჯონიკიძეს მზრუნველობას, ბაგიროვს ძაღლურ ერთგულებას არ უვიწყებდა, გარეგნულად არაფერს ამჟღავნებდა და დროს ელოდა. ეს დროც მტყუან-მართლის ანგარიშსწორების დროც ახლოვდებოდა. ორ ვეშაპს შორის გაჩხერილმა ბაგიროვმა თავი მხრებზე შეინარჩუნა, მოინელა ორჯონიკიძე და გადაყვა მაინც ბერიას. დაიჭირეს შეფის საქმეზე, აწამეს, ძიება აჯანჯლეს და დახვრიტეს ცოტა მოგვიანებით — 1956 წელს.

დილაუთენია დასცეს მთიელმა მხედრებმა ყიჟინა კისლავოდსკში სანატორიუმის წინ დიდ მინდორზე. წივილ-კივილით დააჭენებდნენ ცხენებს თოფის სროლით, ნაბად-ფაფახების, ფრიალ-ფრიალით ულოცავდნენ დაბადების დღეს ორჯონიკიძეს.

— ერჯკინეზ, ერჯკინეზ! — ყვიროდნენ და ისროდნენ აივანზე გადმომდგარი გახარებული იუბილარის თვალწინ. დილის ცივ ნიავში დამბაჩების გახურებულ ლულებიდან თეთრ ქულა-ფთილად ამოდიოდა და იფანტებოდა თოფისწამალი.

— ერჯკინეზ, ერჯკინეზ!

ბალანაბზიალებული არაბული ჯიშის ცხენი გამოუვიდა ლაგამ-აღვირ-მოსართავებით საგანგებოდ დარახტული კაცს მოყავდა. ცხენი ფრთხვინავდა, საკუთარ ფეხებს იმოწმებდა თითქოს დროდადრო. ფრთხილად ჩამოდიოდა ავადმყოფურად გატანსრულებული სერგო ცვრით გალუმპულ, ხავსმოდებულ კიბეზე. სიომუშკინი მირბოდა წინ, მთიელებს ხელებს უქნევდა, რაღაცას უკრძალავდა. მთიელები ერთმანეთს ეყაყანებოდნენ, შეიძლებაო თუ არა ამ კაცის ამ ცხენზე ამხედრებაო. ორჯონიკიძე კი უზანგში უყრიდა ფეხს. უზანგი გაურკვეველი ასაკის ქოსა მეცხენეს ეჭირა. სერგო მძიმედ შეჯდა, მაგრამ ტანი აიმჩატა და კავკასიურ უნაგირზე გასწორდა. პირუტყვის ნაცნობი სუნი იკრა და მეცხენის უდღეური წინააღმდეგობის მიუხედავად აღვირი აკრიფა. ფრთხილად, ფრთხილად იძახდა სიომუშკინი და სხვებსაც აშინებდა. მხედარმა ცხენი მიუშვა, შეაჩერა, კისერი მოულოიცა, მიატრიალ-მოატრიალა, გაათოხარიკა, გააჭენა პატარაზე და ცხენმა კოჭლობა დაიწყო. წინა ფეხი დადგა გლახად თუ ორმოში ჩააგდო, ვერ შენიშნეს. ქოსა მეცხენე უკნა მობრუნებულ მოღუშულ მხედარს გადაუდგა წინ და ცხენის ფეხის კუნთის ზელა დაიწყო მაღალ კოჭთან. ორჯონიკიძე ჩამოქვეითდა, ნაძალადევი ღიმილით ჩამოართვა ხელი ახლომახლო მყოფთ. იცინოდა და სიცილი არც ნაძალადევი, არც ღვთისგან ბოძებული არ უხდებოდა. წარბებშეყრილი, მზერაგაფანტული იდგა ხშირად და ეს მზერა და გამოხედვა იყო მისთვის ბუნებრივი.

დალამებულს მის საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე ალარ გამოსულა. ერჯკინეზი შეუძლოდ გახდაო, მოახსენეს სტუმრებს: მთიელებს, უცხოელ კომუნისტებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

პაპულიას დაპატიმრების ამბავი შეატყობინეს ბანკეტის წინ. ბერია-ბაგიროვის შედგენილი წიგნი ცუდი ამბის საწინდარი, ცხენის დაკოჭლება უბედურების ნიშანი იყო.

ეს ამბავი მისი დაბადების ორმოცდაათ წლის თავს მოხდა.

მოქუფრული იჯდა სტალინის კაბინეტში. სტალინი ეწეოდა ჩიბუხს. პაპულიას დაჭერის ამბავი იქ შეიტყო თუ იცოდა, სერგომ ვერ გაარკვია. სახეზე სტალინს არაფერი ემჩნეოდა და უხასიათოგასაც არ უჩიოდა. ორჯონიკიძის ჯანმრთელობის ამბავი აინტერე-

სებდა უფრო. აქ გიმკურნალებთ, აქ უკეთესი ექიმები გვყავს, უმ-
ჯობესი სამკურნალო პირობები გვაქვსო. გაარკვევდნენ ბოლოს და
ბოლოს პაპულიას საქმესაც. უმიზეზოდ არავის არ იჭერდნენ, უდა-
ნაშაულოებს არ ასამართლებდნენ ამ ქვეყანაში და რაც მთავარია
ძმას ძმაზე პასუხს არ აგებინებდნენ.

ეგ ყველაფერი ეგრე იყო, მაგრამ მე მინდოდა, ორჯონიკიძე იმე-
ორებდა, პირადად ნახო, დაელაპარაკო, მეტს არაფერს არ ვი-
თხოვო.

სტალინს თანდათან ეცვლებოდა გამომეტყველება, დაკენკილი,
მოშავო სახე უთეთრდებოდა. სერგოს აშკარად არ ეოფნიდა ბოლ-
შევიკური ტაქტი. სულ სხვანაირად მოიქცა ლაზარე კაგანოვიჩი
ამის შემდეგ. შეიძლება სერგოსაგანაც აიღო გაკვეთილი, თუმცა
საამისო არა ჭირდა რა. რა ვუყოთ შენს ძმასო, თვითონ ჰკითხა
სტალინმა კაგანოვიჩმა ხმა რომ არ ამოიღოო. ჩემი ძმის საქმეს სა-
მართალდამცავი ორგანოები გაარკვევენ, მე მისი საქმეების განსას-
ჯელად არ მცალიაო. აი, კაცი. ამნაირი გონიერი ადამიანები ჭირ-
დებოდა ბელადს, პარტიას, სოციალიზმს. დიდი ძმისაგან სიტყვი-
ერ სანქციადადებულმა უმრწემესმა ძმამ, დასაჭერად გამოწყობილ-
მა მიშა კაგანოვიჩმა ტყვია იკრა შუბლში. ეწყინებოდა ძმის
სიკვდილი, მაგრამ სახელმწიფო ინტერესები ძმობაზედაც მაღლა
იდგნენ. დაჭერას, წამებას, ორთავეს წახდენას ეგ ჯობდა. ერთგუ-
ლად, ხანგრძლივად ემსახურა ამის შემდეგ პატრონს ლაზარე.
სერგოს კი პირადი ინტერესებიც აწუხებდა. საპირადო საქმეს
ხანდახან საზოგადო, სახალხო საქმეზე, აქედან გამომდინარე,
სოციალიზმის იდეებზე წინ აყენებდა. მოადგილე პიატაკოვის ბედი
კი არ აინტერესებდა, მომავალი პროცესის ამბავს. საბოლოოდ,
ხერხემალში რომ უნდა გადაემტვრია ტროცკიზმი, არ კითხულობ-
და. პაპულიათი ხომ არ იწყებოდა და მთავრდებოდა ყველაფერი.
აქვე უნდა გარკვეულიყო რას ფიქრობდა სერგო ორჯონიკიძე,
პარალელური ცენტრის ტროცკისტული ჯგუფის მომავალ სასამარ-
თლო პროცესზე. სერგო აღარაფერს ფიქრობდა, ერთადერთი თირ-
კმელიც ღალატობდა ნერვიულობის დროს. სისხლში აზოტი მა-
ტულობდა და თავი უსკდებოდა. გულის შეტევის გამო ვერ დაეს-
წრო ნოემბრის პლენმსო გამოაცხადეს, თავი ვერ ეწია მა-
შინაც.

ეგ არაფერი, ყველაფერი გაიარდა სწორი მკურნალობა-ზედამ-ვად, პაპულიას საქმეც გაირკვეოდა, მთავარი სხვა იყო.

...რადეკი ითხოვს ჩემთან შეხვედრას, მე უნდა ვეახლო მას, რადგან ამას ითვალისწინებს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესები. შენ უნდა ნახო შენი მოადგილე. დაარწმუნე, დააჯერე აღიაროს დანაშაული და სასჯელი შეუმსუბუქდება. სიცოცხლეს შეინარჩუნებს, ყოველ შემთხვევაში...

„ასევე შეინარჩუნეს ზინოვიევმა, კამენევმა, სხვებმა...“

...ის სხვა იყო, — მიხვდა, რაც გაიფიქრა ორჯონიკიძემ. — ეს სხვაა.

რატომ იყო ის სხვა და ეს სხვა, არ განუმარტავს. თავდახრილი სერგო სტალინის იჭვიან მზერას გრძნობდა და დუმდა. მივალო პიატაკოვთან, ფიქრობდა. ამით გადავარჩენ, პაპულიას, პიატაკოვსაცაო. ვერ გადაარჩინა. ვერც ძმა, ვერც პიატაკოვი, ვერც საკუთარი თავი. მოადგილე კი მაინც ინახულა ციხეში. სტალინმა რადეკს მიაკითხა მართლაც ეჟოვთან ერთად. ორჯონიკიძეს ჩეკას საიდუმლო პოლიტგანყოფილების უფროსი გიორგი მოლჩანოვი მიყვა. სტალინი ერთი საათი შერჩა უჩვეულო პაემანს. თითქმის საათი უსმინა გაუჩერებლად მოლაპარაკე ფსიქიურად აშლილ კარლ რადეკს, თავი უქნია და დაიმედებული დატოვა. ორჯონიკიძეს თბილი ნიფხავი ეცვა დაბამბული შარვლის ქვეშ. ჩადუმებულ, ჩაგმანულ ტალანებში რაჩხა-რუჩხით იღებოდა რკინის დაგისოსებული კარებები, ერთ უჯრედში წითელი მოჩვენება იდგა. წითელ უკბილო თავს აღარც ადრინდელი გამომეტყველება შერჩენოდა, აღარც ადრინდელი შზერა. შორიახლო შედგა თავის დაკვრით მიესალმა. წითელმა კაცმა ძალიან წინ წამოწია ძალიან გრძელი ხელი — სახელოაცოცებული ძვალი. ტალანს ტალანი კვეთდა, ტალანს იქით კიდევ იყო ტალანი, არიგებულ-ჩარიგებული იყო საკნები, იყო ნესტი და საშინელი სიჩუმე. აქ მოხვედრას სიკვდილი ჯობდა ალბათ. ცოტა წინ, ცოტა სიღრმეში რომ ყოფილიყო შესასვლელი გულიც გაუჩერდებოდა ბრავალნაირი სიკვდილის თვალებში ჩამხედვარეს.

პიატაკოვი ენდობოდა, უჯერებდა (მეტი გზა არც ჰქონდა) ორჯონიკიძეს, მხოლოდ შესათანხმებელი ყო რამდენიმე საკითხიც, რაც მხოლოდდამხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. მეორედაც შევიდა სტალინთან, მეორედ ჩავიდა ჯურღ-

მულში, გულის აჩქარება იგრძნო კვლავ, თუმც ადრინდელივით არ დაღონებულა. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, გაიფიქრა.

პარალელური ანტიპარტიულ ტროცკისტული ცენტრალიზმისა ულებრივი საქმიანობის ძიება დასასრულისაკენ მიდიოდა. სასამართლო პროცესი ახლოვდებოდა, მწიფდებოდა საზოგადოებრივი აზრი: შრომითი კოლექტივები, ცალკეული პირები, მეცნიერები, მწერლები, კულტურის მოღვაწენი, რასაკვირველია მუშები ჯაშუშ-დივერსანტ-ტერორისტთა დახვრეტას მოითხოვდნენ საჯაროდ. გამოდიოდნენ, წერდნენ, ბეჭდავდნენ.

თუ ახსენდებოდა იური პიატაკოვს 1922 წელი, როცა იგი ესერებს ასამართლებდა (საზოგადოებრივი ბრალმდებლები ბუხარინი და ტომსკი), როცა საზოგადოებრივ აზრსაც იგი ხელმძღვანელობდა, მითითებებს აძლევდა პრესას, რადიოს, კომუნისტურ ინტერნაციონალს. 300 ათასიანი დემონსტრაცია მოაწყვეს „შრომითი კოლექტივების" მონაწილეობით. ესერების დახვრეტას მოითხოვდნენ დემონსტრატები, სიტყვით, პლაკატებით, სიკვდილიო, ყვიროდნენ მუშები, ქალები, ბავშვებიც, კისერზე რომ ჰყავდა ზოგიერთს შემოსმული. სიკვდილი, სიკვდილი, დახვრეტა! სასამართლომ იური პიატაკოვის თავმჯდომარეობით გაითვალისწინა რა ნება ხალხისა დახვრიტა მრავალი და იურიმაც გაამართლა პარტიის ნდობა, ლენინის ქება და სიყვარულიც დაიმსახურა. ახლა იგი თავად ელოდა პროცესს, განაჩენს; სასამართლო ისევ გაითვალისწინებდა „ხალხის ნებას", გამოიყენებდა მიტინგებისა და პრესის თავისუფლებას. მართალია, შერჩევით, ფრთხილად, პარტიასთან შეთანხმებით, მაგრამ მაინც ჰქონდათ საბჭოთა მოქალაქეებს უფლება მოეთხოვათ დასახვრეტი პიატაკოვის, რადეკის, სოკოლნიკოვისა და სხვების დახვრეტა. ჰქონდათ და ითხოვდნენ. ამ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ. გავანადგუროთ, მოვსპოთ, დავხვრიტოთ!

რისთვის?

ეგ კარგად არ იყო გარკვეული.

რა ბრალდებოდათ?

ტერორი, დივერსია. შანტაჟი. მავნებლობა. გამცემლობა. კიროვის მკვლელობა. ტროცკისთან და მის ეაქთან სედოვთან კავშირი, სტალინისა და პატარ-პატარა ბელადების მკვლელობის სურვილი თუ მცდელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვერპლთა სიაში გამოჩნდა მოლოტოვი, რომელიც იქამდე არ გახსენებია არავის. იგი მყარად დაჯდა სტალინის უკან, ორჯონიკიძე ძე დარჩა ძველ ადგილზე და ისინი ასე განლაგდნენ:

სტალინი. მოლოტოვი. კაგანოვიჩი. ვოროშილოვი. ორჯონიკიძე. ჟდანოვი. კოსიორი. ეიხე. პოსტიშევი. ეუოვი და ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

საიდან ამოძვრა ,ამოყელყელავდა ბერია? როგორ გაერია პოლიტბიუროს წევრებსა და კანდიდატებში პროვინციის მართველი? ამნაირი პატივი ხომ არცერთ გარესატრაპისათვის არ მიუნიჭებიათ. იგი 38 წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში გადაიყვანეს მოსკოვს და მხოლოდ 1939 წელს არგუნეს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობა. იყო თუ არა მისი აღზევება ადრიდანვე ჩაფიქრებული? რასაკვირველია იყო. ამის დასამტკიცებლად ეს ფაქტიც (გასასაღებელ სიაში შეყვანაც) კმარა. მაგრამ ვის სანაცვლოდ იხუტებდა ბელადი. ორ ქართველს (მისი ქართველობაც რომ აწუხებდა ბევრს) დაიმატებდა კიდევ? ამაზე ბევრს იფიქრებდა თავად ორჯონიკიძე. სხვაც. ახლა იოლია მარჩიელობა, თუმცა იმ დროსაც არ იქნებოდა, ჩანაფიქრის ამოცნობა ძნელი. „პატარა აზეფი" მოძვრებოდა უმაღლეს ეშელონში და მისი ძალაუფლება კიდევ უფრო მტკიცდებოდა საქართველოში, ორჯონიკიძის სანათესაოს ბედიც, პაპულიას ჩათვლით, ბერიას გადასაწყვეტი ხდებოდა . განა მარტო სანათესაოსი, განა მარტო პაპულიასი. ჯერ ხომ არ იცოდა, არც მან, არც სხვამ რას წამოაყრანტალებდნენ პარალელური ცენტრის პარალელური დამნაშავენი სასამართლო პროცესზე; რას იტყოდა თუნდაც მისი უშუალო მოადგილე იური პიატაკოვი, რომელსაც სიცოცხლე აღუთქვა.

ერთ დღეს ორჯონიკიძე მოლოტივი და კაგანოვიჩი ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ქარხანაში წავიდნენ. უნდა ენახათ პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე გასაგზავნი მუხინას ქანდაკება. იგი ჩამოსასხმელად იყო მზად და იდგა ეზოში სიცივეში.

ეზოში შეგრიალდნენ შუადღით, სამუშაო საათებში, რათა არ გადაყროდნენ მუშებს და ბელადების არაოფიციალური სტუმრობა არ გადაქცეულიყო ზეიმად, მიტინგად, პარადად. ყველაფერი ზუსტად იყო თითქოს გათვლილი და დაცვამ, სტუმრობის ორგანიზა-

ტორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ შესვენება იყო მოახლოებული. აბლიხური ქანდაკება იდგა უზარმაზარი სასადილოს წინ.

თავაწეულები იდგნენ ყინვაში, უყურებდნენ უშნო [illegible] უსმენდნენ არქიტექტორს, მოქანდაკეს, ქალაქის [illegible] ვეურებს; საკუთარი აზრი, რომელიც არც გააჩნდათ იმ წუთას, არ ჰქონდათ გამოთქმული და მოესმათ ქარხნის საყვირის ზმუილი, რომლისთვისაც განსაკუთრებული მნშვნელობა არ მიუნიჭებიათ თავდაპირველად. სამაგიეროდ შეშფოთდა დაცვა, რადგან საამქროებიდან ხალხმა იწყო დენა. უნდა გავიდეთ უკანა კარით, დაიძახა დაცვის უფროსმა. იგი შეშინდა და არც თუ უსაფუძვლოდ. მუშები გაჩქარებით მოდიოდნენ სასადილოსაკენ. იგი დიდი იყო, მაგრამ ყველას ვერ იტევდა და საქმე მისწრაფებაზე იყო თურმე, როგორც გამოირკვა. მოდიოდნენ გაჩქარებით, მიზანსწრაფულად, ფეხარეულნი. ზოგს საკუთარი კოვზი ეჭირა ხელში, ზოგს საკუთარი ჩანგალი და ყინვის შუქზე აციაგებული ალუმინი ბრწყინავდა შორიდან. სად უნდა წავიდეთო, კითხულობდა ორჯონიკიძე. მუშებია და მუშებს უნდა შევხვდეთ სწორეთო. ორჯონიკიძეს აღარავინ უსმენდა. დაცვა და ამალა ცოცხალ ღობეს და დერეფანს აკეთებდანენ ერთდროულად და კაგანოვიჩი დიდი ნაბიჯებით მიიწევდა გასასვლელისაკენ. სად მიდიხარო, ეძახდა ორჯონიკიძე. სად მიდისო, იკითხა მოლოტოვმა,მოულოდნელად შეტრიალდა, საკვირველი სისწრაფით გაიქცა, გაასწრო კაგანოვიჩს და კუტი კარი გაიარა.

რას ჩადიხართ, ვის გაურბიხართ, ვინა ხართ, რა ხალხი ხართ... ბურდღუნებდა ორჯონიკიძე და თავადაც გარბოდა. აქლოშინებული ჩხუბობდა მოსაცდელში, აგინებდა კაგანოვიჩს, რომელსაც გული არ მოდიოდა რატომღაც. მოლოტოვი იღიმებოდა და ხმას არ იღებდა. გულამოვარდნილი სერგო არ ცხრებოდა. ვის გამოექეცით, მუშებს?! კითხულობდა მერამდენედ.

როგორ გამასწრეს!.. წუხდა მანქანის სავარძელში მიგდებული. ორმოცდაათ კილომეტრს გავდიოდი დღეღამეში ლაფში, ტალახში და წვიმაში. კაბინეტის ვირთაგვებმა მაჯობეს, დაღლა არ დატყობიათ. ასკდებოდა გულს, რომელიც კიდევ არ იყო საგულეში ჩამდგარი.

და დადგა სასტიკი 1937.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „კომუნისტი“. პირველი იანვარი.
მოწინავე წერილი ბედნიერ ცხოვრებაზე.

„...ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება უფრო საამური გახდა. ხოლო როდესაც საამურად ცხოვრობ, მუშაობა ხალისიანად მიდის.“

ი. სტალინი

იმავე გაზეთში. იმავე დღეს გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი.

„...ჩემს ცხოვრებაში შარშანდელი წელიწადი ყველაზე მეტად იმ მხრივ აღინიშნა, რომ სხვებთან ერთად მეც მერგო ბედნიერება ხალხთა დიდი ბელადი სტალინი მენახა, მცირე ხანს შესაუბრა მასთან და ორდენიც მიმეღო...

...ზოგი მეგობარი მეუბნება, მემუარების დაწერა ადრეა, 70 წლისა რომ შესრულდები, მაგას მაშინ შეუდექიო. მე უკვე 56 წლისა შევსრულდი და ვგრძნობ, რომ მეხსიერება მღალატობს, ამიტომ დაგვიანება ჩემს მემუარებს უეჭველად დააზიანებს, დააზარალებს. ესეც არ იყოს, არავინ მიდგება თავდებად, რომ 70 წლამდე გავძლებ...“

არავინ დაუდგა თავდებად და ვერც გაძლო. ის წელიწადი კი **ვის ბედნიერება“** კატასტროფას უდრიდა. 37-შივე დაასრულებინეს სიცოცხლე 56 წლისას.

იმპერა ემზადებოდა აღწერისათვის და ხვრეტებისათვის.

თბილისის დინამოს სტადიონს მიენიჭა ლავრენტი ბერიას სახელი.

წარმატებით ჩატარდა ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში.

სერგო ორჯონიკიძე უკანასკნელად შევიდა დიდ თეატრში. პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ერთად დაესწრო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ოპერას „აბესალომ და ეთერის.“

ანტისაბჭოთა ტროცკისტული პარალელური ცენტრის სასამართლო პროცესი დაიწყო 1937 წლის 23 იანვარს. განაჩენი (მოსამართლე ვ. ვ. ულრიხი, პროკურორი ა. ი. ვიშინსკი) გამოიტანეს 30 იანვარს სასამართლო პროცესის დაწყებიდან მე-7-დე დღეს, სერგოს გარდაცვალებამდე 17 დღით ადრე. 17-ვე ბრალდებული

სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 17-ვეს შეუფარდა მალალი
ჯელი: 13-ს დახვრეტა, 4-ს ციხე თუმცა არც ის ოთხი
ბიათ ცოცხალი. არნოლდი და სტროილოვი ხელახლა გაასამართ-
ლეს და დახვრიტეს. რადეკი და სოკოლნიკოვი ციხის საკანშივე
მოკლეს პატიმრებმა. სტალინმა რადეკს პირი არ უშალა, 10 წელი
აკმარა და მოაკვლევინა (ეგ ჩვეულებრივი ამბავი იყო) მაინც ორი
წლის შემდეგ.

ორჯონიკიძე კი გააცურეს. იმავე დღეს შეიტყო პიატაკოვის
დახვრეტა და მძიმე ნაბიჯებით, წარბებჩამოყრილი შევიდა სტალი-
ნის მისაღებში. შეშფოთებული წამოდგა პოსკრებიშევი სერგოს
დანახვაზე. თეთრმა, მასიურმა თავმა გაიელვა შორიდან თეთრ სი-
ნათლეში. ორი უცნობი გაჩერდა კაბინეტის კართან. დაკავებულია.

არ უშვებდნენ. თავჩაღუნული იჯდა. მძიმედ სუნთქავდა, ხი-
ხინებდა შიგადაშიგ. ჩვეულებრივ სიტუაციაში მშვიდი და თავ-
შეკავებული კარგავდა წონასწორობას, როცა უსამართლობას დაე-
ჯახებოდაო, გაიხსენა მიქოიანმა. ტროცკიმ უკეთესი თქვა: ყოველ-
გვარ წინააღმდეგობას (მათ შორის ალბათ — სახელმწიფოებრივ-
საც) პირად შეურაცხყოფად იღებდაო გატეხილი, დათრგუნული
იყო იმ დღეს და მიქოიანისა და ტროცკის ფსიქოანალიზები მის
სულიერ მდგომარეობას არ ესადაგებოდა.

შინიდან რეკავდა კაბინეტში, აგარაკზე: პირდაპირი ხაზითაც
ვერ ერთვებოდა პატრონთან. ყურმილს სხვა იღებდა. სტალინს არ
ეცალა. იგი დაკავებული იყო. სერგო ფიქრობდა (ათიოდე დღე
კიდევ რჩებოდა საფიქრლად) ფიქრობდა, ვერაფერს ვერ ფიქ-
რობდა. როგორ გაირბინა ერთმა დიდმა, ხანმოკლე და გაუსრუ-
ლებელმა ცხოვრებამ. რატომ? რისთვის? ვისთვის?..

— თქვენი ვარაუდით, ბატონო მიხაკო, მეორე საკვერცხეც?..
— ასე ვფიქრობ კი...
— თქვენ თავად რა ბრალდებით?...
— ბერიას მკვლელობის მცდელობისათვის... ჰაპულია რომ
თოფს მართმევდა და მე არ ვანებებდი. ძირითადი ეს. სხვა კიდევ
მრავალი... რომ შემაგდეს საკანში, ხალხი ვერ გავარჩიე თავდაპირვე-
ლად. ერთმა გაბურგძნულმა კაცმა მითხრა: მიშა ვარ ნიორაძე თუ
გაგიგონიაო. კი-თქვა. თბილისის აღმასკომის თავჯდომარე ეიცანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის სურათის მიმსგავსებით. თუ კაცი ხარ, არ დამიმალო. შემეხვეწა. ისევ ის მთავრობაა გარეთ რომელიც დავტოვეთ? ისაა. მე ვუთხარი. არ დაიჯერა. ლენინის და სტალინის სურათები თუ დაინახე სადმეო. რავა არა, ერთი აგერ კიდია შემოსასვლელში შითქვა. დამანება თავი. მეც არ მინდოდა ლაპარაკი. ვეგდე და ვუყავი. რა მელოდა, რანაირად წავიდოდა ჩემი საქმე, არ ვიცოდი. სერგოს სახელი მიშველის-მეთქი, ხავსს ვეჭიდებოდი. სერგო აღარაა თურმე. ჩვენ ვინ გაგვაგებინებდა.

— დაიჯერეთ, რომ თავი მოიკლა, როცა გაიგეთ?

— მაშინ კი არა, ახლა არა ვარ დარწმუნებული ბოლომდე... დესპინე აღარაფერს მიმალავდა, მაგრამ იქნებ დესპინესაც ეშლებოდა. ბრაგვანი გავიგონეო. ბრაგვანი და სროლაო. ჯერ სროლა და მერე ბრაგვანიო, თუ პირიქით... ეშინოდა, ამას რომ ამბობდა, მაგრამ დესპინეს ვინ რაღას ეტყოდა, აღარ იყო ამ ქვეყანას მისი შვილების მაყურებელი. ქალიშვილი იულია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოკვდა, თუმცა ეს მერე იყო... სერგომ ქე იცით რა ქნა. პაპულია წამებით მოკლეს. ივანე და ჭიჭიკო გადაასახლეს, გადარჩენენ. მაგრამ ვაი იმისთანა გადარჩენას. ერთი ფრონტში დაილუპა საჯარიმო ბატალიონში, მეორე ჭიჭიკო. არ მითხრა, გამოჩნდება ვილაც მისი ამბის გამხსენებელ-დამწერი... მე თვრამეტი წელი გამატარებინეს ერთიმეორეზე მიყოლებით. თვრამეტი წელი...

— სტალინის ბიუსტი ისევ დადგით ხომ სკვერში?

— ლექსიც მივაწერე ზედ, თუ წაიკითხეთ. დგას ახლა და რა ვიცი... ისე, დესპინეს სიცოცხლე სიცოცხლე იყო?! ქმარი არ შერჩა, გერი და შვილი...

— თქვენ გითხრათ, ბრაგვანი გავიგონეო?

— ბრაგვანი და მერე სროლაო...

— თუ პირიქით?

— მგონი, პირიქით. ჯერ სროლა, მერე ბრაგვანი. გაცვივდნენ კაბინეტში და იწვა ტახტზე. სისხლი აჩნდა საფეთქელზე და ტუჩზე... თუ იწვა, ბრაგვანი რანაირად გაიგონა, მიკვირს მეც...

ქალბატონი ეთერი:

— ...კრემლში ვცხოვრობდით, დიახ. სტალინის გამონაცვალ ბინაში. ნადეჟდა ალილუევამ თავი რომ მოიკლა, აღარ გაჩერდა, შეჭდეგ მამამ...

— თქვენს შემდეგ ვინ შევიდა?

— მე მგონი, ალარავინ... ჩვენ იქ დავრჩით მამის გარდაცვალების შემდეგაც და იქ ვიყავით, მე ცოტა ადრე გავთხოვდი, ... ვედი, სტალინის სიკვდილამდე დედა და დეიდა იქ ცხოვრობდნენ. პოლიტბიუროს სხვა წევრებიც იქ ბინადრობდნენ, შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა. ესაა მამის კაბინეტი. თითქმის ყველაფერი უცვლელადაა გადმოტანილი, შეიძლება ზომებშია ოდნავი განსხვავება. აქ იყო მხოლოდ სტალინის ძალიან დიდი სურათი... სად გაქრა ის სურათი, არ ვიცი...დანარჩენი უცვლელადაა, ხელუხლებლად თითქოს...

— გარდაიცვალა აქ, კაბინეტში...

— არა, საწოლ ოთახში. სროლის ხმაზე შევიდნენ და იწვა ტახტზე თურმე... მე იქ არ ვიყავი, კინოში გამიშვეს... შინ იყვნენ: დედა, დესპინე და ლავრენტიევნა — მომხმარე ქალი, დეიდა ვერა... დეიდა მერე მოვარდა, ყველაზე ადრე... დედამ აიღო ის ტელეფონი, რომლის ხელის ხლების უფლება არ ჰქონდა და სტალინმა გააგონა, ასე მოხდაო, დედამ. ყურმილი დაუკიდა და მოვიდა ძალიან მალე. მოყვნენ: მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ეჟოვი...

— და ბერია...

— **არ ვიცი. არა მგონია... თუმც** მე არც ერთი არ მინახავს. ჩემ მოსვლაზე იქ სხვა ხალხი ტრიალებდა. კინოდან მოსულმა დავინახე ხალხი, ჩოჩქოლი. არც მიშვებდნენ, ვინა ხარო, დეიდა გამოვიდა, შემიყვანა.

— დეიდათქვენი ვერა კაგებეში მუშაობდა?

— დიახ. მხოლოდ საფინანსო განყოფილებაში...

— თქვენი მოსამსახურე, როგორც თქვენ ეძახით, დამხმარე ქალი, ლავრენტიევნა კაგებეს თანამშრომელი იყო?

— შეიძლება.

— მძღოლი ვოლკოვი?

— ეგ თავისთავად.

— სიომუშკინი?

— სიომუშკინი კაგებეში მოკლეს თავად... თავისი ხელით დახვრიტა ბერიამო, რამდენად სწორია, არ ვიცი...

...იმ დილით მამასთან მოვიდა გვახარია, მაკაევსკის მეტა-

ლურგიული კომბინატის დირექტორი... კარგა ხანი ისხდნენ კაბინეტში, როდის წავიდა, არ მახსოვს. იმ დღეს დაცვა შეიცვალა. მართალია, ეგ ყველამ შეამჩნია. ადრე სხვები იდგნენ ქვედა სართულში, ვცნობდით ყველას, რასაკვირველია... ოთახების განლაგებას იოლად ვერ აგიხსნით. კაბინეტსა და დანარჩენ ოთახებს შუა გადიოდა დერეფანი, რომელიც უერთდებოდა საზეიმო სადარბაზოს. კაბინეტს ცალკე შესასვლელი ჰქონდა. შეეძლო შემოსვლა კაცს კაბინეტით, თუ ხელს არავინ შეუშლიდა, გადაიარდა დერეფანს და გავიდოდა საპარადო გასასვლელით, რომლითაც ჩვენ არასოდეს ვსარგებლობდით. იმ დღეს ის კარი ღია აღმოჩნდა. შეიძლება შემდეგ გაალეს, შეიძლება. დერეფნის ბოლოში, საპარადოსთან იყო საძინებელი, თითქმის იზოლირებული. იქ აღარავის უშვებდნენ, მე რომ მივედი კაბინეტსაც ლუქავდნენ...

— იარაღს ტყვია არ აკლდაო...

— არ ვიცი. მამას იარაღი სხვაც ჰქონდა.

— წაიღეს ქაღალდები, რომელზედაც სივდილის წინ წერდაო...

— ალბათ...

— დედა რას გეუბნებოდათ?

— დედა არაფერს. დედა სულ დუმდა. იცოდა, რომ ხმა არ უნდა ამოეღო. თანაც ნემსი გაუკეთეს და მახსოვრობა დაუკარგეს ან მახსოვრობის სურვილი მოუსპეს... მოკლედ, ამ საკითხზე იგი არ ლაპარაკობდა... არავისთან.

— აღმერთებდა სტალინსო, თქვენ თქვით ადრე...

— მამა კი... ბოლოს აღარ... რა მოხდა, არ ვიცი. მამას აღარა სჯეროდა სტალინის, სტალინს მამაჩემის, მამა აღარც ჭირდებოდა, როგორც ჩანს. ყველა თანამშრომელი დაუჭირეს თითქმის... მარისიანი, შალიკო ოკუჯავა, პიატაკოვი, ძმა, ნათესავები... მივიდა პაპულიას გამო სტალინთან. ჩემი მავნებლად გამოცხადება შეიძლება, მაგრამ პაპულიასი არაო... ბრაკონიერობაში შეიძლება დაადანაშაულოს ვინმემ მხოლოდ და მხოლოდო. პირადად გადახედე მის საქმეს, ყველაფერს მიხვდებიო. მე ვენდობი ბერიასო, ამით დაამთავრეს ლაპარაკი.

— არ მიიღოოო კაბინეტშიც...

— არ ვიცი, ეს ბოლოს ალბათ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მართლა გაჩხრიკეს თქვენი ბინა?

— არა. არ ვიცი. მე არ მახსოვს...

— შეიძლება მეც გამჩხრიკონო, სტალინს ეთქვა...

— არ ვიცი...

— ის მაინც არ თქვა დედამ რა წაიღეს და რა არა?

— არაფერი უთქვამს...

— როგორი კაცი იყო სტალინი?

— ჩვეულებრივი, ტანად ჩვეულებრივზე პატარა, სახენაყვავილარი (დიდი პაუზა), ეგ იყო...

— როგორი მზერა ჰქონდა?

— მზერა? მზერა გამგმირავი (ეღიმება). არ ვიცი... ხშირად ვხედავდი კი... ხშირად თვალშიც ვეჩხირებოდი. სვეტლანასთან დავდიოდი. ერთად ვიყავით ძალიან ხშირად...

— თუ მოგფერებიათ?

— არა, არა... მგონი, არც დამლაპარაკებია, უხერხულობას ვერ ვფარავდი მასთან შეხვედრისას ვერც მაშინ პატაროობისას, ვერც ქალიშვილობაში... გაჩერება არ მინდოდა იმ სიახლოვეს. იმიტომ კი არა, რომ პატივს არ ვცემდი... პირიქით, ვიცოდი და მწამდა სადღაც რომ დიდი ადამიანი იყო და მაინც... მე არ მინდოდა იმ კაცის სიახლოვე...

— თავი მოიკლა სერგომ, თქვენმა მამამ?

— დიახ.

— თქვენ ადრე სხვა მითხარით...

— შეიძლება. გავრცელდა კიდეც ხმა მოკლესო, ისეთი ნატურის კაცი იყო თავს არ მოიკლავდა. მისი ხასიათიდან ეს არ გამომდინარეობდაო... ეს ოფიციოზია და ხანდახან მეც ვერთვები დეზინფორმაციაში, მჯერავს კიდეც ხანდახან...

მამა ბევრს ფიქრობდა ბოლოს და ქართულად ლაპარაკობდა თავისთვის. მივუგდებდი ყურს, გაუგებრად ბურტყუნებს. მამა, ვის ელაპარკები? ეთერა, შენ არ იცი ხომ ქართული? მამა, საიდან, შენ ხომ არასოდეს გისწავლია ჩემთვის ქართული!.. მართალია. არ მისწავლია. ღიღინებდა. ზოგჯერ ღიღინებდა გაბმულად. მამა, ქართულად მღერი? ეთერა! შენ არ იცი ხომ ქართული სიმღერა. არა. მამა, შენ ხომ ჩემთვის არაფერი ქართული არ გისწავლია!..

მართალია ეთერა, არ მისწავლებია, მხოლოდ მარტო ჩემი ბრალი არაა ყველაფერი!

სიცოცხლის ბოლო წელს, განგებ თუ შემთხვევით, რომ ჯერმე შეახვედრეს ქალებს, მეთაურებისა და სამეურნეო მუშაკების ცოლებს:

ესწრება — „ჭარხლის მინდვრების ხუთასოვან კოლმეურნე ქალთა მიღებას კრემლში.“

მონაწილეობს — „მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა თათბირის მუშაობაში.“

მონაწილეობს — „ტაჯიკისტანისა და თურქმენისტანის მოწინავე კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების თათბირის მუშაობაში“.

მონაწილეობს — „უზბეკისტანის, კაზახისტანისა და ყარა-კალპაკეტის მოწინავე კოლმეურნეების და კოლმეურნე ქალების თათბირის მუშაობაში.“

იღებს კრემლში — „ნავთობსახდელი მრეწველების მუშაკებს და მათ ცოლებს.“

ხელმძღვანელობს — თათბირს მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ცოლების მონაწილეობის შესახებ შრომასა და საყოფაცხოვრებო კულტურისათვის ბრძოლაში.

იღებს — „აქტივისტ ქალებს და გამოდის სიტყვით.“

მონაწილეობს — „მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების თათბირის მუშაობაში.“

იღებს — „ნავთობსახდელი მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მათი ცოლების დელეგაციას.“

მთავარია პარტიის ლიდერების მასებთან, ხალხთან (არა ქალებთან) მჭიდრო კავშირი. იმიტომ, რომ „სტალინმა ყველაზე ძვირფას კაპიტალად ადამიანი დაგვისახა!“

დასავლეთ საქართველოშიო, სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე დაწერა „არაფერი არა აქვთ საამაყო, გარდა ღომისა და მჭადისა, საუბედუროდ ესეც არა აქვთ მათ საკმარისად. შიმშილით რომ არ მოკვდნენ, ისინი იძულებულნი არიან, სხვაგან ეძიონ სამუშაო და სიმწრით ნაშოვნი გროშებით გამოკვებონ თავისი ოჯახი და ჩააც-

ვან მათ. რაჭველი სამუშაოს საძებრად მიდის ჩრდილოეთ კავკასიაში, იმერელი ჭიათურაში.“

მამამისი, აზნაური კონსტანტინე ორჯონიკიძეც გრძელების საძებ-ნელად ჭიათურა-შოროპნის გზაზე იყო გაკრული. უეცრად დაჭოლდა შავი ქვა. ესეც ახსოვდა სერგოს და იმერული სოფლის სიმწირე-სილარიბის საძებნელად შორს არ ჭირდებოდა წასვლა. ჭადისა და ყველის გარდა ღორეშაშიც არაფერი ექნებოდათ საამაყო,

ეგრე არ არი, ბატონო მიხაკო?

— ...სიმინდი მაშინ ბევრი იყო, ყურძენი მოდიოდა ბლომად, ვაზი კარგად ხარობდა. ახლა სადაა. არც მწიფდება მტევანი. კვა-დოურაზე თოთხმეტი წისქვილი გვქონდა გამართული, ჯერ კიდევ ომამდე. ახლა ორია და გვყოფნის. პურს ვყიდულობთ, საქონელსაც ნაყიდ პურს ვაჭმევთ... წელს შაქარი არ იქნება მაღაზიებშიო და დავრჩენილვართ უღვინოდ და ეგაა. ადრე არ გვიჭირდა, ვხნავ-დით, ვბარავდით, ვწურავდით და ვიყავით. ამ ღელე გამოღმიდან სიმღერა ისმოდა, ნადური, ამ ზემოდან სიმღერა ისმოდა... ახლა აღარც სიმღერა ისმის აღარც სიცილი, აღარავინ იცინის...

— სკოლაში რამდენი ბავშვი გყავთ?

— შარშან ერთი ბავშვი გვყავდა პირველ კლასში, წელს შეიძ-ლება ოთხამდე შეგროვდეს... სრულწლიან სკოლაზე მოგახსენებთ.. არასრულწლიანში კარგადაა შედარებით საქმე ექვსი პირველკლა-სელი გვეყოლება გაისად. ორმოცდაათიან წლებში; თუნდაც 1956 წელს 325 სკოლის მოსწავლე გვყავდა... ახლა შეგროვდა ოთხმო-ცამდე, არც კი... 750 მრავალრიცხოვანი კომლი ესახლა ღორეშაში. ახლა 70 კომლი ერთსულიანია. ერთი კინკილა კაცი ცხოვრობს, რომ გახედავ ახლა იმ სახლებში, ზოგიერთს წყლის მიმწოდებელი აღარა ჰყავს...

სკვერში თუ მიხაკოს ეზოში პოსტდამენტზე დევს სტალინის ბი-უსტი. მიხაკოს ლექსი აწერია ბიუსტს. კვადოურაზე ხიდია ბეტო-ნის. ბეტონის თაღზე საშინელი ფერის საღებავით შიწერილია: **გაუმარჯოს დიდ სტალინს!**

კვადოუარა ჯერჯერობით მაინც ძველებურად მოედინება. სამი წისქვილია გადარჩენილი. ორი ჩაფშვნის პირსაა მისული, ერთი იფშვნება. საშუალო სკოლის უზარმაზარ მახინჯ შენობაში ახლა შეიძლება ოთხი პირველკლასელიც კი ჰყავთ.

მოტყიარის წმინდა გიორგის ბაზილიკა დანგრეულია, კოზმანის წმინდა გიორგის ბაზილიკაც დანგრეულია, რომელიღაც ფეოდალის „ციხე-სასახლის“ ბურჯებიღაა დარჩენილი კოზმანის ბაზილიკის ნანგრევებთან, ზედ კლდის შუბლზე. კლდე ჩაჰყურებს ძირულაა ხეობას, თეთრად გარხეულ ბაწარივით გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეს ამჟამად ანგრევენ, შლიან, ბლოკებად ჭრიან თუ რას შვრებიან, ადამიანი ვერ გაარკვევს, ბულდოზერებისა, ექსკავატორების და ქვის სახერხი მანქანების ამაზრზენ ხმაურში.

ღორეშა ღორღიდან არის წარმომდგარიო. შეიძლება სულ მალე ღორეშა, ამაშუკეთი, სხვა სოფლებიც ღორღად კლდის მტვრად, კლდის ნაშალად იქცეს და უფრო გაამართლებს ერთი სოფელი თავის სახელწოდებას.

რ ე შ ი ((მესხურად) ხრეში.

რ ე შ ი (სხვანაირად) ფიცხი, გააფთრებული.

აქედან:

1. ღორღ-რეში (ღორღი და ხრეში).

2. ღორ-რეში (გაავებული ღორი).

ერთ-ერთის არჩევა შეიძლება.

ბოლშევიკების გამარჯვებიდან (1917 წ.) ცეკას XIX ყრილობამდე, (1952 წ.), როცა გაუქმდა პოლიტბიურო და ჩამოყალიბდა პრეზიდიუმი, პოლიტბიუროში მოღვაწეობდა და ხალხზე მბრძანებლობდა 39 მამაკაცი. სტალინის აღზევებიდან მიცვალებამდე დახვრიტეს 14 (ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი, კრესტინსკი, რუდზუტაკი, უგლანოვი, ჩუბარი, კოსიორი, სირცოვი, პოსტიშევი, ეიხე, ეჟოვი, ბერია, ვოზნესენსკი), მოკლეს 4 — ლევ (ლეიბა) დავითისძე ტროცკი (ბრონშტეინი), სერგეი მირონის ძე კიროვი (კოსტრიკოვი), გრიგოლ (გირში) იაკობის ძე (იანკელის ძე) სოკოლნიკოვი (ბრილიანტი) და კარლო იანოვის ძე ბაუმანი, მოკლეს — 2 (ფრუნზე, კუიბიშევი), თავი მოიკლა ორმა (ტომსკი, ორჯონიკიძე), ცოცხალია ერთი (კაგანოვიჩი). სულ 23 კაცი. თუ სტალინს თავის სიკვდილით მკვდრად ჩავთვლით ბუნებრივად გარდაცვლილა პოლიტბიუროს ყველა წევრთა ნახევარზე ნაკლები — 16, მივუმატოთ ორთავ სიაში მყოფი კაგანოვიჩი — 17.

ემორჩილებოდა კი იმ 17 კაცის ცხოვრება სიცოცხლის განვითა-

რების — ყოფნა-არსებობა — გარდაცვალების ბუნებრივ პრინციპს?!

30-იანი წლების დასასრულისათვის სტალინის პარტიულ ნომენკლატურა ნაგები, თანამზრახველები დახვრეტილნი ანდა დასახვრეტად გამზადებულნი, მაგრამ არსებობდნენ სტალინის გარშემომოტრიალე გადარჩენილი დამიანები, რომლებთანაც სტალინს ჰქონდა ყოველდღიური სამსახურებრივი თუ პირადული ურთიერთობა; მათთან მოღვაწეობდა ,მათთან ჭამდა პურსა, ქეიფობდა კიდეც. მაგრამ სტალინი და დანარჩენები, დანარჩენები და სტალინი ერთმანეთს არ ენდობოდნენ.

პირველი ეშელონის წევრთა დახვრეტილთა და დაღუპულთა რიცხვით მცირე, მნიშვნელობით დიდი სია წარმოვადგინეთ და არაფერი ვთქვით, რაც ბუნებრივია, დახვრეტილ-დაღუპულ ცეკას წევრებზე, მინისტრებზე, ოფიცრობაზე, სამეურნეო, ადმინისტრატიული ორგანოების მუშაკებზე და რეპრესირებულ მილიონობით ჩვეულებრივ ადამიანებზე. დროის მცირე და შეზღუდულ მონაკვეთზე ტრიალებდა ხორცსაკეპი. სახელმწიფო არსებობდა მაინც. მუშაობდა ადმინისტრატიული მექანიზმი, პარტაპარატი და პოლიტბიურო, ყველაფერს რომ განაგებდა მაშინ.

ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობდნენ ჩვეულებრივად; ჩვეულებრივი მოთხოვნილებებით, ვნებებით, შიშით, შფოთვით, სიყვარულით. 65 წლის ქრისტიან რაკოვსკიმ, რომელსაც 20 წელი მიუსაჯეს და 5 წლით (20 წლის გასვლის შემდეგ) ჩამოართვეს პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება, თქვა, მოვა დრო და გვამები ალაპარაკდებიანო. ალაპარაკდებიან და დადუმდებიან, შენიშნა სტალინმა.

და მოვიდა ალაპარაკებისა და ჩადუმების დროც, მოვიდა და ისტორიად იქცა. სტალინის აზრით, ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედია იყო, ბევრისა კი ისტორია მხოლოდ. იცოდა კიდეც ისტორია რაღაც დონეზე. მწერალმა ფადეევმა ანდერძში, თავის მოკვლის წინ ალნიშნა: სტალინი სხვაზე მეტად განათლებული მაინც იყოო (მისიანები იგულისხმება). მერედა ვინ იყვნენ ეგ სხეები: ხრუშჩოვი, ბულგანინი, მიქოიანი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ბერია, ბუდიონი და ასე შემდეგ. ტროცკის აზრით, სტალინთან სიახლოვის თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი პირობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებრივი შეზღუდულობა იყო და ამ პირობას ზემოთჩამოთვლილი პირები სავსებით აკმაყოფილებდნენ. სტალინის გარშემომტრიალე ხალხებზე ძალიან დაბალი წარმოდგენის იყვნენ. ეგრეთწოდებული, ინტელექტუალი ბოლშევიკები: ცროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რადეკი, რიუტინი და სხვები. სტალინს დიდად არ აწუხებდა მისი გარემოცვის ინტელექტუალური დონე, შემოქმედებითი მონაცემები. ბუდიონს, მაგალითად, მოლაპარაკე ცხენს ეძახდაო (говорящая лошадь), ბერიასა და მალენკოვს ორ ჟულიკს, ნიკიტას — მიკიტანს და სხვა. იუმორის გრძნობაც ჰქონია ვიღაცასთან შედარებით თუ შეფარდებით. ისე კი, მის იუმორზეც არ გიჟდებოდნენ ზემოდჩამოთვლილი პირები, სტალინის ხსენება სიცილის ასოციაციას რომ არ იწვევდა მათ წარმოდგენაში.

ჩამთავრდა დიდი ხვრეტები, დაიწყო დიდი ომი, ახალი დიდი ხვრეტების დრო არ იყო მოსული და სტალინის გარემოცვა სტაბილური გახდა, გამოიკვეთა ოთხეული (მალენკოვი, ბერია, ხრუშჩოვი, ბულგანინი). გამოიკვეთა გარეწრე (მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი) და ბუდიონი, რომელიც მხოლოდ სააღლუმო-სადღესასწაულო დღეებში ერთვებოდა შემადგენლობაში, მათთან ხშირად იყო პურისჭამაში, იშვიათად საქმეში და პოლიტბიუროს წევრები თანდათან მაინც ემსგავსებოდნენ ბუდიონს — მოლაპარაკე ცხენებს.

დღის 12 საათზე დგებოდა ღამენათევი სტალინი აგარაკზე, ათვალიერებდა ბოლშევიკურ პრესას, თავიდან ბოლომდე კითხულობდა გაზეთ „პრავდას“ უზმოზე. ახლა რა არის, მაშინ რა იქნებოდა გაზეთი „პრავდა“, ახლა რა ეკითხება, მაშინ რა სინდის-ნამუსი უნდა მოკითხოდა „პრავდას“, რა კარგი უნდა დამართნოდა ამ გაზეთში ყოველდღიურადა, უზმოზე ჩაგულისყურებულ ადამიანს. ხალხთა დიდი გამომლენჩებელი ბუდიონისაკენ იხრებოდა შეუმჩნევლად, [illegible]ანდათანობით.

ერთხელაც სტალ[illegible]საო, იხსენებდა ხოლმე მიხეილ ჭიაურელი, [illegible]უკითხავდი პასტერნაკის ლექსებსაო, მისმენდა, მოწონდა, [illegible]ეგონა [illegible] [illegible]ელად შემაწყვეტინა კითხვა, აიღო „პრავდა“ და წამიკითხა მოწინავე კომკავშირელი, მწველავი გოგონას ლექსი, სადაც შრომით გმირობაზე იყო, რასაკვირველია, ლაპარაკი. კომ-

კავშირელი გოგონა პირობას დებდა, ძროხებს იმაზე მეტს მოვაწველინებ, ვიდრე იწველებიანო, თანაც ვისწავლი დაუსწრებლად. პარაშუტითაც გადმოვხტებიო. აი, ეს ლექსი მომწონს. ესენი, რომლითაც ტვინს მიხვრიტავო. მომწონს კი არა მოგვწონს, შეეძლო ეთქვა ანდა აი, ასეთი ლექსები მჭირდება, ან, უფრო უკეთესი. გვჭირდება ჩვენო და ამით მაინც არაფერი შეიცვლებოდა. კომკავშირელი მწველავის პოეტობა არა მარტო მისი პრინციპებისა და გემოვნების, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესების გამოვლენაც იყო. ისე კი პასტერნაკს იცნობდა პირადად, პასტერნაკის პოეზიაც მოწონდა (ვიღაცასთან შედარებით), გარემოცვას კი, ხალხს, რომელიც საბოლოოდ გამოლენჩებული ეგონა, კომკავშირელი მწველავის უპირატესობაში არწმუნებდა, რწმუნდებოდა თავადაც, ბუდიონიზმისაკენ მიექანებოდა.

(ტროცკის მტკიცება, რომ სტალინი აგარაკზე ტუალეტის სარკმლიდან შაშხანით ხოცავდა ყვავებს, ჭიანჭველის ბუდეებს ასხამდა ბენზინს და ცეცხლს უკიდებდა, დადასტურებული არაა და ამ საქმიანობას, თუკი იგი რეალობაა, ბუდიონიზმთან კავშირი არა აქვს).

გადმოხტა თუ არა პარაშუტით მწველავი-კომკავშირელი, „პრავდაში" რომ გამოუქვეყნეს სტალინის საამებელი ლექსი, არ ვიცით, მაგრამ თავად ბუდიონი 48 წლის ასაკში გენერლის ლამპასებით და პაგონებით გადმოეშვა თვითმფრინავიდან. აღმოჩნდა, რომ ამ ჩინისა და ამ ასაკის კაცი, ულვაშებზე აღარაა ლაპარაკი, მსოფლიოში პირველად გადმომხტარა თვითმფრინავიდან და ეს ამბავი აღნიშნეს კიდეც საგანგებოდ ერთ საზეიმო შეკრებაზე, რომელსაც სტალინი თავკაცობდა. სტალინმა საყოველთაო აღტაცება არ გაიზიარა, საზოგადოებას ცივი წყალი გადაასხა:

— ამხანაგო ბუდიონი, ვინ დაგრთოთ ამის ნება?!

უხიაგი სიჩუმე დადგა.

...პროლეტარული სახელმწიფოს მთავრობის წევრს არა აქვს უფლება თავი საფრთხეში ჩაიგდოს, განაგრძო მან და გადახედა ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავჯდომარეს იაროსლავსკის.

— განიხილეთ პარტიული წესით!

წამოდგა თურმე სამხედრო აკადემიის ერთი გაბედული გენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალთაგანი, გაწირა, ეტყობა, თავი და განაცხადა: ამხანაგ ბუდიონის ხტომა სამხედრო აკადემიის სასწავლო პროგრამით (ბუდიონმა აკადემიაც დაამთავრა 1931 წელს, გამარშლებამდე 4 წლით ადრე) იყო გათვალისწინებლიო. თუ ეგრე იყო, სხვა ამბავიაო, ჩაბარაკა სტალინმა და ყველამ შვებით ამოისუნთქა.

გაითამაშა ეგ სცენა, იხუმრა? შეიძლება, მაგრამ ბუდიონის რომ სახუმროდ არ ჰქონდა იმ მომენტში საქმე ყველა მიხვდა. თავად ბუდიონიც არ უნდა ყოფილიყო ხუმრობის დიდი მოყვარული, თუმცა მასხრობას არ თაკილობდა, ბაიანს წელავდა, მღეროდა შაირებს („ჩასტუშკებს") და ბუქნავდა პარაშუტიდან გადმოხტომის შემდეგაც. ესმოდათ ხუმრობა უხუმრო ქვეყანაში — კრემლში: ვოროშილოვი მამია ორახელაშვილს ოკოლოხრენაშვილს ეძახოდა და კვდებოდა თურმე სიცილით: ბუდუ მდივნისა და ფილიპე მახარაძის ორთაბრძოლებსაც ადევნებდნენ თვალს, ფილიპეს მომხრეებს ფილიპიკებს ეძახდნენ, ბუდუ მდივნის მომხრეებს — ბუდისტებს. ფილიპე მახარაძეს ერქვა ფილმახი, მიხეილ ივანეს ძე კალინინს მიხელვანიჩი. სოციალისტური სახელმწიფოს ინტელიგენციას, მწერლებს განსაკუთრებით 30-იან წლებში პარტიამ სანიმუშოდ და სამაგალითოდ დემიან ბედნი (პრიდვოროვი) დაუსახა: გადმოძახილა ლოზუნგი „ადემიანენიე ლიტერატური". თავადვე შეაბრუნა შემდეგ ეს ტერმინი და „აბედნენიე ლიტერატური"-თ გადააკეთა შინაურობაში. ლავრენტი ბერია სტალინის სავახშმო სუფრებზე, ხელჩართული სმითა და სადღეგრძელოებით რომ მთავრდებოდა ბოლოს, ანგდოტებს ყვებოდა. ყველაზე მეტი პოლიტიკური ანეკდოტი იცოდა (სხვას ვის უნდა ცოდნოდა) და ყვებოდაო, თუმც საანეკდოტოდ არც იმას ჰქონოდა საქმე.

ხუმრობდნენ და შიშში ცხოვრობდნენ.

ბერიას დაჭერის შემდეგ მოლოტოვმა პლენუმზე თქვა: ბერიამ მავზოლეუმზე გვითხრა (კაგანოვიჩიც დაიმოწმა): სტალინმა არ იცოდა, ჩემი დაჭერა რომ არ შეიძლებოდაო, გაბედავდა და ჩეკისტები აუჯანყდებოდნენო.

ჩეკისტები სტალინს კი არა ხრუშჩოვს არ აჯანყებიან და ბერიას დაჭერაც გაცილებით იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ეროვნული როსა და საბჭოთა არმიას ეგონა. მულო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონეო, იმისი არ იყოს, ბერიამ სტალინი ახსენა და სხვები გააფრთხილა, როგორც შემდეგ გამოირკვა, არც თუ უსაფუძვლოდ, მაგრამ საინტერესოა, როდის და სად მოასწრო ამის თქმა. სტალინის სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ორჯერ — დაკრძალვაზე და 1 მაისს მოუწია მავზოლეუმის ტრიბუნაზე დგომა და თუ სტალინის დაკრძალვაზე გაიხსენა ეს ამბავი, კაციც ის ყოფილა. იგი სტალინს წაკლეს, მაგრამ სტალინსვე ჰყავდა გაწირული. ახლა ამას არ ჭირდება ანალიზი და დიდი მარჩიელობა. ადრე იქნებოდა თუ მალე პატრონი უეჭველად გაუყენებდა სახელოვანი წინაპრების რიგოვის: (ერთ-ერთი პირველი, ცოტა ხნით განაგებდა უწყებას, რომელსაც ხან ჩეკა ერქვა, ხან სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, ენკავედე, სუკი, კაგებე და სხვა), ტოლმაჩოვის, ბელობოროდოვის, მენჟინსკის, იაგოდას, ეჟოვის გზას. და ეს არავისთვის არ აღმოჩნდებოდა მოულოდნელი. რა არ ხდებოდა მრავალსახელწოდებიან სამართალდამცავ ორგანოებში იმ წლებში. მოვიტანთ ერთ ადგილს ამ დარგის ერთი დღევანდელი მიმოხილველის დოკუმენტური წერილიდან:

„...„დიდი წმენდის“ დროს 1937 წელს დახვრიტეს რედენსი (სტალინის ქვისლი) და მისი სავარძელში ჩაჯდა მუდამ შეზარხოშებული წითელცხვირიანი და უმეტყველო თვალებიანი ზაკოვსკი, რომელიც დახვრეტაზე ნაკლებ სასჯელს სასჯელად არ თვლიდა. 1939 წლის დასაწყისში ზაკოვსკიც დახვრიტეს და მოსკოვის სამმართველოს უფროსის კაბინეტში მოკალათდა მოადგილე პეტროვსკი. სამი კვირის შემდეგ პეტროვსკიმ თავი მოიკლა კაბინეტშივე, იაკუბოვიჩი კი, რომელმაც იგი შეცვალა, მალე დაიჭირეს და ორი დღით მოიყვანეს ვინმე კარუცკი. პირველ დღეს გაეცნო იგი თანამშრომლებს, ოფიცერთა შემადგენლობას და მეორე დღეს ტყვია იგლიჯა შუბლში; ადგნენ და დანიშნეს კოროვინი, რომელიც სწრა-

ფად შეცვალა ჟურავლიოვმა. ერთი კვირის თავზე ჟურავლიოვი გამოიძახა ბერიამ, საიდანაც იგი უკან აღარ დაბრუნებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე შემდეგ.

ორი თვეც რომ ეცოცხლა სტალინს მე დავჯდებოდი ბერიას კაბინეტშიო დაბეჯითებით უთქვამს რუხაძეს. ძალიც შემწევდა ქადილისო, იტყოდა, მაგრამ სტალინმა უმტყუნა, გაასწრო ბერიამ, აბაკუმოვმა და რუხაძემაც გაიზიარეს ბერია-აბაკუმოვ-ქობულოვ დეკანოზოვის და სხვათა ბედი. ბერიას სავარძელზე დაწყდა შეიძლება რუხაძეს გული სიკვდილის წინაც კი. დაუოკებელია უფლებისაკენ ლტოლვა, უფლებით ტკბობას არაფერი ცვლის. უფლება ლეშია ბინძური ნადირისათვის, სისხლიანი პირუტყვია ლომთათვის; ყველაფერი ფიზიკური და სულიერი იმსხვრევა, ნადგურდება უფლებაში, უფლების გზაზე.

მოვიდა ლავრენტის დრო და სტალინმა წამოიწყო „მეგრელების საქმე". ძველებურად მოქმედებდა, „საქმეც" თეთრი ძაფით იყო ნაკერი, იგი არა ჩქარობდა და დაასწრო ბერიამო ვარაუდობს ერთი ავტორი, რომელსაც „კრემლის საქმეების" სპეციალისტად მოაქვს თავი. დასწრება დღემდე ვარაუდად რჩება და „ძველი მეთოდების" ბრალდება ფაქტია. სტალინი ფუნდამენტალურად თითხნიდა ბრალდებას, რომელიც ამდენს არ იმსახურებდა. უსაბუთოდაც, წინასწარი ძიების გარეშეც არავინ მოთხოვდა ბერიას დაჭერაზე პასუხს. თუნდაც იმიტომ რომ დამჭერი სტალინი იყო, დასაჭერი ბერია. ერთი ხალხს უყვარდა, მეორე — არა. გარემოცვას ერთიც ძულდა (შინაგანად) და მეორეც და ერთმანეთიც რომ დაეჭამათ, არ ინაღვლებდნენ. სტალინი აგვიანებდა. ხალხს ალენჩებდა და თავადაც კარგავდა სწორი განსჯის უნარს. ბუდიონიზმი ყვავოდა კრემლში და ეგრე მარტივადაც არ უნდა ყოფილიყო საქმე. „მეგრელებით" სტალინს ორი კურდღლის მოკვლა უნდოდა და ისეთი ვერაგული გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული, რომლის გამხელაც კი სახიფათოა დღეს. ხომ დატოვა სისხლიანი ლაქები ავტონომიების სახით საქართველოში. „მეგრელთა საქმით", თუ პროცესი მისებურად გაღვივდებოდა, ერთ ლახვარსაც ჩასცემდ-

საკუთარ სამშობლოს. არ დაცალდა და ბერიამ დაასწრო თუ განგებამ შემდეგ გაირკვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებით და არა წარმოშობით (მუსიკოსის ოჯახი) ბინადარი მოლოტოვი წინწამოწეული, დაბალი, მასიური შუბლით ბრახოცეფალიის აშკარა ნიშნებით) იგონებდა წარსულს, იხდიდა პარტიის საწევროს, თუმცა პარტიიდან კარგა ხნის გარიცხული იყო, აქებდა სტალინს (დაჭერილი ცოლი პოლინა ახსენდებოდა ამ დროს თუ არა, ძნელი სათქმელია) და შეცდომები გვქონდაო, აღიარებდა. ბოლოს განაცხადა: სტალინი რომ დროზე არ მომკვდარიყო, მე შეიძლება ცოცხალი არ ვყოფილიყავიო,თუმც ეს ფაქტი სტალინის პიროვნების შეფასებაში, არავითარ როლს არ ითამაშებსო. კაცი იყო და გუნება. კაცობის რა მოგახსენოთ, მაგრამ მოსაგონებელი და სალაპარაკო იმას რომ ჰქონდა, ისე უნდა. ინტერვიუებს რომ არიგებდა, სეირნობდა ბაღში ჯოხით, დიდი შუბლით, პენსნეთი (მოლოტოვის „პენსნის" ერთი ეგზემპლიარი საქართველოში ინახება და პოლიტკოლექციონერებს, სტალინელებს შევახსენებთ, რომ იგი (პენსნე) საიმედოდაა დაცული. აღიარებდა, როგორც ვთქვით, შეცდომებს, ამართლებდა განვლილ გზას, იცავდა პრინციპს, რომელიც მას არ გააჩნდა.

ბერია დაიჭირეს სახმელეთო ჯარების, ფლოტის, ავიაციის ხელშეწყობით, პოლიტბიუროს მეცადინეობით და პლენუმზე, იმ ღირსახსოვარი დღის აღსანიშნავად რომ გაიმართა (2—7 ივლისი. 1953 წ.) გაათახსირეს იგი; სინამდვილეში კაცად კინაღამ დასვეს, სასიკეთო საქმეები დანაშაულად მიუთვალეს; ვერცერთი სერიოზული ბრალდება ვერ წაუყენეს ფაქტიურად და პირიქით (პლენუმის მასალები ქვეყნდება, მკითხველი იოლად დარწმუნდება ამაში) დღევანდელი თვალსაზრისით პროგრესულ მოღვაწედ შერაცხეს.

საქართველოს მაშინდელ ცეკას მდივანს პეტრე შარიას ტუბერკულოზით გარდაეცვალა 12 წლის ვაჟი და გამწარებულმა მამამ რუსულად დაწერა მხატვრულად საეჭვო ღირებულების, ამას არცა აქვს მნიშვნელობა, ლექსი თუ პოემა, რომელიც მცირე ტირაჟით და ხელნაწერის უფლებით ბეჭდურად გავრცელდა, გაეცნო მხოლოდ

ვიწრო წრე: ახლობლები, ახლო ნაცნობები. ამის გამო იგი ცოცხალ მდივნობიდან გაათავისუფლეს, ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში გაამწესეს ლექტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს გადაწყვეტილება მოიწონა ბერიამ, გაოცებულია მოლოტოვი:

«...Шария П. А. в 1943 году, в связи со смертью сына написал идеологически вредное произведение в стихах, проникнутое глубоким пессимизмом и религиозно-мистическими настроениями».

«...Следовало бы поступить совсем иначе: отменить неправильное решение ЦК КП(б) Грузии о Шария и изгнать из рядов партии этого мистика-пустомелю».

რას ნიშნავდა მაშინ კაცის, მითუმეტეს „ნომენკლატურული პირის“ პარტიიდან გაგდება დღევანდელმა მკითხველმაც კი უნდა იცოდეს. 12 წლის გარდაცვლილ ვაჟზე კომუნისტმა მამამ სევდიანი (უიდეო) ლექსი როგორ დაწერაო, ბერიას ლიბერალიზმი დააბრალა და შარია დასახვრეტად გაიმეტა. ეს მონა დაჭერილ ცოლზე, ცხადია, არ ამოიღებდა ხმას და საკუთარი ტყვის გადარჩენისათვის დედ-მამასაც გაყიდდა.

ხრუშჩოვი იგონებს: სტალინის აგარაკის ეზოში რომ შევდიოდით, მე და ბულგანინი ერთმანეთს თანაგრძნობით ვეყურებდით, უკან გამოვბრუნდებოდით თუ არა არ ვიცოდითო.

და ეს იყო ცხოველური, მაგრამ რეალური შიში. შიშში არსებობდნენ, მუშაობდნენ, ერთპარტიული სახელმწიფოს ბორბალს ატრიალებდნენ.

კაგანოვიჩის ძმას სტალინმა თავი მოაკვლევინა, კაგანოვიჩს დაი (ტროცკის ცნობით) ცოლად გაიხმარა მცირე ხნით და კაგანოვიჩმა უერთგულა ბოლომდე, დღემდე თავი მოიტანა სამაგიეროდ, მაგრამ მაინც როგორ უნდა ავხსნათ ეს პათოლოგიური ერთგულება? კალინინისა და მოლოტოვის ცოლები დაჭერილები ჰყავდა, მიქოიანის მცირეწლოვანი შვილები — დაპატიმრებული, განუყრელი პოსკრებიშჩევის II ცოლი — გადასახლებული; ბერიას „მეგრელების საქმე“ შეუდგინა, მალენკოვი შუა აზიაში გააგდო ერთი წლით და სხვა. ერთგულების განმტკიცების ეს მეთოდი მარ-

ტო ისტორიის ცოდნითა და წარსულის გამოცდილებით არ ეფნებოდა მიღებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამებრძოლები, გარეშემომტრიალენი, საბჭოეთის მოქალაქენი „ბედნიერ ცხოვრებას“, სიცოცხლესაც მაინც სტალინს უმადლოდნენ; დაძაბულნი, მოლოდინში ცხოვრობდნენ, ცოცხლობდნენ (ერთი ცოცხალია დღესაც) გარეგნულად, მტრის თვალის დასაფსებად ერთმანეთის სიამტკბილობაში ამოდიოდათ მთავარი სული, სტალინს კი (ექიმების განმარტებით) საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრით და სხვა დარდით ტვინის ცალი ნახევარსფერო ურბილდებოდა, მისი სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა, რუსეთის ბნელი ისტორიის ერთ სამარცხვინო აქციას აღსრულება არ ეწერა: დადგა დრო, მოსკოვს სახელი უნდა გადაერქვასო. ამტკიცებდნენ ზოგიერთები. წამოაყენეს წინადადება (ავტორები: ზაიცევი, ჩუმაკოვი და სხვები), მოსკოვს დაერქვასო სტალინოდარი. ამ პატივზე სტალინმა „კატეგორიული უარი“ განაცხადა. მაგრამ ეს მოხდა 1938 წელს. მაშინ სტალინს სიფხიზლე არ ღალატობდა, შიში თან დაყვებოდა, „ბუდიონიზმი“ არ ჰქონდა მორეული. კიდევ რომ ეცოცხლა, იტყოდა კი ამ წინადადებაზე უარს, თუნდაც 50-ანი წლების ბოლოს?

XVII ყრილობაზე (1934 წ.) სტალინმა ბუდიონი ცეკას წევრობის კანდიდატად გაიყვანა. ამავე პრინციპით შეეძლო ცეკას წევრად აერჩია მისი ცხენიცო შენიშნა ერთმა მეპარტაპარატემ და მრავალმა გაიმეორა. მოლაპარაკე ცხენის სახელიც ამის შემდეგ დაერქვა, როგორც ჩანს და მარშალმა ბუდიონიმ, გენერლის პაგონებით ერთხელ და უკანასკნელად 48 წლის ასაკში თვითმფრინავიდან პარაშუტით რომ გადმოხტა, 90 წელი იცოცხლა.

შიში შეიქმს სიყვარულსაო, ნათქვამია, მაგრამ შიში სიცოცხლესაც ახანგრძლივებს?

ბუდიონი გარდაიცვალა 90 წლის. ტოლი არ დაუდო ვოროშილოვმა, არც გაასწრო, არც ჩამორჩა, 90-ს აღესრულა ისეც. 90—90 წლისანი მიებარნენ კრემლის მიწას. 96 წლისა მიიცვალა ვიაჩესლავ მოლოტოვი (სკრიაბინი), 87 წლისა მოკვდა მალენკოვი, 83 წლის ასაკში დაგვტოვა მიქოიანმა, 80-ს გადაცილდა ბულგანინი, 77-ისა აღარ იყო ნიკიტა ხრუშჩოვი. კაგანოვიჩი ცოცხალია და ორ

წელიწადში, თუ მანამდე არ მოკვდა, გახდება კიდეც 100 წლის*. სრულიად „რუსეთის მამასახლისი“ კალინინი, სიბერის გამო რომ გაუშვა (ერთადერთი შემთხვევა) სტალინმა პენსიაში 71 წლისა მიესვენა და ზემოთჩამოთვლილ პირებთან, ყოველ შემთხვევაში მოლოტოვთან და კაგანოვიჩთან აკვნის ბავშვი გამოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც სხვას დააკლეს, თავად შეიმატეს, თუ რა მოხდა. ზღვას გადარჩენილები წვეთმა არც ერთი (დიდი კულტურტრეგერი ჟდანოვის მეტი) წვეთმა რატომ არ დაახრჩო. როგორ გაძლეს? შიშში, დაძაბულ ატმოსფეროში როგორ იცხოვრეს, როცა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მაღალი არ იყო. მათ მიერ სანქციადადებულ დახვრეტილ ადამიანთა უმრავლესობა კი 50 არ იყო გადაცილებული.

გაძლეს. სახეობათა შერჩევის პარტიულ-ბიოლოგიურ შემთხვევასთან ხომ არა გვაქვს საქმე?

ჯანმრთელი აღმოჩნდა ტროცკი. 66 წლის კაცს ალპინისტის წერაყინი რეკა თავში კაგებეს მოგზავნილმა აგენტმა, თავის ქალა ჩაუჩეჩქვა და ვერ მოკლა. თავქალაჩაჩეჩქვილი და სისხლში მოსვრილი ორთავ ხელით ეცა უცხოელ ჩეკისტს, წერაყინი წაართვა, გაიქცა და რამდენიმე დღე იცოცხლა. ბერია ჩაის ჭიქაში მეგრულ პაწუკა წიწაკებს ფშვნიდა, არყით ავსებდა და სვამდა. ქათმის არ იყოს, ვინ აცალა ან ერთს, ან მეორეს თვარა ქე ეცოცხლათ იქნებ ყვავებივით. სექსუალურ-მანიაკალური მიდრეკილების ბერია შიშის ზარს ცემდა რუსულ იმპერიას. საბჭოთა კავშირის გენერალიტეტი ჟუკოვის მეთაურობით, პოლიტბიურო ხრუშჩოვ-ბულგანინის ხელმძღვანელობით, პარტია და ჯარი ამზადებდნენ მის დაჭერას. ყველამ, ვისაც უნდა ცოდნოდა იმის გარდა, იცოდა, რომ აპატიმრებდნენ და გააძგრეს კიდეც. სათვალე წაართვეს (ინახება თუ არა ის პენსნე, არ ვიცით) ძიების დროს და ღილები დააგლიჯეს მარშლებმა შარვლის ჩასახსნელზე. თავლისმაგვარ ოთახში ხის ფარზე გააკრეს, ტყვია არ აცდეს, კედელმა ტყვია არ აისხლიტოს, ჩვენ არ მოგვხვდესო. არა მე ვესვრი არა მეო, ერთმანეთს გვერდზე აგდებდნენ სახელოვანი გენერლები, დიდი ომის მომგებნი და მონაწილენი. ოდნავ გადაიღრიცა ფარზე გაკრული, ცალი თვალი და-

* მ. ლ. კაგანოვიჩი გარდაიცვალა 1991 წლის

ჭუტა; გადმოკაკლული თვალით ჩააჩერდა პისტოლეტის ლულას, ორიოდე ნაბიჯიდან რომ ემიზნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ორჯონიკიძე ადრე გაიხარჯა. ის კაცი ბევრს ვერ იცოცხლებდა. 50 წლისას ცალ ყურში აღარ ესმოდა, აწუხებდა ერთადერთი თირკმელი, აღარ ჰქონდა სათესლე ჯირკვლები, შერჩენოდა ყვირილის უნარი და სიჯიქე მამულის დამცველი და ამწიოკებელი წინაპრებისა. იგი ნაჯახივით ჭრიდა წყალს. მაგრამ ცუდად ცურავდა. ორ განზომილებაში აზროვნებდა ხშირად: ნათელი და ბნელი, ჩვენი და სხვისი, წითელი და თეთრი იცოდა. ხროვისაგან გაკიდეგანდა და იფიქრა, ვინა ვარო. გვიანი იყო.

...მე ყველაფერში ვენდობი ლავრენტის, იგი ერთგული და თავდადებული მუშაკია! უთხრა სტალინმა.

„ჩემი აღარა სჯერა, თორემ შეუძლებელია არ იცოდეს, ვინ არი ბერია!“

ყველაფერი ვიცითა, ვინ ვინაა, ისიცა... ვინ რას ფიქრობდა, ვინ რას ფიქრობს — ისიც. ყველაფერს გაარკვევენ, გაურკვეველი არ დარჩება არაფერი... ხვალ შეიძლება მეც შემამოწმონ, შეიძლება მეც გამჩხრიკონ... ეგ მაგათი საქმეა!

მკვახე ვაშლისფერი კიტელის დუგმას და ზედა ღილს იხსნის. ზის საწერ მაგიდასთან. წერს. რეკავს. ტელეფონის ყურმილს არ იღებენ. წერს. დუგმას და ღილს იკრავს, ისევ იხსნის. წერს. აზრი უწყდება. სათქმელი, საწერი ეფანტება. ერთმა უსაშველოდ დიდმა, გრძელმა და უფორმო ცხოვრებამ გაიარა. რისთვის, ვისთვის, რატომ? არ უმსახურია უაზროდ უმიზნოდ, ბრუნდი და მართალი კი შთამომავლობამ გაარჩიოს, შვილთა ჩვენთა განსაჯონ. ღამე არაა და ბინდი დგას. ყინავს. თოვლი ხრაშუნობს გაყინულ ეზოში. გაუკვალავში გადადის ვიღაც. გუშაგებს არ ძინავთ და სიჩუმეა. ქარი არაა და საპარადო შემოსასვლელის კარს აწვება რაღაც. გუშაგი ყვირის თითქოს, ყურში ბჟუის რაღაც ცალფად.

მისი ბოლო მოხსენება იყო **„საბჭოთა ორთქმავლების საუკეთესო ხარისხისათვის ბრძოლაში“.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რევოლუციის ლოკომოტივის პირველი მემანქანე“ მის მოხსენებებს აღარ კითხულობდა. ორთქლმავლების ხარისხისათვის ბრძოლა აღარ აინტერესებდა.

სულ ბრძოლაში. სულ შიშში.

მაღლა ჰქოდა აწეული მაჯებში გადაღუნული, მოკლე ხელები, ხელის მტევნებით უნდოდა ჩამოეყარა სიტყვები, რომლებიც უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ყვიროდა და ხმა არ ამოდიოდა. გარდაცვლილი, თეთრი ცხენი იდგა უმზეოში. სასახლის მძლავრად განათებულ დიდ დარბაზში ხვდებოდა ქალებს. მეთაურთა ცოლები ესროდნენ ყვავილებს. მოკლედ შეკრეჭილთმიანი ცოლები აღტაცებულნი კიოდნენ და შორიდან ისროდნენ წითელ ყვავილებს; შუაზე გაყოფილი და გვერდებზე მოკლედ ჩამოვარცხნილი ქერა თმებით, მომცინარი სახეებით და ვარდებით მოდიოდნენ წინ...

„ზინაიდა, შენ ჭკვიანი ქალი ხარ, სერგო გარდაიცვალა გულის დამბლით... ზინაიდა, ხომ გესმის, რას გეუბნებიან!“

სტალინი ფრენჩის დიდ ჯიბეებში ილაგებდა მაგიდიდან ახვეტილ ქაღალდებს. უკან ედგნენ სათვალეებით, კიტელებით, ხალსტუკებით. სულ ბოლოში ანათებდნენ პენსნეს შუშები, შუშებს იქით ელავდნენ ბეცი თვალები. უდიდესია ძალაუფლებასთან მიახლოების შეგრძნება, დანარჩენი, სიამენი სოფლისანი, ფიზიოლოგიას განეკუთვნებოდნენ მხოლოდ.

— მოკლეს, მოკლეს! — ყვიროდა შეშლილი სიომუშკინი.

— გაიყვანეთ! — წყნარად ამბობდა ვიღაც.

სტალინს ეს ხმები აღარ აწუხებდა. თავაწეული დადიოდა ოთახში მოკლე და რბილი ნაბიჯებით; უყურებდა ადამიანებს, მზერას კი მათ თავს ზემოთ ატარებდა.

დაასაფლავეს 21 თებერვალს. ცივ, თოვლიან დღეს. სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს: მოლოტოვმა, რუხიმოვიჩმა, ვოროშილოვმა, ხრუშჩოვმა და ბერიამ. მოსკოვში თოვდა. ხეში წყალი დგებოდა საქართველოში. სანამ სტალინი ურნას კრემლის კედელში კიროვის ყუოფლის სამყოფელოს გვერდით შეაკვეხებდა, კაგანოვიჩმა კისერი დაიგრძელა და ორჯონიკიძის ბუჯერში შეიხედა, დაკვირვებით შეათვალიერა ბუჯერი, კედელი, სადაც იმ დღიდან ერთი ოცი წლის ჩათვლით კიდევ ჰქონდა შანსი იქ მოხვედრისა.

ეკრანზე ხილვა გარდაცვალებულთა, როცა ისინი ასაფლავებენ სხეულს სხვისას და თავისას ჯერ კიდევ თან ატარებენ, [illegible] გამოცხადება მგონია. მკვდრები კრძალავენ მკვდარს [illegible] ხელებდამწყვდეული სტალინი აუღელვებლად დგას. ისეთი მშვიდი, კმაყოფილი კაცი ახლობელის გასვენებაში ჯერ არ შეგვინიშნავს.

„...ზინაიდა, შენ ჭკვიანი ქალი ხარ, დავწვათ, ჯობია!“

ამოკენკილი სახე მოსულიყო სულ ახლო და ქალი ამ სახის ორთვალშუა იდგა. უნდა დაეწვათ დიდი სხეული, რომელშიც აღარ იყო კაცი. იგი მაინც თავის ნებაზე იწვა ჯერ ტახტზე. საფეთქელზე ეცხო ძველი და გრძელი, უჯიათი ჯიშის მარად წითელი სისხლის წინწკალი. ტყვია ჰქონდა მიჭედილი იმ ყურში, რომელშიც არ ესმოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი ს. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორი ე. ურუშაძე

ს.ბ.

ჩაბარდა წარმოებას 25.06.91 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 13.01.92 წ.
ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საბეჭდი საწიგნე-საჟურნალე. გარნიტურა
ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,58.
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 13,02. პირობითი
საღებავგატარება 15,81. ტირაჟი 20000 (1—10000). შეკვ. № 4071

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერანი“ რუსთაველის 42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 33.

ეროვნული
ბიბლიოთეკა